ერნესტ სეტონ-თომპსონი



ოლოფი ცყენი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თარგმნა ლევან ბოლქვაძემ

ე. სეტონ-თომფსონი

<u>რ ო ლ ფ ი ტ ყ ე შ ი</u>

I

ვიგვამი[1] ([1] ვიგვამი _ ჩრდ. ამერიკის ინდიელთა საცხოვრებელი გუმბათისებური ქოხი. აკეთებენ ხის ტოტებისაგან, ლერწმისაგან და სხვ.) კლდის ძირას

გაზაფხულის სისხამი დილა თენდებოდა. საცაა მზე უნდა ამოსულიყო. კუონები გამოვიდა თავისი ვიგვამიდან, ეზემუკის აღმოსავლეთით გადაჭიმულ კლდეებს რომ იყო შეფარებული, ავიდა უზარმაზარი კლდის მწვერვალზე და იქ მაღალ ქარაფზე გადმოდგა. უხმოდ ელოდა მიანოს საინავეს ტომის უკანასკნელი შვილი, როდის იელვებდა ზღვაზე კონექტიკუტსა და სიონეკს შუა ამომავალი მზის პირველი სხივი.

აი, გამოკრთა ღრუბელთა წყებიდან ოქროს სხივები და კუონებმაც აღმომავალი მზის სადიდებელი სიმღერა წამოიწყო:

მზეო, მზეო, ნუ ეფარები ღრუბელს,
გვაპკურე ცხოველმყოფელი ნათელი შენი!
სალამი შენდა, მეუფეო სამყაროს, მზეო!

მღეროდა და მღეროდა თან პატარა ტამტამს[2]([2] ტამტამი _ დაირის მსგავსი საკრავი.) ატყაპუნებდა, მანამდე იმეორებდა თავის სიმღერას, ვიდრე ღრუბლებიდან მზე არ ამოცურდა.

მერე წითელკანიანი ისევ დაბრუნდა კლდეს შეფარებულ თავის ვიგვამში, ცაცხვის ხის ჯამში ხელი ამოიბანა და ღარიბული საუზმის მზადებას შეუდგა.

ცეცხლზე სპილენძის მოკალული კარდალა ეკიდა. წყალი რომ ადუღდა, ინდიელმა შიგ ერთი პეშვი სიმინდის ღერღილი ჩაყარა და რამდენიმე ლოკოკინა ჩააგდო. სანამ საუზმე იხარშებოდა, აიღო თოფი, ფრთხილად გადაიარა კლდე, მის ვიგვამს რომ ჩრდილო-დასავლეთის ქარებისაგან იცავდა, და ორბისებური მზერა შეავლო კარგა მოზრდილ ტბორს, რომელიც თახვებს დაეგუბებინათ პატარა მდინარე ეზემუკზე.

ტბორს ჯერ ისევ ზამთრის ყინული ეფარა, მხოლოდ აქა-იქ, მზისაგან გამთბარ თავთხელში, უკვე მოჩანდა წყალი. ინდიელს აქ იხვები ეგულებოდა, მაგრამ ამჯერად ფრინველი არსად ჩანდა. სამაგიეროდ, ყინულის განაპირას მუქი ფერის რაღაც ლაქა შენიშნა. ეს მუშკის ვირთაგვა იყო.

კუონებმა ხოხვით შემოუარა ტბორს და მალე ვირთაგვასაგან სათოფეზე აღმოჩნდა. მაგრამ უცბად თოფის სროლაზე ხელი აიღო და ისევ ვიგ-

ვამში დაბრუნდა, რათა მამაპაპური იარაღით — მშვილდ-ისრითა და გრძელი თოკით შეეცვალა.

რამდენიმე სწრაფი ნაბიჯი — და იგი ისევ ოცდაათ ფუტზე იყო მუშკის ვირთაგვისაგან. თოკი ისარს გამოაბა, დაახვია და მშვილდი მოზიდა...

...ისარი გაფრინდა, თოკი თან გაიტაცა და ვირთაგვას ზედ ზურგზე დაერჭო, წყლის ერთი შეჩქაფუნება და ცხოველი ყინულქვეშ შეცურდა.

მაგრამ სად წავიდოდა? მონადირემ თოკის მეორე ბოლო ოდნავ გამოსწია და ვირთაგვა წყლის ზედაპირზე გამოჩნდა. ინდიელმა იგი ჯოხით მოკლა და ნაპირზე ამოათრია. მას რომ თოფი ეხმარა, ნადავლი, რა თქმა უნდა, სამუდამოდ წაუვიდოდა ხელიდან.

შინ დაბრუნებულმა ისაუზმა, შემდეგ იქვე, ვიგვამში დაბმულ პატარა, მგლის მსგავს წითურა ძაღლს აჭამა და ფრთხილად შეუდგა მუშკის ვირთაგვას გატყავებას.

ჯერ ცხოველს სხეულის უკანა ნაწილზე შემოასერა ტყავი, შემდეგ გადმოატრიალა იგი და ხელთათმანივით გააძრო ხორცს. ტყავი ჯოხზე გადაჭიმა და გასაშრობად დაკიდა. როცა გაშრება, გაყიდის. ხორცი კი სადილად შეინახა ჩრდილში.

კუონები ამ საქმიანობაში იყო, როდესაც ტყეში ფეხის ხმა გაისმა და ბუჩქნარიდან მაღალ-მაღალი, ტლანქი სახის მამაკაცი გამოვიდა, წითელცხვირა, ჭაღარაულვაშაწკეპილი. ინდიელის დანახვაზე იგი შეჩერდა, ზიზღით გადახედა წითელკანიანის ნანადირევს, ჩაიბურტყუნა «თაგვიჭამიაო», და ვიგვამისაკენ გასწია. მაგრამ ინდიელისაგან დინჯად და გარკვევით წარმოთქმულმა «წაეთრიემ» გეგმა შეაცვლევინა. გაწბილებულმა რაღაც ჩაიბუზღუნა «წითელკანიან მაწანწალაზე» და უახლოესი ფერმისაკენ გაემართა.

II
როლფ კიტრინგი და მისი ბიძა

«ყვავის თვე» იდგა — თეთრკანიანთა მარტი. ახლოვდებოდა «ბალახის თვე» და ზღვის სანაპიროებიდან ჩრდილოეთისაკენ უკვე მიემართებოდნენ წეროების სამკუთხა გუნდები. ისინი აღტაცებით გაჰყვიროდნენ იმაზე, რომ «მშიერმა თვემ გაიარა, რომ გაზაფხული კვლავ ეწვია მიწას». მაღლა, ხმელ ტოტებში როჭო კრიახობდა, ტყეში ჭრელი კოდალა აკაკუნებდა, სადღაც ფიჭვებში კაკაბი იძახოდა და ცაშიც გარეულ იხვთა ფრთების შრიალი იდგა. ინდიელს სიმღერა სწყუროდა.

და აი, კუონებს რაღაც მოაგონდა, მთის ქედს სამხრეთისაკენ დაჰყვა, შემდეგ ქვიან ბექობზე ავიდა და იქ მოღიმარი, ცისფერთვალა სიცოცხლის ყვავილი, გაზაფხულის პირველი მახარობელი იპოვა. არა, ინდიელს ყვავილი არ მოუწყვეტია, ჩამოჯდა და ცქერა დაუწყო. არ იცინოდა, არც მღეროდა. მდუმარედ იჯდა და თვალს არ აშორებდა ყვავილს... გულდაჯერებული მოვიდა აქ, იცოდა, რომ იპოვიდა ამ ყვავილს. ყვავილის სიტურფემ ააღელვა ინდიელი.

ჩიბუხი და სათუთუნე ამოიღო და მაშინღა გაახსენდა, რაც აკლდა, — სათუთუნე ცარიელი ჰქონდა. დაბრუნდა თავის ვიგვამში, ჩამოიღო თაროდან შვიდი მუშკის ვირთაგვისა და ერთი წავის ტყავი და სტრიკლენდ-პლენის სახელით ცნობილი ვრცელი გაშლილი ხეობისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგა. მალე გაიარა სტრიკლენდ-პლენი, გადაიარა კლდეები და პატარა სანავსადგურო ქალაქ მიანოსში შევიდა. ერთ კარს მიადგა. კარზე აბრა ეკიდა:

საილა პეკი.
სავაჭრო საწყობი.

დუქანში უამრავი ქალი და კაცი ფუსფუსებდა. ზოგი ყიდულობდა, ზოგი ყიდდა, ინდიელი მოკრძალებით განზე გადგა და ლოდინი დაიწყო.

— ა, კუონებ! აბა, დღეს რა მოგიტანია? — შესძახა ბოლოს მისტერ პეკმა.

კუონებმა ტყავები გაშალა. ვაჭარმა გულდასმით გასინჯა საქონელი და უთხრა:

— დაიგვიანე... საგაზაფხულო სეზონისათვის. შვიდ ცენტს გაძლევ თითო ვირთაგვაში და სამოცდათხუთმეტს წავში.

ინდიელმა ისე გულდაგულ დაიწყო ტყავების ალაგება, რომ საილასმა სწრაფად დაუმატა:

— კარგი, ათ-ათ ცენტს მოგცემ მუშკის ვირთაგვაში.

— ათი ცენტი ვირთაგვაში და დოლარი წავში. ამას გარდა, საქონელი, რომელიც მე მომეწონება, — იყო პასუხი.

საილასს ეშინოდა, მისი მუშტარი არ გადასულიყო ქუჩის მეორე მხარეზე, სადაც ასეთი აბრა ეკიდა:

საილას მიდი.
სავაჭრო საწყობი.

ამიტომ მალე მორიგდნენ. ინდიელმა თამბაქოს, ჩაისა და შაქრის მარაგი წაიღო და წავიდა.

იგი მდინარე მიანოსს აჰყვა. მდინარის ნაპირზე რამდენიმე ხაფანგი ჰქონდა მუშკის ვირთაგვებზე გამართული და ეშინოდა, ისინი არავის მოეპარა. აქ ბევრი იყო ისეთი მონადირე, მდინარის ნაპირი რომ თავის საკუთრებად მიაჩნდა.

ერთი საათის შემდეგ კუონებმა დემპლინგის ტბორს მიაღწია და აქედან თავისი ვიგვამისაკენ გადაუხვია. პირდაპირ ტყე-ტყე მიდიოდა, სანამ კეტროკის გზას არ მიადგა. ამ გზამ მიკი კიტერინგის ფერმამდე მიიყვანა. გაგონილი ჰქონდა, ფერმის პატრონი ახალ ირმის ტყავს ყიდისო, და ყიდვა უნდოდა. სახლს რომ უახლოვდებოდა, ფარდულიდან მიკი გამოვიდა. მაშინვე იცნეს ერთმანეთი. კუონებმა გვერდი აუქცია. ფერმერს გაახსენდა, ამ ინდიელმა დღეს ვიგვამიდან გამომაგდოო, და ლანძღვა-გინებით გამოეკიდა, რომ «ტყავი გაეძრო მისთვის», მაგრამ ინდიელი შემობრუნდა, დადგა და დამშვიდებით ახედ-დახედა მიკის.

არიან ადამიანები, რომლებიც მორიდებასა და სიმხდალეს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევენ და მხოლოდ შემთხვევა აძლევს მათ ამაში გარკვევის საშუალებას. რაღაც ბუნდოვანმა გრძნობამ უკარნახა თეთრკანიანს: გაფრთხილდი! ეს წითელკანიანი საშიში კაციაო. «მოშორდი აქედან, თორემ პოლიციას დავუძახებ!» — წაიბურტყუნა მან, მაგრამ ინდიელი ადგილიდან არ იძროდა და არც ფერმერს აშორებდა თვალს, სანამ მიკი თავად არ გაეცალა, და მხოლოდ მაშინ შევიდა ტყეში.

დიდი უხეირო ვინმე იყო ეს კიტერინგი. ოდესღაც ჯარისკაცად ემსახურა და ამით მოჰქონდა თავი. ახლაც ჯარისკაცს ჰგავდა. წითელი, ცხვრის რქებივით აქეთ-იქით გაშვერილი მსხვილი, ჭაღარა ულვაშები მის გარეგნობას მამაცი მეომრის იერს აძლევდა. მხარბეჭი ფართო ჰქონდა, სიარული ამპარტავნული. თან ლაზათიანი შეკურთხებაც იცოდა. ქალი ისეთი შეირთო, რომ კარგ ცოლობას გაუწევდა, მაგრამ ამ ლოთმა ცოლის თავის რჯულზე მოქცევა გადაწყვიტა და კიდეც გაიტანა თავისი. შვილი არ გასჩენიათ. კიტერინგებს მიკის ძმისშვილი, თხუთმეტი წლის ბიჭი მიეკედლათ. ცოლ-ქმარს რომ ადამიანობა გამოეჩინა, ეს ბიჭი მათთვის ნამდვილი ღვთის წყალობა იქნებოდა, მაგრამ მიკი ხომ კაცებში აღარ ეწერა. თუ რამ ბუნებრივი გულკეთილობა გააჩნდა, ისიც სპირტში ჩაეხრჩო. ეს ტრაბახა და ქერქეტა კაცი ადამიანებს ორ ჯგუფად ჰყოფდა: უმაღლესი თანრიგის პირებად, რომლებსაც მონურად ელაქუცებოდა და უმდაბლესი თანრიგისად, რომლებთანაც მყვირალა, ყიამყრალი და თავხედი იყო. სიკეთესა და ლმობიერებას მხოლოდ იმ იშვიათ წუთებში შეამჩნევდით, როცა ან მთვრალი არ იყო, ან დათრობის ჟინი არ აწუხებდა.

საბედნიეროდ, ძმისშვილი ბიძას კი არ ჰგავდა, არამედ თავის დედას, განათლებულს, მაგრამ ღარიბ ქალს.

მამა ადრე მოუკვდა. თხუთმეტი წლისა რომ შესრულდა, საყვარელი დედაც დაკარგა და დარჩა მარტოდმარტო ამქვეყნად. როლფმა მხოლოდ დაწყებითი სკოლა დაამთავრა, «რობინზონ კრუზოს» გარდა არაფერი წაეკითხა და ნათესავებისადმიც რაღაც გაურკვეველ უნდობლობას გრძნობდა.

დედა დაასაფლავა თუ არა, იმ დღესვე მიატოვა სოფელი რიდინგი და ჯერ უვალი გზით უცხო მხარისკენ გაემართა. იქ მისთვის უცნობ ძია მიქაელს ფერმა ჰქონდა და ბიჭი იმედოვნებდა, შემიკედლებენო.

პირველ დღეს თხუთმეტი მილი გაიარა. ღამე საბძელში გაათია. მეორე დღეს ოცდახუთი მილი გაიარა და თავის მომავალ სახლს მიადგა.

— შემოდი, ბიჭუნი! — უთხრეს მას საკმაოდ გულთბილად: ბედნიერი შემთხვევის წყალობით ფერმერი კარგ გუნებაზე იყო იმ დღეს. თანაც იმას ფიქრობდა, თხუთმეტი წლის ჭაბუკი მუქთა მუშა იქნება და კარგ სარგებელს მისცემს ფერმასო.

III

როლფი იჭერს ენოტს და პოულობს მეგობარს

თვალჩხია და წითელცხვირა ბიცოლა პრუ თავდაპირველად საკმაოდ ალერსიანად ექცეოდა როლფს, მაგრამ როცა ბიჭმა ღორების, ქათმების, ხბო-

რების მოვლისა და ძროხის წველის მთელი საიდუმლოება აითვისა, ბიცოლამ ყოველგვარ მორიდებაზე ხელი აიღო და მთელი თავისი საოჯახო მოვალეობანი როლფს დააკისრა. ბიჭი ძალ-ღონეს არ იშურებდა, შეუსვენებლივ მუშაობდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ერთგული სამსახურისთვის არავინ შეაქებდა და ცემა-ტყეპის მეტს თავისი ნათესავებისაგან ვერაფერს მიიღებდა. სათნოების შუქი იშვიათად შეიხედავდა ბიძამისის გულში, ბიცოლა ხომ ერთი ჭირვეული ლოთი აღმოჩნდა და ოდესღაც დედასთან ერთად შიმშილში გატარებულ დღეებს ახლა დაკარგულ ბედნიერებასავით იგონებდა როლფი.

რაც უფრო აკვირდებოდა, მით უფრო ნაკლებ მოსწონდა თავისი ნათესავები და როგორ აღშფოთდა, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს შეიტყო, რომ ქათმები, რომლებიც ბიძამისს ღამღამობით საიდანღაც მოჰყავდა ხოლმე, აქ პატრონთა ნებართვის გარეშე ხვდებოდნენ. მიკი სიცილ-ხარხარით ჰყვებოდა ღამის საგმირო საქმეებზე და ერთხელ, ვითომ სხვათა შორის, წამოსცდა, დროა, როლფმაც დაიწყოს ღამის მუშაობაო. ამ სიტყვების შემდეგ კი მიხვდა საბრალო ობოლი, რა არამზადებშიაც ჩავარდნილიყო.

მამაცმა ბიძამ ერთბაშად ვერ აუღო ალღო, როგორ უნდა მოქცეოდა ამ ჩუმ ბიჭს, — როგორც უმაღლესი თანრიგის პირს, რომლისაც უნდა შინებოდა, თუ როგორც უმდაბლესისას, რომელიც შიშის ქვეშ უნდა ჰყოლოდა. ბოლოს, რაკი დარწმუნდა როლფის მორჩილებაში, გათამამდა და ცემაც კი დაუწყო. როლფი ცემას უკეთ იტანდა, ვიდრე ბიცოლას გამუდმებულ ბუზღუნს. და აი, რაც კი რამ კარგი ჩაებეჭდა მის გულში განსვენებულ დედას, ამ საშინელი გარემოცვის წყალობით თანდათან იშლებოდა.

როლფს აქამდე ვერ ეპოვა ამხანაგი სოფლის ბიჭებში, მაგრამ ერთი შემთხვევის წყალობით მოულოდნელად მეგობარი შეიძინა.

ერთხელ, გაზაფხულზე, როლფი მზის ამოსვლამდე ადგა და ძროხა ტყეში გადენა. გზად მიმავალს უცხო კაცი შემოეყარა და ძლიერ გაუკვირდა, როდესაც უცნობმა ახლოს მიიხმო. როლფი მიუახლოვდა. ეს იყო მაღალი, მუქკანიანი მამაკაცი, შავი, ჭაღარაშერთული სწორი თმებით... აშკარად ინდიელი. მან ბიჭს ტომარა გაუწოდა და უთხრა: ამ ფუღუროში ენოტი შევაგდე, შენ ტომარა დამიჭირე, მე კი ენოტს იქიდან გამოვაგდებო. როლფი ხალისით დათანხმდა და ტომარა ფუღუროს მიაფარა. ინდიელი აცოცდა ხეზე ჩხაპნის ხმა გაისმა. უცებ ტომარა გაივსო და დამძიმდა. გახარებულმა როლფმა დიდის ამბით მოუკრა ტომარას თავი. ინდიელმა ჩაიცინა და ძირს ჩამოხტა.

— ახლა რას აპირებ? — შეეკითხა როლფი.

— ძაღლს ენოტზე ნადირობას ვასწავლი, — უპასუხა ინდიელმა.

— სად?

ინდიელმა თითი ეზემუკის ტბორისაკენ გაიშვირა.

— მაშ, შენ ის მომღერალი ინდიელი ხარ, ების კლდის ძირას რომ ცხოვრობს?

— ჰო, ზოგი ასე მეძახის. ჩემი ნამდვილი სახელი კუონებია.

— მომიცადე, ერთ საათში დავბრუნდები და გიშველი, — შესთავაზა როლფმა, რომელშიც მონადირის თანდაყოლილ ინსტინქტს გაეღვიძა.

ინდიელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— თუ ვერ მიპოვო, სამჯერ დაიძახე, — უთხრა მან და ჯოხი, რომლის ბოლოზეც ენოტიანი ტომარა ეკიდა, მხარზე გაიდო.

როლფმა ძროხა სახლისკენ გადენა.

შინ კი მიხვდა, რა დაუფიქრებლად აღუთქვა ინდიელს დახმარება. აბა ვინ მისცემდა ფერმის მიტოვების ნებას? დიდხანს იტეხა თავი, რა მოვიგონო ისეთი, რომ გამიშვანო, და ბოლოს, დაუკითხავად წასვლა არჩია.

ცხენს აჭამა, საჯინიბო დაასუფთავა, ძროხა მოწველა, დააპურა ქათმები, ღორები, ხბორები; ცხენი შეაბა, შეშა დაჩეხა და შეშის ფარდულში დაალაგა, ცხვარი გამოუშვა, ცხენები საბარგულს მიაბა, რძე ქოთნებში ჩაასხა, ღორებს გეჯაში სიმინდი ჩაუმატა, ნასაუზმევს ქალს ჭურჭლის გარეცხვაში მიეხმარა, ღობე შეაკეთა, სარდაფიდან კარტოფილი ამოიტანა. მთელი ამ ხნის მანძილზე ბიცოლამისი გაუთავებელი ბუზღუნით ამხნევებდა. ყველაფერი რომ მოათავა, ისევ გადენა ძროხა ტყისკენ. ბიჭს მტკიცედ გადაეწყვიტა ინდიელს შეხვედროდა.

IV

ნადირობას როლფისთვის მრავალი უსიამოვნება მოაქვს

ერთი კი არა, ბარე სამი საათი გავიდა, სანამ როლფი პაიპსტეს ტბორს მიაღწევდა. პირველად იყო ამ ადგილებში. სამჯერ ხმამაღლა დაიძახა და მაშინვე საპასუხო ძახილი მოესმა. კუონები კლდის ქიმზე გადმომდგარიყო.

ინდიელი მოსულს ვიგვამში შეუძღვა. როლფს ისე ეჩვენა, თითქოს ახალ ცხოვრებას იწყებდა. რიდინგში თავისი წინანდელი მეზობლებისაგან, რომლებიც კარგად იცნობდნენ ინდიელებს, ბევრი რამ სმენოდა ბიჭს წითელკანიანთა შეუდარებელ მშვილდოსნობაზე.

თვით როლფი რამდენჯერმე შეხვედროდა ინდიელებს, მაგრამ ისინი ისეთი ბინძურები და ჩამოკონკილები იყვნენ, რომ ბიჭი ყოველთვის ქედმაღლურად პირს იბრუნებდა ხოლმე მათგან. აქ, ვიგვამში, კი მას სულ სხვა ინდიელი დახვდა. კუონები ჩაცმულობით ღარიბ ფერმერს ჰგავდა. ის იყო მხოლოდ, რომ ქუდი არ ეხურა და ჩექმის ნაცვლად მძივებით შემკულ მოკასინებს ატარებდა.

ვიგვამს სახურავი წმინდა სიმბოლოებით მოხატული ტილოსი ჰქონდა. ცეცხლზე ეკიდა მოგრძო ფორმის სპილენძის კარდალა, რომელსაც ინგლისში საგანგებოდ ინდიელებისათვის ამზადებენ. თეფშები არყის ხისა და ცაცხვის ქერქისაგან იყო გაკეთებული. თოფი და სანადირო დანა მკრთალსახიანთა ნახელავი იყო, სამაგიეროდ, მშვილდ-ისარი, თხილამურები, ტამტამი და მაჩვზღარბის ტყავის თოფის შალითა ინდიელს თავისი ხელით გაეკეთებინა.

ვიგვამში პატარა ძაღლს მკრთალსახიანის საძულველი სუნი ეცა და ბრაზიანად დაიღრინა. კუონებმა ნელა წაჰკრა თავში ლეკვს, რაც ინდიელების ენაზე ნიშნავდა: დამშვიდდი, ყველაფერი რიგზეაო. მერე ახსნა ძაღლი და გარეთ გამოიყვანა. «აიღე», — უთხრა ინდიელმა როლფს და ორ ხეს შუა ჯოხზე ჩამოკიდებულ ტომარაზე მიუთითა. ძაღლმა იყნოსა ჰაერი და და-

იღრინა, მაგრამ ტომარასთან ახლოს არ მიუშვეს. როლფმა სცადა, დამეგობრებოდა ძაღლს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. «ბაანებე თავი სკუკუმს, — უთხრა კუონებმა, — როცა მოინდომებს, თვითონ დაგიმეგობრდება... იქნებ არც არასოდეს მოინდომოს».

მონადირეები გაშლილ მინდორზე გამოვიდნენ და ენოტი ტომრიდან გამოუშვეს. სანამ ენოტი სულს მოითქვამდა და გაიქცეოდა, ძაღლი საბლით ეჭირათ, მერე კი აუშვეს. სკუკუმი ყეფა-ყეფით გამოენთო ენოტს. მაგრამ ენოტმა ისე გაჰკრა კბილი, რომ ძაღლი წკავწკავით გადმოხტა უკან. ენოტი კი მიჰქროდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. კვალდაკვალ ძაღლი და მონადირები მისდევდნენ; ძაღლი ისევ წაეტანა ნადირს და ისევ გაკრა ენოტმა კბილი. ენოტი ხან გვერდზე გახტებოდა, ხან შემოტრიალდებოდა და ლეკვს შეუტევდა ხოლმე. ამასობაში ტყემდეც მიაღწია. აქ ნადირი დაბალ, მსხვილ ხეზე ავარდა.

მონადირეები, რაც შეიძლებოდა, აღიზიანებდნენ ძაღლს; სკუკუმი ხმამაღლა ყეფდა, ბოლოს ხეზე ასვლასაც შეეცადა.

სკუკუმის პირველი გაკვეთილი დამთავრდა, ამჯერად მისგან სხვას აღარაფერს მოითხოვდნენ. ძაღლმა შეიგნო თავისი მოვალეობანი ნადირის დევნისას, იყნოსა მისი სუნი და მიხვდა, რომ ენოტს ხეზე ასვლაც შეეძლო.

ამის შემდეგ კუონებმა აიღო ორკაპი ჯოხი და ქამანდი, ხეზე აცოცდა, ესროლა ქამანდი ენოტს, ჩამოათრია ძირს და ტომარაში ჩასვა; ენოტი ინდიელმა ვიგვამისკენ წაიყვანა და იქ დააბა, რომ შემდეგ ისევ განეახლებინა ძაღლის წვრთნა. მას განზრახული ჰქონდა, მომავალ ორ-სამ გაკვეთილზე ენოტი მიეშვა გასაქცევად, მაგრამ კი აღარ დაეჭირა დღევანდელივით, არამედ ნება მიეცა თვალს მოფარებოდა, რომ შემდეგ ძაღლს ნაკვალევით ეპოვა და ისევ ხეზე შეეგდო იგი. მაშინ კუონები ნადირს თოფით ჩამოაგდებდა, ძაღლს საშუალებას მისცემდა ბოლო მოეღო მისთვის და ჯილდოდ ენოტის ხორცს მიართმევდა სადილად. მაგრამ კუონებს გეგმები ჩაეშალა: უკანასკნელ ღამეს ენოტმა ხუნდები გადაიღრღნა და დილით ინდიელს მარტო საყელური და ჯაჭვიღა დახვდა.

ამ დღის ამბებმა ააფორიაქეს როლფი. კიდევ უფრო გაუცხოველდა მონადირის ინსტინქტი. კუონების მოქმედებაში ჭაბუკი მონადირე იოტი-სოდენა სისასტიკესაც კი ვერ ხედავდა; მხოლოდ სკუკუმი დაზარალდა, მაგრამ იგი ძალზე კმაყოფილი და გალაღებული ჩანდა. ყველაფერი ეს ძლიერ მოეწონა როლფს. ბიჭი უჩვეულო სიხარულს გრძნობდა და უკვე წინასწარ ოცნებობდა, როგორ ინადირებდნენ ენოტზე, როცა ძაღლს საბოლოოდ გამოწვრთნიდნენ. ეს პატარა თავგადასავალი ისე არ ჰგავდა იმ უბადრუკ ცხოვრებას, რომელსაც იგი ამ ერთი საათის წინ დაშორდა, რომ ბიჭი მოჯადოებულივით იყო. ენოტის მძაფრი სუნი სცემდა, ანთებული თვალები თითქოს ნაპერწკლებს ისროდნენ. როლფი ისე იყო ფიქრებში გართული, რომ ვერ შენიშნა, როგორ მოუახლოვდა მათ ნადირობის უჩვეულო ხმაურზე მოსული ვიღაც კაცი. სამაგიეროდ, ძაღლმა შენიშნა უცნობი და ყეფა ასტეხა. მონადირეებმა მოიხედეს. გორაკზე ვიღაც გადმომდგარიყო.

წითელ სახესა და ჭაღარა ულვაშებზე როლფმა მაშინვე იცნო ბიძამისი.

— აი, თურმე სადა გდიხარ, შე უქნარავ შენა! ასე კარგავ დროს, არა? დამაცა, მე შენ გიჩვენებ სეირს!

ძაღლი დაბმული იყო, ინდიელი უწყინარი ჩანდა, ალბათ ბიჭსაც შეეშინდაო, და მამაც ბიძას გული მიეცა. იგი ცხენით წამოსულიყო ტყეში. ხელში გრძელი მათრახი ეჭირა. წუთიც და, მათრახი გავარვარებული მარწუხივით შემოენთო როლფს ფეხებზე. ბიჭმა ხმამაღლა შეჰყვირა და გაიქცა. ბიძამისი კვალდაკვალ მიჰყვა და თან მათრახს უშენდა. ინდიელი, რომელსაც ეს კაცი როლფის მამა ეგონა, გაოცებული იყო მამობრივი სიყვარულის ამგვარი გამოვლენით, მაგრამ ჩუმად იყო, რადგან ინდიელების წესით მშობლებს ნება აქვთ, თავიანთ შვილებს როგორც მოესურვებათ, ისე მოექცნენ.

როლფმა მოახერხა რამდენიმე უმოწყალო მოქნევის აცილება, მაგრამ საბოლოოდ მაინც კლდეებში მომწყვდეული აღმოჩნდა. მას პირდაპირ სახეში სწვდა ღვედი და დამწვარივით წითელი ზოლი დააჩნია.

— გაები?! — დაიღრიალა გამხეცებულმა ლოთმა.

როლფმა სიმწრისაგან კინაღამ გონება დაკარგა. ხელი დაავლო ორ მძიმე ქვას და ერთი თავში ესროლა ბიძამისს. მიკიმ მოასწრო გადაწევა, მაგრამ უფრო დაბლა ნასროლი მეორე ქვა თეძოში მოხვდა და ტკივილისაგან ააღრიალა.

— ერთი ნაბიჯიც და მოგკლავ! — შესძახა როლფმა და კიდევ რამდენიმე ქვას დაავლო ხელი.

წითელ სახეზე მიწისფერი დაედო და გაცოფებული მიკი უმწეოდ აჭაჭყანდა, ეგ ყველაფერი მაგ ინდიელის ოინებიაო. ბოლოს აკოჭლებული ბებერი ლოთი ლანძღვითა და ყვირილით შეშით დატვირთულ ურმისკენ გაემართა.

V

მშვიდობით, ძია მიკი!

ახლაღა მიხვდა როლფი, რა მხდალი იყო ბიძამისი, მაგრამ იმასაც წუხდა, ვერც მე მოვიქეცი კარგად, ფერმა უმეთვალყურეოდ მივატოვე და ბიცოლასაც დამხმარე არავინ დარჩაო. ამიტომ გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, შინდაბრუნებულიყო. აჯამი ბიცოლა ლანძღვა-გინებით შეხვდა, მაგრამ როლფს თითქმის არც უმართლებია თავი. ბიჭი ისე იყო მიჩვეული ამგვარ მოპყრობას, რომ ამ ლანძღვის გარეშე ერთგვარ იმედის გაცრუებასაც კი იგრძნობდა. უხმოდ და დაუზარებლად შეუდგა იგი მუშაობას.

საღამოს ბიძამისი შინ გვიან დაბრუნდა. მიკი შეშას ეზიდებოდა ხორტონში (ამიტომაც ასე მოულოდნელად გაჩნდა მაშინ კუონების ვიგვამთან), გზად სამიკიტნოში შეევლო და შინ ისეთი დაბრუნდა, რომ ხმის ამოღების თავიც კი არ ჰქონდა, თავისთვის რაღაცას ლუღლუღებდა.

მეორე დღეს როლფს ცუდად ენიშნა, როდესაც ყური მოჰკრა, როგორ იმუქრებოდა ბიძამისი:

«უმადური არამზადა... არ ღირს მაგის აქ გაჩერება». მაგრამ მეტი აღარაფერი უთქვამს და არც ბიჭისთვის უხლია ხელი. ამჯერად ბიცოლაც მიჩუმდა. მესამე ღამეს მიკი სადღაც გაქრა და დილით ვიღაც კაცთან ერთად

დაბრუნდა, თან ქათმებით სავსე კალათა მოიტანა. როლფს თავლასთან მისვლა აუკრძალეს. დილით ბიჭი არ გაკარებია თავლას, მაგრამ ის კი მოახერხა, რომ საბძელში ასულიყო და იქიდან ჩაეჭვრიტა. თავლაში ლამაზი ცხენი ება. მეორე დღეს თავლა უკვე ღია იყო და, როგორც ყოველთვის, ცარიელი.

ამ ღამეს მიკიმ და მისმა ამხანაგებმა როლფისათვის უცნობ ხალხს დაუძახეს და სმა გააჩაღეს. როლფს არ ეძინა. ლოთები გადაკრულად ლაპარაკობდნენ და ბიჭმა რაღაც იაზრა... «ღამის საქმე დღისაზე უფრო სარფიანია» — თქვა ბიძამ. მერე ვიღაცამ მისი სახელი ახსენა. «დროა, ზევით ავიდეთ და გავსწორდეთ», — მოესმა როლფს. ბოლოს და ბოლოს, ბიჭი მიხვდა, რომ ბიძამისისაგან შეგულიანებული ლოთები ცემას უპირებდნენ. კიბეზე მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა. შემდეგ ვიღაცამ თქვა, აი ეს მათრახი აიღეთო. როლფს სიკვდილის საფრთხე ელოდა, ლოთები არყისგან გაგიჟებულები იყვნენ.

ის სწრაფად წამოხტა საწოლიდან და კარი ჩაკეტა. აიღო ნოხი, დაახვია და ლოგინზე დააწვინა. შემდეგ ტანსაცმელს დასტაცა ხელი, ფანჯარა გამოაღო და გადაძვრა. თავი ფანჯრის რაფაზე დაბლა ჰქონდა დაწეული, ფეხებით კი კედელს ეყრდნობოდა. ამ მდგომარეობაში ელოდა ბიჭი რა მოხდებოდა. უკვე ისმოდა კიბეზე ამომავალი ლოთების ხვნეშა... ვიღაცამ კარის სახელური მოსწია. მოისმა გაურკვეველი ლაპარაკი და კარი გაიღო. ოთახში ორი თუ სამი კაცი შემოვიდა. როლფს არ შეეძლო მათი სახეების დანახვა, მაგრამ იგრძნო, რომ ერთი მათგანი ბიძამისი იყო. შეხვეულ ნოხს თავგამეტებით დაუშინეს მათრახები და ჯოხები. მის ადგილას რომ ნამდვილად როლფი ყოფილიყო, ალბათ ძვალიც არ შერჩებოდა მთელი. არამზადები ისე ხორხოცებდნენ, იფიქრებდით, ძალზე საამო გასართობით თავს იქცევენო. როლფი შეძრწუნდა.

იგი ფრთხილად ჩამოცურდა ძირს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა. გრძნობდა, რომ სამუდამოდ შორდებოდა ამ სახლს.

მაგრამ სად წასულიყო? უნებლიეთ რიდინგისაკენ გაემართა. მისთვის ეს ერთადერთი ნაცნობი ადგილი იყო მთელ ქვეყანაზე, მაგრამ ერთი მილიც არ გაევლო, რომ შეჩერდა. მახლობელ ტყიდან, ეზემუკის დასავლეთ განაპირს რომ გასდევს, ძაღლის ყეფა მოესმა.

როლფი ხმას მიჰყვა. მალე ძაღლი დაინახა, სამჯერ შესძახა და კუონებმაც უპასუხა.

— სამუდამოდ გამოვეთხოვე დღეს ბიძაჩემს. — თქვა როლფმა. — ჩემი მოკვლა უნდოდა. მოგეძებნება შენს ვიგვამში ერთი-ორი დღით ადგილი ჩემთვის?

— ჰო, შემოდი. — უპასუხა ინდიელმა.

ამ ღამეს როლფს პირველად ეძინა სუფთა ჰაერზე, ვიგვამში თავშეფარებულს. გვიანობამდე ეძინა ბიჭს. არაფერი ესმოდა ამ ქვეყნისა, სანამ კუონებმა არ გააღვიძა, საუზმის დროაო.

VI
სკუკუმმა სცნო როლფი

როლფს ეშინოდა, მიკი მალე მოაგნებს ჩემს თავშესაფარსო, და დღე-დღეზე ელოდა, პოლიციას მომაყენებს და ძალით წამიყვანსო. მაგრამ ერთი კვირა გავიდა და კუონებმა მიანოსიდან სხვა ამბავი მოიტანა: ჯერ ერთი, იქაურებს როლფი დემპლინგის ტბორისაკენ მიმავალი დაუნახავთ და უფიქრიათ, რიდინგს წავიდოდაო; მეორე — მიკი კიტერინგისათვის ცხენის ქურდობა დაუბრალებიათ, დაუპატიმრებიათ და ამბობენ, რამდენიმე წლით პატიმრობა მიუსჯიათო, და მესამე — მიკის ცოლი თავის მშობლებს დაბრუნებია და სახლი სხვას წაუღია.

ამ სახლის კარიც ჩაიკეტა როლფისათვის. დღითი დღე ცხადი ხდებოდა, რომ სამუდამოდ უნდა დარჩენილიყო კუონებთან. აბა როგორ არ გახარებოდა? ჯერ ხომ თავი დაიხსნა საძულველი ტირანებისაგან, მისი დასახიჩრება რომ უნდოდათ. მერე — დიდი ხნის სანუკვარი ოცნებაც უხდებოდა: ამიერიდან ველური ბუნების წიაღში იცხოვრებდა, ინადირებდა კიდეც, ნადირობა კი ჯერ მაშინ შეიყვარა, «რობინზონ კრუზოს» რომ კითხულობდა. ფრთაგაკრული არწივისათვის ძნელია აფრენა და მხოლოდ მაშინ არის იგი ბედნიერი, როცა თავისუფლებას გრძნობს. კლდის მწვერვალიდან გადმოშვებული მთის ნიავზე ამხედრდება და ცაში ლაღად შეინავარდებს.

ენოტზე ნადირობის ის საბედისწერო დღე სამუდამოდ გულში ჩაებეჭდა როლფს. შემდეგ ყოველთვის, როდესაც კი ენოტის სუნი ეცემოდა, ის დღე აგონდებოდა, რომელმაც მრავალი უსიამოვნების მიუხედავად თავისუფლება შესძინა მას.

ფერმაში ცხოვრების მძიმე მოგონებები მალე მივიწყებას მიეცა და ახალი ცხოვრების სიხარულით შეიცვალა. როლფმა იმთავითვე შენიშნა, რომ ინდიელები არც ისე ამტანები არიან, როგორც ბევრსა ჰგონია და ყოველთვის, თუ ეს შესაძლებელია, მძიმე სამუშაოს თავს არიდებენ. ისინი ცდილობენ, ცხოვრება სასიამოვნო გახადონ და განსაკუთრებით იმაზე ზრუნავენ, რომ ღამის სათევი ჰქონდეთ კარგი. როლფი მეორე დღესვე შეუდგა კუონების ხელმძღვანელობით საწოლის გამართვას. ჯერ ორი ძელი გაამზადეს, ოთხ-ოთხი დუიმის სისქისა და სამი ფუტის სიგრძისა, მერე ამ ძელებს ბოლოები დაუღილეს და ზედ ორი ექვსფუტიანი ჭოკი მიამაგრეს. შემდეგ მოჭრეს სამოცდათხუთმეტი ცალი ტირიფის სწორი წნელი, სამი ფუტის სიგანისა და ექვსი ფუტის სიგრძის ჩელტი დაწნეს და უკვე გამზადებულ ჩარჩოზე დადეს, ზედ ორი საბანი წააფარეს. ასე რომ, მშვენიერი, რბილი, მშრალი საწოლი გამოვიდა. თითოეულ საწოლს თითო შალის საბანი, რომელიც ვიგვამის ტილოს სახურავთან ერთად ეფარა, ავდრისაგან კარგად დაიფარავდა. საამო იყო ტყის სუფთა ჰაერზე ძილი.

«ბალახის თვე», ანუ აპრილი გავიდა და დადგა «სიმღერის თვე». მოფრინდნენ მგალობელი ჩიტები. როლფმა შეამჩნია, რომ ბევრ მათგანს ღამე უყვარდა გალობა. ხანდახან ტოროლას ნაცნობი ხმა მოესმოდა ეზემუკის შორეული კუთხეებიდან. ხან მინდვრის ბეღურა ჟღურტულებდა კედრის კენწეროზე. ღამის სიმშვიდეს ხშირად თხაწველიას შესაბრალისი ძახილი და აურაცხელი პატარ-პატარა ვასაკების გაუთავებელი შეცხადებაც არღვევდა. «პინტ-პინტ» — ისმოდა მაღლა ციდან. კუონებმა აუხსნა, ეს ჭაობის

ფრინველიაო, დიდი, მარაოს მსგავსად გაშლილი ბოლო და გრძელი, რბილი ნისკარტი აქვსო.

— ტყის ქათამს ამბობ?

— ჰო, ასე უწოდებთ მკრთალსახიანები. ჩვენ პენ-დეშ-კე-ანჯეს ვეძახით.

თვის ბოლომდე სხვა მგალობლებიც მოფრინდნენ, მათ შორის ბულბულიც. ჭალაში, დაბალ ბუჩქნარში, გულყვითელას ჭიკჭიკი გაისმა. დროდადრო ტყეში რაღაც მოზღვავებული წარმტაცი ჰანგი აჟღერდებოდა. იგი თითქოს ზევიდან, მოციმციმე ვარსკვლავებიდან იღვრებოდა. როლფმა ყური მიუგდო და გული აუტოკდა, ყელში ცრემლი მოაწვა.

— რას ნიშნავს ეს, კუონებ?

ინდიელმა თავი გაიქნია და გალობა რომ გათავდა, თქვა:

— ეს რომელიღაც იდუმალი ფრინველი მღერის... მე იგი არასოდეს მინახავს.

საკმაოდ ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ როლფმა თქვა:

— აქ ხეირიანი სანადირო ადგილები არ არის, კუონებ, რატომ ჩრდილოეთის ტყეებში არ წახვალ, იქ ხომ ბევრი ნადირია?

ინდიელმა თავი გადააქნია ოდნავ, ეტყობოდა, პასუხის გაცემა არ უნდოდა.

— კარგა შემოიკეცე საბანი, — უთხრა მან ბიჭს. — დღეს ქარი უბერავს ზღვიდან.

შემდეგ დადუმდა და რამდენიმე წუთს ცეცხლს თვალს არ აშორებდა. ანაზდად როლფმა ხელზე რაღაც ცივი და სველი შეიგრძნო. ეს სკუკუმის ცხვირი იყო. ძაღლმა თავის მეგობრად აღიარა მკრთალსახიანი ბიჭი.

VII
მოგონებები

ჯერ დილის ნამიც არ დაედო, რომ კუონები ცეცხლთან მივიდა და სანამ სახლიდან გამოვიდოდა, თავის ტამტამს ასაწყობად გათბობა დაუწყო. ტამტამი სინესტეს მოეშალა. კუონებმა გადმოატრიალა საკრავი და თასმები მოჭიმა. თასმები შეშრა, მაგრამ ტამტამმა უცბად ისეთი ტკაცანი გაიღო, რომ როლფმა უნებლიეთ მოიხედა, რა მოხდაო. იმავე წამს ტამტამის ტყავი ჭახანით გადასკდა.

— დაძველდა, — თქვა კუონებმა, — აღარაფერი ეშველება; ახალს გავაკეთებ.

იმ დილით როლფმა ნახა, როგორ აკეთებენ ტამტამს. კუონებმა მოჭრა ნორჩი თხილის ტოტი, შუაზე ჩახლიჩა, სამი დუიმის სიგანის და ერთი დუიმი სისქის ნახლეჩი მორკალა, ერთხანს ცხელი წყლის ორთქლზე დაიჭირა, შემდეგ თხუთმეტ დუიმამდე დაიყვანა და ბოლოები წყალში დამბალი ღვედით შეკრა.

ტამტამზე გადასაკვრელად, ჩვეულებრივ, ირმის ტყავს ხმარობენ, მაგრამ კუონებს ირმისა არა ჰქონდა. ადგა და თავის კლდისქვეშა საკუჭნაოდან ხბოს ძველი ტყავი ამოიღო. მთელი ღამე გუბეში ჰქონდა, და როცა კარ-

გად დაალბო, მეორე დღეს ბეწვიან მხარზე წყალში გახსნილი დაუშლელი კირი წაუსვა. იმ ღამეს დატოვა და დილით ადვილად მოაცილა ბეწვიცა და ცხიმის ნაწილაკებიც. ტყავი გათელა, გაასწორა, სალტეს მიატოლა და ხუთი დუიმით ფართო წრე გამოჭრა. წრის კიდეებზე თასმა იმგვარად გაუყარა, რომ სალტეზე გადაკვრის შემდეგ ადვილად ამოეკვანძა და დაეჭიმა. თასმა ტყავში ოთხ ადგილას გაუყარა და მოჭიმა. ბოლოები სწორედ ცენტრში გადაიკვეთნენ რვა სხივად, ბორბლის მანების მსგავსად. კიდევ ერთი თასმა აიღო კუონებმა და თითოეულ მანაში გაატარა რიგრიგობით ხან ზევიდან და ხან ქვევიდან, რომ რაც შეიძლება მაგრად გადაეჭიმა ტყავი. როცა ტამტამი გამოშრა და ტყავი ზედ უფრო მაგრად შემოეჭიმა, დაკვრისას უკვე ლითონისებურ ხმას გამოსცემდა.

კუონებმა დაიწყო სიმღერა. იგი იმაზე მღეროდა, თუ როგორ გაემართა მრავალი წლის წინ დასავლეთისაკენ მისი ტომი, ვაბანაკი — «ცისკრის ხალხი», როგორ იკაფავდნენ ბრძოლით გზას, და როგორ დაიპყრეს მკრთალსახიანებში ჰუძონის სახელით ცნობილი დიდი შეტემუკის ქვეყანა. და რაც უფრო მეტს მღეროდა, მით უფრო აღელვებდა მის სულს მოგონებები. ინდიელებს სიტყვაძვირებად თვლიან. უცხოსთან ისინი მართლაც დუმილს არჩევენ ხოლმე, თავშეკავებულნი და მოკრძალებულნი არიან, მაგრამ ერთმანეთში უყვართ თანაზიარობა, ლაყბობა, მუსაიფი. როლფი ხედავდა, რომ გარეთ უენო კუონები შინ ასეთი გულღია და მომასლაათე იყო, ოღონდ ამისთვის მისი გულის ყველაზე მეტად მგრძნობიარე სიმები უნდა შეგერხიათ.

— მუდამ აქ ცხოვრობდა შენი ტომი? — შეეკითხა მეგობარს როლფი, როცა ერთხელ ვაბანაკის ამბავს ისმენდა.

კუონებმა ცოტ-ცოტაობით მთელი ისტორია უამბო მას.

მკრთალსახიანთა გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე საინავებმა დალაშქრეს და დაიპყრეს მთელი მიწები კინუხტეკუტიდან შეტემუკამდე. მერე მკრთალსახიანები მოვიდნენ: ჰოლანდიელები მანჰატანიდან და ინგლისელები მასაჩუსეტსიდან. მათ ჯერ კავშირი შეკრეს საინავესთან, შემდეგ შუა ზამთარში ჯარი შეკრიბეს, ისარგებლეს ზავით, და როცა მთელი ტომი დღეობაზე იყო თავშეყრილი გალავნიან ქალაქ პიტუკვეპენში, გარს შამოერტყნენ თავიანთ მოკავშირეებს და ქალაქი ცეცხლს მისცეს. ცეცხლი სახლებიდან ერეკებოდა ხალხს. თოვლის ნამქერში ჩაჩიხული ირმებივით ხოცავდნენ მათ მკრთალსახიანები.

— აი, იქ ცხოვრობდნენ ჩემი წინაპრები, — თქვა ინდიელმა და სტრიკლენდ-პლენის დასავლეთით, ვიგვამიდან ასე მეოთხედი მილის დაშორებით ქარაფოვან ქედთან მდებარე ველზე აჩვენა. — იქვე იდგა ძლევამოსილი ემეჯერონის სახლიც; იგი პატიოსანი კაცი იყო და ფიქრობდა, ყოველ ადამიანს შეიძლება ენდოო, ენდო მკრთალსახიანებსაც. აი, ის გზა, ჩრდილოეთიდან რომ მოდის, მოკასინების ნაკვალევია. ის ადგილი, სადაც იგი კოს-კობისისა და მიანოსისაკენ უხვევს, იმ ღამეს სისხლით მოირწყო. თოვლიც იმ მთიდან ამ მთამდე მთლად გაშავდა გვამებისაგან.

რამდენი დაიღუპა? ათასი, მეტწილად ქალები და ბავშვები. რამდენი მკრთალსახიანი მოკლეს? არც ერთი. რატომ? მშვიდობიანობა იყო, ომის მო-

ლოდინი არა გვქონდა და უიარაღოდ ვიყავით. სიმუხთლით გვაჯობა მტერმა.

მამაცი მენ-მეიანო გადარჩა მხოლოდ, სწორედ ის, მკრთალსახიანებთან კავშირის შეკვრას რომ აგრე ეწინააღმდეგებოდა. მკრთალსახიანებმა უძლეველი სეგემური შეარქვეს მას. ინდიელი არ წყვეტდა მათთან ომს. ბევრი, ბევრი სკალპი შეაგროვა მან. არასოდეს შემდრკალა რამდენიმე მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას და ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული იყო. თანდათან სიმხნევე ემატებოდა მამაცს. «ერთი ინდიელი სეგემური სამ მკრთალსახიანზე უფრო ძლიერია», — ამაყად ამბობდა იგი. მაგრამ დადგა უბედური დღე და ხელი მასაც მოეცარა. ერთხელ, მარტოოდენ ტომაგავკით შეიარაღებულს სამი აბჯრიანი და დამბაჩიანი მებრძოლი შემოეყარა. პირველი მოკლა, მეორე დაჭრა, მაგრამ მესამე — ფოლადის მუზარადიანი კაპიტანი გაიქცა და ათი ნაბიჯიდან გულში მოარტყა ტყვია სამბრალო მენ-მეიანოს. იქ, მთის გადაღმა, სტამფორდისაკენ მიმავალი დიდი გზის პირას დამარხა იგი მისმა დაქვრივებულმა მეუღლემ. მისი სახელობის მდინარეზე ცხოვრობდა ჩემი ხალხი, სანამ ყველანი არ დაიხოცნენ. მამაჩემიღა დარჩა მხოლოდ.

კოს-კობმა, ასე ეძახდნენ მამაჩემს, მომიყვანა აქ ჯერ კიდევ ბავშვი, როგორც პაპაჩემს მოეყვანა იგი ოდესღაც, და მაჩვენა ის ადგილი, სადაც ჩვენი ქალაქი პიტუკვეპენი იდგა. მას მთლიანად ეკავა ის ველი, რომელზედაც ახლა ოდესღაც სისხლით მორწყული გზა გადის. იქ, ჭაობიან ტყეებში, დაფლეს ჯალათებმა ჩვენი დახოცილი მეომრები; იქ, ქარაფოვან ქედთან, ეზემუკის გადაღმა, ამოწყვეტილი ტომი განისვენებს. «გარეული ბატის თვე» რომ დგება, ინდიელები იმ ქედზე ავდივართ. ჩვენ ვიცით, რომ იქ ყველაზე ადრე ჩნდება ცისფერთვალა გაზაფხულის ყვავილი. მეც ყოველთვის ვპოულობ იქ ყვავილს და მაშინ მეჩვენება, თითქოს ყურში ჩამესმის ყვირილი, იმ ღამეს ალმოდებულ სოფელში რომ ისმოდა, ყვირილი დედებისა და ყრმებისა, რომელთაც კურდღლებივით ხოცავდნენ.

მე მაშინ მამაც მენ-მეიანოს ვიგონებ. მისი სული მეწვევა ხოლმე, ვზივარ და ვმღერი ჩემი ხალხის სიმღერებს... სამარ სიმღერებს კი არა, მწუხრის სიმღერებს. ერთიღა დავრჩი ამქვეყნად. ცოტაც და, მეც წავალ მათთან, ჩემს წინაპრებთან. აქ მიცხოვრია და აქ უნდა მოვკვდე.

ინდიელმა დაასრულა და დუმილს მიეცა.

ამ დღეს გვიან საღამოს ჩამოხსნა კუონებმა ლურსმანზე ჩამოკიდებული ტამტამი, ავიდა კლდის მწვერვალზე და ამღერდა:

მამავ, ბნელში დავეხეტებით,
მამავ, აღარაფერი გაგვეგება
და ბნელში მოხეტიალენი ვიხრით ქედს.

VIII
ოთხფეხთა ჩვეულებანი

ღამე ჩამოწვა ეზემუკის ტყეებზე. ვიგვამში როლფი და კუონები ვახშმად ისხდნენ და ღორის ხორცს, ცერცვსა და ჩაის შეექცეოდნენ (ინდიელებს თეთრებზე ნაკლებად არ უყვარდათ ჩაი). უცბად ჭალის მხრიდან გაისმა უცნაური წკავწკავი — «ჰაპ-იურ»; ძაღლი იმწამსვე წამოვარდა და ბრაზიანად დაიღრინა.

როლფმა ინდიელს შეხედა. — მელიაა, — უთხრა კუონებმა და ძაღლს გაჩუმება უბრძანა.

«ჰაპ-იურრ, ჰაპ-იურრ» და შემდეგ «იურრ-იოუ» განმეორდა ისევ.

— არ შეიძლება დავიჭიროთ? — იკითხა ფიცხმა ახალგაზრდა მონადირემ. ინდიელმა თავი გააქნია.

— ახლა ბეწვი აღარ ვარგა. ლეკვებიანი ძუკნაა, მაღლობთან ცხოვრობს.

— რა იცი? — გაუკვირდა როლფს.

— ვიცი, იმიტომ, რომ ძუკნა ასე ჰყეფს:

??????????

ჰაპ-იურრ

ხვადმა ასე იცის:

??????????????

ჰაპ-იურრ

ეს მელია აქ თავისი ლეკვებითა და მეწყვილეთი ცხოვრობს. მელიები ნადირობისას თავისას სხვისაში არ არევენ. ამ უბანში რომ სხვა მელა მოვიდეს სანადიროდ, დიდი ბრძოლის გადახდა მოუხდება. ეს ნადირთა წესია: ყველას თავისი სამფლობელო აქვს და მზადაა მის დასაცავად თავგანწირვით შეებრძოლოს ისეთ მხეცსაც კი, რომელთანაც სხვა ადგილას ვერ გაბედავდა შებმას. ერთს სიმართლისათვის ბრძოლა უმაგრებს გულს, მეორეს კი საკუთარი უსამართლობის შეგნება ართმევს ძალას.

ასეთი იყო ინდიელის შეხედულება, რომელიც, რა თქმა უნდა, ნაკლებ დალაგებულად იქნა წარმოთქმული, ვიდრე ჩვენ გადმოგეცით. როლფს ფიქრების მთელი ქარავანი აღეძრა. ერთი შესაფერისი შემთხვევა გაახსენდა.

პატარა სკუკუმს ხშირად იბრიყვებდა ერთი დიდი ნაგაზი ჰორტონის ფერმიდან, როცა ლეკვი ფერმის ეზოში შეყვებოდა ხოლმე თავის პატრონს.

ჰორტონის ძაღლი სკუკუმზე გაცილებით უფრო ღონიერი იყო. ერთხელ სკუკუმმა ხეობაში, ბუჩქის ძირას, ძვალი ჩამარხა. მეორე დღეს გამოჩნდა საძულველი ნაგაზი... სკუკუმი ეჭვნარევი შიშით ადევნებდა თვალს შორიდან, სანამ არ დარწმუნდა, რომ ძაღლს სუნი ჰქონდა აღებული და ძვლის საძებრად მიემართებოდა. მაშინ რაღაც ინსტინქტით ძალმოცემული სკუკუმი წინ გავარდა, ბრაზით აიბურძგლა და კბილებდაღრენილი იმ ადგილას დადგა, სადაც ძვალი ჰქონდა ჩამარხული. «სანამ ცოცხალი ვარ, არ დაგანებებ!» — შესძახა მტერს ჩვეულებრივ ძაღლის ენაზე.

და ჰორტონის ძაღლმა, რომელიც ნაჩვევი იყო პატარა, ყვითელ ლეკვზე გამარჯვებას, ზიზღით დაიღრინა, უკანა ფეხებით მიწა ამოფხოჭნა, მახ-

ლობელი ბუჩქები დასუნა და, ვითომც აქ არაფერიაო, იქაურობას გასცილდა. საკუთარი უსამართლობის გრძნობამ გამბედაობა წაართვა ძაღლს.

საუბარი განაგრძეს. როლფმა ჰკითხა:

— როგორ ფიქრობ, ცხოველებმაც იციან, რომ ქურდობა არ ვარგა?

— კი, სანამ ეს მათ ნათესავებს ეხება. მელა ჩიტს, კურდღელს ან ციყვს არ მოერიდება, ყველაფერს მოსტაცებს, მაგრამ სხვა მელიას საბრძანისში არ შევა, თავისი მეზობლის ბინას არ გაეკარება და სხვის პატარებს ხელს არ ახლებს, თუ შიმშილით არ კვდება, სხვა მელიისაგან დანიშნული სურსათის საკუჭნაოს არ შეეხება.

— როგორ მალავენ საკვებს, ან ნიშანს როგორ ადებენ თავიანთ ადგილს?

— ისინი საკვებს, ჩვეულებრივ, ფოთლებქვეშ, რბილ მიწაში ფლავენ, ნიშანი კი მათი საკუთარი ტანის სუნია. ეს სუნი იმდენად ძლიერია, რომ მას ყოველი მელია ადვილად გამოიცნობს ხოლმე.

— მგელიც აწყობს საკუჭნაოს?

— კი, მგელიც, იაგუარიც, ქრცვინიც, ციყვიც, ცისფერი ჩხიკვიც, ბუც, ყვავიც, თაგვიც — სუყველას თავისი წესი აქვს.

მელამ რომ მგლის საკუჭნაო ნახოს, გაქურდავს?

— კი, აუცილებლად. მგლებსა და მელიებს შორის არ არის კანონი, ისინი მუდმივად ომობენ ერთმანეთში. კანონი არსებობს მელიასა და მელიას შორის, მგელსა და მგელს შორის.

— სულ ჩვენსავით ჰქონიათ, არა?! ჩვენც ვამბობთ: «არ მოიპარო», მაგრამ თუ ინდიელებს მათ საკუთარ მიწას ვართმევთ, ან ფრანგებს ხომალდებს ვტაცებთ, მიგვაჩნია, რომ «მტრის მიმართ ეს ქურდობა კი არა, სიმარჯვის გამოჩენაა».

კუონები წამოდგა და ცეცხლს შეუკეთა, მერე გამოვიდა და ვიგვამს საკვამური სარქველი გაუსწორა, რადგან ქარს მხარი ეცვალა. კიდევ რამდენჯერმე განმეორდა მაღალი, გამკინავი «ჰაპ-იურრ». შემდეგ უფრო დაბალი ხმები გაისმა და ისინი მიხვდნენ, რომ საშოვარზე გამოსული ხვადი მელა შინ ბრუნდებოდა.

IX
რითი სჯობს მშვილდი თოფს

ჩვენ შორის ინდიელთა შესახებ ყველაზე მეტად გავრცელებულია ის აზრიც, თითქოს წითელკანიანები მარტო ქალებს ამუშავებდნენ. მართლაც, ქალებს აწევთ მთელი საოჯახო საქმე, მაგრამ, სამაგიეროდ, სადაც ქალს ხელი არ მიუწვდება, იქ მამაკაცი ირჯება დაუზარებლად. იგი ათას ფათერაკს ხვდება ნადირობისას, ცურავს პიროგათი[1], ([1] პიროგა — ინდიელთა ვიწრო და გრძელი ნავი, რომელსაც გადაკრული აქვს ხის ქერქი ან ტყავი.) ბარგი გადააქვს, აკეთებს მშვილდ-ისრებს, თხილამურებს.

ყოველი მეომარი თვითონ იკეთებს თავისთვის მშვილდ-ისარს, მაგრამ ხშირად ისეც ხდება, რომ რომელიმე განსაკუთრებით დახელოვნდება იარაღის კეთებაში და მაშინ მას მეზობლები უკვეთავენ ხოლმე.

მშვილდ-ისარს თოფთან ის უპირატესობა აქვს, რომ იგი ყოველგვარი ხმაურის გარეშე მოქმედებს, იაფია და მისი ყოველი ნაწილი შეიძლება ადგილზევე გაკეთდეს. კუონების დროს თოფები ძველებური წესით იყო გაკეთებული, ახლანდელს ცოტათი ჰგავდა და მშვილდ-ისრისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა.

კუონების ნახელავი მშვილდ-ისრები განთქმული იყო ინდიელებში. იგი ჩინებული მოისარი იყო. დააწყობდა ხოლმე ათ ნაბიჯზე ათ ნიჟარას და ათი ისრით ყველას ჩამოყრიდა. აი, რატომ ნადირობდა ხოლმე კუონები მეტწილად მშვილდ-ისრით. თოფს მხოლოდ გარეული იხვების გადაფრენის დროს ხმარობდა. ათიოდე ფრინველის ჩამოსაგდებად ერთი გატენა საფანტი ჰყოფნიდა.

მაგრამ ვისაც სურს, კარგი სროლა ისწავლოს, მან ხშირად უნდა ივარჯიშოს. როლფმა შეამჩნია, რომ კუონები ყოველდღე ვარჯიშობდა სროლაში და თვითონაც მოუნდა ამ სპორტში გაწაფვა.

რამდენიმე ცდის შემდეგ როლფი დარწმუნდა, რომ კუონების მშვილდი მისთვის მძიმე იყო. მაშინ კუონებმა გადაწყვიტა ბიჭისთვის ახალი იარაღი გაეკეთებინა და კლდისქვეშა მშრალი მღვიმიდან კედრის სქელი ფიცარი ამოათრია. ზოგი მშვილდ-ისრისათვის თხილს ხმარობს. თხილი უფრო მოქნილია და არც ისე ადვილად ტყდება, მაგრამ ისარს კედრის მშვილდისოდენ სისწრაფეს ვერ აძლევს. კედრის მშვილდი ისარს გაცილებით უფრო შორს ისვრის და ისარი ისეთი სისწრაფით სცილდება ლარს, რომ თვალისთვის ეს მოძრაობა თითქმის შეუმჩნეველი რჩება, სამაგიეროდ, კედრის მშვილდი ფაქიზი მექანიზმივით საფრთხილოა ხმარების დროს. ზომაზე მეტად გადაჭიმავ — გადატყდება, უისროდ დაჭიმავ — საბელს გაწყვეტს; თუ ოდნავ გაგეკაწრა — გადასკდება; სველი არაფრად არ ვარგა; მიწაზე თუ დადე — მოეშვება, მაგრამ თუ მოუვლი, ერთგულ ყმასავით გემსახურება. გამოცდილი მონადირე კედრის მშვილდს ყოველთვის ამჯობინებს თხილისას.

მშვილდოსანი, ჩვეულებრივ, ხის იმ ნაწილს ხმარობს, სადაც წითელი მერქანი თეთრ გულს უერთდება. კედრის ფიცარი, რომელიც როლფს ნიკაპამდე წვდებოდა, კუონებმა იმდენი თალა, სანამ თეთრი მხარე არ გაასწორა და წითელი არ მოამრგვალა. შუიდან მოყოლებული ბოლოებისაკენ დაავიწროვა. შუაში სიგანე და სისქე ერთი დუიმი იყო. ბოლოებში კი სიგანე დუიმის სამ მეოთხედს უდრიდა, სისქე — ხუთ მერვედს. თანაც წითელი ფენა ყველგან თეთრის თანაბარი იყო.

ლარი ძროხის ძარღვებისაგან იყო დამზადებული. კუონებმა მშვილდ-ისრის ბოლოები ამ ლარით შეკრა. როცა მოზიდა (ბრტყელი, ესე იგი, თეთრი მხრით თავისკენ), გამოირკვა, რომ ცალი მხარე უფრო მეტად იდრიკებოდა, ვიდრე მეორე. ახლა უდრეკი მხარე თალა, სანამ ორთავე არ გაათანაბრა.

კუონების ისრები კარგად მიუდგა ახალ მშვილდს, მაგრამ როლფს ხომ საკუთარი ისრების მარაგი უნდა ჰქონოდა. მასალაც ბევრი იყო. მაგრამ კუონებს ხელთ ნაჯახი ჰქონდა, და ამიტომ ასეთი რამ მოიგონა: დააპო ჩხირებად 25 დუიმის სისქის იფნის ნამორი და თითოეული ჩხირი სისქით მე-

ოთხედ დუიმამდე დაიყვანა, სწორად გამოთალა და დაამრგვალა, დამზადებულ ჯოხებს ბოლოები დაუღილა და ზედ ბატის სამი ფრთა მიამაგრა. სამნაირი ისარი გააკეთა. ფორმით და შემკულობით ისრები ერთნაირი იყო, მაგრამ წვერით განსხვავდებოდნენ. მიზანში სასროლად სახმარ ისრებს წვერი მსხვილი ჰქონდა და მეტი სიმაგრისათვის ცეცხლზე იყო ნაწრთობი. ჩვეულებრივ, სანადირო ისრებს ფოლადის დაკბილული წვერი უკეთდება. ამ წვერებს მზად ყიდულობენ, ასეთი ისრებით მუშკის ვირთაგვებზე, იხვებზე და სხვა უფრო მოზრდილ ცხოველებზე ნადირობენ. საჩიტე ისრებს ხის ფართო, მრგვალი წვერი ჰქონდა. ისინი მწყერზე, კაკაბზე, კურდღელზე და ციყვზე სანადიროდ გამოდგებოდა, იყენებდნენ, აგრეთვე, სხვისი ძაღლების მოსაგერიებლადაც, თუ ჯოხისთვის მიუწვდომელ მანძილზე იყვნენ.

«ისრები მზადაა, — გაიფიქრა როლფმა, — საბოლოო შელამაზებაღა აკლია». ფრთებით შემკული თითოეული ისრის უკანა ნაწილი კუონებმა ღია წითლად შეღება. ეს სილამაზისათვის კი არ გაუკეთებია, არამედ იმისთვის, რომ ადვილი მისაგნები ყოფილიყო. შეუღებავი ისარი ძნელი შესამჩნევია ბუჩქნარსა და ფოთლებში, სამაგიეროდ, ასეთი ხასხასა ფერებით შეღებილი ას ნაბიჯზეც მოგხვდებათ თვალში.

მშვილდსა და ისრებს, ჩვეულებრივ, ისეთ ადგილას ინახავენ, სადაც სინესტე არ არის. ყოველ მონადირეს თავისი მშვილდისათვის ირმის ტყავის ბუდე აქვს შემონახული, თუ ტყავი ვერ იშოვა, მაშინ ისრებისათვის არყის ხის ქერქს ფიჭვის ფესვებით ჰკრავს და კაპარჭს ამზადებს, მშვილდ-ისრისათვის კი გაფისული ტილოს გრძელი შალითა აქვს.

ბოლოს დაიწყო მეცადინეობა სროლაში. პირველ ყოვლისა, მსროლელმა ისრის მიყენება და ლარის სამი თითით მოზიდვა უნდა იცოდეს. ცერა თითი და ნეკი ლარის მოზიდვაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. სამიზნედ, ჩვეულებრივ, ოცი ფუტის მანძილზე დადებული თივის ტომარა იხმარება. როცა მსროლელი ისე გაიწაფება, რომ ტომარას უკვე ყოველ გასროლაზე არტყამს, ნიშანი თანდათან უფრო შორს გადააქვთ, 40 ნაბიჯამდე. როლფს რაც არ უნდა ევარჯიშნა, რა თქმა უნდა, კუონებს ვერ გაუტოლდებოდა სროლაში, ის ხომ ბავშვობიდანვე გაწაფული იყო ამ საქმეში.

ინდიელები მხოლოდ მას თვლიან ჩინებულ მსროლელად, ვინც სამი სახის გამოცდას ჩააბარებს.

პირველი გამოცდა — სიზუსტეშია.

კარგ მსროლელად ითვლება ის, ვინც ათ ნაბიჯზე ზედიზედ მოახვედრებს სამდუიმიან ნიშანს.

მეორე — სისწრაფეში.

შეუძლია თუ არა მსროლელს ერთმანეთის მიყოლებით ზედიზედ ხუთი ისრის გასროლა? თუ შეუძლია — კარგია, თუ ექვსს ისვრის — ძალიან კარგია. შვიდი ჩინებულია. სრულყოფის უმაღლეს ზღვრად რვაა მიჩნეული.

მესამე — ძალაში.

შეუძლია თუ არა მსროლელს ისე მოზიდოს მშვილდი, რომ ისარი 250 ნაბიჯზე გაფრინდეს ან ათ ნაბიჯზე ირემი განგმიროს? მოუთხრობენ, ერთ ინდიელს სიუს ტომიდან ერთი ისრით სამი ანტილოპა მოუკლავს. ბი-

ზონის მოკვლაც არაფერი ყოფილა მისთვის. ერთ ინდიელ ბელადს კი თურმე ბიზონი და მის გვერდით მორბენალი ხბო მოუკლავს ერთი გასროლით.

როცა მსროლელი ამ სამ გამოცდას გაივლის, მას შეუძლია ყოველთვის, როცა კი მოესურვება, მოკლას კაკაბი ან ციყვი, ჩამოაგდოს ხუთი-ექვსი ფრინველი გაფრენილი გუნდიდან, მოკლას ირემი 25 ნაბიჯის მანძილზე, და თუ ტყეში რამე ნადირი არის, მშიერი არასოდეს დარჩება.

როლფმა გადაწყვიტა, ნამდვილ ნადირობაში ეცადა ბედი, მაგრამ სანამ ერთ წითურა ციყვს მოინადირებდა, ბევრჯერ დააცილა, ბევრი ისარი გატეხა და ბევრიც დაკარგა. ამან მას იმ ნამდვილი მონადირის სიმარჯვის ყადრი შეაგნებინა, ვისაც შეუძლია უღრან ტყეში ისე შევიდეს, რომ მშვილდ-ისრის გარდა, თან არაფერი იარაღი წაიღოს და ფეხით ორმოცდაათი მილი ისე გაიაროს, რომ შიმშილი ერთხელაც არ იგრძნოს.

X

როლფის მიერ მოფიქრებულ გეგმას კარგი შედეგი მოაქვს

ვინც სიავე გიყოთ, სწორედ ის არ გაპატიებთ იგივეს არასოდეს. მაგრამ ვინც თქვენი ცხოვრების უმძიმეს წუთებში მხარში ამოგიდგათ და მოგეშველათ, იგი სამუდამოდ თქვენი მადლიერი დარჩება. არაფერი ისე არ გვაახლოებს ადამიანთან, როგორც იმის შეგნება, რომ სწორედ ჩვენ აღმოვუჩინეთ მას დახმარება.

კუონები დაეხმარა როლფს და ამიტომ როლფი მას ყველა სხვა მკრთალსახიანზე მეტად მოსწონდა, თუმცა მათ მრავალი წლის მანძილზე იცნობდა; მზად იყო შეეყვარებინა კიდეც. ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მალე მიხვდნენ, რომ დამეგობრდნენ. როლფი ჯერ კიდევ ბავშვი იყო და მომავალზე ცოტას ფიქრობდა; კუონებიც ბავშვი იყო თითქმის. ინდიელთა უმრავლესობა — მოზრდილი ბავშვია.

მხოლოდ ერთი რამ იყო, რაზეც როლფს არ შეეძლო არ ეფიქრა: სინდისი ნებას არ აძლევდა კუონების ხარჯზე ეცხოვრა, არ მიხმარებოდა მას სარჩოს მოპოვებაში. კუონები ნაწილობრივ ნადირობითა და თევზის ჭერით, ნაწილობრივ კალათების წვნით ირჩენდა თავს. როლფი კი მხოლოდ ფერმაში იყო ნამუშევარი და არც ნადირობა შეეძლო და არც კალათების წვნისა გაეგებოდა რამე. გადაწყვიტა თუ არა, მთელ ზაფხულს კუონებთან დავრჩებიო, მაშინვე პირდაპირ უთხრა ინდიელს:

— ნება მომეცი, ორი თვე დავრჩე შენთან. ამასობაში სამუშაოსაც ვიშოვი სადმე მეზობლებში.

კუონებს არაფერი უპასუხია, მაგრამ მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა და ბიჭი მიხვდა, რომ მეგობარი თანახმა იყო.

როლფი იმ დღესვე წავიდა მეზობელ ფერმაში და ობადია ტიმპანს შესთავაზა სიმინდის მარგვლაში და თიბვაში მოგეხმარებიო. აბა რომელ ფერმერს არ გაუხარდება ხვნა-თესვისას ან რთველში მუშის გამოჩენა? საკითხავი ის იყო მხოლოდ, რის გაკეთება შეეძლო როლფს ან რა გასამრჯელოს მოითხოვდა. როლფმა პირველ დღესვე აჩვენა, რა მუშაც იყო. ფერმერმა კვირაში ორი დოლარი დაუნიშნა — ერთი დოლარისა სანოვაგე შესთავა-

ზა, მეორე ფულად მისცა. კვირის ბოლოს როლფმა შინ თითო ტომარა ფეტ-ვი და სიმინდის ღერღილი, თითო წყვა კარტოფილი და ვაშლი და ერთიც ვერცხლის დოლარი მიიტანა. ამ დოლარისა ჩაი და შაქარი იყიდა. ახლა ერთ თვეს საკვებით უზრუნველყოფილნი იყვნენ და როლფს დამშვიდებუ-ლი სინდისით შეეძლო ვიგვამში დარჩენა.

მეზობელ ქალაქ მიანოსში მაშინვე შეიტყვეს, რომ ინდიელთან თეთ-რი ბიჭი დაესახლა და რომ ეს ბიჭი როლფი იყო. ამის თაობაზე ათასნაირი აზრი იქნა გამოთქმული. ზოგი გადაჭრით მოითხოვდა, ბიჭი უნდა წავარ-თვათ ინდიელსო, მაგრამ ჰორტონმა, იმ მიწის პატრონმა, რომელზეც კუო-ნები ცხოვრობდა, გადაწყვიტა, არ ჩარეულიყო ამ საქმეში.

შინაბერა კიტჩურა პეკს კი, პირიქით, მიაჩნდა, რომ როლფი უნდა ჩა-მოეშორებინათ ველურისაგან. ქრისტიანის ურჯულო წარმართთან ყოფნა მას ყოველივე წმიდათა წმიდის შეურაცხყოფად მიაჩნდა და ისევე აწუხებ-და, როგორც ის, რომ ცენტრალურ აფრიკაში წარმართები არსებობდნენ და იქ არც საკვირაო სკოლებია, არც ეკლესიები და ხალხი სულ მთლად ტიტვე-ლი დადის. მაგრამ მანდილოსანმა ვერ დაითანხმა ვერც ჰარსონ პეკი და ვერც მამასახლისი კნოპი, მონაწილეობა მიეღოთ ბიჭის ხსნაში; ღმერთმაც უპასუხოდ დატოვა მისი ლოცვები. მაშინ ქალმა გადაწყვიტა, თვითვე გამო-ეჩინა სიმამაცე. რამდენიმე უძილო, ლოცვებში გატარებული ღამის შემდეგ კიტჩურა პეკი ბიბლიით ხელში წარმართის ვიგვამისაკენ გაემართა.

ივნისის მშვენიერ დილით წარემართა იგი სუფთად გაწმენდილი სათვალით განმზადებული, რათა ველურისათვის ბიბლიიდან რჩეული ად-გილები წაეკითხა.

მიანოსიდან გამოსვლისას მანდილოსანი ცოდვილ სულთა ხსნის სურვილით იყო აღსავსე, მაგრამ ეს სურვილი ერთგვარად გაუნელდა, როცა ორკარდოს გზას მიაღწია. ტყე უკაცური და გაუვალი ეჩვენა. მალე ეჭვებმა შეიპყრეს, ნამდვილად ქალის საქმეა თუ არა ცოდვილ სულთა ხსნაო. მაგრამ აი, უკვე ტბორი დაინახა... რამდენად უფრო სასიამოვნო იყო მიანოსში ყოფ-ნა! ნეტა სად დაიკარგა იმ ინდიელის ვიგვამი? ცრემლი მოაწვა, შინ დაბრუ-ნება მოუნდა, მაგრამ მოვალეობის გრძნობამ აიძულა ორმოცდაათიოდე ნა-ბიჯი გაევლო ტბორის ნაპირას. აქ იგი მიადგა მიუვალ კლდეს, რომელიც თითქოს «შესდექო», — ეუბნებოდა. მეტი რა ჩარა იყო. ან კლდეზე უნდა აცოცებულიყო, ან უკან მობრუნებულიყო. კლდეზე ასვლა გადაწყვიტა. ხან-გრძლივი და მომქანცველი ხოხვის შემდეგ ვეებერთელა კლდის წვერზე აღ-მოჩნდა. აქედან მიანოსისა და ზღვის ხედი იშლებოდა.

უსაზღვრო იყო მისი სიხარული, როცა თავისი სახლი დაინახა, მაგ-რამ ეს სიხარული მყისვე გაუქრა, როგორც კი საშინელი რამ აღმოაჩინა — თურმე იმ ინდიელის ვიგვამს დაჰყურებდა ზემოდან. ვიგვამის მკვიდრნი უცებ საშინელ ველურებად ეჩვენნენ და დიდად მოხარული იყო, რომ მათ ვერ შენიშნეს იგი. უკან დაიხია, შემდეგ ცოტა რომ მოსულიერდა, ქვევით ჩაიხედა. ისინი ცეცხლზე რაღაცას წვავდნენ. — «ადამიანის პაწაწინა ხელი, ხუთი თითით...» — ყვებოდა იგი შემდეგ... კაციჭამიები! შიშმა აიტანა... ვიგ-ვამში კაციჭამიები ცხოვრობენ! ოღონდ კი როგორმე სახლამდე მიეღწია! ბიბლიას რა უყოს? უკან წაღება ცოდვაა. აიღო და წიგნი კლდის ერთ ნაბ-

ზარში ჩადო, ზედ ქვა დაადო, რომ ქარს ფურცლები არ დაეფრინა და ამ საშინელი ადგილიდან სირბილით დაეშვა.

ვახშმად მეგობრებს სიმინდი და შემწვარი ენოტი ჰქონდათ. ნავახშმევს ინდიელი კლდეზე ავიდა. წიგნი მაშინვე თვალში ეცა, მაგრამ იფიქრა, ალბათ, ვინმემ განზრახ გადამალაო. შენახული ნივთი ინდიელისთვის ხელშეუხებელია. წიგნისთვის ხელი არ უხლია, მაგრამ მოგვიანებით როლფს ჰკითხა:

— ეს შენია?

— არა.

წიგნის პატრონი უთუოდ დაბრუნდებაო, და კუონები წიგნს არ შეხებია. რამდენიმე თვეს იდო ასე წიგნი, სანამ ზამთრის ქარბუქმა ყდა არ მოაგლიჯა და ფურცლები არ დაუფრინა. ამ ამბის შემდეგ ხალხმა კლდეს ახალი სახელი შეარქვა: «ბიბლიის კლდე, რომლის ძირში ცხოვრობდა, კუონები, ძე კოს-კობისა».

XI

დელგმა და ცეცხლის მოპოვება

როლფმა რომ პირველად ვიგვამი დაინახა, გაუკვირდა, რატომ სადმე ტბის სიახლოვეს არ დადგა იგი კუონებმაო. მაგრამ მალე გაიგო, რომ ვიგვამი ისეთ ადგილას უნდა აშენდეს, რომელიც დილით მზიანია, ნასადილევს ჩრდილიანი და თან დაცულია ჩრდილო და დასავლეთის ქარებისაგან.

დილის მზისა და შუადღის ჩრდილის აუცილებლობაში იგი ყოველდღე რწმუნდებოდა, მაგრამ ქარისაგან მოფარებულში ყოფნის მნიშვნელობას მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მიხვდა.

იმ დღეს, დილით, მზე ბრწყინავდა, მაგრამ მერე მძიმე ღრუბლებმა დაფარეს იგი. სულ პატარა სიოც კი არ იძროდა. რაც ხანი გადიოდა, უფრო და უფრო ცხებოდა, იხუთებოდა. ავდარს ელოდა კუონები. ქარიშხალი მოულოდნელის ძალით ამოვარდა, დაბერა გააფთრებულმა ჩრდილო-დასავლეთის ქარმა, რომელიც კიდეც წაიღებდა ვიგვამს, რომ იგი კლდეს არ ყოფილიყო მოფარებული. ვიგვამამდე მსუბუქი ნიავიღა აღწევდა. ორი შეზრდილი ხე ვიგვამიდან ორმოცდაათ ნაბიჯზე ისე ეხეთქებოდა ქარში ერთმანეთს, რომ ირგვლივ აკვამლებული ქერქის ნატეხები ცვიოდა და ძლიერი წვიმა რომ არა, ალიც მოედებოდათ. მოხშირდა გამაყრუებელი ჭექა-ქუხილი, წვიმდა კოკისპირულად. უცებ კლდეს ვეება ჩანჩქერი გადმოევლო, ვიგვამში შემოიჭრა და საწოლებს გარდა ყველაფერი დაფარა. საწოლები მიწიდან ოთხი დუიმის სიმაღლეზე იყო. კუონები და როლფი ისხდნენ თავიანთ ლოგინებზე და მოთმინებით ელოდნენ, როდის გადაივლიდა დელგმა, რომელიც ორი საათის განმავლობაში ბობოქრობდა. თანდათან უფრო იშვიათად ეცემოდა წვიმის წვეთები, ქარი ჩადგა, სადღაც, შორს, გადაიარა გრგვინვამ და მალე დაფლეთილ ღრუბელთა შორის მტრედისფერი ცაც გამოჩნდა.....ირგვლივ მთელი ბუნება მშვიდი და კმაყოფილი ჩანდა. ვიგვამში ცეცხლი ჩაქრა... თითქმის მთელი საწვავი დასველებულიყო. კუონებმა კლდისქვეშა მღვიმიდან კედრის მშრალი ფიცარი გამოიღო, ტალ-კვესი და

აბედი მოიმარჯვა. მაგრამ ამაოდ ცოდვილობდა, აბედი დასველებულიყო და აღარაფრად ვარგოდა.

იმ დროს ასანთი ჯერ არ იყო გამოგონებული და ცეცხლის გასაჩენად ტალ-კვესსა ხმარობდნენ. ტალ-კვესს აბედი სჭირდებოდა. — უიმედო საქმეა, — გაიფიქრა როლფმა, — ცეცხლს ვეღარ გავაჩაღებთ.

— ნანა-ბოჯუ დიდხანს ცეკვავდა, — თქვა ინდიელმა. — ხომ ნახე, როგორ ცდილობდა ცეცხლი დაენთო, ხეს ხეზე როგორ უხახუნებდა? მან ჩვენს მამებს ასწავლა ასე ცეცხლის დანთება და ახლა ჩვენ ამ ხერხით ვაჩენთ ცეცხლს, როცა ხელთ მკრთალსახიანთა გამონაგონი არ გვაქვს ხოლმე.

კუონებმა კედრის ორი ნაფოტი აიღო, ერთი — მრგვალი, ორივე მხრიდან წამახული, სისქით სამი მეოთხედი დუიმისა და სიგრძით თვრამეტი დუიმი, მეორე — ბრტყელი ხუთი მერვედი დუიმის სისქისა. ბრტყელზე ღარი ამოჭრა და ბოლოში პატარა ფოსო გაუკეთა. მაგარი, მოღუნული ჯოხი ირმის ტყავის ღვედებით მშვილდად შეკრა, შემდეგ აიღო ფიჭვის ნუჟრი, პატარა ჩამოჭრა და დანის წვერით ცოტათი ამოღრუტნა. მაგრამ ცეცხლის გაჩენამდე საწვავი უნდა მოეგროვებინათ და რამე ეშოვათ აბედის მაგიერი.

კუონებმა კედლის ნათალი და ქერქი მოაგროვა და ერთ ორდუიმიან გორგლად მოახვია. ახლა იგი აბედის მაგივრობას მშვენივრად გასწევდა. ყველაფერი მზად იყო. კუონებმა აიღო მშვილდი და მისი ლარი ორჯერ შემოახვია გრძელ, მრგვალ ჯოხს. ამ ჯოხის ერთი წამახული ბოლო კედრის ბრტყელი ფიცრის ფოსოში ჩაარჭო, მეორე ბოლოზე კი ფიჭვის ნუჟრი ჩამოაცვა ზემოდან. ცალ ხელში მშვილდი დაიკავა და ლარის საშუალებით ჯოხს წაღმა-უკუღმა ტრიალი დაუწყო. ატრიალებდა ნელა, მაგრამ შეუჩერებლად, იქამდე, სანამ ფოსოში კვამლი არ გამოჩნდა. მაშინ უფრო მოუჩქარა ჯოხის ტრიალს. კვამლმა იმატა და ფოსო ხის წვრილი ნაფხვენით აივსო. კუონებმა ნაფხვენი ხელში მოფშვნიტა, გაჩნდა ნაპერწკლები. მაშინ ინდიელმა ზედ კედრის აბედი მიადო და იქამდე უბერა, სანამ ავარდნილმა ალმა ვიგვამი არ გაანათა.

მთელი ეს მუშაობა ერთ წუთზე მეტს არ გაგრძელებულა. ინდიელები ამ ხერხს უძველესი დროიდან იცნობენ: როლფსაც გაეგონა ამის შესახებ, მაგრამ გაგონილი ამბავი ზღაპრის მსგავს რაღაცად ეჩვენებოდა. ასე ეგონა, ხახუნით ცეცხლის გაჩენას ერთი-ორი საათი მაინც დასჭირდებოდა, აქ კი მხოლოდ ერთი წუთი გავიდა და გაწაფული ხელის რამდენიმე მარჯვე შემობრუნება საკმარისი აღმოჩნდა ცეცხლის გასაჩენად.

მალე როლფმა თვითონაც ისწავლა ამ ხერხით ცეცხლის გაჩენა და შემდეგ, ასე გასინჯეთ, სხვა ინდიელებსაც ასწავლა, რომელთაც დაევიწყებინათ მამა-პაპათა ჩვევა და მხოლოდ მკრთალსახიანთა გამონაგონი ტალ-კვესით სარგებლობდნენ.

იმ დღეს, ტყეში რომ მიდიოდნენ, როლფმა მეხისაგან დახეთქილი სამი ხე დაინახა; სამივე მუხა აღმოჩნდა. როლფს მოაგონდა, რომ თუკი ოდესმე სადმე მეხით დაზიანებული ხე ენახა, ყველა მუხა იყო ხოლმე.

— მართლა ასეა, კუონებ? — შეეკითხა ინდიელს.

— არა... მეხი სხვა ხეებსაც ეცემა. მართალია მეტწილად მუხას აზიანებს, მაგრამ ვერც ფიჭვი, ნაძვი, ცაცხვი და ბევრი სხვა ხე გადურჩება ხოლ-

მე. მხოლოდ ორი ჯიშის ხე არ მინახავს, რომ მეხს გაეხეთქოს: არყი და ბალ-ზამიანი ფიჭვი.

— რატომ?

— ჩემს ბიჭობაში მამაჩემისაგან გამიგონია, მეხი მათ იმიტომ არ ეხე-ბა, რომ ისინი ქალწულ-ვარსკვლავს, მეხი-ფრინველის დას ათბობენ და იფარავენო.

— მე არაფერი მსმენია ამის შესახებ. მიამბე.

— ახლა არა... შემდეგ როდისმე.

XII
ზაზუნებზე ნადირობა

თუ თქვენ დღეში სამჯერ ჭამთ სიმინდის ღერღილსა და კარტო-ფილს, ჩაისა და ვაშლს, ბოლოს და ბოლოს, ისინი დაკარგავენ თავის მომ-ხიბვლელობას. თევზიც კი ხეირიანად ვერ აკმაყოფილებს ხორციანი საჭ-მლის მოყვარულს. აი, რატომ გადაწყვიტეს კუონებმა და როლფმა სანადი-როდ წასულიყვნენ. ეზემუკზე მსხვილი ნადირის დრო გასული იყო, სამაგი-ეროდ, წვრილფეხობა აქ ბლომად იყო, ყველაზე მეტად კი ზაზუნები, რომ-ლებიც ასე სძულდათ ფერმერებს და არცთუ უმიზეზოდ. მათი სოროები მუდამ ემუქრება ცხენის ფეხებს. ცხენის ფეხები რაა, მხედართა თავებიც არა ერთხელ დაშავებულა იმის გამო, რომ ცხენი მოულოდნელად ჩავარდნილა ამ სახიფათო მახეში. ესეც რომ არ იყოს, ზაზუნა თავის სოროს გარშემო ნა-თესებსაც ანადგურებს. ფერმერთა ერთხმად აღიარებით ზაზუნა ნამდვილ ღვთის რისხვადაა მიჩნეული.

ხომ ძალიან ბრაზდებიან ფერმერები, როცა ინდიელები მწყერზე ნა-დირობენ, მაგრამ მაინც მათი მადლიერნი არიან ზაზუნების გაწყვეტისათ-ვის. ინდიელები ზაზუნას ჩინებულ ნადირად თვლიან და ამტკიცებენ, ძალ-ზე გემრიელი ხორცი აქვსო.

როლფი აღტაცებაში მოვიდა, როცა კუონებმა მშვილდ-ისარი აიღო და თქვა, სანადიროდ მივდივართო.

გარშემო მინდვრები ზაზუნებით იყო სავსე. მონადირეები ფრთხი-ლად გადადიოდნენ ადგილიდან ადგილზე, ფხიზლად უთვალთვალებ-დნენ, აბა, თუ სადმე მუქი წაბლისფერი ლაქა გამოჩნდებაო. და აი, ბოლოს დაინახეს ერთი დიდი და ორი მომცრო ზაზუნა. დიდი დროდადრო უკანა თათებზე შედგებოდა ხოლმე და ფხიზლად თვალს ადევნებდა, საშიში ხომ არაფერიაო ახლომახლო. სათიბი გაშლილი იყო და მხოლოდ იმ ადგილს, სადაც სორო უნდა ყოფილიყო, შემაღლებული სერები ეკვროდა უკან. კუო-ნებმა გადაწყვიტა, აქედან ნადირზე მისვლა უფრო მოსახერხებელი იქნე-ბაო.

როლფს უთხრა, დაიმალეო, და სწრაფად ასწავლა ის ნიშნები, რომ-ლითაც ინდიელები სარგებლობენ ნადირობისას.

პირველი ნიშანია «წინ» (თავის დაქნევა), მეორე — «სდექ»! (ხელის აწევა ხელისგულით წინ), წინ გაშვერილი საჩვენებელი თითი ნიშნავს — «მინდორზეა», ძირს დაშვებული — «სოროშია». როლფი ადგილიდან არ უნ-

და დაძრულიყო, სანამ კუონები ნიშნით არ შეეკითხებოდა (გაშლილთითებიან ხელს ხელისგულით წინ გაიქნევდა) და მხოლოდ მაშინ უნდა ეჩვენებინა, სად იმყოფებოდა ზაზუნა.

კუონები ტყეში დაბრუნდა, რომ კლდეს მოფარებოდა და ფრთხილად ქედის მეორე კალთაზე გადასულიყო. მიწაზე გაკრული მიხოხავდა სამყურაში. სამყურა ერთ ფუტზე მაღალი არ იყო, მაგრამ ინდიელის დანახვა მხოლოდ ზემოდან შეიძლებოდა. ასე ნადირისაგან შეუმჩნევლად მივიდა იგი პატარა მაღლობამდე, რომელიც ზაზუნების სოროების უკან მდებარეობდა. იქ მოულოდნელ სიძნელეს წააწყდა. აქედან არც ერთი ზაზუნა არ ჩანდა. ისინი სასროლი არის გარეთ რჩებოდნენ. რომ დაეფრთხო — თავიანთ ბინას მიაშურებდნენ და სოროში შეიმალებოდნენ. ინდიელი არ ღელავდა. მან ხელი ასწია და როლფს ნიშნით შეეკითხა. როლფმა უპასუხა: «ყველაფერი რიგზეა... ზაზუნები აქ არიან» (ხელისგულით ძირს გაიშვირა საჩვენებელი თითი). კუონებმა რამდენიმე წამს შეიცადა და გაიმეორა იგივე ნიშანი. პასუხიც იგივე მიიღო.

კუონებმა იცოდა, რომ მოშორებით მდგარი კაცის ხელის მოძრაობა დედა ზაზუნას ყურადღებას მიიპყრობდა და იგი უკანა თათებზე შედგებოდა ამბის შესატყობად; თუ ეს მოძრაობა კიდევ გამეორდებოდა, ზაზუნა, განსაკუთრებული განგაშისა და აჩქარების გარეშე, გაემართებოდა თავის სოროსაკენ და პატარებსაც თან გაიყოლებდა.

მონადირეს დიდი ხნის ცდა არ დასჭირვებია. გაისმა გამჭოლი სტვენა და დედა ზაზუნა ბაჯბაჯით წაძუნძულდა სოროსაკენ, თან სამყურას მიიწიწკნიდა და ირგვლივ იხედებოდა. ფეხდაფეხ ორი მსუქანი შვილი მისდევდა. სოროსთან რომ მიაღწია, დედა ზაზუნა ცოტათი დამშვიდდა და ოჯახმა ჭამა განაახლა, ოღონდ ახლა უკვე სოროს აღარ სცილდებოდნენ. კუონებმა აიღო მშვილდი, დაადო საჩიტე ისარი და კიდევ ორიც სხვა მოამზადა. ოდნავ წამოიწია და მშვილდი მოზიდა. ზზზ! ისარი პატარა ზაზუნას მოხვდა ცხვირში და ამოატრიალა. მეორე შეხტა გაკვირვებისაგან და უკანა თათებზე შედგა. იგივე ქნა დედამისმაც... ზზზ! დაიზუზუნა მეორე ისარმა და ახლა მეორეს მოხვდა. ისრის უსწრაფეს გაუჩინარდა დედა ზაზუნა თავის უშიშარ თავშესაფარში მიწის ქვეშ. კუონებმა იცოდა, რომ დედას არ შეუმჩნევია იგი და მალე ისევ ამოვიდოდა სოროდან. მოთმინებით ელოდა. და აი, სოროდან სამყურას მტრის ბებერი მორუხო-წაბლისფერი თავი გამოჩნდა. მაგრამ ინდიელისთვის მარტო თავში დამიზნებით მოხვედრება ძნელი იყო, ზაზუნა კი როგორც ჩანდა, სოროდან ამოსვლას არ აპირებდა.

საკმაოდ დიდხანს იცდიდა ინდიელი და ბოლოს გადაწყვიტა, ძველი ეშმაკობისთვის მიემართა. რომელიღაც სიმღერის სტვენას მოჰყვა ნელ-ნელა. ვინ იცის, იმიტომ რომ ეგონა, ეს ჩემი მოდგმის ვინმე უსტვენსო, თუ უბრალოდ ჰანგი მოეწონა, მაგრამ ისე კი მოიქცა დედა ზაზუნა, როგორც ყველა მისი თვისტომი იქცევა ხოლმე ასეთ შემთხვევაში: თანდათანობით ამოიწია სოროდან, სანამ სანახევროდ არ ამოხოხდა, შემდეგ შეჩერდა და მიმოიხედა. კუონებმა მყისვე ისარგებლა ამ შემთხვევით. აიღო დაკბილულწვერიანი ისარი და ზურგში დაუმიზნა. ზზზ! ისარი მოხვდა ზაზუნას და იქვე გააცივა.

კუონები წამოდგა და როლფს ნიშანი მისცა. როლფი სირბილით გამოემართა მისკენ. სამი მსუქანი ზაზუნას ხორცი მთელი კვირის სამყოფი იყო. ვისაც ეს ხორცი არ უგემია, ის ვერასოდეს წარმოიდგენს, თუ რაოდენ ნაზი და გემრიელი ეჩვენა კარტოფილში შემწვარი ეს ნანადირევი მოშივებულ ჭაბუკ მონადირეს.

XIII
წყლის დემონთან ჭიდილი

ერთხელ დილით, როცა ისინი ტბის პირას მიდიოდნენ, კუონებმა როლფი წყლისკენ მიახედა. წყალზე ცურავდა პატარა ფოთლის მსგავსი რაღაც, რომელზეც ერთმანეთისაგან რამდენადმე დაცილებული ორი წერტილი ბრჭყვიალებდა. ორი ფუტით უკან როლფმა უფრო დიდი ფოთოლი დაინახა და მიხვდა, რომ პირველი ფოთოლი — ეს თავია თვალებით, მეორე კი — ბაკანია დიდი და ავი კუსი. ერთი წუთიც არ გასულა, რომ ცხოველი წყალში გაუჩინარდა. ბევრი კუ ენახა როლფს თავის სიცოცხლეში, მაგრამ ასეთი ვეებერთელა ჯერ არ შეხვედროდა.

— ეს ბოსიკადოა. მე ვიცნობ მაგას და ეგეც მიცნობს, — თქვა წითელკანიანმა. — ჩვენ შორის დიდი ხანია ომია, დადგება დღე და მე მაგას ბოლოს მოვუღებ. სამი წლის წინ ვნახე პირველად. მაშინ მოკლული იხვი ჩამივარდა ტბაში. ის იყო, უნდა მივწვდომოდი ნანადირევს, რომ იგი რაღაცამ ჩაითრია წყალში. ბოსიკადოს უყვარს იხვები. ბევრჯერ ვცადე ანკესით დამეჭირა, მაგრამ ყოველთვის პატარა კუები მხვდებიან. ძალიან გემრიელები არიან. ბოსიკადომ სამჯერ ჩაყლაპა ანკესი, მაგრამ ყოველთვის, როცა კი ნავში ამოთრევას დავუპირებდი, უმაგრეს თოკებსაც მიწყვეტდა და გარბოდა. ბრჭყალებით პიროგას ძირი გამომიგლიჯა. ბოსიკადო წყალქვეშა ავ სულსა ჰგავს და მე შემეშინდა მისი.

მამაჩემი მარიგებდა, ამქვეყნად ერთადერთი, რისაც უნდა რცხვენოდეს ადამიანს, ეს შიშიაო. მე ჩემს თავს მაშინვე სიტყვა მივეცი, შიშს არ დავეჩაგვრინები-მეთქი. მას შემდეგ ველი ბოსიკადოსთან ბრძოლას. იგი ჩემი მტერია. მან შემაშინა და ახლა მე მსურს, შევაშინო იგი. სამი წელია ერთმანეთს ვუთვალთვალებთ. სამი წელია ზედიზედ მტაცებს იხვებს და მიაქვს ჩემი ანკესები, ბადე და მახე, რომელთაც მე მუშკის ვირთაგვებს ვუგებ. მაგრამ თვალში იშვიათად მხვდება.

სკუკუმზე ადრე პატარა ძაღლი მყავდა, ნაინდე. კარგი ძაღლი იყო. ენოტებს ეძებდა, იჭერდა კურდღლებს და იხვებსაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე პატარა ტანისა იყო. ერთხელ იხვი მოვინადირე, მაგრამ წყალში ჩამივარდა, ნაინდეს დავუძახე, ძაღლი წყალში გადაეშვა და იხვისაკენ გაცურა. უცებ იხვი, მე რომ მკვდარი მეგონა, შეხტა და გაფრინდა. ნაინდეს დავუძახე, ძაღლი ჩემკენ წამოვიდა, მაგრამ ღრმა ადგილს რომ მიაღწია, აფართხალდა და საშინელი წკმუტუნი ატეხა, თითქოს მიხმობდა, მომეხმარეო. მყისვე პიროგაში ჩავხტი და მისკენ გავცურდი, მაგრამ ვერ მივასწარი, ჩემი პატარა ნაინდე ფსკერისაკენ წავიდა! მივხვდი, რომ ბოსიკადოს საქმე იყო. დიდხანს ვჩხრიკე ფსკერი გრძელი ჯოხით, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე.

ხუთი დღის შემდეგ კი მდინარემ ნაინდეს თათი ჩამოატარა... დადგება დღე და მე გავუსწორდები ბოსიკადოს.

ერთხელ ნაპირზე წავაწყდი. ქვასავით ჩაგორდა წყალში. სანამ ჩაყვინთავდა, ერთმანეთს თვალებში ჩავაცქერდით... მაშინ მივხვდი, რომ ის მანიტუა, ავი სული. მამაჩემი იტყოდა ხოლმე: «თუ მანიტუ გაწუხებს, მოჰკალ იგი!»

ერთხელაც, როცა იხვის გამოსატანად მივცურავდი, ფეხის თითში მწვდა, მაგრამ თავთხელში გამოვასწარი და გადავრჩი. ზურგში ბარჯი ჩავარჭე, მაგრამ ბარჯი სუსტი იყო და ვერ შეამაგრა. სკუკუმსაც სწვდა ერთხელ კუდში, მაგრამ ბალანზე პირი ვერ მოიკიდა. მას შემდეგ ძაღლი აღარ შედის წყალში.

ორჯერ, როგორც დღეს, ისე ვნახე და შემეძლო თოფით მომეკლა, მაგრამ მე მასთან პირისპირ შებმა მწყურია. ბევრჯერ ვმჯდარვარ ნაპირზე და მიმღერია მისთვის «ლაჩრის სიმღერა», გამომიწვევია საბრძოლველად თავთხელში, სადაც ჩვენ თანაბარნი ვიქნებით, მაგრამ არ მისმენს... არ გამოდის.

რამდენიმე დღე გავიდა, სანამ კუონები ისევ დაინახავდა ბოსიკადოს. როლფი წყალზე წავიდა: წყარო ტბის ნაპირიდან ათ ფუტზე იყო. ამ დროისათვის ბიჭი უკვე მონადირის ნაბიჯით დადიოდა ფრთხილად და უხმაუროდ. სანამ ბინას მოსცილდებოდა, ყურადღებით მიმოიხედავდა ხოლმე გარშემო. ყურის შლამიან მეჩეჩზე, სულ რაღაც ორმოცდაათ ნაბიჯზე, მონაცრისფრო-მწვანე ქვა შეამჩნია, რომელიც მზეზე გასათბობად გამოსული უზარმაზარი კუ აღმოჩნდა. რაც უფრო მეტს უყურებდა კუს და გარშემო საგნებს ადარებდა, როლფს მით უფრო დიდ ურჩხულად ეჩვენებოდა იგი. ფრთხილად, ფეხაკრეფით გამობრუნდა და კუონებს მიაშურა.

— მზეზე თბება... ბოსიკადო... იქ, მეჩეჩზე.

მყისვე წამოიჭრა ინდიელი, ტომაგავკსა და მაგარ თოკს დასტაცა ხელი, როლფმა თოფისაკენ წაიწია, მაგრამ კუონებმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. ორივენი ტბისკენ გაეშურნენ. დიახ! აქ იყო ეს ვეებერთელა, თვალებგადმოკარკლული ურჩხული. ბინძურ მორივით ეგდო. მეჩეჩს უკან მოსაფარებელი არ ჰქონდა. აქედან ურჩხულთან მიახლოება შეუძლებელი იყო: სულ ადვილად დაიმალებოდა წყალში. კუონებს თოფის ხმარება არ უნდოდა, გრძნობდა, რომ პირისპირ უნდა შებმოდა მტერს. სწრაფად შეადგინა გეგმა: შეიბა წელზე ტომაჰავკი და რგოლებად დახვეული თოკი და ფრთხილად შესრიალდა წყალში; წყლიდან უნდოდა მიპაროდა ურჩხულს. ეს მართლაც ყველაზე უფრო მოხერხებული იყო: ჯერ ერთი, კუს მთელი ყურადღება ნაპირისკენ იყო მიმართული, მერე კიდევ ტბა ლელიანი იყო და მოფარებით უფრო ადვილი იყო ურჩხულთან მიპარვა.

როლფი კუონების სურვილის თანახმად ტყეში შევიდა და ისეთ ადგილას გაჩერდა, საიდანაც ოცი ნაბიჯიდან შეეძლო კუსთვის თვალთვალი.

მამაცი მოცურავისა და საზარელი ქვეწარმავლის შემყურე ბიჭს გული მძლავრად უცემდა. ყოველ ეჭვს გარეშე, ურჩხული ას გირვანქას მაინც იწონიდა. ეს დიდი და მძვინვარე მხეცი თუმცა უკბილო იყო, მაგრამ ყბები იმგვარად ჰქონდა დაკბილული, რომ ამ მახვილი, მჭრელი კბილანებით ძვლების მტვრევაც კი შეეძლო. ბაკანი მტაცებელი ფრინველებისა და მხეცე-

ბისაგან იცავდა. კუ ხის მორივით იდო მეჩეჩზე; გრძელი კუდი ალიგატორივით გაეჭიმა, გველის თავი და პატარა თვალები ყურადღებით მიემართა მიწისაკენ. ფართო ბაკანს ხავსი მოჰკიდებოდა; გარედან ამოტრიალებულ იღლიებში წურბელები მოკიდებოდნენ, წურბელებს ორი ჩიტი კენკავდა გაცხარებით, როგორც ჩანდა, ეს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ურჩხულს. ვეება თათები, კლანჭები და სულ პატარა, წითელი თვალები ჰქონდა. ამ თვალების შემხედველს უნებლიეთ ნერვული ჟრუანტელი დაუვლიდა.

ინდიელი თითქმის არ ჩანდა წყლის ზედაპირზე, ისე მოიწევდა ნელნელა ლელიანისაკენ. იგრძნო თუ არა ფეხქვეშ ფსკერი, შეჩერდა, ცალ ხელში ტომაჰავკი დაიჭირა, მეორეში — თოკი და ჩაყვინთა. თავი მტრიდან ათ ნაბიჯზე ამოყო. წყალი აქ წელამდე წვდებოდა.

წამიც არ გასულა, რომ ქვეწარმავალმა კუონების ქამანდს თავი დააღწია, წყალში ჩაცურდა და გაუჩინარდა. კუონები მაშინვე ჩაჯდა წყალში და როცა ურჩხულმა გვერდით ჩაუარა, კუდში სტაცა ხელი. ღონიერი კუდი მყისვე შეტრიალდა და ინდიელს მისი ეკლები საშინელის ძალით შეესო ხელში. არაადამიანური მოთმინება უნდა ჰქონოდა კაცს, რომ ამ დანასავით ბასრი კუდისთვის ხელი არ შეეშვა. ინდიელმა ტომაჰავკი ხელიდან გააგდო და თოკი მოიმარჯვა. — თავზე ქამანდს მოვდებო, მაგრამ ურჩხული სწრაფად გვერდზე გადაიწია, ქამანდა ბაკანზე დაცურდა და თავის მაგივრად ვეება თათს მოედო. ინდიელმა სწრაფად მოუჭირა ყულფი. ახლა იგი მტერთან იყო მიბმული. მისი ერთადერთი იარაღი ფსკერზე ეგდო. წყალი კი ისე აამღვრია ძირიდან წამოსულმა ლექმა, რომ აღარაფერი ჩანდა. ინდიელმა მაინც ჩაყვინთა ტომაჰავკის მოსაძებნად. კუ იმწუთშივე გვერდზე გავარდა; ინდიელს დაჭრილი ხელი კი გაუნთავისუფლდა, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა და წაიქცა. კუმ შეამჩნია თუ არა, თათს ვიღაცა იჭერსო, პირდაღებული და ყბებდაღრჭენილი მივარდა მტერს.

ბულდოგის ჩვეულება აქვს: თუ ყბებში რასმე მოიგდებს, იქამდე უჭერს, ს ანამ არ გასრესს. ამღვრეულ წყალში კუ კარგად ვერ არჩევდა საგნებს, მაგრამ როგორც კი წააწყდა მტრის მარცხენა ხელს, მყისვე განწირულის ცოფიანი სიშმაგით ეტაკა მას. იმავე წუთს კუონებმა თავისი ტომაჰავკი იპოვა. მსწრაფლ ფეხზე წამოდგა და თან მის ხელზე ჩამოკიდებული კუც ამოათრია, მთელი ძალით მოიქნია ტომაჰავკი. მახვილი ღრმად შეერჭო ბაკანში ურჩხულს. შედეგი არ იყო სახარბიელო — ინდიელმა ერთადერთი იარაღიც დაკარგა, რადგან მიუხედავად დიდი მონდომებისა, ტომაჰავკი ურჩხულს ზურგიდან ვეღარ ამოაძრო.

როლფი გადაეშვა წყალში მისაშველებლად, მაგრამ კუონებმა შესძახა:

— არა... გაბრუნდი! მე თვითონ გავუსწორდები.

ურჩხულის ყბებს ისევ ეჭირა მისი ხელი მარწუხებში, წინა თათების კლანჭები კი წინ და უკან მოძრაობდნენ და ინდიელის ტანსაცმელს გლეჯდნენ. წყალში აქა-იქ სისხლის მოგრძო ზოლები გამოჩნდა. ამაოდ ცდილობდა ინდიელი თავთხელში გამოსულიყო. კიდევ ერთხელ დაეჭიდა ტომაჰავკს... ცოტათი დასძრა ადგილიდან... კიდევ მოსწია... ერთხელაც... და ამოაძრო. ორი-სამი მოქნევა და გველის თავი ტანს მოსცილდა. ტანმა თათები აამოძრავა, ალიგატორის კუდი აადგაფუნა და უკან-უკან წავიდა. თავი კი

უაზროდ აფახულებდა უკვე ჩამქრალ წითელ თვალებს და სისხლით შეღებილი ისევ ეკიდა ხელზე. ინდიელი მეჩეჩისაკენ წავიდა. გაშალა თოკი, რომელიც ურჩხულის თათზე იყო მოჭერილი და ხეზე მიაბა. შემდეგ აიღო დანა და შეეცადა კუნთები გადაეჭრა ხელში ჩაჭერილი ყბებისათვის, მაგრამ მათ მაგარი ძვლები ფარავდა. ვერ მოექნია ისე მარჯვედ, რომ ძლიერი დარტყმით საბოლოოდ მოედუნებინა ისინი. მაშინ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, დააწვა თავს და იქამდე აქანავა, სანამ კუნთების კრუნჩხვითმა მოძრაობამ ყბები არ გახსნა და გასისხლიანებული თავი მიწაზე არ დაეცა. კიდევ ერთხელ გაიღო ურჩხულის პირი. კუონებმა შიგ ჯოხი ჩასჩარა, ყბები ჯოხს ჩაეჭიდა და სამუდამოდ გაქვავდა.

საათზე მეტი გავიდა, უთავო სხეული კი ისევ ინძრეოდა, თითქოს ტბისკენ მიიწევდა. მეგობრებს ახლა უკვე შეეძლოთ დაეთვალიერებინათ მტერი. სიდიდეზე მეტად ისინი კუს წონამ გააკვირვა. მიუხედავად იმისა, რომ ოთხ ფუტს არ აღემატებოდა, იგი ისეთი მძიმე იყო, რომ როლფმა ძვრაც ვერ უყო. კუონები რამდენიმე ადგილას გვარიანად იყო დაკაწრული, მაგრამ არც ისე სერიოზულად, გარდა იმ ღრმა ჭრილობებისა, რომელიც კუს ყბებით მიეყენებინა მისთვის ხელზე. კუ ბანაკისაკენ წაიღეს. წინ ხმამაღალი ყეფით სკუკუმი მიუძღოდათ. საშინელი თავი, რომელიც ჯერ ისევ ჯოხს ჩაბღაუჭებოდა, ფრთებით შეამკეს და ვიგვამის წინ, სარზე ჩამოაცვეს. ინდიელი კლდეზე ავიდა და სიმღერა წამოიწყო:

მტერი ჩემი, ბოსიკადო, ღონიერი იყო, უძლეველი!
უშიშრად მიველ მე იმის სამეფოში.
შედრკა უძლეველი და დამარცხდა.

XIV
კლდეზე ჰორტონი გამოჩნდა

შუაგული ზაფხული იდგა ეზემუკზე. შაშვმა უკვე უკლო გალობას. აი, სიმღერის მოთავების დროც დადგა. კედრების ტევრში ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ ახალგაზრდა ჭვინტები და რაღაცაზე გაუთავებლად ჭუჭუნობდნენ, პაიპსტეს ტბორზე კი ნორჩი იხვების ორი ახალი ოჯახი გამოჩნდა.

როლფმა ბევრი რამ ისწავლა მას აქეთ, რაც ვიგვამში დაესახლა. ახლა მას ისე შეეძლო საკვამურის სარქველის დაყენება, რომ ქარს საიდანაც არ უნდა დაებერა, მაინც დაეფარებოდა; მზის ჩასვლის მიხედვით შეეძლო ეთქვა, როგორი ამინდი იქნებოდა მეორე დღეს; ნაპირთან მიუახლოვებლად გეტყოდათ, იქნებოდა თუ არა მიქცევა, რომელსაც ლოკოკინის უმდიდრესი მარაგი უნდა გაეშიშვლებინა. საკმარისი იყო ნაცადი ხელით ანკესს შეხებოდა და ზუსტად გეტყოდათ, რა იყო ზედ წამოგებული — კუ თუ თევზი, ტამტამის ხმაზე კი შეუცდომლად იგებდა ღვართქაფის მოახლოებას.

ადრიდანვე შრომას მიჩვეულმა ბიჭმა ბანაკშიც გააუმჯობესა ზოგი რამ; ასე, მაგალითად, გამოგავა და დაწვა ნაგავი, რომელიც უამრავ ბუზს იზიდავდა ვიგვამში. იგი ისე მიეჩვია ბანაკის ლაღ ცხოვრებას, რომ თავისი აქ ყოფნა დროებით ამბად აღარ მიაჩნდა. რითი დასრულდებოდა ყოველივე

ეს, მან არ იცოდა და არც დარდობდა ამაზე. იმას კი გრძნობდა, რომ ასეთი სასიამოვნო ცხოვრება ჯერ არ ჰქონია. მისმა ნავმა მშვიდობით აუარა გვერდი მრავალ სახიფათო ჭორომს და ახლა მშვიდ დინებას მიჰყვებოდა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე... მაგრამ ანაზდად წყალვარდნილს მიადგა. ბრძოლაში ჩამოვარდნილი სიწყნარე ყოველთვის ომის დასასრულს როდი მოასწავებს, მას ხშირად ახალი შეტევა მოსდევს, მოულოდნელი და ამიტომაც უფრო საშიში.

მამასახლისი ჰორტონი დიდი პატივისცემით სარგებლობდა მიანოსში; კეთილგონიერი კაცი იყო, სათნო და თანაც შემლებული. ეზემუკის ტყეები მთლად მისი საკუთრება იყო — სწორედ ის ტყეები, რომელსაც ოდესღაც ინდიელის წინაპრები ფლობდნენ. როლფი და კუონები დროდადრო მუშაობდნენ ჰორტონთან, კარგად იცნობდნენ მოხუცს და უყვარდათ კიდეც გულკეთილობისათვის.

ერთ ოთხშაბათს, ივლისის სიცხიან დილით, ვიგვამთან კარგა ჩასხმული, სუფთად გაპარსული კაცი გამოჩნდა. ეს იყო ჰორტონი.

— დილა მშვიდობისა, — თქვა მან და, დრო რომ არ დაეკარგა, საქმეზე გადავიდა. — ჩვენი ქალაქის მამასახლისები გაუთავებელ დავასა და კამათში არიან, შეიძლება თუ არა ქრისტიანი მშობლების შვილმა დატოვოს თავისი მოძმე ქრისტიანები, წარმართს დაუმეგობრდეს და ველურის მსგავსად იცხოვროსო. მე არ ვეთანხმები იმათ, ვინც ისეთ კარგ კაცს, როგორ კუონებია საზოგადოების საშიშ მტრად თვლიან. მაგრამ ყველა მამასახლისი, მსაჯული და მღვდელი დიდად შეშფოთებულია ქრისტიანი ბიჭის ველურთან ცხოვრებით. მე თავად მდებენ ბრალს, შენ რომ ერთგული ქრისტიანი იყო, შენს სამფლობელოში, შენს მიწაზე სატანის უწმინდურ ცხოვრებას ხელს არ შეუწყობდიო. თქვენთან ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოვედი, «მამასახლისთა საბჭოს» და «წარმართთა შორის ქრისტიანობის გამავრცელებელმა საზოგადოებამ» გამომგზავნა. გიცხადებ შენ, როლფ კიტერინგ, რომ როგორც მცირეწლოვანი და ობოლი, იმყოფები მრევლის მზრუნველობის ქვეშ და მამასახლისთა გადაწყვეტილების თანახმად უნდა გახდე წევრი იეზეკია პეკის ოჯახისა, ყველაზე ღირსეულისა მამასახლისთა შორის, რომლის სახლშიც კეთილმორწმუნეობისა და ჭეშმარიტი სარწმუნოების სული სუფევს. ეს კაცი, მიუხედავად თავისი პირქუშობისა და სიმკაცრისა, რელიგიის მხურვალე მოამაგეა. ასე რომ, ჩემო ბიჭუნი, ნუ მიცქერი იმ კვიცივით, რომელმაც პირველად იგემა მათრახი. შენ გექნება საკუთარი სახლი და იცხოვრებ ჭეშმარიტ ქრისტიანებთან.

«კვიცი, რომელმაც პირველად იგემა მათრახი!» არა! როლფი დაჭრილ ნადირს უფრო ჰგავდა. ისევ თეთრკანიანებთან დაბრუნება და ფერმაში მუშაობა; კუონების მიტოვება სწორედ მაშინ, როცა მის წინ ეს-ესაა უნდა გადაიშალოს ტყის იდუმალი სამყარო; ყოველივე ამის ნაცვლად პირქუში სახლი იმ ბებერი პეკისა, რომლის სისასტიკე მისმა საკუთარმა შვილებმაც ვერ აიტანეს და მიატოვეს მამისეული ოჯახი. არა, ამის წარმოდგენამაც კი გულის სიღრმემდე აღაშფოთა როლფი.

— არ წამოვალ, — მოსჭრა მან და ჩასუქებულ, გულკეთილ მამასახლისს გამომწვევად შეხედა.

— კმარა, როლფ, ურიგოა შენი ლაპარაკი. საკუთარ ენას თავს ნუ წააწ-ყმენდინებ. გამოიჩინე კეთილგონიერება; მალე შენც მიხვდები, რომ ყველა-ფერი შენს სასიკეთოდ კეთდება. მე შენ ყოველთვის მიყვარდი და ახლაც მზად ვარ გიმეგობრო. შეგიძლია იქონიო ჩემი იმედი. თუმცა ნაბრძანები მაქვს ახლავე წაგიყვანო, მაგრამ რამდენიმე დღეს მოგცემ მოსაფიქრებლად. აწონ-დაწონე თავისუფალ დროს ყველაფერი. მხოლოდ გახსოვდეს, რომ არაუგვიანეს მომავალი ორშაბათისა, შენ უკვე გელიან პეკისთან. ვშიშობ, რომ, თუ შენ თვითონ არ გამოცხადდი, აქ მოვა მოციქული, რომელიც ჩემზე გაცილებით უფრო ნაკლებ ალერსიანი იქნება. ჭკუით მოიქეცი და გახსოვ-დეს, რომ ახალ სახლში შენ ქრისტიანთა შორის იცხოვრებ.

სქელმა მოციქულმა მეგობრულად დაუკრა თავი და, როგორც ჩანდა, გულნაკლული წავიდა. როლფი ნელა დაეშვა ქვაზე და ცეცხლს ჩააცქერდა. კუონები წამოდგა და სადილის მზადებას შეუდგა. როლფი სხვა დროს ყო-ველთვის ეხმარებოდა ინდიელს, ახლა კი უქმად იჯდა და მოღუშული ჩას-ჩერებოდა ნაკვერცხალს. ნახევარ საათში სადილი მზად იყო, როლფმა ცოტა წაიხემსა და მარტოკა წავიდა ტყეში. ცოტა ხნის შემდეგ კუონებმა დაინახა, რომ იგი კლდის პირას იწვა, ტბას გადასცქეროდა და შიგ კენჭებს ისროდა. კუონები მალე მიანოსში წავიდა. შინ დაბრუნებულს დაჩეხილი შეშის დი-დი გროვა დახვდა. სიტყვა არ თქმულა მათ შორის. ბრაზისა და სიჯიუტის გამომეტყველება როლფის სახეზე სრული სასოწარკვეთილებით შეცვლი-ლიყო.

არც ერთმა არ იცოდა, რას ფიქრობდა მეორე.

ვახშამმა სრულ დუმილში ჩაიარა. ნავახშმევს კუონები მთელი საათი ეწეოდა ჩიბუხს. ორთავენი უხმოდ ჩასჩერებოდნენ ცეცხლს. თავზე ბუ დაჰ-კიოდათ. ძაღლი დახტოდა და ყეფდა. დიდხანს გრძელდებოდა დუმილი და ბოლოს წითელკანიანმა თქვა:

— როლფ, მე ჩრდილოეთის ტყეებში მინდა გადავიდე.

ამ სიტყვებმა განაცვიფრეს როლფი. ჭაბუკმა კარგად იცოდა, რას ნიშ-ნავდა ეს, თავისი ხალხის ხსოვნის წმინდად დამცველი კუონებისათვის.

— გინდა დატოვო ეს ყველაფერი? — შეეკითხა როლფი და ხელი გა-იშვირა კლდის, მოკასინებით გათელილი გზისა და ველისაკენ, სადაც ბრძოლაში დაღუპული პიტუკვეპენი და ამოწყვეტილი ტომის საფლავები ეგულებოდა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და ინდიელს ერთადერ-თი სიტყვა აღმოხდა გულიდან:

— ჰო!

და ამ ერთი სიტყვით, რომელიც ყრუ, ჩაწყვეტილი ხმით იყო წარ-მოთქმული, მან გამოხატა მთელი თავისი ღრმა სიყვარული სამშობლოსად-მი და ის ბრძოლაც, რომელიც მის სულში ხდებოდა.

მეგობრობამ გაიმარჯვა მშობლიური ადგილების სიყვარულზე. როლფი ყველაფერს მიხვდა და ლამის ატირდა.

— მეც წამოვალ შენთან!

— ჰო! წავიდეთ... დადგება დრო და ისევ დავბრუნდები.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა.

— როდის გავუდგებით გზას? — შეეკითხა როლფი.

— ხვალ ღამ, — იყო პასუხი.

XV
ჩრდილოეთის ტყეებისაკენ

მეორე დილას კუონები ზურგზე აკიდებული მძიმე ტომარით ვიგვამიდან გამოვიდა და მიანოსისაკენ გაემართა. მაინცდამაინც არავის გაკვირვებია ის, რომ ინდიელი მოხუცი პეკის დუქანში შევიდა, გაყიდა თხილამურები, ხაფანგებისა და მახეების შეკვრა, არყის ხის ქერქისა და ცაცხვის რამდენიმე თეფში, ტამტამი და ყოველივე ამის ნაცვლად მიიღო ჩაი, თამბაქო, წამალი და ორი დოლარი ფულად. შემდეგ უსიტყვოდ გამოვიდა, და მალე თავის ვიგვამში დაბრუნდა.

შინ დაბრუნებულმა კუონებმა კარდალა აიღო და ტყეში შევიდა. კაკლის ხეს ქერქი ჩამოათალა და კარდალაში ჩაყარა. შემდეგ წყალი დაასხა და იქამდე ადუღა, სანამ სითხე მთლად წენგოსფერი არ გახდა. წყალი რომ გაცივდა, ბრტყელ ლანგარზე გადმოასხა და როლფს მოუხმო:

— აქ მოდი, საინავედ მინდა გაქციო.

ინდიელმა აიღო რბილი ჩვარი, ჩააწო კაკლის წვენში და როლფს თავზე, კისერზე და ხელებზე წაუსვა.

— თუ გინდა, სულ მთლად შემღებე, — შესთავაზა როლფმა.

ბიჭმა ტანთ გაიხადა და მოყვითალო ყავისფერი სითხის ფენით დაფარულმა მისმა კანმა მოწითალო სპილენძისფრად დაიწყო ბზინვა, ნამდვილ ინდიელ ბიჭად იქცა. მასში ვეღარავინ გამოიცნობდა როლფ კიტერინგს. საღებავი მალე გაშრა. როლფმა ისევ ჩაიცვა, ახლა კი იგრძნო, რომ უკანდასახევი გზები თვითვე მოიჭრა.

ვიგვამის სახურავი ტილოსაგან ორი ტომარა გააკეთეს. ტომაჰავკი, მშვილდ-ისრები, თოფი, კარდალა და ხორაგეული თანაბრად გაინაწილეს, ტომრებში ჩააწყვეს და ზურგზე აიკიდეს. ყველაფერი მზად იყო, მაგრამ კუონები კლდისაკენ გაემართა გამოსათხოვრად. როლფმა იცოდა, რისთვის მიდიოდა იგი იქ და არ გაყოლია.

ინდიელმა ჩიბუხი გააჩაღა და ოთხი ბოლქვი კვამლი გამოუშვა დასავლეთის, სამხრეთის, აღმოსავლეთის და ჩრდილოეთისაკენ. შემდეგ ჩამოჯდა და რამდენიმე წუთს ჩუმად იჯდა. მალე მისი სიმღერაც გაისმა:

მამავ, გვიჩვენე გზა!
მამავ, იყავ ჩვენი დამხმარე!
მამავ, იყავ ჩვენი წინამძღოლი ნადირობაში!

ჯერ სიმღერა არ გაეთავებინა, რომ ტყის ჩრდილო განაპირიდან ბუს ძახილი შემოესმა.

— მამა თანახმაა დაგვეხმაროს! — უთხრა კუონებმა როლფს, როცა შინ დაბრუნდა.

მზე რომ ჩავიდა, კუონები, როლფი და სკუკუმი ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ. ასი ნაბიჯიც არ გაევლოთ, რომ ძაღლი უცებ გა-

მობრუნდა და იმ ადგილისაკენ მოუსვა, სადაც ძვალი ჰქონდა დაფლული. წაიღო ძვალი და ისევ წინ გაიქცა.

შარაგზით სიარული, რა თქმა უნდა, უფრო ადვილი იყო, მაგრამ მგზავრები ვისმესთან შეხვედრას ერიდებოდნენ და ამიტომ მდინარე ეზე-მუკს აყვნენ. ერთი საათის შემდეგ დასავლეთისაკენ მიმავალ კეტროკის გზას მიღწიეს. კარგ გზას ცდუნებაში შეყავდა ისინი, მაგრამ კუონებმა გა-დაწყვიტა, ტყე-ტყე სიარული აჯობებსო. სკუკუმმა ენოტის სუნი იგრძნო და ნახევარი საათი მაინც დააკარგვინა მოგზაურებს. ძაღლს საბელი ჩააბეს და ორიოდე საათი ტყე-ტყე იარეს. პაიპსტეს რვა მილით რომ დაშორდნენ, შე-ისვენეს, რადგან როლფი ძალზე დაიღალა. უკვე შუაღამე იყო. საწოლები ტილოს კარავში გაიმართეს და ძილის წინ ჩრდილოეთისაკენ მიმავალი თა-ვიანთი მეგობრის — ბუს კივილით დამშვიდებულებმა დილამდე იძინეს.

როცა როლფს გაეღვიძა, მზე უკვე მაღლა აწეულიყო და კუონებსაც საუზმე მოემზადებინა. ხანგრძლივი სიარულისა და მძიმე ტვირთისაგან ისე დაღლილიყო, რომ გუნებაში სიხარულით ცას ეწია, როცა კუონებმა უთ-ხრა, მთელი დღე ტყეში დამალულნი დავისვენებთ და მხოლოდ ღამე გა-ვუდგებით გზასო. თუმცა ისინი ნიუ-იორკის შტატში იყვნენ გადასულნი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მდევარი უკვე აღარ იყო მოსალოდნელი.

როცა მზემ უფრო მაღლა აიწია, როლფმა მშვილდ-ისარი აიღო და სკუკუმის დახმარებით ორი ციყვი მოკლა. ციყვები გაატყავეს და სადილად ცეცხლზე შეიწვეს. დაღამებისთანავე ისევ გაუდგნენ გზას და ათი მილი გა-იარეს. მესამე ღამეს — უფრო მეტი. შემდეგი დღე კვირა იყო და ისინი ტყი-დან არ გამოსულან. ორშაბათ დილას — ეს პირველი დილა იყო, რომ მდე-ვარს აღარ ემალებოდნენ, პირდაპირ გზაზე გამოვიდნენ. უხაროდათ, რომ მთელი გზა ნაცნობი არავინ შეხვედრიათ.

ორმა რამემ განაცვიფრა როლფი: ადგილობრივ მცხოვრებთა ცნობის-მოყვარე მზერამ და ძაღლების მტრულმა დამოკიდებულებამ. ძაღლებს ჯო-ხით იგერიებდნენ. მაგრამ ერთი დიდი და ავი ქოფაკი ვერაფრით ვერ მოი-ცილეს, იგი ხმამაღალი ყეფით მოსდევდათ. მგზავრების ჯოხს გაურბოდა და ცდილობდა სკუკუმისათვის ეკბინა. ბოლოს, რომ ვეღარაფერს გახდნენ, კუონებმა მშვილდი ამოიღო და საჩიტე ისარი შიგ ცხვირში ატაკა აბეზარს. ძაღლი წკავწკავით გავარდა სახლისკენ, მას კვალდაკვალ სკუკუმი მიჰყვა, ლეკვს დიდი სურვილი ჰქონდა, ერთხელ მაინც წაეტანებინა კბილი თავისი მტრისათვის. ამ დღეს ოცი მილი გაიარეს. მეორე დღეს კი — ოცდახუთი, რადგან უკეთესი გზა შეხვდათ და თანაც ტვირთიც შეუმსუბუქდათ. გზა-დაგზა რამდენჯერმე შეხვდნენ კეთილ ფერმერებს, რომლებიც სადილით უმასპინძლდებოდნენ მოგზაურთ. სკუკუმმა ბევრ ხათაბალას გადაჰკიდა თავისი მეგობრები. ფერმერებს არ მოსწონდათ მისი ქათმებთან დამოკიდე-ბულება. სკუკუმი ვერაფრით მიმხვდარიყო, რა ფაქიზი განსხვავება არსე-ბობდა ქათამსა და კაკაბს შორის. რატომ შეიძლებოდა კაკბის დაჭერა, ქათ-მისა კი არა. ქათმები რითი ჩამოუვარდებოდნენ კაკბებს.

როცა რომელიმე მოსახლეს მიუახლოვდებოდნენ, როლფი დაწინა-ურდებოდა ხოლმე, უკან კუონები მისდევდა თოკგამობმული სკუკუმით. თუ როლფი მარტო გამოჩნდებოდა, ძაღლები ნაკლებად შფოთავდნენ. თუ

პურის თხოვნა მოუხდებოდა, როლფი აუცილებლად იკითხავდა, სამუშაო ხომ არაფერი გაქვთო? შემჩნეული ჰქონდა, რომ საქმე მაშინ მიდიოდა უკეთესად, როცა ფერმაში მცხოვრებ ქალებს სუფთა ინგლისურად ღიმილით გამოელაპარაკებოდა ხოლმე. ინდიელისგან ასეთი ინგლისურის ცოდნა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

— რაკი ინდიელად მაქციე, კუონებ, — უთხრა ერთხელ თავის მეგობარს როლფმა, — ბარემ სახელიც თქვენებური გამომინახე.

— ჰო, კარგი! ეს ადვილია. იყავი «ნიბოვაკა». ნიბოვაკა ბრძენს ნიშნავს.

ასე მიიწევდნენ მეგობრები ჩრდილოეთისკენ. ყოველდღიურად ოცოცდაათ მილს გადიოდნენ. გვერდს უვლიდნენ მდინარის ნაპირას გაშენებულ სოფლებს. ასე გაიარეს ოლბანი. მეათე დღეზე ფორტ ედუარდს მიადგნენ და პირველად იხილეს დიდებული მდინარე ჰუძონი. აქ დიდხანს არ დარჩენილან, გაიარეს გლენის წყალვარდნილი და მოგზაურობის მეთერთმეტე დღეს ერთ მიტოვებულ ფორტზე მივიდნენ. ბოლოს თვალწინ გადაეშალათ ვეებერთელა ტბა ჯორჯი, ტყით შემოსილი ნაპირებითა და შორს, ჩრდილოეთისაკენ გადაჭიმული მთებით. აფსუს, რომ თავიანთი პიროგა პაიპსტეს ტბორზე დატოვეს! პიროგა მართლაც გამოადგებოდათ. როლფმა გაიხსენა, რომ ჯორჯის ტბა შამპლეინის ტბასთან არის შეერთებული, ამ ტბით კი რომელ ტყეშიც მოისურვებდნენ, შესძლებდნენ გასვლას.

უკვე ორმოცდამეათეჯერ შეისვენეს და ჭამას შეუდგნენ. ლაჟვარდი წყალი თავისკენ იზიდავდა მათ. კუონებმა ბალახზე კვალი შეამჩნია, «ირემი!» — თქვა მან. როლფი სიხარულისაგან შეხტა. ინდიელი მშვიდად იყო. ბედნიერები იყვნენ, რაკი იმ ადგილებს მიაღწიეს, სადაც მსხვილ ნადირზე შეიძლებოდა ნადირობა. დრო იყო საქმეს შედგომოდნენ და რიგიანი უბანი მოენახათ, თანაც ისეთი, რომელშიც არავინ შეეცილებოდათ.

ისხდნენ და ყუჩობდნენ. კუონები ფიქრებში წავიდა, მოაგონდა ძველი ტყის კანონი, რომლის მიხედვითაც ყოველი უბანი იმ მონადირეს ეკუთვნის, ვინც იქ პირველად მივიდა. როლფი კი თავს იმტვრევდა, არ იცოდა, როგორ ეშოვათ ნავი, ხაფანგები, ცულები და აუცილებელი სურსათ-სანოვაგე. მან პირველმა დაარღვია სიჩუმე.

— კუონებ, ჩვენთვის აუცილებელია ფული, რომ ვიყიდოთ ყველაფერი რაც გვაკლია. ახლა მკა იწყება. ჩვენ მთელი თვით შეგვიძლია ვიშოვოთ სამუშაო. ამ ხნის განმავლობაში თავსაც შევინახავთ და ფულსაც ვიშოვით, თანაც ადგილმდებარეობას გავეცნობით.

— ნიბოვაკა ხარ! — იყო პასუხი.

გზაზე ფერმები აქა-იქ ხვდებოდათ, ერთმანეთისაგან დიდ მანძილზე დაშორებული. ტბის პირას მხოლოდ ორი ფერმა ნახეს. უახლოეს ფერმისაკენ გზა მოუმკელ ყანაში გადიოდა. აქ მათ კუშტად შეხვდნენ. ბუჩქებიდან ძაღლი გამოუვარდათ, თვითონ ფერმერმა კი თქვა, ინდიელებს აღარ ავიყვანო. გასულ წელს ორი ჰყოლოდა სენტ-რეჯაინიდან, ორივე ლოთი და არამზადა გამოდგაო. მეორე ფერმა ერთ ჩასუქებულ ჰოლანდიელს ეკუთვნოდა. დიდ გასაჭირში იყო ფერმერი: თიბვამ დაიგვიანა, შვრია ადრე შემოვიდა, კარტოფილს სარეველა მოერია, ძროხები დაიკარგა. ცოლს კი, საცაა, უნდა

მოელოგინებინა... და თავზე რომ ეს ცეცხლი ეკიდა, უცბად კარს ორი მოწითალო-სპილენძისფერი მხსნელი მიადგა.

— შეგიძლიათ მუშაობა?

— შემიძლია, მე ყოველთვის ფერმაში ვცხოვრობდი. — მიუგო როლფმა და თავისი ასაკისათვის საკმაოდ დიდი და უხეში ხელები უჩვენა ჰოლანდიელს.

— ჩემი ძროხების პოვნა შეგიძლიათ? დავკარგე და ვერაფრით ვერ მიპოვნია.

— ძროხების პოვნა? რატომაც არა, ვსინჯავთ.

— ორ დოლარს მივცემ, ვინც უფრო ადრე მიპოვნის.

კუონები ტყეში წავიდა, როლფი კი თოხით — კარტოფილში, მაგრამ კარტოფილამდე არ იყო მისული, რომ ქათმების საშინელი ალიაქოთი მოესმა. სკუკუმს ისევ გაემართა ნადირობა ცრუკაკბებზე. ერთი წუთის შემდეგ პირშერცხვენილი ჯაჭვით დააბეს და სანამ ფერმაში იყვნენ, აღარ აუშვიათ.

საღამოს კუონებმა ძროხები მორეკა და როლფს უამბო, ტყეში ხუთი ირემი დავინახეო. ბიჭს თვალები აენთო.

ორი დღის მოუწველელი სამი ძროხა — სერიოზული საქმეა და გადაუდებელ ყურადღებას მოითხოვს. როლფი ხუთ ძროხას დღეში ორჯერ ხუთ წელიწადს წველიდა. ვან-ტროპერი ერთი შეხედვით დარწმუნდა, რომ ბიჭი გამოუცდელი არ იყო.

— კარგია, კარგი! მე ახლა წავალ და ღორებს ვაჭმევ.

იგი ფარეხთან იყო მისული, როცა ქერა, წითელლოყება გოგონა წამოეწია.

— მამა, მამა! დედამ შემოგითვალა... — შემდეგ აღარ ისმოდა, რას ეუბნებოდა.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რა ვიცოდი, ასე ჩქარა თუ მოხდებოდა, — წამოიძახა მსუქანმა ჰოლანდიელმა და ბაჯბაჯით გაედევნა გოგონას. ერთი წუთის შემდეგ ისევ გამოვიდა სახლიდან. მხიარული, კეთილი სახე სერიოზული და ზრუნვით სავსე გახდომოდა.

— ყური დამიგდე, შენ, დიდო ინდიელო, ნიჩბის მოსმა შეგიძლია?

კუონებმა თავი დაიქნია თანხმობის ნიშნად.

— მოდი აქ! ანეტა, მოიყვანე თომასი და ჰენდრიკი.

მამამ ორი წლის ჰენდრიკი აიტაცა, ინდიელმა კი — ექვსი წლის თომასი.

თორმეტი წლის ანეტა რაღაც შეუცნობელი გულისწუხილით მისდევდა მათ. ტბასთან მივიდნენ და ბავშვები ნავში ჩასხეს, ისინი ინდიელს უნდა წაეყვანა, რადგან ჰოლანდიელს არ შეეძლო ცოლის მარტო დატოვება.

— შეგიძლია ბავშვები გადაიყვანო აი, იმ სახლში, ტბის მეორე მხარეზე და იქიდან მისტრის კალანი მომგვარო? უთხარი, რომ მართა ვან-ტროპერი სთხოვს საჩქაროდ მოვიდეს... ძალიან საჭიროა.

ინდიელმა თავი დაუქნია. ერთი წუთით შეყოყმანდა მამა, მაგრამ როდესაც ყურადღებით შეხედა ინდიელს, დამშვიდდა. რაღაც შინაგანმა გრძნობამ უკარნახა, რომ ამ კაცს შეიძლებოდა მინდობოდა და, მიუხედავად ბავშვების ტირილისა, ნავს წყალში უბიძგა.

— ბავშვებს გაუფრთხილდი! — დაუძახა ინდიელს და გამობრუნდა.

XVI
ჰოლანდიელი ახალმოსახლის ფერმაში

ინდიელებს ღამის სათევად ხის დიდი ფარდული მიუჩინეს, საბანი მისცეს, თივა კი იქ ბევრი იყო. უღრან ტყეებს მიღწეული მეგობრები ბედნიერად გრძნობდნენ თავს. დღე არ გავიდოდა, რომ აქ ნადირთა სიმრავლეში არ დარწმუნებულიყვნენ.

ფარდულის ერთი კუთხე ქათმებისათვის იყო გადატიხრული. წითელკანიანების მოსვლის პირველ ღამეს ქათმებს ტკბილად ეძინათ. უცებ როლფი და კუონები ხმამაღალმა კრიახმა გამოაღვიძა, მაგრამ ხმაური მაშინვე შეწყდა. შეიძლებოდა გეფიქრათ, რომელიმე ქათამმა ცუდი სიზმარი ნახა და ბუდიდან გადმოვარდა, მაგრამ მერე დამშვიდდა და ძილი განაგრძო. დილით საქათმის კუთხეში ნახევრად შეჭმული ქათამი იპოვეს. კუონებმა ყურადღებით შეათვალიერა უთავო ტანი, მერე იატაკს დახედა და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა:

— წაულაა!

— იქნებ მყრალა იყო? — ჰკითხა როლფმა.

— მყრალა ქანდარაზე ვერ ავა.

— მაშინ ქრცვინი.

— ქრცვინი მხოლოდ სისხლს ამოწოვს ხოლმე, ხორცს არა სჭამს, თანაც სამ-ოთხ ქათამს ერთად კლავს.

— ენოტი?

— ენოტი, მელია და გარეული კატა ქათამს თან წაიღებდნენ, კვერნა კი ღამე საქათმეში არ შევა.

ასე რომ, უეჭველი იყო: ჯერ ერთი, ქათამი წაულას შეეჭამა, მეორეც, წაულა სადღაც ახლომახლო იმალებოდა. კუონებმა ქათამს ქვები შემოაწყო ისე, რომ მისასვლელი მხოლოდ ერთი მხრიდან დაუტოვა და იქ ხაფანგები დადგა.

ღამე ისინი საშინელმა ჭყივლმა და ქათმების კრიახმა გამოაღვიძა.სასწრაფოდ წამოცვივდნენ და ფარნით საქათმეს მიაშურეს. როლფმა აქ ისეთი რამ დაინახა, რომ თმა ლამის ყალყზე დაუდგა. წაულა, მსხვილი ცხოველი, ხაფანგში წინა ფეხით ჩავარდნილიყო. გაშმაგებით აწყდებოდა აქეთ-იქით და კბილებით ხან მკვდარ ქათამს გლეჯდა, ხან ხაფანგს, ხან ხაფანგში მოყოლილ საკუთარ თათს ეცემოდა. უცბად შემაზრზენად აკივლდებოდა და მერე ისევ აწყდებოდა ხაფანგს. ბასრი, თეთრი კბილები დაეკრიჭა და პირსისხლიანი ლითონსა ღრღნიდა, იფურთხებოდა, ქსინავდა, იღრინებოდა. შემოსული მტრის დანახვაზე ნადირმა აუწერელი სიშმაგის, სიძულვილის, ბრაზისა და შემზარავი შიშის გამომხატველი სახე მოაბრუნა და ფარნის შუქზე თვალები მომწვანო ცეცხლით აუკიაფდა. ის მომეტებულის ძალით შეეცადა თავი დაეხსნა. საქათმე მისი მუშკის სუნით იყო გაჟღენთილი. კუონებმა ჯოხის ერთი დაკვრით ბოლო მოუღო ცხოველის ტანჯვას.

როლფს აღარასოდეს დავიწყებია ეს სანახაობა და შემდეგ ყოველთვის წინააღმდეგი იყო ასეთი ულმობელი ფოლადის ხაფანგებით ნადირის ჭერისა.

ერთი კვირის შემდეგ რაღაცამ მეორე ქათამი წაიღო საქათმიდან. კარი ღია დარჩენოდათ. შენობის შიგნით და გარეთ კვალის გულდასმით დათვალიერების შემდეგ კუონებმა დაასკვნა, ენოტიაო. ეს იყო უჩვეულო საქციელი ენოტის მხრივ, რომელიც საქათმეში არასოდეს არ იპარება. ამ ენოტს, როგორც ჩანდა, გემოვნება ჰქონდა არეული და შეიძლებოდა ეჭვს გარეშე იმის თქმა, რომ იგი ისევ დაბრუნდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ინდიელი ამტკიცებდა, ხვალღამ ისევ მოვაო. კუონები მახის გამართვას შეუდგა. კარის რაზიდან ხემდე თოკი გააბა და ზედ სიმძიმე ჩამოჰკიდა, რომ კარი თავისით მოხურულიყო. კარებს შიგნიდან ბიჯგიც შეუყენა. დროებით რომ ღიად გაეჩერებინა, კარს ფიცარი მიაბჯინა ისეთნაირად, რომ ენოტი საქათმეში შესვლისას აუცილებლად ზედ შედგებოდა და კარს აუშვებდა.

მონადირეები დარწმუნებული იყვნენ, რომ კარის ჯახუნს გაიგონებდნენ, მაგრამ ორთავეს ისე მაგრად ეძინათ, რომ დილამდე არაფერი შეუტყვიათ. დილით კარი მიკეტილი აღმოჩნდა, საქათმეში მათ გაავებული ბებერი ენოტი დახვდათ, ნადირი ქათმის საბუდარში გატრუნულიყო. წარმოიდგინეთ, არც ერთი ქათმისთვის პირი არ დაეკარებინა. დარწმუნდა თუ არა, ტყვედა ვარ ჩავარდნილიო, მაშინვე მიხვდა რაც მოელოდა და ხასიათი წაუხდა. მართლაც, სულ მალე მისი ტყავი ფარდულში დაკიდეს გასაშრობად, ხორცი კი საკუჭნაოში წაიღეს.

— ეს კვერნაა? — იკითხა ანეტამ, ჰოლანდიელის გოგონამ, და ძალიან ნაწყენი დარჩა, რომ უთხრეს ენოტიაო. თავისი უკმაყოფილება რომ აეხსნა, ანეტამ თქვა, სავაჭრო საწყობის პატრონმა მოხუცმა უორენმა აღმითქვა, თუ კვერნის ტყავს მომიტან, ბამბაზიის ლურჯ კაბას მოგცემო.

— მე გაჩუქებ კვერნას, როგორც კი დავიჭერ, — დაამშვიდა როლფმა.

ცხოვრება ვან-ტროპერის ფერმაში მშვიდად მიედინებოდა. დიასახლისი ერთი კვირის წინ მორჩა; ანეტა ახლა ჩვილსა და ორს კიდევ სხვა ბავშვს უვლიდა. ფერმის პატრონმა, ჰენდრიკმა, მოულოდნელი დახმარების წყალობით საქმე გამოასწორა და ძველი საზრუნავი ახლა უკვე იოლად ეჩვენებოდა. ინდიელებისადმი უნდობლობამ უკვალოდ გაუარა. განსაკუთრებით როლფი მოეწონა, რომელიც უფრო გულღია გამოდგა. ჰოლანდიელი პირველად გააკვირვა ცისფერი თვალებისა და მუქი კანის უცნაურმა შეხამებამ, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, მეტისი იქნებაო.

როლფი აგვისტოში მშვენივრად გრძნობდა თავს, კუონებს კი თანდათანობით მოწყენა დაეტყო. მკრთალსახიანივით გულმოდგინედ მუშაობა მას მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში შეეძლო. თავისი ხალხის ჩვეულებათა ერთგულს ხანგრძლივი შრომის ატანა ეძნელებოდა.

— რამდენი გვაქვს ფული, ნიბოვაკა? — შეეკითხა იგი თავის მეგობარს შუა აგვისტოში. როლფმა იანგარიშა: კუონებს ორი კვირისა — თხუთმეტი დოლარი, მას — ათი დოლარი, ძროხის პოვნისათვის — ორი დოლარი. ცოტა იყო.

სამი დღის შემდეგ კუონები ისევ შეუდგა თვლას. მეორე დღეს თქვა:

— ჩვენ აქედან ტბების გაყინვამდე ორი თვით ადრე უნდა წავიდეთ, რომ კარგი ადგილი მოვძებნოთ და ქოხის აშენება მოვასწროთ.

მაშინ როლფმა ნამდვილი სიბრძნე გამოიჩინა: მივიდა მოხუც ჰენდრიკთან და გულახდილად სთხოვა ნავი თავის ყოველგვარი საჭირო მოწყობილობით: ჯერ დაუკავებელი სანადირო უბანი უნდა ვეძებოთ, რადგან მონადირეთა კანონი მეტად მკაცრიაო. სიკვდილით დასჯაც კი არ ითვლება მეტისმეტ სიმკაცრედ სხვის უბანზე ნადირობისთვის. გამოირკვა, რომ ვან ტროპერს შეეძლო მათ სანადირო ადგილის ძებნაში დახმარებოდა.

— ვერმონტზე ან შამპლეინისა და ჯორჯის ტბების მახლობელ უბნებზე ფიქრიც ზედმეტია; ყველაფერს ისევ შორეული ჩრდილოეთისაკენ წასვლა სჯობს. ასე იქცევიან ფრანგები, მამაცი მონადირეები. ჰამილტონის საგრაფო ნადირით უმდიდრესი ადგილია, მაგრამ თითქმის მიუვალია, რადგან არც გზა უდგება და სანაოსნო მდინარეებიდანაც შორსაა. სწორედ მიუდგომლობაა იმის მიზეზი, რომ ეს ადგილი ასე ნაკლებადაა ცნობილი.

ეს ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ მხიარულ ჰენდრიკს არ ეჭაშნიკა, რომ ასე მოულოდნელად მოვლენილი მომხმარეები წასვლას აპირებდნენ. ცოტა ფიქრის შემდეგ მან მეგობრებს ასეთი რამ შესთავაზა: თუ ისინი სექტემბრამდე დარჩებოდნენ და ზამთრისათვის ყველა სამუშაოს მოათავებდნენ, იგი მათ ჯამაგირის გარდა მისცემდა ნავს, ცულს, ექვს წავისა და ერთ მელიის ხაფანგს — ფარდულში რომ ეკიდა. თავისი ფურგონით მიაცილებდა მდინარე სკრუნამდე, რომელიც მათ ზემო ჰუძონამდე მიიყვანდა. აყვებოდნენ ჰუძონს ორმოციოდე მილზე და ბოლოს მიადგებოდნენ მდინარეს, რომელიც დიდი ჭაობიდან გამოდის. გაივლიდნენ კიდევ ათ მილს ამ მდინარით და მივიდოდნენ ჯესუპას ტბაზე (სიგანით ორი მილი და სიგრძით თორმეტი). ეს ადგილი სავსეა ნადირით, მაგრამ ისეთი მიუვალია, რომ მონადირე ჯუზეპის სიკვდილის შემდეგ აქაურობას აღარავინ გაკარებია. ასეთ წინადადებას, რა თქმა უნდა, სრული თანხმობა მოჰყვა.

მუშაობისაგან თავისუფალ დროს კუონებმა ნავი ფარდულთან მოათრია, მოაცილა ქერქი და ბრეზენტი, მოაძრო მენიჩბეთა მძიმე სკამები, შეაკეთა კავშირები, გააშრო, გაფისა, ასე რომ, ნავის წონამ ას გირვანქამდე დაიკლო. იმავე დღეს საცდელად ინდიელმა ამ ნავით ტბა გადაცურა.

დადგა სექტემბერი. დილით ადრე კუონები ტბისკენ გაემართა; ავიდა სერზე, დაჯდა პირით ამომავალი მზისაკენ, ტამტამის ნაცვლად ჯოხი ჯოხს შემოჰკრა და დილის ცისკრის სიმღერა დაიწყო. ხოლო როცა მზე ამოვიდა, მონადირის სიმღერა თქვა:

მამავ, გვიჩვენე გზა!
გვიჩვენე სანადიროდ კარგი ადგილი!

და თავისი სიმღერის ჰანგზე ცეკვა დაიწყო. სახე ცისკენ მიეპყრო, თვალები დაეხუჭა, ფეხებს თითქმის არ აშორებდა მიწას, ოდნავ შესამჩნევად ამოძრავებდა. ასე სიმღერითა და ცეკვით ინდიელმა, სამი წრე შემოიარა მზის მოძრაობის მიმართულებით.

XVII
ნავით ჰუძონის აყოლებით

ახალმოსახლე ჰელეტი ხალისით ათხოვებდა ხოლმე მეზობლებს თავის ბრტყელძირიან ხომალდს ტბის მეორე ნაპირზე გადასასვლელად.

იმ დილით, როცა მგზავრობა იყო დანიშნული, ამ ხომალდზე მოთავსდნენ ცხენები, ფურგონი, ნავი, ჰოლანდიელი, კუონები და როლფი. სკუკუმმა ცხვირზე დაიკავა ადგილი. ყველაფერი მზად იყო სამგზავროდ. როლფს ემძიმებოდა ჰოლანდიელის ოჯახთან დაშორება. ობოლს დედასავით შეუყვარდა დიასახლისი და ბავშვებსაც და-ძმებივით შეთვისებოდა.

— მალე დაბრუნდი ჩვენთან, ჩემო კარგო! მოგვინახულე! — უთხრა ჰოლანდიელმა დედამ და აკოცა. როლფმა კი ანეტას და სხვა ბავშვებს აკოცა.

მგზავრები ხომალდზე ავიდნენ და გრძელი ორთაყვირებით იგი ნაპირს მოაცილეს.

ღრმა ადგილზე რომ გავიდნენ, ნიჩბები მხოლოდ მაშინ მოიმარჯვეს. ქროდა აღმოსავლეთის ქარი და ფურგონის სახურავი იალქნის მაგივრობას წევდა. ორიოდე საათის შემდეგ ნავი მშვიდობით მიადგა დასავლეთის ნაპირს, სადაც სავაჭრო საწყობი იყო, აქედან მდინარე სკრუნისკენ მიმავალი გზა იწყებოდა.

საწყობის კარებთან ვიღაც უკმეხი კაცი შემოხვდათ; იგი კედელს მიყრდნობოდა, ჯიბეებში ხელები ჩაეწყო და ახალმოსულებს ზიზღით ათვალიერებდა. ახლოს რომ ჩაუარეს, უცნობმა მონადირეებს ფეხებში თამბაქო მიაპურჭყა.

საწყობის პატრონს, მოხუც უორენს, არ უყვარდა ინდიელები, მაგრამ ჰენდრიკის მეგობარი იყო, თანაც ბეწვეულით ვაჭრობდა და ამიტომ კარგად მიიღო მონადირეები და საქონელიც მისცა. მეგობრებმა ჰენდრიკის ნაწყალობევს დაუმატეს ფქვილი, შვრიის ღერღილი, ღორის ხორცი, კარტოფილი, ჩაი, თამბაქო, შაქარი, მარილი, თოფის წამალი, ტყვია, საფანტი, მაუდი, ნემსები, ძაფი, კიდევ ერთი ნაჯახი, რამდენიმე კალის თეფში და ტაფა.

— მე თქვენს ადგილზე წამოსასხამსაც ვიყიდდი: გამოგადგებათ ცივ ამინდში, — ურჩევდათ გამყიდველი.

შემდეგ უორენმა ისინი ფარდულში წაიყვანა. აქ უამრავი ფანჯრის ჩარჩო ელაგა, ერთი მათაც იყიდეს.

— არ გინდათ კარგი თოფი?

უორენმა ახალი, ლამაზად ნაკეთები, უკანასკნელი ნიმუშის თოფი გადმოიღო. — სულ 25 დოლარი ღირსო. — როლფმა თავი გაიქნია. — ფულს ნაწილს ახლა, — დანარჩენს გაზაფხულზე გამოგიბრითო ტყავებში.

თოფმა მოხიბლა როლფი, მაგრამ ყოველგვარი ვალებისადმი აუწერელმა შიშმა აიძულა გადაწყვეტით ეთქვა: «არა!» მერე კი ბევრი ინანა, მაგრამ გვიან იყო.

გადაწყვიტეს, საყიდლებს გადარჩენილი ფული გადაენახათ.

ნავაჭრს რომ ალაგებდნენ, გარედან საშინელი წკავწკავი მოისმა. ერთი წუთის შემდეგ დუქანში სკუკუმი შემოვარდა. ლეკვი ისე ყეფდა, იფიქრებდით, დაჭრესო.

კუონები დუქნიდან გავიდა: — შენ დაარტყი ჩემს ძაღლს? — უცნობი წითელკანიანის თვალებს წააწყდა და სახე ეცვალა.

— არც მიფიქრია! ძაღლი, აი, ამ ფარცხს დაეჯახა თვითონ.

ეს აშკარაა ტყუილი იყო, მაგრამ კუონებმა გადაწყვიტა, ყურადღება არ მიექცია უტიფრისათვის და დუქანში შებრუნდა. ის უხეში უცნობიც თან შეყვა.

— რას იტყვი, უორენ? დამითმობ მაგ თოფს? მე სხვაზე ნაკლებად არ შევასრულებ დაპირებულს.

— არა, — უპასუხა უორენმა. — აკი გითხარი ერთხელ, არა.

— არადა, ეშმაკსაც წაუღიხარ. ვეღარ მოგართვი ის ტყავი, შარშან რომ მოგიმზადე.

— მე ის არც მჭირდება, — უპასუხა უორენმა. — ვიცი შენი სიტყვის ფასი.

უცნობი გავიდა.

— ვინ არის? — იკითხა ჰენდრიკმა.

— ვიცი მხოლოდ, რომ ჯეკ ჰოგს ეძახიან. თავის თავს მონადირეს უწოდებს, ნამდვილად კი მაწანწალაა. შარშან დიდ ხათაბალას გადამკიდა. აქაური არ არის; ამბობენ, სადღაც იქიდან არისო, დასავლეთის ფერდობებიდან.

უორენმა ბევრი ცნობა მიაწოდა მათ გზის შესახებ, აუხსნა, რომ მდინარე ჯესუპას შესართავის ცნობა ხმელი ფიჭვის კენწეროზე გაკეთებული არწივის ბუდით შეგიძლიათო.

— ტბამდე სულ მდინარეს მიჰყევით, და არ დაივიწყოთ, რომ მომავალ გაზაფხულს მე ვყიდულობ თქვენს ბეწვეულს.

მხოლოდ ორი საათის შემდეგ მიაღწიეს მდინარე სკრუნს.

აქ ჰოლანდიელი გამოემშვიდობა მოგზაურებს.

— ნახვამდის! გელით, მომავალ ზაფხულსაც მომეხმარეთ.

სკუკუმმა ნელი ღრენით გააცილა ფერმერი. დარჩნენ მარტოდ როლფი და კუონები უდაბურ ადგილას.

მზე უკვე ჩადიოდა და ღამის გასათევად მზადება იყო საჭირო. გამოცდილი მონადირეები საწოლს დღის სინათლით იმზადებენ. სანამ როლფი ცეცხლს დაანთებდა და კარდალას შემოდგამდა, კუონებმა ორ ხეს შუა ვაკე ადგილი მონახა და ფიჭვის ტოტებით დაფარა იგი. შემდეგ ტილოსაგან კარვის მსგავსი რამ მოაწყო და ხის ტოტებზე დააკრა, ტილოს ბოლოები კი სახელდახელოდ გამოთლილი პალოებით მიწაზე დაამაგრა. ამგვარად, მოგზაურებს ავდრისა აღარ ეშინოდათ.

ვახშამი ამჯერადაც ჩაის, კარტოფილის, შემწვარი ღორის ხორცისა, ნეკერჩხლის სიროფისა და ორცხობილასაგან შედგებოდა. ნავახშმევს კუონებმა დღისით მოჭრილი ტირიფის წნელი ისე ჩამოთალა, რომ ხუჭუჭა ბურბუშელა ერთ მხარეზე შეატოვა. მერე ცეცხლზე გააჩერა, სანამ ყავისფრად არ შეიტრუსა. მერე ხელის გულზე მოფშვნა, თამბაქოში გადაურია და ჩიბუხი გატენა. მალე იგი კვამლში გაეხვია. ამ კვამლის განსაკუთრებულ სუნს «ინდიელების სუნს» ეძახიან. როლფი არ ეწეოდა. თავის განსვენებულ დედას აღუთქვა, სანამ დიდი არ გავიზრდები, არ მოვწევო. ამ წუთში მან

ნათლად წარმოიდგინა დედა, რადგან ბალზამის ფიჭვის ტოტების სუნი იგრძნო. ტოტებისაგან საწოლები გაემართა კუონებს, რომელიც ამ ფიჭვს «ჩოკოტუნგს» უწოდებდა. როლფის დედას დივანზე ყოველთვის ედო ჩრდილოეთიდან ჩამოტანილი ბალიში, რომელსაც იგი «ჩრდილოეთის ფიჭვს» ეძახდა, რადგან ბალზამის ფიჭვი კონექტიკუტში არ ხარობს. პატარა როლფი სიამოვნებით ყნოსავდა ხოლმე ამ ბალიშს. ეს სურნელი მისთვის ყოველივე ძვირფასის წმინდა სიმბოლოდ იქცა. მშვიდად ეძინა ამ ღამეს ბიჭს და ძილშიაც ირგვლივ დაღვრილი ჩრდილოეთის ფიჭვის სურნელსა გრძნობდა.

დილით გამოირკვა, რომ ამგზავრება არც ისე ადვილი იყო. პირველ დღეს ბევრი რამ აღმოჩნდა ჩასაწყობი და გადასაზიდად გასამზადებელი: უნდა შეეკრათ ორი ფუთა, მოეფიქრათ, როგორ გაეწყოთ ნავი, რა ბარგი დაეწყოთ ზევით, რომ თუ ნავში წყალი შევიდოდა, არ დასველებულიყო. მძიმე ცულები და ტაფა ზედ ნავზე უნდა მიეკრათ, ან ისეთ რამეზე, რომ თუ ნავი გადაბრუნდებოდა, არ ჩაძირულიყო. ერთი საათი მაინც გავიდა, სანამ ისინი ნაპირს მოსცილდებოდნენ და სკრუნს დაღმა დაყვებოდნენ.

როლფი პირველად მოგზაურობდა წყალზე. ერთხელ პაიპსტეს ტბორზე სცადა ნავით ცურვა, მაგრამ ეს უბრალო გართობა იყო. ახლა კი ნამდვილი მოგზაურობა იწყებოდა. ბიჭი გაკვირვებული იყო ამ მჩატე ნავის მორჩილებით, მისი მსუბუქი რწევით, დაუყოვნებელი პასუხით ნიჩბის ყოველ მოძრაობაზე, წყალქვეშა ქვებზე მოქნილი ხტუნვით. კუონები ასწავლიდა, ნავში მაშინ უნდა ჩაჯდე, როცა იგი ფსკერს არ ეხებაო. ბიჭმა ისწავლა ნავში ადგილის ცვლაც. გაიგო, რომ ექვსი ფუტის სიღრმეზე უფრო ადვილია ნიჩბის მოსმა, ვიდრე ექვსი დუიმის სიღრმეზე.

ერთ საათში ხუთი მილი გაიარეს და ჰუძონს მიადგნენ. აქ ნიჩბების მოსმა უფრო გაუჭირდათ, რადგან ახლა აღმა მიცურავდნენ. ბოლოს ისეთ თავთხელში მოხვდნენ, რომ ნავი ვეღარ გავიდა. გადმოხტნენ და ფეხით იარეს ღრმა ადგილამდე, შემდეგ ისევ ხალისით მოუსვეს ნიჩბები. მალე გაუვალი ჭორომები შემოხვდათ და როლფი ახლა ტვირთის ზურგით გადატანას გაეცნო.

კუონებმა შორიდანვე შეამჩნიეს შმაგი, აქაფებული წყალი, ნაპირები გულდასმით შეათვალიერა და მოხერხებული ნავმისადგომი შენიშნა. ისეთ ადგილს უნდა მისდგომოდნენ, რომ ტვირთის შორს გადატანა არ დასჭირებოდათ. არ არის ჩრდილო ამერიკაში არც ერთი ჭორომი, რომ მენავეს ტვირთის გადატანა არ მოუხდეს. ყველა, ვინც ასეთ მდინარეზე მგზავრობს, იძულებულია, ბარგი ნავიდან გადმოიღოს ხოლმე. წინასწარ კარგად უნდა მოისაზროს, სად მიადგეს და როგორ. ადგილის შერჩევა გულმოდგინე დათვალიერების შემდეგ ხდება. ყოველი მოგზაური რამე ნიშანს ტოვებს ხოლმე მისადგომზე, რომ შემდგომ მგზავრს ამით ზედმეტი ზრუნვა ააცილოს და დროც დააზოგინოს.

— ასე! — თქვა კუონებმა კარგა ხნის ფიქრის შემდეგ და ნავი ბრტყელი ქვისაკენ სწრაფად მიმართა. ნაპირზე ცეცხლის ნაკვალევი ნახეს. შუადღე იყო. სანამ როლფი სადილს მოამზადებდა, კუონებმა აიღო პატარა ფუთა და გზის საძებნად წავიდა. ეტყობოდა, ამ გზით ორი წლის განმავლობაში

არავის გაევლო. ასეთი გზა, ჩვეულებრივ, მდინარეს გასდევს. კუონები წყალს თვალს არ აშორებდა, რადგან მისთვის ახლა სანაოსნო ადგილის მონახვა იყო მთავარი. ასი ნაბიჯიც არ გაევლო, რომ წყნარი მდინარება და მისადგომად მარჯვე ადგილი დაინახა.

ნასადილევს, როცა ინდიელმა ჩიბუხი მოწია, ორთავენი საქმეს შეუდგნენ. მათ რამდენიმე გზა გააკეთეს წინ და უკან, ჭორომზე გადაიტანეს მთელი ბარგი და ბოლოს ნავიც, რომელიც შემდეგ წყალში ჩაუშვეს და ნაპირთან მიაბეს.

ბარგი ისევ ჩაალაგეს ნავში და გზას გაუდგნენ. მაგრამ ნახევარი საათიც არ უვლიათ, ისევ ჭორომს წააწყდნენ. წყალი აქ უფრო წყნარი იყო, მაგრამ ისეთი თავთხელი, რომ ნავი ვერ გაივლიდა, თუნდაც ორივე მენიჩბე ძირს გადმოსულიყო. კუონებმა ტვირთის ნახევარი ნაპირზე გადმოზიდა. მერე ნავი ასწიეს, ჭორომის მეორე მხარეზე გადაიტანეს და იქ ისევ დატვირთეს. ერთ ხანს მდორე წყალს მიყვნენ, მაგრამ შემდეგ არაჩვეულებრივი ჩქარი დინება შეხვდათ. ინდიელი ნაპირზე გადმოვიდა და თხმელის ორი გრძელი, მაგარი ჯოხი მოჭრა, შემდეგ როლფი კიჩოზე დააყენა, თვითონ კი ცხვირზე დადგა; ჭოკების დახმარებით მათ ფრთხილად გადაატარეს ნავი ჩქერებზე და მშვიდობით მიაღწიეს მდორე ადგილამდე.

მალე კუონებს ნავის ზურგით თრევა მოუხდა. სწრაფ დინებაში მოხვდნენ. ასეთი დინება სახალისოცაა, თუ დაღმა მიყვები მდინარეს, მაგრამ ისინი ხომ აღმა მიცურავდნენ. ორივე ნაპირი უტყეო იყო, გაშლილი. კუონებმა ტომრიდან გრძელი თოკი ამოიღო და ერთი ბოლო ნავის ცხვირს გამოაბა, მეორე თავის ირმის ტყავის ქამარზე მიიმაგრა. როლფი კიჩოზე დარჩა და საჭეს მართავდა, კუონები კი ნაპირს გაყვა და ნავი ჩანჩქერის ბოლომდე მიათრია.

დღითი დღე ასე მიიკვლევდნენ გზას ისინი სწრაფ მდინარეზე. ხანდისხან, მიუხედავად მთელი მონდომებისა, ხუთ მილზე მეტს ვერ გადიოდნენ. ჭორომები, მეჩეჩები, ჩანჩქერები ერთმანეთს მოსდევდა. და როდესაც გაიარეს ორმოცდაათი მილი მდინარე ჭესუპის შესართავამდე, მიხვდნენ, თუ რატომ იყო ეს ადგილები ასე უკაცური.

მოგზაურობამ გამოაწრთო როლფი. იგი ჩინებული მენიჩბე დადგა. მაგრამ წარმოიდგინეთ მოგზაურთა სიხარული, როცა, ერთ საღამოს, დიდი ჭაობის ბოლოში მდგარ მაღალი ფიჭვის კენწეროზე არწივის ბუდე დაინახეს. თითქოს საკუთარ მიწაზე მისულიყვნენ, ისე იგრძნეს თავი.

XVIII
ცხოველთა ცხოვრება მდინარის ნაპირებზე

ნუ იფიქრებთ, რაკი ჩვენ არაფერი გვითქვამს ცხოველებზე, სანამ კუონები და როლფი მოგზაურობდნენ, თითქოს ისინი მათ არ ხვდებოდნენ მდინარის ნაპირებზე. ნავიდან კაცი უფრო ხშირად ხედავს ცხოველებს, ვიდრე ტყე-ტყე მოსიარულე. პირველივე შესვენებისას მათ სხვადასხვა ნადირის მრავალი ნაკვალევი შენიშნეს. იმ დილით კი, ჰუძონს რომ აღმა მიუყვებოდნენ, როლფმა პირველად ირემი დაინახა. ჩქერებს გვერდს უვლიდ-

ნენ, რომ კუონებმა უცებ ორჯერ შემოჰკრა ნავს, რაც ნიშნავდა: «ყურადღებ!» და თავი ნაპირისაკენ გაიქნია. იქ, მდინარიდან ორმოცდაათ ნაბიჯზე, ირემი იდგა და მოგზაურებს უცქეროდა. იდგა უძრავად, ალისფერი ქანდაკების მსგავსად, რადგან წელიწადის ამ დროს ირმის ბეწვი მუდამ მოწითალოა ხოლმე. კუონებმა სამ-ოთხჯერ მძლავრად მოუსვა ნიჩბებს. ნავი სწრაფად გავარდა წინ და ინდიელი თოფს წასწვდა, მაგრამ ირემი დიდ-დიდი ნახტომებით გაიქცა, მისი კუდის თეთრმა ფუნჯმა ხეებში გაიელვა და ნადირი ტყეს შეერია. მოჯადოებულივით იჯდა როლფი. ყველაფერი მოულოდნელად მოხდა... ირემი ისე ახლოს იყო... და მოჩვენებასავით გაქრა ტყეში. ბიჭი შეტოკდა კიდეც, როცა ირემი გაუჩინარდა.

ერთი-ორჯერ, საღამოს, მუშკის ვირთაგვა დაინახეს. ერთხელაც წყალში რაღაც შავი, მბზინავი საგანი შენიშნეს, ვეებერთელა წურბელას ჰგავდა. «წავი», — წაიჩურჩულა კუონებმა და თოფი მოიმარჯვა, მაგრამ წავმა ჩაყვინთა და მეტად აღარ გამოჩენილა.

ერთ-ერთი შესვენების დროს მეგობრები სასთუმალთან ატეხილმა უცნაურმა რაკარუკმა და უსიამო მწლაკუნმა გამოაღვიძა. წამოდგნენ და რას ხედავენ, მაჩვზღარბი მიდგომია ტაფას და ცდილობს, როგორმე ზედ დარჩენილი მარილი ამოჭამოს. ხეზე მიბმული სკუკუმი ყეფდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, ამაოდ ცდილობდა დაესაჯა თავხედი. მოგზაურებმა ქურდთან ვერაფერი გააწყვეს. სანამ ჯამ-ჭურჭელი ისეთ ადგილზე არ ჩამოჰკიდეს, სადაც აბეზარი სტუმარი ვერ შეწვდებოდა.

ერთხელ მელას კივილიც გაიგონეს, ერთი-ორჯერ სანადიროდ გამოსული მგლის გულისგამაწვრილებელი ყმუილიც მოესმათ. გარეულ ფრინველს ბევრს ხვდებოდნენ, ხშირად ჰქონდათ ხოლმე სადილად იხვი.

მეორე დღეს სამი ირემი დაინახეს. კუონებმა თოფი ტყვიით გატენა და უთენია ტყეს მიაშურა. როლფს გაყოლა უნდოდა, მაგრამ ინდიელმა თავი გაიქნია.

— აქ დარჩი და ნახევარი საათის შემდეგ ცეცხლი დაანთე.

ოცი წუთის შემდეგ როლფმა თოფის ხმა გაიგონა. ცოტა ხანიც და ზურგზე ირმის ბარკალგადაკიდებული ინდიელიც დაბრუნდა ბანაკში. სანამ გზას განაგრძობდნენ, მდინარეს აღმა აყვნენ ერთ მილზე, გამოიტანეს ირმის დანარჩენი ხორციც და ნავში ჩააწყვეს. შვიდი ირემი კიდევ დაინახეს, მაგრამ ხელი აღარ უხლიათ, თუმცა როლფს ერთი სული ჰქონდა, სანამ თავს ნადირობაში გამოცდიდა. ერთხელ, ტყეში ხეტიალისას, როლფმა, უფრო სწორად კი სკუკუმმა, როჭოების გუნდს მიაგნო. ფრინველები ხეზე ისხდნენ. მგზავრები შეჩერდნენ. სანამ სკუკუმი ყეფით როჭოების ყურადღებას იქცევდა, როლფმა საჩიტე ისრით ხუთი ფრინველი ჩამოაგდო. მაგრამ როლფის გონება მაინც ირემზე ფიქრით იყო შეპყრობილი. გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მარტო წასულიყო სანადიროდ და შინ ირმის ხორცით დატვირთული დაბრუნებულიყო.

განთიადისას მდინარის საქცევს რომ უვლიდნენ, ქვიან ნაპირზე შავი დათვი დაინახეს ორი ბელით. ცხოველები დროდადრო წყლისკენ იხრებოდნენ და კიბოები ამოჰყავდათ.

კუონებს ბავშვობის შემდეგ, რაც მამამისი მიანოსის გადაღმა მთებზე ნადირობდა ხოლმე, ტყეებში დათვი აღარ შეხვედრია და ამიტომ ძლიერ აღელდა. ნიჩბებს მოეშვა, როლფსაც ანიშნა, ნუ უსვამო, ნავი ისეთი ადგილისაკენ წაიყვანა, საიდანაც მათ დათვები ვერ შენიშნავდნენ და ნაპირზე ამოვიდა. ნავი მიაბეს. ინდიელმა თოფი აიღო, როლფმა — მშვილდ-ისარი, სკუკუმს თოკი ჩააბეს და ტყეში შევიდნენ. იმ ადგილისაკენ გაემართნენ, სადაც დათვები შეამჩნიეს. ცდილობდნენ ხეებს მოფარებოდნენ, რომ მხეცებს არ შეემჩნიათ. რა თქმა უნდა, ქარის საწინააღმდეგოდ მიდიოდნენ. ზურგის ქარზე დათვები ახლოსაც არ მიუშვებდნენ. მონადირეები თანდათანობით უახლოვდებოდნენ დათვების ოჯახს. ხელსაყრელ შემთხვევასღა ელოდნენ. უდიდესი სიფრთხილით მიიწევდნენ წინ და მათი ანგარიშით, ახლა უკვე ოცდაათიოდ ნაბიჯზე უნდა ყოფილიყვნენ დათვებიდან, რომლებსაც ხშირი ბუჩქნარი ფარავდა. კიდევ უფრო წინ მოინდომეს წასვლა, მაგრამ უცებ დედა დათვმა ჭამას თავი გაანება და შეეჭვებულმა ცხვირით ჰაერი მოსუტა. ქარმა მხარი იცვალა და ნადირმა ადამიანის სუნი იგრძნო. «უფ! უფ! უფ!» — ხმამაღლა დაიფრუტუნა მან და, რაც ძალა შესწევდა, მოუსვა ტყისაკენ. მონადირეები მიხვდნენ, შეგვამჩნიესო, და ერთი ყვირილით გამოცვივდნენ ბუჩქებიდან, იქნებ ხეზე შევაგდოთ დედა დათვიო. ნადირი კი კარგი ცხენივით დაოთხილი ტყისკენ მიექანებოდა, უკან სკუკუმი მისდევდა ყეფით. უდედოდ დარჩენილი ბელები სულ მთლად დაიბნენ ხმაურისაგან, იქვე მახლობლად ხეს მივარდნენ და სწრაფად აცოცდნენ. «ახლა, — გაიფიქრა როლფმა, — დედა დათვი მობრუნდება და ხელჩართულ ბრძოლას გაგვიმართავს».

— დაბრუნდება? — იკითხა აღელვებულმა.

ინდიელს გაეცინა.

— არა, გაიქცა. შავი დათვი ძალზე მშიშარაა. ყოველთვის ცდილობს, ბრძოლას თავი აარიდოს.

ხეზე აცოცებული ბელები, რა თქმა უნდა, მონადირეების ხელში იყვნენ.

— ჩვენ ხორცი აღარ გვჭირდება. გავუშვათ, იცოცხლონ, — თქვა როლფმა და იკითხა: — დედას იპოვიან?

— რა თქმა უნდა, ჩამოვლენ ხიდან და ყვირილს ატეხენ. დედა დათვი გაირბენს ნახევარ მილს და შეჩერდება. ღამეს ყველანი ერთად გაათევენ.

ასე დამთავრდა დათვზე პირველი ნადირობა. ერთხელაც არ უსვრიათ, დათვი არ დაუჭრიათ, ერთი მილიც არ უვლიათ და ერთი საათიც კი არ დაუკარგავთ, მაგრამ არასოდეს უღელვიათ ასე არც როლფსა და არც კუონებს.

XIX
ნაკვალევი ნაპირზე

მდინარე ჯესუპი წყნარი დინებით გამოირჩეოდა; სათავეს ჭაობიდან იღებდა და ხეებით რომ არ ყოფილიყო ჩახერგილი, ძლიერ მოხერხებული იქნებოდა სანაოსნოდ. ზოგი ხე დიდი ხნის მოჭრილი იყო. მაშასადამე, აქ

ოდესღაც მონადირეები ყოფილიყვნენ. ერთ ადგილას ჩვენს მოგზაურებს ელდა ეცათ: ნაპირზე ახალმოჭრილი ხე დაინახეს. მაგრამ წუხილი მალე სიხარულად შეეცვალათ, როცა დაუკვირდნენ და თახვების ნამოქმედარად შეიცნეს.

ამ დღეს ათი მილი გაიარეს. საღამოს ჯესუპის ტბის ნაპირას დაბანაკდნენ. თავს ამ ადგილების სრულუფლებიან მფლობელებად გრძნობდნენ და სიამაყე ემატებოდათ, გული სიხარულით ევსებოდათ. ამ ღამეს რამდენჯერმე მგლების ყმუილი მოესმათ ტბის შორეული ნაპირიდან. დილით ადგილმდებარეობის სანახავად გაემართნენ ფეხით და დიდად კმაყოფილი დარჩნენ, რადგან ხუთი ირმის კვალს წააწყდნენ. როგორც ჩანდა, აქ ირმების სამფლობელო იყო, თუმცა სხვა ცხოველების კვალიც ბევრი შეხვდათ, მაგალითად, წავისა, წაულასი. ნადირთა სიმრავლემ განაცვიფრა მეგობრები.

სულ უფრო და უფრო შორს მიიწევდნენ მონადირეები და წინასწარ ტკბებოდნენ მომავალი წარმატებებით, მაგრამ უცბად ისეთ რამეს წააწყდნენ, რომ ერთ წამში ჩამწარდათ მთელი სიამოვნება. მათ «ადამიანის კვალი» დაინახეს, ახალი კვალი ძროხის ტყავის ჩექმისა. ეს კვალი მათ ჭკუიდან შეშლიდა! მაშ აქ უკვე ყოფილა ვიღაც მონადირე და მას, როგორც პირველად მოსულს, შეეძლო თავისი უფლებები წამოეყენებინა ამ ადგილებზე. ერთ მილზე გაყვნენ ნაკვალევს. იგი ყველგან მდინარის ნაპირს მისდევდა. ნაბიჯები ფართო იყო; როგორც ჩანდა, კაცი დროდადრო გარბოდა, დასავლეთ ნაპირისაკენ მიემართებოდა. დასავლეთ ნაპირზე იპოვეს ადგილი, სადაც ეს კაცი მჯდარა, კარგა ბლომად ორსაგდულიანი ლოკოკინები უჭამია და მერე აჩქარებით განუგრძია გზა. ეს კი იყო, რომ იმ ადგილებში, სადაც კაცი მჯდარა, ვერსად თოფის კონდახის ან რაიმე სხვა იარაღის კვალი ვერ შეამჩნიეს. ან ჩექმები რად ეცვა? მონადირეები იშვიათად მოგზაურობენ ჩექმებით.

ორი მილი გაიარა ინდიელმა როლფთან ერთად. ნიშნები მიუთითებდნენ, რომ საძულველი უცნობი კი არ მიდიოდა, გარბოდა თითქმის. ბოლოს უკან გამობრუნდნენ ნანახით დანაღვლიანებულნი. ეს ამბავი ჯერ გამოუსწორებელ უბედურებად მიიჩნიეს, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტეს, რომ იყო კიდევ სამი გამოსავალი: შეიძლება ახალი უბანი ეძებონ უფრო ჩრდილოეთით, გაარკვიონ, იქნებ შეუძლიათ ტბის მეორე მხარე დაისაკუთრონ და გაიგონ, ვინ არის ის უცნობი. უკანასკნელზე შეჩერდნენ. ნავი ახსნეს, დატვირთეს და გზას გაუდგნენ იმის გამოსარკვევად, იყო თუ არა სადმე ტბის პირას მონადირის ქოხი, გუნებაში კი იმედოვნებდნენ, რომ არავითარი ქოხი არ შეხვდებოდათ.

გაცურეს ნაპირის გასწვრივ ხუთიოდე მილი, მოკლეს ორი ირემი და რამდენიმე იხვი და ნაპირს მიადგნენ. აქ მოგზაურებმა დაინახეს, რომ საძულველი ჩექმის კვალი სამხრეთისაკენ უხვევდა. შუადღისას უკვე ტბის სამხრეთ განაპირას იყვნენ, მაგრამ ქოხი არსად ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე მთელი დღე თვალწინ ჰქონდათ გადაშლილი. სულ უფრო და უფრო იდუმალი ხდებოდა უცნობი, მაგრამ ახლა ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ იგი აქ არ ცხოვრობდა და ამიტომ ამ უბანზე დასახლების უფლება მეგობრებს უდავოდ ჰქონდათ.

სად აეშენებინათ ქოხი? ყველგან თანაბრად მოსახერხებელი ჩანდა, მაგრამ სამოსახლოდ საერთოდ მდინარის სათავეს არჩევენ, რაკი ქარიშხლისას აქ არასოდეს იცის დიდი ღელვა. ყველა ცხოველი, რომელიც, ჩვეულებრივ, ტბას გაურბის, მდინარეზე გადასასვლელად სათავეს არჩევს ხოლმე; ახალმოსული მონადირე კი დასახლებულის ქოხს მდინარიდან ტბაში შესვლამდე დაინახავს.

კუონებმა გადაწყვიტა ქოხი დასავლეთ მხარეზე აეშენებინა, რომ მზის ამოსვლა დაენახათ ხოლმე. ტბის სიახლოვეს მაღალი მთა იყო კლდოვანი მწვერვალით. ინდიელმა ხელი იქით გაიშვირა და მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა: «აიდახო!» აქ, დასავლეთ ნაპირზე, სადაც ტბიდან მდინარე გამოდის, მათ ქოხის დასადგმელად ადგილის გაწმენდა დაიწყეს.

XX
მონადირის ქოხი

ალბათ, ყველა მონადირე, სანამ პირველად ქოხის შენებას შეუდგებოდეს, ასე ამბობს: «ერთი პატარა ქოხიც მეყოფა, ოღონდ ჭერი ჰქონდესო!» და ყოველი მონადირე ჯერ ისევ გაზაფხულის დადგომამდე რწმუნდება თავის შეცდომაში, რადგან პატარა ქოხი საცხოვრებლადაც ვიწროა და რაიმე მარაგსაც ვერსად შეინახავ. კუონები და როლფი ახალბედები იყვნენ ამ საქმეში და მათაც ეს შეცდომა დაუშვეს. პატარა ქოხი ააშენეს: 10 ფუტი სიგანით და 12 სიგრძით, ნაცვლად 12 ფუტისა სიგანით და 20 ფუტისა სიგრძით, კედლები კი 6 ფუტის სიმაღლისა, 8 ფუტის ნაცვლად. ხუროები მარჯვედ მუშაობდნენ და მშენებლობაც სწრაფად მიდიოდა წინ. ფიჭვი აქ ბლომად იდგა. პირველსავე დღეს ამოიყვანეს კედლები, მაგრამ რით გადაეხურათ? ცაცხვის ფიცრით, ყავრით თუ თიხით. უფრო ადვილი იყო თიხით გადახურვა. ზამთარში თბილი იქნებოდა და ზაფხულში გრილი. თუმცა თიხის სახურავს სამი ნაკლიც აქვს: წყალს ატარებს ხანგრძლივი წვიმების დროს, ცხელ და მშრალ ამინდში მტვერსა და ჭუჭყს აყენებს და იმდენად მძიმეა, რომ, ბოლოს და ბოლოს, კოჭები და ჩალანგრები ვერ უძლებს თუ ქვევიდან ბოძებს არ შეუყენებენ, ბოძები კი ქოხში ძალიან შეუშლიდათ ხელს. მაგრამ თიხის სახურავი ხელსაყრელი იყო და ამიტომ მშენებლებს ბევრი აღარ უყოყმანიათ.

— თიხის სახურავს ვაკეთებთ, — გადაწყვიტეს მათ.

კედლები რომ ხუთ ფუტამდე ავიდა, მშენებლებმა კარი და ფანჯარა გამოჭრეს. შემდეგ ძელების ბოლო რიგიც დააწყვეს და ჭერი დააგეს. ფიჭვის ორი ფიცარი მოამზადეს კარისათვის, ორიც უფრო მოკლე — ფანჯრისათვის. ბურღით ნახვრეტები გაუკეთეს, რომ მუხის ლურსმნებით ძელებზე მიემაგრებინათ.

გადაწყვიტეს, კუთხეში თიხით ღუმელი ამოეყვანათ. კუონებმა თქვა, ბუხრისთვის ქვები ტბიდან კი არ უნდა ამოვიღოთ (როგორც როლფს უნდოდა), არამედ მთიდან ჩამოვიტანოთო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ტბის ქვები წყლის სულებია, ცეცხლის სიახლოვეს ვერ ძლებენ და ყოველთვის სკდებიან. მთის ქვები კი მზის ცეცხლოვანი სულებია და ცეცხლიც მათთან მეტ სითბოს იძლევა. — თქვა კუონებმა.

ღუმელის გეგმა მეტად მარტივი იყო. როლფს ხშირად უყურებია, როგორ ამოჰყავდათ ღუმელი; თავი და თავი ის იყო, რომ საკვამური საკმაოდ ფართო ყოფილიყო და მისი ყველაზე ვიწრო ნაწილი ზედ ცეცხლის თავზე მოსვლოდა ღუმელს.

კარნიზები და თავბანდი ფიცხლად დააყენეს თავის ადგილას. მახლობლად სათიბში ხშირი ლაქაში მოჭრეს და ქოხი დახურეს. კუონებმა და როლფმა თავიანთი ხელით გაკეთებული ხის ნიჩბებით თიხა ამოიღეს და ბალახს ზემოდან დააყარეს, შემდეგ ნიჩბებით დატკეპნეს და სახურავი უკვე მზად იყო.

მორებს შორის დარჩენილი მოზრდილი ჭუჭრუტანები ბურბუშელით ამოავსეს, პატარები — ხავსით. კარი ფიცრებისაგან შეკრეს და ხის ორ მარჭვალზე ჩამოკიდეს.

იატაკის დაგება აღარ ინდომეს — მიწისაც გამოდგებაო. სამაგიეროდ, ხის საწოლები გაიკეთეს და მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, რამდენად პატარა იყო მათი ქოხი. მაგრამ საქმე უკვე მოთავებული იყო. ქოხში ტყისა და ხავსის სუნი იდგა. როლფი აღტაცებული იყო ამ სურნელებით.

კუონებმა ღუმელში საწვავი გულმოდგინედ შეაწყო, ჩიბუხი მოუკიდა და თავისთვის «სახლის სულებზე» სიმღერის ბუტბუტით ქოხს ირგვლივ შემოუარა. თან კვამლს სათითაოდ აბოლებდა ოთხივე მხარეს. შემდეგ ოთახში შევიდა და ჩიბუხიდან ღუმელში ცეცხლი დაანთო. ღუმელი რომ კარგად გაჩაღდა, შიგ ერთი მწიკვი თამბაქო და ირმის ბეწვი ჩაყარა. კერის პირველი დანთება აღსრულებული იყო.

მაინც კარავში ეძინათ. კუონებს არ უყვარდა ოთახში ძილი, როლფის გემოვნება კი სულ უფრო და უფრო ემთხვეოდა მეგობრისას.

XXI
როლფის პირველი ირემი

სანამ ქოხს აშენებდნენ, სანადიროდ ერთი საათითაც ვერ მოიცალეს, თუმცა ირმებს ხშირად ხედავდნენ ტბის იქითა ნაპირზე. ქოხი მოათავეს და ახალი ხორციც გამოელიათ. როლფმა ისარგებლა ამ შემთხვევით და თავისი ძველი სურვილის შესრულება სცადა.

— კუონებ, ირემზე სანადიროდ მინდა წავიდე მარტო და შენი თოფი დამჭირდება.

— კარგი, წადი! მხოლოდ გირჩევ, საღამოს წახვიდე.

და როლფი გაემართა მარტო, როგორც კი მზე ჩავიდა, რადგან დღისით, სიცხეში, ირმები, ჩვეულებრივ, დაბურულ ტყეში იმალებიან. ეს კი იცოდა, რომ ყოველთვის ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა ევლო და რაც შეიძლება ფრთხილად ყოფილიყო. მცირე ქარი ქროდა სამხრეთ-დასავლეთიდან და ამიტომ როლფი ტბის ნაპირით სამხრეთ-დასავლეთისაკენ გაემართა. ნაკვალევი ირგვლივ უამრავი იყო, მაგრამ ისე იყო ერთმანეთ-

ში არეული, რომ მათგან რომელიმეს გამორჩევა ძნელი იყო. გადაწყვიტა, ფრთხილად ევლო და მხოლოდ საკუთარ ბედს მინდობოდა. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. ხეებს შუა, ბუჩქებში, რაღაც მოძრაობა შენიშნა. ისევ სიწყნარე. რა იქნა ირემი, წავიდა? იქნებ ირემიც არ იყო? «არაფერი იღონო, სანამ არ დარწმუნდები, რა უნდა ქნა», — ასეთი იყო კუონების ერთი ბრძნული რჩევათაგანი. ამიტომ როლფს ჯერ უნდა გაეგო, რა მოძრაობდა ბუჩქებში. შედგა და დააყურადა. გავიდა ერთი წუთი... ორი... წუთები მიქროდა, იგი კი იდგა და ელოდა; ბუჩქებში სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ იყო. როლფმა უკვე გაიფიქრა, ალბათ, შევცდიო, მაგრამ მონადირის ინსტინქტმა უკარნახა, გამოერკვია, რაში იყო საქმე. ქარის მიმართულება რომ შეეტყო, ჯერ თითი დაისველა. «ქარი სამხრეთ-დასავლეთიდან უბერავს», — უთხრა თითმა. მერე რამდენიმე მუჭა გამხმარი ბალახი შეისროლა ზევით. ბალახმა უთხრა: «ჰო, სამხრეთ-დასავლეთისაა, მაგრამ ამ ნაკაფში სამხრეთისკენ უხვევს». აქედან მან დაასკვნა, რომ თამამად შეეძლო ბუჩქნარისთვის ჩრდილო განაპირიდან შემოევლო. თოფის ფისტონი შეამოწმა და ფრთხილად იწყო წინსვლა. ისეთ ადგილებს ირჩევდა, რომ ბუჩქებს არ წამოდებოდა და არ ეხმაურა. ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მიიწევდა წინ. ფეხს რომ აიღებდა, მხოლოდ მაშინ დადგამდა მიწაზე, როცა ყურადღებით დაათვალიერებდა, რა ჰქონდა ფეხებქვეშ. ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდა, გარშემო მიმოიხედავდა და ყურს უგდებდა. ასი ნაბიჯიღა დარჩენოდა მისთვის საინტერესო ადგილამდე, მაგრამ ამას თითქმის მეოთხედი საათი მოანდომა; ბევრჯერ შეკრთებოდა ხოლმე ჭრიჭინას ხმით ან კოდალას კაკუნით შეშინებული. გული სულ უფრო და უფრო მაგრად უცემდა, ასე ეგონა, ჩემი გულის ბაგაბუგი ირგვლივ ას ვერსზე ისმისო. მაგრამ მაინც განაგრძობდა წინსვლას, სანამ იმ ჩირგვნარამდე არ მიაღწია, რომელმაც ამდენ ღელვას წაჰკიდა ბიჭი. აქ შეჩერდა და ისევ გამოარკვია ქარის მიმართულება. მერე ნელა, ფრთხილად შემოუარა ამ ადგილს დასავლეთის მხრიდან.

დიდხანს, მომქანცველად დიდხანს მოუნდა უკანასკნელ ოც ნაბიჯს; ბოლოს, დიდი ირმის სულ მთლად ახალი კვალი დაინახა; ისევ აუფრთხიალდა გული. მოეჩვენა, თითქოს მთელი სისხლი თავში აუვარდა. მღელვარებისაგან სუნთქვა შეეკრა. გადაწყვიტა, ერთ ხანს კიდევ გაჰყოლოდა ამ კვალს. თოფი მოიმარჯვა და წინ ფრთხილად წავიდა. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ უკნიდან ხმამაღალი მსტვინავი სუნთქვა მოესმა. მყისვე შემოტრიალდა. პირისპირ ვეებერთელა, დიდებული ხარირემი ედგა. და აი, ცხოველი, რომელსაც იგი ასეთი მომქანცველი მონდომებით ეძებდა, ახლა მის წინ იყო, სულ რაღაც ოცდაათიოდ ნაბიჯზე. ადამიანი და ნადირი რამდენიმე წამის განმავლობაში უძრავად იდგნენ და ერთმანეთს უცქერდნენ. ფრთხილად, ზედმეტი მოძრაობის გარეშე, როლფმა შემართა თოფი... ირემი იდგა და უყურებდა.

თოფი შემართული იყო, მაგრამ რა საშინლად, რა საზიზღრად უხტოდა იგი როლფს ხელებში; რაც უფრო ცდილობდა მაგრად დაეჭირა, მით უფრო მეტად უტოკავდა. როლფს სუნთქვა ეკვროდა, მუხლი ეკვეთებოდა, ხელები უცახცახებდა, და სწორედ იმ წამში, როცა ირემმა კუდი ასწია და თავი

მიაბრუნა, რომ უკეთ შეეთვალიერებინა თავისი მტერი, მან გამოკრა ჩახმახს.

ჰაფ! — და იმავე წამში ირემი გაქრა.

საბრალო როლფი! როგორ შეეზიზღა თავისი თავი! ასე ახლოს, რაღაც ოცდაათ ნაბიჯზე იყო გვერდებგანიერი ირემი, ისიც დღის სინათლეზე და აცდინა. აი იქ, ხეზე ირმის თავიდან ხუთი ფუტით მაღლა ნახვრეტი ჩანდა შიგ ჩამჯდარი ტყვიით. «არაფრად ვვარგივარ და ვერც ვერასდროს გავხდები კარგი მონადირე», — ჩაილუღლუღა საბრალო ბიჭმა და ბანაკისაკენ გაბრუნდა ლასლასით. კუონებმა ყურადღებით შეათვალიერა მეგობარი, ალბათ გაიგონა თოფის ხმა. მაშინვე თვალში ეცა ჭაბუკის დაღვრემილი, ნაღვლიანი სახე. როლფმა თავი გაიქნია ინდიელის შემოხედვის პასუხად და თოფი ჯახუნით ჩამოჰკიდა კედელზე.

კუონებმა თოფი ჩამოხსნა, გაწმინდა, გატენა და როლფს უთხრა:

— ნიბოვაკა, შენ თავს კარგად ვერა გრძნობ. იცი, რატომ? ბედი გეწია, მაგრამ ირმის ცახცახი შეგეყარა. ასე იცის ყოველთვის პირველად; ხვალ წახვალ და მოინადირებ შენს ირემს.

როლფს არაფერი უთქვამს და კუონებმა განაგრძო:

— გინდა, გამოგყვე?

ეს სიტყვები გულზე მოხვდა ამაყ როლფს და სიმტკიცე დაუბრუნა.

— არა! მე ხვალ მარტო წავალ.

მეორე დღეს, ცვარის აშრობამდე, ისევ გაემართა სანადიროდ. წყნარი ამინდი იყო და დროდადრო მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთიდან ქროდა მსუბუქი ნიავი. როლფი ისევ გუშინდელ კვალს მიყვებოდა. შეამჩნია, რომ ცვარში, როცა ყველაფერი სველია, გაცილებით უფრო ადვილია უხმაუროდ სიარული. სწრაფად მიიწევდა წინ. საბედისწერო ველზე გავლისას ისევ შეამჩნია ნატყვიარი ხე. უცებ ჩხიკვის ძახილი გაისმა. ეს ირმის სიახლოვის მომასწავებელია მუდამ. გამოცდილმა მონადირეებმა კარგად იციან ჩხიკვის ამბავი, რაც არ უნდა მოხდეს ტყეში, იგი ყველაფერს გაამხელს ხოლმე.

როლფი შეჩერდა და ერთი წუთით დააყურადა — თითქოს რაღაც ფხაჭუნი მოესმა. ისევ დაიძახა ჩხიკვმა... მერე ყველაფერი გაირინდა ირგვლივ და ჩხიკვის ძახილიც სადღაც შორს მიწყდა. კიდევ რამდენიმე წუთს წინ მიდიოდა ფრთხილად და შემდეგ ისევ ისეთი მინდორი დაინახა. ბუჩქიდან ყურადღებით დაათვალიერა და შორს, ზედ მიწასთან რაღაც მოძრაობა შენიშნა. გული ჩიტივით აუფრთხიალდა მკერდში. კიდევ ერთხელ დაუკვირდა გულდასმით და ისევ შეამჩნია იგივე მოძრაობა. ახლა უკვე ცხადი იყო, რომ ფურირემის თავი ჩანდა ხშირ ბალახში. მოძრაობას, რომელსაც როლფი ხედავდა, ირემი ყურით აკეთებდა, რომ ზედ მჯდარი კოღო მოეგერიებინა. როლფმა ფისტონი გასინჯა, გული გაიმაგრა და თოფმომარჯვებულმა მოკლედ დაუსტვინა, ფური მაშინვე წამოხტა ფეხზე და იმავე წუთში მეორე, უფრო პატარა ირემი გამოჩნდა, მერე კიდევ ერთი ახალგაზრდა ხარირემი, და სუყველამ მისკენ დაიწყო ცქერა. როლფმა თოფი შემართა და შეამჩნია, რომ ისევ უკანკალებდა. დაუშვა თოფი და მკაცრად უთხრა თავს: «მე არ მინდა, რომ თოფი კანკალებდეს». ფური გაიზმორა და ნელა გაემართა ტბისკენ. მას პატარა ირემიც გაჰყვა. მარტო ხარირემიღა დარჩა. ისევ დაუს-

ტვინა როლფმა და ირემი უძრავ ქანდაკებად იქცა. მღელვარება რომ დაეოკებინა, როლფმა თქვა: «მინდა», მტკიცე ხელით შემართა თოფი, დაუმიზნა და ისროლა. ირემი შეკრთა, ისკუპა და გაქრა. როლფმა ისევ გატენა თოფი და წინ გასწია. იმ ადგილას, სადაც ირემი შეხტა, კვალი ღრმად ჩამჯდარიყო მიწაში, მაგრამ ბალახს ერთი წვეთი სისხლიც არ ემჩნეოდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ დაინახა ნაფეხურები, იქვე წითელი ლაქები და დიდძალი, დიდძალი სისხლი... ნახტომები სულ უფრო და უფრო მოკლე იყო... კიდევ ასი ნაბიჯი გაიარა... დიახ, ირემი იწვა უკვე... შიგ გულში დაჭრილი, სულთმობრძავი.

როლფმა ხმამაღლა შეჰყვირა და სადღაც ახლოდან საპასუხო ვაჟკაცური შეძახილი გაისმა. ტყიდან კუონები გამოვიდა.

— მოვკალი! — შესძახა როლფმა.

ინდიელს გაეღიმა.

— მე ვიცოდი, რომ მოკლავდი და გამოგყევი, გუშინ საღამოს ვიცოდი, რომ ირმის ცახცახი შეგეყრებოდა და მარტო გაგიშვი.

ფრთხილად გაატყავეს ირემი. ახლა როლფმა ამ საქმის ყველა საიდუმლოებაც შეიტყო.

ირმის ტანს ტყავი გააძვრეს (თავსა და ფეხებს ხელი არ ახლეს), კუონებმა გულმოდგინედ ამოჭრა ძარღვების ფართო ზოლი, რომელიც კუნთებს აფარია თეძოს ძვლებიდან დაწყებული მხრებამდე; ამ ძარღვებს ინდიელები ძაფის მაგივრად ხმარობენ. შემდეგ ხორცის ორი გრძელი ნაჭერი ამოჭრა ზურგის ორივე მხრიდან, და ასეთივე ორი — უფრო პატარა შიგნითა მხრიდან. ორი ეს ნაჭერი, ორი ბარკალი, ორი ბეჭი, გული და თირკმელები კუონებმა ტყავში შეახვია. შიგნეული, თავი, კისერი, ფეხები, ჩლიქები, მელიებისთვის გადასდეს; მენჯის ძვალი კი ხეზე ჩამოჰკიდეს, რომ დიდ სულს მოწყალება მოეღო და ხელი მოემართა ნადირობაში.

შემდეგ ირმის თავს მიუბრუნდა კუონები:

— ძმაო, მოგვიტევე! ვწუხვარ, რომ მოგკალით. მაგრამ აი, შეხედე, როგორ გცემთ პატივს.

წაიღეს ნადავლი და გაემართნენ უკან ბანაკისაკენ. ხორცი ტომრებში ჩადეს, რომ ბუზები არ დახვეოდნენ, და ჩრდილში ჩამოჰკიდეს. ტყავი ჭაობის თბილ ტალახში ჩაფლეს და სამი დღის შემდეგ, როცა ბეწვი გასცილდა, კარგად გაწმინდეს. ინდიელმა გაამზადა იფნის რკალი, ზედ ნედლი ტყავი გადააკრა და ინდიური ტამტამი გააკეთა.

ტამტამის გაშრობას ორი-სამი დღე მოუნდა. ტყავი შრებოდა და მისი ჭრიალი მოწმობდა, რომ იგი სულ უფრო მაგრად იჭიმებოდა.

საღამოს კუონები წყნარად ღიღინებდა ცეცხლის პირას და ახალ ტამტამს სინჯავდა.

სო დე ხო... ხი დე ხი.

მეორე დღეს ინდიელი უთენია ადგა, ავიდა მთაზე, ზედ მწვერვალზე წამოჯდა, ტამტამს შემოჰკრა და ამღერდა. ეს სიმღერა მას არ უმღერია იმ დღიდან, რაც ეზემუკის დიდ კლდეს მოშორდნენ:

მამავ, მადლიერი ვართ შენი:
კარგ ადგილებს მივაგენით სანადიროდ
და ჩვენს ვიგვამშიაც არის ხორცი.

XXII
ხაფანგები და მახეები

საზმთროდ ქოხი აიშენეს, საკვების მარაგიც დაიმზადეს და ახლა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან საქმეთა დროც დადგა: სანამ აცივდებოდა, ხაფანგებისა და მახეების ადგილი უნდა შეერჩიათ. დრო ჯერ საკმარისი ჰქონდათ, მაგრამ უნდოდათ, რაც შეიძლება ადრე გაეწყოთ ხაფანგები მთელ ტყეში, რომ, თუ ვინიცობაა, ვინმე ახალი მონადირე გამოჩნდებოდა, მიმხვდარიყო, აქ უკვე ვიღაც არისო. ბეწვიან ნადირთა უმრავლესობა — წავი, თახვი, წაულა, მუშკის ვირთაგვა, ენოტი — მეტწილად მდინარის სიახლოვეს ბუდობს ჭალებში. აქვე შეხვდებით იმ ცხოველებსაც, რომლებსაც წყალი არ ესაჭიროებათ, მაგრამ მაინც ეძებენ მას, რადგან წყლის პირას თავშესაფარს უფრო ადვილად შოულობენ და თან ნადავლიც იქვე ახლოს ეგულებათ. ასეთ ცხოველებს მიეკუთვნებიან ფოცხვერი, მელა, თევზიჭერია კვერნა და უბრალო კვერნა, რომლებიც კურდღლებითა და თაგვებით იკვებებიან. აი, რატომ არის, რომ ხაფანგებისა და მახეების ზოლი, ჩვეულებრივ, რომელიმე მდინარის ნაპირს მისდევს ხოლმე.

სექტემბრის ბოლოს როლფმა და კუონებმა წაიღეს ლოგინი, კარდალა, ოთხი დღის სამყოფი საგზალი, ორი ნაჯახი, გამოვიდნენ სახლიდან და სკუკუმის თანხლებით მდინარის ნაპირს გაყვნენ. მდინარე მათი ქოხის სიახლოვეს ერთვოდა ტბას. მეოთხედი მილის გავლის შემდეგ მათ პირველი კვერნის ხაფანგის ადგილი შეარჩიეს, დიდი ხის ქვეშ, მეჩეჩზე, რომელიც მდინარეს შეექმნა მოსახვევში. ხეს ნიშანი დაასვეს სამი მხრიდან. ორ ნაბიჯზე კიდევ ერთი მოხერხებული ადგილი იპოვეს და დანიშნეს მახისთვის. იმავე მეჩეჩზე ზიგზაგა ბილიკი შეამჩნიეს. როგორც ჩანდა, წავებს გაეთელათ.

— კარგი ადგილია რკინის ხაფანგისათვის, — შენიშნა კუონებმა. გზაში რამდენჯერმე ირემი წამოუხტათ. ერთ ნოტიო და ატალახებულ ადგილზე კი, სადაც, ჩვეულებრივ, ირმები გადადიოდნენ მდინარის მეორე ნაპირზე, უამრავი ნაკვალევი იყო, მათ შორის მგლების, დათვებისა და მთის ლომის, ანუ ავაზის. სკუკუმი სულერთიანად აიბურძგნა და შეშფოთებული სუნავდა მძვინვარე ავაზის ნაკვალევს.

ხუთი საათის სიარულისა და მუშაობის შემდეგ, მეორე მდინარეს მიადგნენ, რომელიც პირველს ერთვოდა, და იმ ადგილას, სადაც ორი მდინარის ჭალები კუთხეს ქმნიდნენ, მობინადრეებმა პატარა ხე დაინახეს, როგორღაც განსხვავებულად შემოღრღნილი და დაკაწრული მიწიდან სამი და ექვსი ფუტის სიმაღლეზე.

— დათვის ხე, — თქვა კუონებმა და როლფმა მეგობრისგან ასეთი რამ გაიგო: — დათვებს, ისევე როგორც სხვა ცხოველებს, თავისი წესი აქვთ იმ

უბნის დასანიშნავად, რომელსაც თავის საკუთრებად თვლიან. მეტწილად ისინი თავიანთ საკუთარ სუნს ტოვებენ არჩეული უბნის სხვადასხვა ადგილას. მაგრამ ხანდახან უფრო თვალსაჩინო ნიშანსაც ხმარობენ. თახვი, მაგალითად, ნიშნად ტალახის პატარა გუნდას ხმარობს, მგელი უკანა ფეხით თხრის მიწას, დათვი კლანჭებით ფხაჭნის და კბილებით ღრღნის ხეს. სანამ დათვი თავის შერჩეულ უბანზე ცხოვრობს, იგი ყოველთვის ანახლებს ხოლმე ამ ნიშანს, როცა სასიგნალო ხესთან გავლა მოუხდება. ამ ნიშნებს დათვები მეტწილად ზაფხულობით ასვამენ, როცა ცხოვრების თანამგზავრს ეძებენ და უღლდებიან. ამ დროს ისინი ტყე-ტყე დაეხეტებიან და შერჩეულ ხეებზე ნიშნებს ტოვებენ, ისე რომ, ყოველი დათვი თავისი ფაქიზი ყნოსვის წყალობით მიხვდება, რა სქესისა იყო ნიშნის დამტოვებელი ან საით წავიდა.

მონადირეები დათვის სასიგნალო ხეს წააწყდნენ. ცოტა ხნის შემდეგ კუონებმა როლფს აჩვენა ადგილი, სადაც ხესთან ერთმანეთზე კუთხურად გადადებულ ორ მორზე კვერნის რამდენიმე ბეწვი შერჩენოდა. ხე კლანჭებით იყო დაკაწრული და როგორიღაც თავისებური სუნი ასდიოდა. ეს კვერნის სასიგნალო პოსტი იყო. ადგილი მახის დასაგებად გამოდგებოდა.

მესამე ადგილი ბალახიან გაშლილ მინდორზე იპოვეს. აქ დიდ, თეთრ ქვაზე მელიას პატარ-პატარა გუნდები დაეტოვებინა.

— ყოველი მელა, — აუხსნა ინდიელმა როლფს, — როცა ამ ადგილას გაივლის, მოვა ქვასთან და დასუნავს, შეიტყობს თუ ვინ ცხოვრობს აქ მის ნათესავთაგან. საუცხოო ადგილია რკინის ხაფანგისათვის. ჩვეულებრივ მახეს არც ერთი მელა არ გაეკარება.

ასე, ცოტ-ცოტაობით, როლფმა შეიტყო, რომ ერთ და იგივე ჩვეულებას ხშირად ყველა ცხოველებში ვხვდებით, თვით თაგვებსა და თხუნელებშიაც კი. და თუ ჩვენ ვერ ვამჩნევთ მათ, ეს იმის ბრალია, რომ გრძნობები და დაკვირვების უნარი ჩვენ ისე არა გვაქვს განვითარებული, როგორც ნატურალისტებსა და მონადირეებს, რომელთაც ყოველთვის იციან, სად უნდა ეძებონ ოთხფეხა ბინადართა ნაკვალევი და ამ ნაკვალევის მიხედვით შეუძლიათ გითხრან, რა და რა ცხოველი ცხოვრობს ამა თუ იმ ადგილას.

XXIII
თახვების ტბორი

შუადღისას ისინი უკვე ათ მილზე იყვნენ თავიანთი სახლიდან და ამ ხნის განმავლობაში თხუთმეტი ადგილის დანიშვნა მოასწრეს. კვერნაზე მახის დასაგებად კუონების არაჩვეულებრივი გამოცდილება, რა თქმა უნდა, საგრძნობლად უადვილებდათ საქმეს.

ნაშუადღევს ისევ განაგრძეს გზა. მდინარე, რომელსაც ისინი მიყვებოდნენ, თანდათან ღელედ იქცა. ადგილები ირგვლივ სულ უფრო და უფრო ჭაობიანი ხდებოდა. ისინი მაინც განაგრძობდნენ ნაპირ-ნაპირ სვლას და ყურადღებით აკვირდებოდნენ ბეწვიან ნადირთა სიახლოვის მაცნე ნიშნებს. ამ მიზნით, რამდენჯერმე გადავიდნენ ფონით მდინარის მეორე ნაპირზე. ერთ ადგილას კუონები უეცრად შეჩერდა, ყურადღებით დახედა მდინარეს და როლფსაც აჩვენა. წყალი ტალახს აემღვრია. თვალებგაბრწყინებულმა ინ-

დიელმა თავი მდინარის სათავისაკენ გაიქნია და მაგიური სიტყვა წარმოთქვა: «თახვი».

აქედან დასავლეთისაკენ გაემართნენ. ასი ნაბიჯი გაიარეს ხშირი თხმელიანი ჭაობით და დაინახეს უსწორო ფორმის ტბორი, რომელიც ტირიფის ბუჩქნარში ჩაღვრილი შორს, ჭაობში იკარგებოდა. ნაპირ-ნაპირ გზა განაგრძეს და მალე თახვების გრძელსა და მოგრეხილ ტბორს მიადგნენ. წყალი ტირიფის წნელითა და შლამით იყო დაგუბებული. ზემოდან რამდენიმე ნაკადული გადმოდიოდა, ნაკადულები ქვევით ერთდებოდნენ და იმ მდინარეს ქმნიდნენ, რომლის ნაპირსაც ამოყვნენ ახლა მონადირეები.

ტბორს შაშვები გუნდ-გუნდად ევლებოდნენ თავს, წყალზე იხვები დაცურავდნენ, გამხმარი ფიჭვის წვერზე კი ვეება ცისფერი ყანჩა იჯდა. ირგვლივ ყველგან მოძრაობდნენ და დაფარფატებდნენ უფრო პატარა არსებები, შორს, თითქმის ტბორის შუა ადგილას აღმართული იყო წნელისაგან შეკრული თაღი — თახვების სახლი. თახვები არსად ჩანდნენ, მაგრამ ახალმოჭრილი ხეები, წყალზე მოცურავე ქერქშემოცლილი ტოტები და გრძელი, მკვიდრი საგუბარი გამოცდილი თვალისათვის იმის მანიშნებელი იყო, რომ ამ ადგილების განუყოფელი მფლობელი თახვების ვეება კოლონია იყო.

თახვის ტყავი იმ დროს ერთ-ერთ უძვირფასეს ბეწვეულად ითვლებოდა. თახვი ადვილად ვარდება ხაფანგში და ამიტომ ამ ტბორის აღმოჩენა ოქროთი სავსე ტომრის პოვნას უდრიდა. მეგობრებმა შემოუარეს უსწორმასწორო ნაპირებს და კუონებმა თახვების რამდენიმე მისადგომს მიაგნო. კიდეებზე ჩაღრმავებული ხვრელები იყო, აქედან თახვები წყალში ყვინთავდნენ. აქა-იქ, ტბორის სიახლოვეს, ჭიანჭველების გუმბათისმაგვარი გროვები იდგა, აქეთკენ, ტბორის ნაპირიდან, ბილიკები მიდიოდა. ინდიელმა განმარტა, მზიან ამინდში თახვები ჭიანჭველების გროვაზე თბებიან, ჭიანჭველები კი მათ ბეწვიდან მატლებს აცლიანო. ერთ ადგილას ნაპირი მაღალი კონცხივით იყო შეჭრილი წყალში, მონადირეებმა აქ მძაფრსუნიანი ტალახის პატარა გუნდა იპოვეს. ინდიელმა თქვა, ეს თახვის ნიშანიაო. მას იგივე დანიშულება აქვს, რაც «დათვის ხეს» დათვებისათვისო.

ტბორი ჯერ პატარად ეჩვენათ, მაგრამ სანამ ზემო განაპირას მიაღწევდნენ, მეოთხედი მილის გავლა მოუხდათ. აქ მეორე საგუბარი იყო, ზედ მიყოლებული მეორე ტბორით. ამ ტბორის დონე პირველზე მაღალი იყო და შიგ მხოლოდ ერთი სახლი იდგა. შემდეგ მათ კიდევ ათამდე ტბორი ნახეს. ყოველი მათგანის დონე წინაზე მაღალი იყო. ყველაზე დიდი პირველი და მეორე ტბორი იყო. აქ თახვებს სახლები ჰქონდათ. ცხადი იყო, რომ სუყველა ერთსა და იმავე კოლონიას ეკუთვნოდა. ყველგან მოჩანდა ახალნაჩეხი ხეები.

— საუცხოოა! იქნება ერთი ორმოცდაათამდე თახვი ვიგდოთ ხელთ, — თქვა ინდიელმა.

მათთვის ახლა უკვე ცხადი იყო, რომ აღთქმულ ქვეყანას მიაღწიეს.

გამხიარულებული როლფი მზად იყო, დღის დანარჩენი ნაწილიც ტბორის გამოკვლევისათვის მოენდომებინა და საღამოს, როცა თახვები სოროებიდან გამოძვრებოდნენ, კიდეც წაენადირა, მაგრამ კუონებმა შეაჩერა:

— ჩვენ მხოლოდ ოცი ადგილი დავნიშნეთ მახეებისთვის, ას ორმოცდაათი კი გვჭირდება.

ახლა ტბორის დასავლეთით მდებარე მშრალი ბორცვისაკენ გაემართნენ, აქ უზარმაზარი შაქრის ნეკერჩხლის სიახლოვეს მახის ადგილი შეარჩიეს. ამის შემდეგ აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმული ციცაბო სერებისაკენ გასწიეს გზის საძებრად. იმედი ჰქონდათ, სერებს გადაღმა მდინარეს შევხვდებით და იგი უკანვე მიგვიყვანსო ტბასთან.

XXIV
მაჩვზღარბი

სკუკუმის წვრთნა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, ამიტომაც იყო შინ დარჩენას რომ უბრძანებდნენ, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებდა ბრძანებას, როცა ეს მის სურვილსაც შეესაბამებოდა, მაგრამ თუ მისი აზრით საჭირო იყო, რომ ადამიანის სიბრძნეს მომწიფებული ძაღლური გამოცდილებაც შეშველებოდა, გამოცდილება, მიღებული ცამეტი თვის ცხოვრების მანძილზე, მაშინ სკუკუმი უყოყმანოდ აედევნებოდა ხოლმე პატრონს. სამწუხაროდ, ამ ტყეებში გამოცდილება ყოველთვის ვერ ივარგებდა მის უტყუარ ხელმძღვანელად. იმ დღეს ძირს დაცვენილ ფოთლებში რაღაც ფაჩუნი მოესმა. სკუკუმი ფიცხლად გაედევნა ამ ფაჩუნს და მალე მისი გაავებული, ხმამაღალი ყეფაც გაისმა, რაც იმის მაცნე იყო, რომ ლეკვი რომელიღაც მისდამი მტრულად განწყობილ ნადირს წააწყდა. ყეფა რამდენჯერმე განმეორდა და მერე უცებ წკავწკავად იქცა. ამ გნიასში ისმოდა გაავებაც და ტკივილიც. მონადირეები საშველად გაეშურნენ. თურმე სულელ ლეკვს დიდი მაჩვზღარბის კბენა მოენდომებინა. ნადირი მორქვეშ შემძვრალიყო, გარეთ მხოლოდ ეკლით შემოსილი უკანა ტანი გამოეჩინა და კუდით სახესა და დაღრენილ პირში სცემდა სკუკუმს. ყოველ დარტყმაზე ზედ რამდენიმე ეკალს ატოვებდა. ყოველთვის მამაცი სკუკუმი ამჯერად გაუბედავად მოქმედებდა. ეკლებისაგან მიყენებული ტკივილი ყოველ წუთს, ყოველი მოძრაობით ძლიერდებოდა. კუონებმა წამოავლო ხელი მაგარ ჯოხს და მაჩვზღარბი საფარიდან გამოაგდო. ნადირმა დაინახა ახალი, უფრო ძლიერი მტერი, გადაწყვიტა, დროს დაკარგვა არ ღირსო, და მძიმედ წაძუნძულდა მახლობელი ფიჭვისაკენ, აცოცდა ზედ და კენწეროზე ტოტებში დაიმალა.

მონადირეებმა ძაღლს დაუძახეს. სკუკუმი საბრალო შესახედავი იყო. საწყალი განუწყვეტლივ ისვამდა სახეზე ხან ერთსა და ხან მეორე თათს, ცდილობდა გადმოეფურთხებინა ენაში შერჭობილი ეკლები, თვალებს ახამხამებდა, ღრინავდა და წკმუტუნებდა სიმწრისაგან, როცა კი თავს მიწაზე ან წინა თათებზე უსვამდა. როლფს მაგრად ეჭირა იგი, სანამ კუონები ეკლებს აძრობდა, ორმოცამდე პატარა შხამიანი მახვილი ამოაცალა მან ძაღლს მოცახცახე ფეხებიდან და თავიდან, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი იყო ტუჩებზე და ენაზე ღრმად შესობილი. წითელკანიანი ღონიერი თითებით ზედიზედ აცლიდა ეკლებს. სანამ ოპერაცია ტუჩებზე მიმდინარეობდა, სკუკუმი ნელა წკმუტუნებდა, მაგრამ როცა საქმე ენაზე მიდგა, ძაღლმა საშინელი გნიასი

ატეხა. როლფი ძლივს აკავებდა საბრალოს. ვინც არ იცოდა, რაში იყო საქმე, ეგონებოდა, მონადირეები აწამებენ ერთგულ მეგობარსო.

ბედად, ეკლები ძლიერ ღრმად არ იყო შერჭობილი. ბოლოს, როგორც იყო, ყველა ამოაცალეს და ძაღლი გაუშვეს.

როლფმა სამაგიეროს გადახდა მოინდომა ხის წვერზე შემალული მაჩვზღარბისათვის. ძვირფას საბრძოლო მარაგს ტყუილუბრალოდ ვერ დახარჯავდა და ის იყო ხეზე ასასვლელად მოემზადა, რომ კუონებმა შეაჩერა:

— არა! შენ ეს არ უნდა ქნა. მე ერთხელ ვნახე, როგორ აყვა მკრთალსახიანი ხეზე კეკს. ნადირი მშვიდად ელოდა მის მოახლოებას, მერე უცებ უკან დაიხია და კუდი შემოჰკრა. მკრთალსახიანმა იფიქრა, სახეს დავიცავო და ზედ ხელები აიფარა. კეკმა ას ორმოცდაათ ადგილას შეარჭო ეკლები ხელში და მას აღარ შეეძლო სახის დაცვა. მაშინ მკრთალსახიანმა ძირს ჩამოსვლა განიზრახა, მაგრამ კეკი უფრო მარდად ჩამოდიოდა და თან კუდსაც სცემდა მონადირეს. მკრთალსახიანი ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა. ეკლებისაგან დასიებული ხელი მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მოურჩა. კეკის ნემსები ძლიერ შხამიანია. მკრთალსახიანი კინაღამ მოკვდა.

— მაშინ ვსინჯავ, იქნებ ჩამოვაგდო, — თქვა როლფმა და ნაჯახი აიღო.

— არა! — გაიმეორა კუონებმა, — მამაჩემი ამბობდა, კეკი მხოლოდ მაშინ უნდა მოკლა, თუ სარგებელი გექნებაო მისგან, თუ მის ნემსებს საოჯახო საქმეში გამოიყენებო. ნუ იზამ ავ საქმეს, ნუ მოკლავ კეკს ტყუილუბრალოდ.

ამგვარად, მაჩვზღარბი დატოვეს ხეზე. სკუკუმი? გაუშვეს თავისუფლად. მერედა, ისწავლა ჭკუა? ვაი, რომ ვერა! ერთი საათიც არ გასულა, რომ მეორე მაჩვზღარბი დაინახა; ამ ცხოველისადმი სიძულვილმა მასში გაორკეცებული ძალით გაიღვიძა და ლეკვმა ისევ გაიმეორა თავისი შეცდომა. ოპერაცია, ურომლისოდაც სკუკუმი ვერ გადარჩებოდა, ხელახლა იქნა ჩატარებული. საღამოს კი იგრძნო ძაღლმა, რა საშინლად დაისაჯა თავისი დაუდევრობისათვის. მეორე დილით ამ თავგასიებულ, ძლივძლივობით მობაჯბაჯე არსებაში ვეღარავინ იცნობდა პატარა, ცქვიტ ლეკვს, ასე ხალისიანად რომ დაძვრებოდა ტყე-ტყე.

ბევრი მომქანცველი დღე გავიდა სკუკუმის გამოკეთებამდე. ერთ ხანს მისი სიცოცხლე განსაცდელშიც კი იყო. ამის შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სკუკუმი არასოდეს აღარ ერჩოდა ამ ცხოველს, რომელიც ბუნებისაგან ასეთი კუდით იყო დაჯილდოებული.

— ფოცხვერი, ავაზა, მელა, არწივი — ვინც კი თავს ესხმის კეკს, ყველა კვდება, — თქვა ინდიელმა. — მამაჩემს დათვი ენახა ამ ნემსებისაგან მკვდარი. თურმე კბენა უნდოდა კეკისათვის, კეკმა კი ნემსებით აუვსო პირი. დათვმა მათი გადმოფურთხება ვერ შეძლო. ნემსები სულ უფრო ღრმად ერჭობოდნენ. პირი ისე გაუსივდა, რომ აღარც გაღება შეეძლო და აღარც დახურვა და მოკვდა შიმშილისაგან. ჩემი ტომის კაცებმა იპოვეს ტბორის პირას. ტბორში თევზი ბევრი იყო. დათვი თათებით იჭერდა თევზს, მაგრამ ჭამა არ შეეძლო. ასე, დაღებული პირით და თევზებით გარეშმორტყმული, მოკვდა იგი შიმშილით. ქვეყანაზე მხოლოდ ერთი არსებაა, რომელსაც შე-

უძლია კეკის მოკვლა — ეს არის ოჯიგი, ანუ პეკანი, დიდი კვერნა. ოჯიგი — ავი სულია. მას ძლიერი წამალი აქვს და კეკი ვერაფერს ავნებს. ოჯიგი კეკს ზურგზე ამოატრიალებს და რბილ მუცელს გამოუფატრავს ხოლმე. მამაჩემს უამბია, ეს თურმე ასე მოხდა: წყალდიდობისას ნანა-ბოჯა კეკთან და ოჯიგთან ერთად ხის მორზე მიცურავდა. კეკი გათავხედებულა და ყველაზე მაღლა მოუნდომებია დაჯდომა. ოჯიგი მოკრძალებულად ექცეოდა ნანა-ბოჯას და უკბინა თურმე თავხედ კეკს ჭკუის სასწავლებლად. კეკს კუდი შემოუკრავს მისთვის. მაგრამ ნანა-ბოჯას ნემსები ამოუცლია ოჯიგისათვის და უთქვამს: «დე, ასე იყოს — ოჯიგი ყოველთვის დაამარცხებს კეკს და კეკის ნემსები ვერაფერს ავნებს ოჯიგს».

XXV
სრიალი ფერდობიდან

უკვე გვიან იყო და მონადირეებმა გადაწყვიტეს დაბურული ტყის სიგრილეში დაესვენათ. სკუკუმი მთელი ღამე კვნესოდა ძილში და ერთიორჯერ მონადირეებიც გამოაღვიძა. განთიადის წინ მგლის ყმუილი გაისმა. შემდეგ ყურებიანი ბუს კივილი. იქნებ ეს უცნაურად გეჩვენოთ, მაგრამ მგლის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ყმუილსა და ბუს ძახილს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. ძილ-ღვიძილში იყო როლფი და ეს ყმუილი ჩაესმოდა, რომ უცებ თავთან რაღაც შრიალი და ნაცნობი კრიახი მოესმა. წამოდგა და დაინახა, სკუკუმს თავი აეღო და ტოტებზე შემომჯდარ შავმკერდიან როჭოებს ათვალიერებდა; საბრალო ლეკვი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, ყეფაც კი არ შეეძლო. როჭოები განსაკუთრებული ჯიშისა იყო, ასეთები როლფს ჯერ არ ენახა. სანამ იგი ფრინველებს აკვირდებოდა, კუონები ფეხაკრეფით ადგა, მივიდა მახლობელ ტირიფთან, მოჭრა თორმეტი ფუტის სიგრძე მოქნილი ჯოხი და ბოლოზე თოკის ყულფი მიაბა, შემდეგ ფრთხილად მივიდა ხესთან, ნელ-ნელა ასწია ზევით ჯოხი, მოსდო კისერზე ყულფი პირველ როჭოს და ხიდან ჩამოაგდო; დანარჩენმა როჭოებმა თავისი გაკვირვება ხმამაღალი კრიახით გამოხატეს და აზრადაც არ მოსვლიათ ადგილიდან დაძრულიყვნენ. ერთი პატარა დაკვრა საკმარისი იყო, რომ ტყვე ტანჯვისაგან განთავისუფლებულიყო. კუონებმა მეორეჯერ ასწია ჯოხი, ახლა ცოტა ქვემოთ მჯდარი მეორე როჭო ჩამოაგდო, შემდეგ მესამე. მხოლოდ მაშინ მიხვდნენ სხვები თუ რა საშიშ მეზობლებში მოხვდნენ და თავს უშველეს.

როლფი გაოცებული შეჰყურებდა ამ ნადირობას, კუონებმა ფრინველები ცეცხლთან დააწყო და საუზმის მზადებას შეუდგა.

— ასეთი ბრიყვები არიან, — თქვა მან, — ამ ხერხით ბევრის დაჭერა შეიძლება, განსაკუთრებით, თუ ძაღლიც გეხმარება. მინდვრის როჭო არ არის ასეთი სულელი.

როლფმა გაბრტყვნა და გამოშიგნა ფრინველები, ნაწლავები სკუკუმს მიუგდო. საბრალო ლეკვი! რა საცოდავი შესახედავი იყო გასივებული ქუთუთოებიდან სევდიანი თვალებით იყურებოდა, თათებს ოდნავ ამოძრა-

ვებდა. საჭმელს პირი არ დააკარა, სხვა დროს კი წამსვე გადაყლაპავდა ხოლმე. აბა როგორ უნდა ეჭამა, როცა პირს ვეღარ აღებდა.

ბანაკიდან მოყოლებული მონადირეები განაგრძობდნენ ხეების დანიშვნას და მახეებისათვის ადგილის მომზადებას. ასე გაიარეს მთელი მილი და ლაქაშით გადაზრდილ ჭაობთან აღმოჩნდნენ; გაყვნენ ჭაობის განაპირს და მივიდნენ პატარა მდინარესთან, რომელსაც არ ჰქონდა სათავე. მდინარემ ისინი აღმოსავლეთისაკენ დაფენილ ვაკესთან მიიყვანა. ყოველ ნაბიჯზე თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ აქ ბევრი ნადირი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ძლიერ გაუკვირდათ, როცა უცებ ზედ ცხვირწინ ბალახიდან ირემი წამოუდგათ და ცნობისმოყვარეობით დააშტერდა მონადირეებს; მას მეორე მოჰყვა... შემდეგ მესამე... მთელი ათეული; ოციოდ ნაბიჯზე კიდევ ჩანდა რამდენიმე ირემი... მარცხნივ უფრო მეტი აღმოჩნდა. მარჯვნივ, ხეებს შუა ატეხილი ფუსფუსი კი იმის ნიშანი იყო, რომ არც აქ იყო ირმების ნაკლებობა. ერთი წუთიც არ გასულა, თეთრი კუდები ზევით აიწია და ირმები უკვე ფერდობზე მიქროდნენ. სულ ოცდაათი ირემი იყო, მაგრამ ალმებივით მოფრიალე თეთრი კუდები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ტყე სავსე იყო ნადირით, თითქოს აქ ასობით ირემი შეყრილიყო. ასეთი სიუხვის შემყურე მონადირეების სიხარულს კიდევ იმის შეგნებაც აძლიერებდა, რომ ეს მათი სანადირო უბანი იყო, საკუთარი.

მდინარე სულ უფრო ფართოვდებოდა, ადგილ-ადგილ ღელეები ერთვოდა, ზოგან მოზრდილი მდინარეებიც. აქ ოდესღაც თახვების კოლონია უნდა ყოფილიყო; მონადირეებმა იპოვეს ამის ნიშანი. სახაფანგე ნიშნებს ყოველ მეოთხედ მილზე სვამდნენ, ხან კი უფრო ხშირადაც.

მდინარე აქ უფრო სწრაფი იყო. ახლა იგი მთის ფერდობიდან ვიწრო, თიხის ციცაბო ნაპირებიან ჭალაში ეშვებოდა. მონადირეებს ყველგან ხვდებოდათ თახვების ნაკვალევი. მდინარის ნაპირს რომ მიყვებოდნენ, უცებ წყლის ყრუ ჩქაფუნი შემოესმათ. ხმაური რამდენჯერმე განმეორდა.

მონადირეებმა გადაწყვიტეს, სკუკუმი დაებათ, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ეს ზედმეტი იყო. ფრთხილად ჩამოიღეს თავიანთი ტვირთი მიწაზე და ავადმყოფი ძაღლი მორჩილად მიწვა იქვე. ფრთხილად, ფეხაკრეფით გაემართნენ ისინი აღმოსავლეთის ქარის პირისპირ. ჯერ, თახვებიაო, გაიფიქრეს მონადირეებმა, მაგრამ არსად არაფერი არ მიუთითებდა მათ სიახლოვეზე და არც თახვების ტბორი ჩანდა სადმე. წყლის ჩქაფუნი სადღაც სულ ახლოს ისმოდა. დათვი ხომ არ იჭერდა თევზს?.. ან... არა, ეს ძალიან სამწუხარო იქნებოდა... იქნებ ვინმე ნავიდან წყალს ხაპავდა. შუალედები ჩქაფუნსა და ჩქაფუნს შორის არ იყო თანაბარი.

ხმა მდინარიდან ისმოდა, მონადირეებიდან ოცდაათი ნაბიჯის დაშორებით. უდიდესი სიფრთხილით მიიპარნენ თიხიან ნაპირამდე და მეორე ნაპირზე ისეთი სანახაობა იხილეს, რომლის მოწმე იშვიათად ხდება ხოლმე ადამიანი. მათ წინ ექვსი წავი იყო: ორნი აშკარად მშობლები იყვნენ, დანარჩენი ოთხი კი — მათი შვილები. წავები სპორტით ერთობოდნენ ადამიანთა მსგავსად; დაცურდებოდნენ ციცაბო თიხნარ კბოდედან და მთელი ქანით წყალში ეშვებოდნენ.

მძიმედ, ქვასავით მოადინა დგაფანი მდინარეში ყველაზე დიდმა, ალბათ, მამალმა. ჩაიმალა ერთი წუთით წყალში, შემდეგ ამოცურდა და ისევ აცოცდა კოდმის თავზე, ყველაზე მაღლა... «დგაფ! დგაფ! დგაფ!» — მიყვა მამის მაგალითს სამი პატარა... «დგავ! დგაფ!» — თითქმის ერთსა და იმავე დროს გადახტნენ დედა და მეოთხე შვილი. «ბუხ!» — ისევ მოადინა დგაფანი მამალმა. მისი ბეწვი სულ უფრო სველი და გასიპული ხდებოდა თიხნარ კოდმეზე სრიალისაგან. «დგაფ! ბუხ!.. დგაფ! ბუხ! დგაფ!..» ერთობოდა წავების ჯალაბი. ერთმანეთს ასწრებდნენ ნაპირზე აცოცებას. გეგონებოდათ, ყველა იმის ცდაშია, როგორმე პირველი ამოვიდეს ნაპირზე, რომ რაც შეიძლება მეტჯერ მოასწროს გადმოხტომაო.

იმათმა სიმარდემ და ლაზათმა, თამაშით გატაცებამ და თავმიცემულმა მხიარულებამ ერთიანად დაიპყრო მონადირეების ყურადღება. როლფი და კუონები ტკბებოდნენ ამ სანახაობით. უეჭველია, მონადირეებს თავში სხვა ფიქრებიც უტრიალებდათ ამ ცხოველების მბზინავ ბეწვზე, მაგრამ ჯერ ისევ სექტემბერი იდგა და ბეწვს ჯერ არ ჰქონდა ნამდვილი ფასი.

მხიარული ოჯახი კი ამასობაში ისევ დაუზარებლად და გატაცებით განაგრძობდა ფერდობზე სრიალსა და წყალში დგაფუნს. საცურაო თანდათან უმჯობესდებოდა და წავებიც არ ცხრებოდნენ, რომ მოულოდნელად, მართალია, შედარებით ყრუ, მაგრამ მაინც ხმამაღალი ყეფა გაისმა. ეს სკუკუმს დავიწყებოდა ყოველგვარი სიფრთხილე და ნაპირთან მოერბინა.

დიდმა წავებმა ჩიტისმაგვარი ჭყივილით აცნობეს შვილებს საშიშროების შესახებ. «დგაფ! დგაფ! დგაფ!» — მიყვნენ ერთმანეთს წავები წყალში. თუმცა მალე მდინარის ზედაპირზე მათი თავები ისევ გამოჩნდა; ცხოველებს, კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც არ შეშინებიათ. კუონებს მოთმინება აღარ ეყო; თოფი ასწია და დაუმიზნა, ჩხაკ! ბახ-ბუხ! ესროლა მოზრდილ მამალს, მაგრამ წავმა დროზე მოასწრო ჩაყვინთვა. მონადირეები ფერდობიდან მდინარეში ჩაცვივდნენ, მათ სკუკუმიც მიჰყვა და შეუტიეს წავებს. წყალი აქ არ იყო ღრმა და წავებს რომ გამოსასვლელი არ ჰქონოდათ, რა თქმა უნდა, სუყველას დაიჭერდნენ.

მაგრამ წავები მყისვე მიხვდნენ, რა საშიშროებაც ემუქრებოდათ. წუთში ამოცვივდნენ მდინარიდან და გაშლილ ხევს მიაშურეს. მოზრდილი წავები ხმამაღლა წიოდნენ. ხან დაცემულ ხის ქვეშ შეცურდებოდნენ, ხან ბუჩქნარში გასხლტებოდნენ, მარდად გვერდს უვლიდნენ გამოშვერილ ფესვებს, ახტებოდნენ ქვებს. უკან ჯოხებით შეიარაღებული მონადირეები და სულ მთლად უიარაღო სკუკუმი მისდევდათ.

წავები, როგორც ჩანდა, რომელიღაც მათთვის ცნობილი თავშესაფრისაკენ მირბოდნენ და ძაღლის გარდა ყველას გაუსწრეს. სკუკუმს სულ მთლად დაავიწყდა ავადმყოფობა, წამოეწია წავებს და კინაღამ სწვდა ერთ-ერთ პატარას. ელვისებურად მოტრიალდა დედა წავი და ღრენით მივარდა ძაღლს. წავი საშიში მოწინააღმდეგეა, მაგრამ სკუკუმი, მისდა საბედნიეროდ, იოლად გადარჩა. ერთი მსუბუქი კბენით. ხმამაღალი წკავწკავით გაექანა საბრალო ძაღლი იმ ადგილისაკენ, სადაც ტვირთი ელაგა და რომელ ადგილსაც, ბრძანების მიხედვით, იგი არ უნდა მოშორებოდა.

ამასობაში მონადირეებმა ტყეში გაშლილი მინდორი დაინახეს. კუონები იქითკენ გავარდა, რომ წინიდან დაევლო და წავებისათვის გზა მოეჭრა. როლფი ამაოდ ცდილობდა წამოწეოდა და ჯოხი დაერტყა რომელიმე მათგანისათვის. რამდენიმე წუთიც და ოჯახი პირისპირ შეეფეთა კუონებს. თითქოს მათი ბედი გადაწყვეტილი იყო, უნდა დაღუპულიყვნენ, მაგრამ იშვიათია ისეთი თავგანწირული და მამაცი მოწინააღმდეგე, როგორიც თავისი შვილების დამცველი წავია. არც დედა წავს და არც მამალს არ შეშინებიათ, პირიქით, თვალის დახამხამებაში ეძგერნენ ინდიელს. მოულოდნელი შეტევისაგან გაოგნებული კუონები გვერდზე გახტა, რომ საშინელი კბილები აეცილებინა. ამით ისარგებლეს წავებმა და გვერდით გასხლტნენ. დედა განუწყვეტელი ყვირილით აქეზებდა პატარებს, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით მიქროდნენ რიგებად დაყრილ ხის მორებს ქვეშ, ტირიფის ხშირ ბუჩქნარში, ოდესღაც თახვებისაგან დაგუბებული ტბორის პირას, და ბოლოს უკვალოდ გაქრნენ ამ ყრუ და გაუკვალავ ტევრში.

XXVI
შინ დაბრუნება

მდინარე ჭაობის შორეულ განაპირამდე აღწევდა და სულ უფრო ფართოვდებოდა. შებინდებამდე მონადირეებმა კიდევ ორმოცდაათი სახაფანგო ადგილის დანიშვნა მოასწრეს და დაღლილებს ცეცხლის პირას, ხის ქვეშ მიეძინათ.

მეორე დღეს სკუკუმმა უარესად იგრძნო თავი. მონადირეები შეფიქრიანდნენ, არ მოკვდესო. ძაღლს მაჩვზღარბასთან შეტაკების შემდეგ არაფერი უჭამია, მხოლოდ ცოტა წყალი დალია. როლფმა წვნიანი მოხარშა, გააცივა და საბრალო ძაღლმა გაჭირვებით დახვრიპა, რასაც ნახევარი საათი მაინც მოუნდა.

მონადირეები ახლა თავიანთი ქოხისაკენ მიიწევდნენ. ერთ სერზე რომ გადადგნენ, თვალწინ ტბის ხედი გადაეშალათ, თუმცა ტბიდან ხუთი მილით იყვნენ დაცილებულნი. ისინი მიყვებოდნენ მდინარეს ქვევით და სახაფანგო ადგილებს ნიშნავდნენ შეუსვენებლივ. ყველგან ხვდებოდათ ნადირის კვალი. მდინარემ ხშირ ბუჩქნარამდე მიიყვანა. აქ სადღაც სამხრეთიდან მომდინარე ნამდვილი ნადირთა სამეფო იწყებოდა; ირმების კვალი ყოველი მიმართულებით მიდიოდა და წუთი ისე არ გავიდოდა, რომ ერთი ან ორი ირემი არ შემოყროდათ. ჩრდილიანი მუხის ტყე ადგილ-ადგილ ჭაობით იცვლებოდა, აქ კედრები იდგა; საზამთროდ ეს ადგილები უყვართ ირმებს. კიდევ ორი მილი რომ გაიარეს, ინდიელმა თქვა:

— კეთილი! ახლა, თუ ზამთარში ხორცი შემოგვაკლდა, გვეცოდინება, საით წამოვიდეთ.

დაჩრდილულ ფართო ფონთან მათ უამრავი სხვადასხვა ნაკვალევი ნახეს, მეტწილად ირმისა. მაგრამ მათ შორის ავაზის, ფოცხვერის, კვერნის, მგლის, წავის და წაულას კვალიც ერია.

საღამოს ტბას მიაღწიეს. ქოხიდან ოთხი მილის მოშორებით ტბას ფართო მდინარე ერთვოდა. იქ, ზედ შესართავთან, სახაფანგო ადგილი აღნიშნეს.

როცა იმ ადგილს მიაღწიეს, სადაც როლფმა ირემი მოკლა, ნადირის ნარჩენებს დახედეს. მეტი წილი ხორცი რუხ ყორნებს დაეძიძგნათ, მოზრდილ ნადირს ერთი ნაჭერიც არ აეღო მაშინ, როდესაც ირგვლივ მგლებისა და მელიების უამრავი ნაკვალევი იყო.

— ჰო, — თქვა კუონებმა, — ხორცის სუნი უგრძვნიათ და ახლოც მოსულან, მაგრამ მაშინვე შეუტყვიათ, რომ ამ ადგილას ადამიანი იყო ნამყოფი; ალბათ, მაინცდამაინც არ შიოდათ, და ამიტომ ამჯობინეს კეთილგონივრულად აევლოთ გვერდი. კარგი ადგილია სახაფანგოდ.

მათ მძორიდან თანაბრად დაცილებულ ორ ადგილზე სახაფანგე ადგილი მოამზადეს. კიდევ ორი ადგილი დანიშნეს და ქოხისაკენ მობრუნდნენ. ღამდებოდა. შინ დაბრუნდნენ და წვიმაც დაიწყო.

— კარგია, — თქვა კუონებმა, — ჩვენ მოვამზადეთ ყველაფერი, რასაც ჩვენი თითები ვეღარ შეძლებენ, როცა სიცივეები დაიწყება და მიწა ისე გაიყინება, რომ შიგ ჯოხსაც ვეღარ ჩაარჭობ. ახლა ჩვენ ხაფანგები უნდა გავანიავოთ, სანამ ისევ შემოვივლიდეთ ჩვენს წრეს და დავდგამდეთ მათ. გარდა ამისა, სანადირო ჯადოსნური წამალი უნდა მოვიმარაგოთ აუცილებლად.

მეორე დილით კუონებმა ანკესი და ბარგი წაიღო და წავიდა. შინ წვრილ-წვრილი ქარიყლაპიებით დაბრუნდა. თევზები წვრილად დაჭრა, ბოთლში ჩაყარა, თავი დაუცო და მზიან მხარეზე ჩამოკიდა.

— რომელ დათვსაც გინდა მოიყვანს ეს წამალი, — თქვა ინდიელმა და წამლის მომზადება მზეს მიანდო.

XXVII
ავადმყოფი სკუკუმი

შინ დაბრუნების მეორე დღეს, დილით, ბანაკის შემოვლის დროს მონადირეებმა შეამჩნიეს, რომ ბანაკში ყველაფერი რიგზე არ იყო. კუონების კარავი გვერდზე გადაწოლილიყო. ქოხის კედელზე მიყუდებული ნიჩბები რატომღაც მიწაზე ეყარა, ირმისხორციანი ტომარა კი, რომელიც სახურავქვეშ ეკიდა, დაგლეჯილი და ცარიელი იპოვეს.

კუონებმა გულდასმით დაათვალიერა ნაკვალევი და თქვა:

— აქ დიდი, შავი დათვია ნამყოფი; შემოხეტებულა და ყველაფერი გადმოუტრიალებია. მაგრამ ირმის ხორცს დათვი ვერ მიწვდომია: ტომარა კვერნის დაგლეჯილია.

— იგი ჩვენთან ჭკუის სასწავლებლად მოვიდა, შეგვახსენა, საქმე არ მოგითავებიათო: ქოხს საკუჭნაო უნდა მივადგათ, — თქვა როლფმა, — ისეთი, რომ კარგად იკეტებოდეს და ცივიც იყოს.

— დაზამთრებამდე მოვასწრებთ აშენებას, — უპასუხა ინდიელმა, — მანამდე კი კარგი ამინდით უნდა ვისარგებლოთ და კიდევ ერთი ხაზი დავნიშნოთ ხაფანგებისა და მახეებისთვის.

— არ შეიძლება, — თქვა როლფმა, — ძაღლი ვერ შეძლებს გამოყოლას და მარტო ხომ არ დავტოვებთ. საკუჭნაოს კი სამ დღეზე მეტს არ მოვუნდებით.

საბრალო ლეკვი სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. მძიმედ სუნთქავდა, ჭამა-სმას დიდი გაჭირვებით ახერხებდა. მისი მოუვლელად დატოვება შეუძლებელი იყო.

მონადირეებმა ძაღლს ცხელი წყლით დაბანეს თავი. როგორც ჩანდა, აბაზანამ ტანჯვა შეუმსუბუქა საბრალო ავადმყოფს და სკუკუმმა პირში ჩასხმული მცირეოდენი წვნიანი გადაყლაპა. შემდეგ საწოლი გაუმართეს და თავად საკუჭნაოს შენებას შეუდგნენ.

სამ დღეში საკუჭნაო მზად იყო, მხოლოდ ჭუჭრუტანების დაგმანვაღა აკლდა. უკვე ოქტომბერი იდგა და ერთ ღამეს საკმაოდ მაგარმა ყინვამ გააფრთხილა მონადირეები, რომ ცივი, თოვლიანი თვეები ახლოვდებოდა. კუონებმა ყინულის რამდენიმე ნატეხი შეაგროვა, კალის ფიალაში ჩაყარა, მზეს გახედა და თქვა.

— ფოთლები თითქმის ყველგან ჩამოცვივდა, მალე თოვლი მოვა, დროა, გავიყვანოთ ხაფანგებისა და მახეების მეორე ხაზი.

უცებ იგი დადუმდა და ტბისკენ მიიხედა. როლფმაც გაიხედა იქით და სამ ირემს მოჰკრა თვალი, — ორ ხარსა და ერთს ფურს. წინ ფური მოდიოდა, უკან ხარები მოსდევდნენ. ირმები ნაპირს მოყვებოდნენ და თანდათან უახლოვდებოდნენ ქოხს. როლფმა კუონებს შეხედა, ინდიელმა თავი დაუქნია. როლფი შევიდა ქოხში, აიღო თოფი და შეუმჩნევლად შემოუარა მდინარეს. იქითკენ ირმებისაგან გატკეპნილი ბილიკი მიდიოდა. ხარირმები არ ჩხუბობდნენ, რადგან ჭიდილის სეზონი ჯერ არ დამდგარიყო. მაგრამ რქები მაინც მოემართათ წინ, კისრის კუნთები დაბეროდათ, ერთმანეთს მრისხანედ ათვალიერებდნენ და თან ფურს მისდევდნენ. მდინარისაკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვებოდნენ. შემდეგ ფონს მიადგნენ და მეორე ნაპირზე გადავიდნენ. ამოვიდნენ თუ არა ირმები ნაპირზე, როლფმა მაგრად დაუსტვინა, სამივე ირემი, თითქოს მათ ჯადოსნური ჯოხით შეხებოდნენ, სამ უძრავ ქანდაკებად იქცა. როლფის მთელი ყურადღება ტანმორჩილ ხარზე იყო მიპყრობილი და როცა სროლის შემდეგ კვამლი მთლად გაიფანტა, ორი ირემი უკვალოდ გაქრა, მიწაზე კი სულ რაღაც ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე მოკლული ხარირემი იწვა.

— კარგი უბანი ვიპოვეთ სანადიროდ; ირმები თავისი ფეხით მოდიან ჩვენთან, ბანაკში, — თქვა კუონებმა.

ირემს ტყავი გახადეს, ხორცის ახალი მარაგი კი ახალ საკუჭნაოში ჩამოკიდეს. შიგნეული მიწაზე დაყარეს, ზედ ფიჩხი და ქვები დააწყვეს.

— ახლა ვერც ყვავები და ვერც ჩხიკვები ვერ მიწვდებიან, ზამთარში კი აქ მელიები მოვლენ და თავიანთ ქურქებს მოგვიტანენ.

მაინც გადასაწყვეტი იყო, რა ექნათ სახვალიოდ, სკუკუმი თავს უკეთ კი გრძნობდა, მაგრამ ჯერ ისევ ავად იყო.

— აიღე თოფი და ნაჯახი, კუონებ, — თქვა როლფმა, — და ხაფანგების ახალი ხაზის გასაწყობად წადი, მე შინ დავრჩები, ჩვენს ქოხს საზამთროდ მოვამზადებ და ძაღლსაც მივხედავ.

კუონები დაეთანხმა. მარტო გამოვიდა სახლიდან და ტბის აღმოსავლეთ ნაპირისაკენ გაემართა, რომ იქიდან მერე მდინარეს აყოლოდა ზევით. შინ დაბრუნებას სამი-ოთხი დღის შემდეგ ფიქრობდა.

XXVIII
მარტოდმარტო უდაბნოში

როლფმა იმ დღეს საქმიანობა იმით დაიწყო, რომ სკუკუმს აბაზანა გაუმართა და წვნიანი მისცა. აბაზანაში სკუკუმი ნელა კვნესოდა, წვნიანის დანახვაზე კი კუდის ქიცინი დაიწყო, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ საქმე უკეთესობისაკენ მიდიოდა.

შემდეგ როლფმა მთელი თავისი ყურადღება ახალ შენობაში ჭუჭრუტანების დასაგმანად საჭირო ხავსისა და ნაფოტის დამზადებას მიაპყრო. ამ სამუშაოს მთელი დღე მოუნდა — კარგა ძნელი აღმოჩნდა.

როლფი სერიოზულად ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ მომზადებულიყო ზამთრისათვის კარგად. კონექტიკუტის გამოცდილი მოსახლეები სიცივის მოახლოებას რომ იგრძნობენ, თავიანთ სახლებს მიწას შემოაყრიან ხოლმე ირგვლივ. როლფმა იცოდა, რომ ედირონდეკში კიდევ უფრო ციოდა და ამიტომ გადაწყვიტა, ქოხისა და მინაშენისათვის ირგვლივ ფართო მიწაყრილი შემოევლო. უპირველეს ყოვლისა, მუხის კარგი ნიჩაბი გამოთალა და მეტი სიმაგრე რომ მიეცა, ბოლოები ცეცხლზე მოუწვა, სანამ ყავისფერი არ გახდა. ორი დღე თხარა და ქოხი მინაშენიანად სახურავამდე დაფლა მიწაში. გარდა ამისა, ნესტიანი ამინდისათვის მშრალი საწვავის მარაგიც დაამზადა და ერთხელ კიდევ შეამჩნია, თუ რა პატარა იყო მათი ქოხი. ამგვარად, როლფმა მოათავა ყველაზე მძიმე სამუშაო, ახლა თავისუფალი იყო და უკვე საკმარისი დრო ჰქონდა, რაც მოეხალისებოდა, ის ეკეთებინა.

რომელ ჩვენგანს არ ახსოვს, რას გრძნობდა პირველ დღეს, როცა იგი უკაცურ ადგილზე მარტო დარჩენილა. სრული დამოუკიდებლობის შეგნება, პირველყოფილ მდგომარეობაში დაბრუნება, ტყის მცხოვრებთა სიახლოვე, მათთან მჭიდრო კავშირის გრძნობა, გარემომცველი მდუმარებისადმი შიშნარევი მოწიწება, და ყველა ამათზე უძლიერესი შეგნება — ტყის თავისუფალ მცხოვრებლებზე ბატონობისა. ეს გრძნობები მთელი დღე აღელვებდნენ როლფის სულს. მაგრამ როცა დადგა პირველი ღამე, რომელიც მას სიმარტოვეში უნდა გაეტარებინა, რა კმაყოფილი იყო ჭაბუკი მონადირე პატარა, უმწეო ძაღლის სიახლოვით, რომელსაც მისი საწოლის გვერდით ეძინა.

ასეთი გრძნობები იშვიათად გვეწვევა ხოლმე და როლფსაც სულ მთლად დაეფანტა ისინი მარტოობის მეოთხე დღის ბოლოს.

მონადირეთა ნაამბობი «საოცარ ცხოველებზე, რომლებიც სწორედ მაშინ გამოჩნდებიან, როცა უიარაღო ხარ», სავსებით გამართლდა მას შემდეგ, რაც კუონებმა ერთადერთი ცეცხლსასროლი იარაღი თან წაიღო. მეორე დღეს, საღამოს, დაწოლის წინ, როლფი ქოხის კარებთან გაჩერდა, რომ ერთხელ კიდევ შეეხედა ვარსკვლავებისთვის. იმავე წუთს დიდი, შავი ფიგურის მოხაზულობა მოხვდა თვალში. იგი ფრთხილად მოიპარებოდა ხეებს

შუა, რომლებიც ქოხსა და ტბას შორის იზრდებოდნენ; ეს სულიერი უცებ შეჩერდა, მოაბრუნა მისკენ თავი და სადღაც, ნაპირთან გაქრა უკვალოდ. რა გასაკვირია, იმ ღამეს როლფი შეეცადა, მაგრად ჩაეკეტა თავისი ქოხის კარები. მეორე დილით ყურადღებით დაათვალიერა ქვიშნარი ნაპირი და დარწმუნდა, რომ ღამის სტუმარი არც ფოცხვერი იყო და არც მელია, არამედ ნადავლის მაძიებელი ავაზა.

მესამე დილით როლფი უთენია გამოვიდა ქოხიდან. უცებ უცნაური ფრუტუნი შემოესმა. მიიხედა ფიჭვებისაკენ და გაოცებულმა უზარმაზარი, უძრავად მდგარი ცხენ-ირემი დაინახა, ჯორის მსგავსი ყურებითა და ადამის წლის რქებით.

როლფი მშიშარა არ იყო, მაგრამ მის გვერდით ასე ახლოს მდგარი ეს საშინელი ცხოველი რომ დაინახა, თმები ყალყზე დაუდგა. უთოფოდ თავი უმწეოდ იგრძნო. ქოხში შევიდა და მშვილდ-ისარს გამქირდავად შეავლო თვალი.

— კაკბებზე და ციყვებზე კიდევ გამოდგება, მაგრამ ტყეში მე თოფი მჭირდება.

ქოხიდან გამოვიდა. ცხენ-ირემი ისევ ისე იდგა. როლფმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და შეუძახა: ცხოველი არ განძრეულა. როლფმა უკან დაიხია და ქოხში შებრუნდა. გაახსენდა, თუ რა ძლიერ გავლენას ახდენს ცხოველებზე ცეცხლი და ღუმელი დაანთო. მილიდან სქელი კვამლი ამოვიდა, ძირს ჩამოიწია და ბოლქვ-ბოლქვად წავიდა ტყისკენ, იქ მდგარი ცხენ-ირმისაკენ. ცხოველს დიდრონი ნესტოები დაებერა, აუწერელმა შიშმა შეიპყრო იგი. მყისვე გატრიალდა უკან და, რაც ძალა შესწევდა, გაქანდა შორეული ჭაობისაკენ. როლფს იგი შემდეგ აღარ უნახავს.

ხუთჯერ მოადგნენ ამ ოთხი დღის განმავლობაში ირმები ქოხს და ისე იქცეოდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ აქ მცხოვრებ ჭაბუკს შორ მანძილზე მოკვლის ჯადოსნური ძალა წართმეული ჰქონდა და ამიტომ მათ ვერას ავნებდა.

როგორ ნატრობდა როლფი თოფს! როგორ ნათლად წარმოუდგა თვალწინ დუქანი და მისი პატრონი, რომელიც ერთი თვის წინ მშვენიერ თოფს სთავაზობდა ოცდახუთ დოლარად, თანაც გადახდას მომავალ გაზაფხულამდე არ ითხოვდა. სინანულით კიცხავდა თავს ასეთი ხელსაყრელი შემთხვევის ხელიდან გაშვებისათვის. რამდენჯერმე სიტყვა მისცა საკუთარ თავს, რადაც უნდა დაჯდომოდა, თოფი შეეძინა, თუ შემთხვევა მიეცემოდა, და ყოველმხრივ ცდილიყო, რომ ეს შემთხვევა რაც შეიძლება მალე მისცემოდა. მაგრამ ერთხელ მაინც შეძლო გამარჯვება მარტოობის დროს.

ის ცხოველი, ირმისხორციანი ტომარა რომ დაგლიჯა, ჯერ ისევ ქოხის სიახლოვეს იმალებოდა. ეს ტომარაზე ახალმა თავდასხმამ დაამტკიცა. კუონების რჩევის თანახმად, როლფმა ორი საკვერნე ხაფანგი დადგა: ერთი სახურავზე, საიდანაც კვერნა შემოდიოდა, მეორე — ძელზე, რომელზეც ნადირს უნდა გაევლო, სანამ ხორცამდე მივიდოდა. ხაფანგის დადგმა ადვილია: კეთდება ორმო იმ სიდიდისა, რომ შიგ ხაფანგი მოთავსდეს. ხაფანგს ზედ ბალახს აყრიან, აქეთ-იქიდან კი ეკლიან ჯოხებს შემოუწყობენ იმდაგ-

ვარად, რომ ზედ დამხტარი ცხოველი მაშინვე ბალახზე შედგეს. ხაფანგის ჯაჭვი ძელზეა მიბმული.

კვერნა საშოვარზე მეტწილად დღისით გამოდის. პირველ ღამეს ხაფანგი ხელუხლებელი დარჩა. მეორე დილით როლფი წყლის მოსატანად გამოვიდა და შორს, ტბის ზედაპირზე გრძელი, მუქი ზოლი შეამჩნია... მოცურავე იხვებს მიამსგავსა. სანამ იგი იჯდა და იხვებს უთვალთვალებდა, ჯოხის ახლოს, ხეზე, რაღაც უცნაური ხმა გაისმა, თითქოს ხეზე ციყვი მოცოცავდა და კლანჭებით იკაწრებოდა. როლფი მოტრიალდა და მართლაც მოეჩვენა, დიდი ტანის მუქი ციყვი დავინახეო. ელვისებურად ზევით ავარდნა ვერ მოასწრო ნადირმა, რომ ისევ ძირს დაეშვა, გადაახტა ძელს და ფიჩხის ქვეშ შეცურდა. თვალშეუსწრები სისწრაფით მოძრაობდა. ხანდახან შეჩერდებოდა და ეჭვით გაიხედავდა შორს. უცებ ისარივით ავარდა ისევ ხის კენწეროზე და ერთ წუთს არ გაუვლია, რომ იქიდან ორი კაკაბი აფრინდა ხმამაღალი კრიახით. მოქნილი, ლაზათიანი, მსუბუქი კვერნა თან ჩამოყვა მათ. დიდ-დიდი ტალღისებური ნახტომებით მირბოდა იგი მიწაზე დაგდებულ ძელზე; შუამდე რომ მივიდა, შეჩერდა და დაჟინებით მიაცქერდა ლაქაშების წყებას; წამიც და ნადირის მოქნილი ტანი სამი ტალღისებური ნახტომით ლაქაშებში გაუჩინარდა და მაშინვე გამოხტა უკან თაგვით პირში; კიდევ ნახტომი გვერდზე და მეორე თაგვიც მოექცა მტაცებლის პირში, მეორეს მესამე მოჰყვა. სამი მსხვერპლი მოკლული და გადაგდებული იყო. გრაციოზულ ყაჩაღს ისინი უკვე აღარ ახსოვდა, ახლა იხვების ფრენას უთვალთვალებდა. მაგრამ აი, კვერნა ტირიფის ბუჩქნარში გაუჩინარდა. წამში ისევ გამოჩნდა და კოდალასაგან ამოჩიჩქნილ კუნძზე შეხტა. მისი ყოველი მოძრაობა ისე სწრაფი იყო, რომ როლფმა თვალი ვერ შეასწრო, როგორ გაუჩინარდა ნადირი ფუღუროში და როგორ გამოვიდა იქიდან მფრინავი ციყვით პირში, რომლისთვისაც მას თავი გაეჭეჭყა. ციყვი ბალახში ისროლა და გაავებული ღრენით დაუწყო ჯიჯგნა და გლეჯა, შემდეგ გვერდზე მიაგდო და გველური გრეხვით გაშორდა იქაურობას. ოქროს ფარივით ბზინავდა მზეზე მისი მოყვითალო მკერდი... აი, ისევ შეჩერდა, გაილურსა ნაბულის მკეთებელი პოინტერივით... რაოდენი სინატიფე, რაოდენი სიბრაზე იყო მთელ მის ფიგურაში!

გველივით მოქნილი კისერი გვერდზე მოეხარა, ნესტოები უთრთოდა... რამდენიმე ნახტომის შემდეგ ჰაერი შეისუტა და მიწა დასუნა, შემდეგ ისევ მოწყდა ადგილიდან, გაწვართულ კისერსა და კუდის ქნევაზე ეტყობოდა, რაღაც ძლიერ იზიდავდა. ბუჩქნარში შეცურდა და როცა მეორე მხრიდან გამოვარდა, მის წინ თეთრი, ქათქათა კურდღელი მიქროდა, თავს შველოდა. სკუპ! სკუპ! ყოველი ნახტომი თორმეტი ფუტის სიგრძისა იყო. თვალს ვერ შეასწრებდით ამ ნახტომებს. კვერნა მისდევდა კურდღელს. ნამდვილი შეჯიბრი იყო. ელვის სისწრაფით კრთებოდნენ ბუჩქნარში კურდღელი და კვერნა. კურდღელი სჯობნიდა სირბილში. ვაჟკაცობა თუ ეყოფოდა, მაგრამ აბა რა ვაჟკაცი იქნებოდა კურდღელი!.. ბედის ვარსკვლავმა არ გასწირა საბრალო ამჯერად. კურდღელი ირმის ბილიკზე გადახტა და მდინარესთან მივარდა. უკან ვეღარ დაბრუნდებოდა, წინ მდინარე იყო. კურდღელი წყალში გადაეშვა და გასცურა. კვერნა? გადახტა მდინარეში? მას სძულდა

წყალი, თანაც მაძღარი იყო და, ამიტომაც არ ინება დევნის გაგრძელება. ნერვიულად გაიწვართა და თავი ანება მცურავ კურდღელს.

და სიკვდილის მატარებელი შემზარავი უეპესტენი ფრთოსანი გველივით გაქროლდა ძელზე, მოჩვენებასავით გასრიალდა მიწაზე და ქოხისაკენ გაემართა. ქოხის პატრონი კი თვალს არ აშორებდა ნადირს. კვერნამ ციყვის გვამს ჩაუარა, შეჩერდა, რამდენჯერმე გაკრა კბილი, შევარდა ბუჩქებში და იქიდან კარგა მოშორებით გამოვიდა. ეს მან ისე სწრაფად მოიმოქმედა, რომ როლფს ჯერ სხვა კვერნაც კი ეგონა. ერთი წუთიც არ გასულა, რომ იგი უკვე ქოხის სახურავზე აცოცდა, აქეთ-იქით მიმოატარა თავისი მუქი წაბლისფერი, ქვემო ნაწილში მოყვითალო სახე და სახურავის შესასვლელისაკენ გაემარა.

როლფი იჯდა და თვალს არ აშორებდა ლამაზ ავსულს, რომელიც ნატიფი თათების სრიალით, თანაბარი ნახტომებით მიიჩქაროდა ღია ხვრელისა და... საკუთარი თავის დაღუპვისაკენ. ერთი, ორი, სამი... აი, კედრის ეკლიან ტოტს დაადგა წინა თავი და მიმალულ ხაფანგში კი გაება. გაისმა რკინის რაკუნი... ჭყივილი; კვერნა მკვეთრი ნახტომით ავარდა ზევით... გაფთრებული ნადირი ისე სწრაფად ეხლებოდა აქეთ-იქით, რომ როლფი თვალს ვერ უსწორებდა მას... ციყვების შემმუსვრელი თვითვე აღმოჩნდა დამარცხებული.

როლფი ქოხისაკენ გაეშურა. მახეში გაბმული პატარა დემონი მთლად სველი იყო სიშმაგისა და სიძულვილისაგან; რკინას ღრღნიდა; მისი ყვირილი ადამიანის დანახვაზე ველურ ხავილად იქცა. წამებას ბოლო უნდა მოღებოდა და რაც უფრო ადრე იქნებოდა ეს, მით უკეთესი. ამიტომ როლფი ისევე მოექცა კვერნას, როგორც კვერნა მოექცა მფრინავ ციყვსა და თაგვებს... ტყეში ისევ ჩამოვარდა სიწყნარე.

XXIX
თხილამურები

— ამას ანეტას მივცემ, — თქვა როლფმა, როცა კვერნის გადაჭიმულ ტყავს გასაშრობად ჰკიდებდა, — მას მოაგონდა თავისი შეპირება.

— ეი! ეი! ეი! — გაისმა სამი სასიგნალო ძახილი და კუონები ნავიდან ნაპირზე ამოხტა.

— კარგი სანადირო ადგილი გვაქვს, — თქვა მან და შესახვედრად გამოვარდნილ, თითქმის სავსებით გამოჯანსაღებულ სკუკუმს თავზე ხელი გადაუსვა. პირველი, რაც თვალში მოხვდა როლფს, ეს ნაძვის სალტეზე გადაჭიმული დიდებული თახვის ბეწვი იყო.

— ოჰო! — წამოიძახა მან.

— ჰო! მე კიდევ ერთი ტბორი ვიპოვე, თახვებით სავსე.

— საუცხოოა, საუცხოო! — შესძახა როლფმა და მის მიერ ტყეში პირველად ნანახ თახვის ბეწვს ხელი გადაუსვა.

— აი, ეს კი უკეთესია, — უპასუხა კუონებმა და ორი სურნელოვანი ჯირკვალი აჩვენა.

ასეთი ჯირკვლები ყველა თახვს აქვს და რაღაც გამოურკვეველი მიზეზის გამო საოცარი ძალით იზიდავს გარეულ ცხოველებს. ჩვენ ვერ ვამჩნევთ ამ ჯირკვლის სუნს, ცხოველები კი მაშინვე იგრძნობენ ხოლმე. არც ერთი მონადირე არ ჩათვლის სავსებით ვარგისად სატყუარას ამ იდუმალი ჯირკვლებიდან მიღებული თახვის ნაშხეფის გარეშე. სულ მთლად აყროლებული რამეც კი, თევზის ქონიდან გამონახარში, ყოველგვარი სიდამპლე, მძორი, შერეული გამხმარ და დანაყილ თახვის ჯირკვლებთან და, ამგვარად, საზიზღარი, გულისამრევი გემოსა და სუნის ჯოჯოხეთურ ნარევად ქცეული, ბეწვიანი ნადირისათვის საუცხოო, მომაჯადოებელი სამსალაა, დამათრობელი, როგორც მომხიბვლელი რამე მუსიკა, დაუნდობელი, როგორც ბედისწერა, ვერაგი, როგორც მოცინარი თვალები, დამამშვიდებელი და მიმაძინებელი, როგორც ღვინო. მონადირეთა არც ერთი გამოგონება არ არის ისე სასტიკი, როგორც ამ ჯირკვლების მიმზიდველი ძალის გამოყენებაა. ამ მომაკვდინებელი და უტყუარი ხერხის გამოყენება ზოგიერთ ქვეყნებში ჯადოქრობადაც კი ითვლება და ასეთი მონადირე, როგორც ბოროტმოქმედი, ისჯება კანონით.

მაგრამ იმ მთებში, სადაც კუონები ცხოვრობდა, ჯერ არ იზიარებდნენ ასეთ აზრს და თახვის ჯირკვლები საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა მონადირეებისათვის. ოცდაათი წამალი შეამზადა კუონებმა ჩვეულებრივი მახეებისათვის, სამოცი პირველ მოგზაურობისას ჰქონდა მომზადებული. ამას თორმეტი ფოლადის ხაფანგიც დაუმატეს. ნადავლი უხვი უნდა ყოფილიყო.

ნოემბერი ახლოვდებოდა. ბეწვს ფასი ემატებოდა. მაშ რაღას უცდიდნენ მონადირეები? — ყინვებს. რადგან ჯერ ისევ თბილი დღეები იდგა და ხაფანგში ჩავარდნილი ნადირი შეიძლება გახრწნილიყო, სანამ მონადირეები უბნის შემოვლას მოასწრებდნენ. მონადირეებმა საზამთროდ კარგი შეშა მოიმარაგეს, ქოხს ჭუჭრუტანები ნაფოტით და ხავსით დაუგმანეს და საკუჭნაოს ირგვლივ მიწა შემოაყარეს. ირმებზე აღარ ნადირობდნენ, რადგან ხორცის მომარაგების დრო ჯერ არ დამდგარიყო, სამაგიეროდ, ერთი საქმე ელოდათ და მეგობრებს ახლა თავისუფლად შეეძლოთ ამ საქმეს შედგომოდნენ. თოვლზე სასიარულო თხილამურები მონადირეებისათვის აუცილებელი ნივთია და რაც უფრო მეტს დაამზადებდნენ, სანამ თბილი ამინდი იდგა, მით უკეთესი იქნებოდა. ჩარჩოდ, ჩვეულებრივ, არყის ხეს ან იფანს ხმარობენ. არყის ხე გამძლეა, მაგრამ იფანი უფრო ადვილად მუშავდება. თეთრი იფანი უხვად იყო ახლომახლო ჭალებში. მონადირეებს არ გაძნელებიათ ათფუთიანი ძელის შოვნა და მისი გრძელ-გრძელ ლამფებად დახევა. მთელ საქმეს, რა თქმა უნდა, კუონები ხელმძღვანელობდა, როლფი მის ყოველ განკარგულებას ასრულებდა. თითომ თითო ლამფა აიღო და მანამდე თალეს, სანამ სიგანით ერთ დუიმამდე და სიგრძით სამ მეოთხედ დუიმამდე არ დაიყვანეს. ზუსტად აღნიშნეს შუა ადგილი და აქედან ათი დუიმის მანძილზე ფიცრის ორივე ბოლო გათალეს ისე, რომ მისი სისქე ნახევარ დუიმამდე დავიდა. მოამზადეს ორი ბრტყელი თამასა ათი და თორმეტი დუიმის სიგრძისა და ჩარჩოში მათთვის ნახვრეტებიც გააკეთეს; ორივე ბოლოზე მობმული თოკის საშუალებით ჩარჩო შუაში მოღუნეს, მერე წყალი აადუღეს

და ჩარჩო ორთქლზე გააჩერეს. ერთი საათიც არ გასულა, რომ იგი ისე დარბილდა ორთქლში, რა ფორმასაც გინდოდათ, მისცემდით. ახლა თოკი მოჭიმეს ოსტატებმა, ბოლოები შეკრეს და თამასები წინდაწინ მომზადებულ ნახვრეტებში შეუყარეს. თოკი ჩარჩოს შესაკვრელად დროებით დატოვეს. შემდეგ ჩარჩო სწორ ადგილზე დადეს და წინა ნაწილი ორ დუიმზე ასწიეს, თან ზემოდან მძიმე მორი დაადეს, რომ ცხვირი ზევით აგრეხოდა.

ჩარჩო ასე დატოვეს გასაშრობად, ინდიელი კი ამასობაში ღვედების დამზადებას შეუდგა. ირმის ტყავს ახალი შეშის ნაცარი მოაყარა და შლამში დაფლა. ერთი კვირის შემდეგ ბეწვი გააცალა, შემოჭრა ირგვლივ ჩამოკიდებული ნაკუწები და შემდეგ გაჭიმა. რბილი, მოქნილი და თეთრი ტყავი გამოვიდა. კუონებმა ტყავს კიდეებიდან დაუწყო ჭრა სპირალურად ისე, რომ ბოლოს ოთხი დუიმის სიფართის გრძელი ღვედი გამოჭრა. ირმის მეორე ტყავი გაცილებით უფრო პატარა და თხელი იყო. კუონებმა დანა უკეთ ალესა და ახლა ორჯერ უფრო წვრილი ღვედი აჭრა. ყველაფერი მზად იყო, ძირის მოწვნაღა აკლდათ. წვრილი ღვედი თხილამურის წინა და უკანა ნაწილისათვის იყო განკუთვნილი, უფრო ფართო — შუა ადგილისათვის, სადაც ფეხი დაიდგმებოდა. ნამდვილ ოსტატს, კაცმა რომ თქვას, გაეცინებოდა ასეთი თხილამურების დანახვაზე, მაგრამ ისინი მაინც გამძლე და მოხერხებული იყო.

უტობოგანობა[1], ([1] ტობოგანი — ციგა, მარხილი.) რა თქმა უნდა, არ იქნებოდა. მისთვის იფნის ოთხი თხელი ფიცარი აიღეს, თითოეული ექვსი დუიმის სიფართისა და ათი ფუტის სიგრძისა.

XXX
პირველი მელა

კუონებს არაფრით არ უნდოდა თავი გაენებებინა თავის ტილოს კარავში ღამისთევისათვის, როლფსა და სკუკუმსაც მასთან ეძინათ. ძაღლი უკვე მთლად გამოჯანმრთელდა, ღამე მალიმალ გამოვარდებოდა კარვიდან და რაღაცას მისდევდა ხოლმე.

ერთ დილით მონადირეები ნაკვალევზე მიხვდნენ, რომ ბანაკში მელიები მოსულიყვნენ. აშკარა იყო, რომ ისინი ცალკერძ მოკლული ირმის მძორმა მოიზიდა, ცალკერძ სილიანმა ნაპირმა, სადაც მათ თავის შესაქცევად ხტუნვა-თამაში შეეძლოთ და, ბოლოს, ცნობისმოყვარეობამაც, რომელსაც მონადირეთა ქოხი და ძაღლი უღვიძებდათ.

ერთ დილას, მას შემდეგ რაც სკუკუმი რამდენჯერმე გამოვარდა ღამე კარვიდან, როლფმა თქვა:

— მელას ბეწვი ვარგა უკვე; ცუდი არ იქნებოდა, რომ, იმ ტყავისათვის მელიას ქურქიც მიგვემატებინა! — და ხელი გაიშვირა კვერნის ტყავისაკენ.

— ძალიან კარგი... გასწი, ისწავლე მელიების ჭერა, — უპასუხა კუონებმა.

როლფმა ამოიღო მელიის ორი ხაფანგი და საქმეს შეუდგა.

ისეთ ადგილს მიაგნო, სადაც მელიებს ერბინათ და ეთამაშათ, აარჩია მათგან გატკეპნილი ორი ბილიკი, ხაფანგები დადგა და კარგად მოაფარა. შემდეგ გამოარჩია ორი კედრის ტოტი, მოჭრა და ბილიკზე გადადო გარდიგარდმო თითო ხაფანგის ყოველ მხარეზე. იმედი ჰქონდა, მელიები ტოტებს გადაახტებიან და ხაფანგში ჩავარდებიანო. საქმის წარმატებაში კიდევ უფრო დარწმუნებული რომ ყოფილიყო, ხაფანგებში თითო ნაჭერი ხორცი ჩადო, მათ შორის შუა გზაზე კი ერთი დიდი ნაჭერი დადო ქვაზე. თითოეული ხაფანგის ირგვლივ ბილიკს ახალი მიწა მიაყარა, რომ ნაკვალევი უკეთ გამოჩენილიყო.

მელიები ღამე მოსულიყვნენ, მაგრამ ხაფანგს ერთიც არ გაკარებოდა. როლფმა გულდასმით დაათვალიერა ნაკვალევი. ნაკვალევმა ყველაფერი უამბო მონადირეს. მელიებმა, რა თქმა უნდა, შეამჩნიეს ხაფანგიც და სატყუარიც, მაგრამ არ მოტყუვდნენ. თანდაყოლილი ფაქიზი ალღოს წყალობით მაშინვე იგრძნეს რკინის საეჭვო სუნი და კიდევ უფრო საეჭვო — ადამიანისა. სხვა დროს ხორცს იქნებ კიდეც მიეზიდა ისინი, მაგრამ ახლა მინდვრად ისე მრავლად იყო თბილი და ნაზი, გემრიელი თაგვები, რომ ცივი და უხეში ირმის ხორცი სულაც არ ეჩვენათ მიმზიდველად.

მელიები კარგად იყვნენ ჩასუქებულნი და შიმშილი არ აწუხებდათ — რა ძალა ადგათ აშკარა ხიფათს გადაკიდებოდნენ. ახლა კი, ვერავითარი ქვის გალავანი ვერ დაიცავდა ეზოსა და ხორცს მელიებისაგან ისე, როგორც როლფისაგან დადგმული ეს ხაფანგები იცავდნენ.

— ასე ემართებათ მუდამ ახალბედა მონადირეებს, — თქვა კუონებმა, — ერთხელაც სცადე.

— ვცდი, — უპასუხა როლფმა და მიხვდა, რომ თავისი საკუთარი ნაკვალევის სუნის მოშლა დაავიწყდა.

დააწყო კედრის ტოტები, ცეცხლი მოუკიდა და ხაფანგები და ჯაჭვები შებოლა, შემდეგ მოჭრა ირმის უმი ხორცის ნაჭერი და ტყავის თათმანებზე და ჩექმის ლანჩებზე წაისვა. ეს როგორ მოუვიდა თავში, რომ წინასწარ ადამიანის სუნის მოუსპობლად, დაიჭერდა მელას ხაფანგით?! თითოეული ხაფანგის ქვესადგომს რბილი ხავსი დაუფინა, კედრის ტოტები დააფარა და ზევიდან მშრალი მიწა მიაყარა.

ხაფანგები საუცხოოდ იყო დადგმული და ახლა ვერც ერთი ადამიანის გამჭრიახი თვალი ვერ შეამჩნევდა სად იყო ისინი გამართული. როლფი დარწმუნებული იყო წარმატებაში.

— მელია თვალით კი არ გრძნობს სუნს, — თქვა ინდიელმა, რომელსაც სურდა, რომ მისი მოწაფე თავად მიმხვდარიყო, რისი გაკეთება იყო საჭირო.

დილით როლფი უთენია გაეშურა ამბის გასაგებად, ხომ არ გაებაო მელა მახეში, მაგრამ ხაფანგები ცარიელი დახვდა. რომელიღაც მელას კი ევლო ხაფანგიდან ათ ფუტზე, მაგრამ ისეთნაირად, თითქოს როლფის ბავშვურ გასართობს დასცინოდაო.

კაცი ჯოხითაც ვერ გარეკავდა მელიებს უკან, ტყეში, ისე, როგორც ამას ეს «სათამაშო» აკეთებდა. იმედგაცრუებული და დარცხვენილი როლფი სახლისკენ გამობრუნდა.

რამდენიმე ნაბიჯის გადმოდგმაც ვერ მოასწრო, რომ სკუკუმის განწირული წკავწკავი მოესმა. მიბრუნდა და დაინახა, რომ ძაღლი ხაფანგში გაბმულიყო. დაშავებული არ იყო, მაგრამ დაზაფრული სკუკუმი გულგახეთქილი წკმუტუნებდა.

მონადირეები გაეშურნენ მის დასახსნელად და გაათავისუფლეს; ხაფანგი დაუკბილავი იყო და ძაღლს ვერ დააშავებდა. მხოლოდ ფეხით კი მაგრად ეჭირა იგი.

ხაფანგში ჩავარდნილ ცხოველს ტკივილი არ აწუხებს, იგი შიმშილისაგან იტანჯება. ამიტომ არის, რომ მონადირეები ცდილობენ, ხშირ-ხშირად ჩამოუარონ ხოლმე თავიანთ ხაფანგებს და ცხოველებს ტანჯვა შეუმოკლონ.

ბოლოს კუონებმა გადაწყვიტა თავად მიეღო მონაწილეობა მელიების ჭერაში.

— ასე ხაფანგის დადგმა შეიძლება მხოლოდ ისეთი ცხოველებისათვის, როგორიცაა ენოტი, წაულა ან კვერნა... ან ძაღლი... და არა მელიასა და მგლისათვის. მელია და მგელი ძლიერ ჭკვიანები არიან, ხომ ნახე.

ინდიელმა ტყავის სქელი ხელთათმანები აიღო და ხაფანგებთან ერთად კედრის კვამლით შებოლა. შემდეგ მოკასინის ლანჩებზე უმი ხორცი მოისვა, ნაპირთან პატარა ყურე იპოვა და გრძელი ფიცარი ისე გასდო ქვიშაზე, მივიდა ბოლომდე და პალო ნაპირიდან ოთხი ფუტის მოშორებით ფსკერზე ჩაარჭო. შემდეგ თავი გაუპო, შიგ ხავსი ჩატენა და ზედ თახვის ჯირკვლების სითხის ოთხი წვეთი მოაპკურა. აიღო ფიჭვის ფისის ნაჭერი და ხაფანგის თაროზე დადო, დასარბილებლად ზემოდან ანთებული კვარი გააჩერა და შიგ პატარა, ბრტყელი კენჭი ჩააჭდო.

ხაფანგის ჯაჭვს ინდიელმა ათგირვანქიანი ქვა გამოაბა და შუა გზაზე, პალოსა და ნაპირს შორის წყალში ჩაუშვა. ამ ქვაზე ხაფანგი დადგა იმგვარად, რომ ბრტყელი ქვის გარდა, მისი ყველა ნაწილი წყალში იყო დამალული. უკან იმავე გზით დაბრუნდა, ფრთხილად გამოჰყვა ფიცარს.

ქვიშაზე გადმოდგა თუ არა ფეხი, აიღო ფიცარი და გამობრუნდა. ამგვარად, ხაფანგის სიახლოვეს არც კვალი დარჩენილა და არც სუნი.

ხაფანგი უნაკლოდ იყო გამართული, მაგრამ მელიები არც იმ ღამეს მისულან ახლოს — ჯერ არ შეჩვეოდნენ. მათი კანონით: «ყოველივე უცნობი ნივთი საშიშია».

მეორე დილით როლფს გულით უნდოდა დაეცინა მეგობრისათვის, მაგრამ კუონებმა უთხრა, არც ერთი მახე არ მოქმედებს პირველ ღამესო.

შემდეგ დილამდე ცდა აღარ მოუხდათ. ღამე სკუკუმი ხმამაღალი ყეფით გამოვარდა კარვიდან. მონადირეები მიყვნენ ძაღლს და მელა დაინახეს. ცოფიანივით ხტოდა ნადირი, ცდილობდა თავი დაეღწია ხაფანგიდან, რომელიც ქვის ღუზასთან ერთად უკვე ამოეთრია წყლიდან.

საცოდავ მელიას იმწამსვე შეაწყვეტინეს ფართხალი. მოკლული მელა ქოხში ჩამოკიდეს. დილით მონადირეები შეხაროდნენ მშვენიერ ბეწვს, რომელიც სხვა ნადავლს შეემატა.

XXXI

ხაფანგები რიგის გაყოლებით

იმ ღამეს ამინდი შეიცვალა და განთიადისას ძლიერმა ჩრდილოეთის ქარმა დაბერა. შუადღისას ტბიდან გარეული იხვები გაფრინდნენ. ბატების გუნდი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაემართა ხმამაღალი ყვირილით. ქარს სულ უფრო და უფრო ემატებოდა სუსხი და პატარა ტბორებსა და გუბეებს ყინულის თხელი ფენა გადაეკრა. წვრილად თოვაც კი დაიწყო, მაგრამ მალე გადაიღო. ცა მოიწმინდა, ქარი ჩადგა. სამაგიეროდ, ყინვა მომძლავრდა.

დილით, როცა მონადირეები ადგნენ, ძალიან ციოდა. ტბის გარდა ყველაფერს ყინული გადაკვროდა. მიხვდნენ, რომ ზამთარი მოსულიყო უკვე. დადგა დრო ხაფანგების გამართვისა. კუონები ავიდა მთის მწვერვალზე, დაანთო პატარა კოცონი, შიგ მელიასა და კვერნის ულვაში ჩააგდო, რამდენიმე წვეთი თახვის შხეფი და ცოტა თამბაქოც დაუმატა და «მონადირის სიმღერა» წამოიწყო. შინ დაბრუნდა თუ არა, საბნების, სათახვე ხაფანგების, იარაღებისა და ორი დღის საგზლის ჩალაგებას შეუდგა. არც სურნელოვანი ჯადო დავიწყებია, არც თევზი სატყუარად.

მალე ხაფანგები სატყუარით მოამარაგა. თითოეულ ხაფანგში ხავსი ჩააფინა ინდიელმა, წინასწარ კი ზედ რამდენიმე წვეთი თახვის შხეფი მოაპკურა. შემდეგ თავის მოკასინებსაც ასხურა ჯადო-წამალი.

— ფუი, რა საზიზღარია! — წამოიძახა როლფმა.

— ჩემი მოკასინების კვალზე ერთ თვეს ივლის კვერნა, — განმარტა კუონებმა.

სკუკუმიც, ალბათ, იმასვე ფიქრობდა, რასაც როლფი, და თუ არა თქვა «ფუი»-ო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, ძაღლმა მალე კაკბების გუნდს მიაკვლია. როლფმა აიღო საჩიტე ისრები და სამი კაკაბი მოკლა. ფრინველის მკერდიდან სადილი მოამზადეს მონადირეებმა, დანარჩენი ხორცი შიგნეულთან და ბუმბულთან ერთად სატყუარად გამოიყენეს კვერნისა და სხვა ცხოველებისათვის. შუადღისას თახვების ტბორზე მივიდნენ, წყალს თხელი ყინული გადაჰკვროდა, თუმცა მისადგომებზე, საიდანაც ამას წინათ თახვები ნაპირზე ამოდიოდნენ ხოლმე, ჯერ ისევ ჩანდა წყალი. ყოველ მისადგომთან თითო ფოლადის ხაფანგი დააგეს და ზედ გამხმარი ბალახი მოაფარეს. ხაფანგიდან ერთი ფუტის მანძილზე მიწაში ჩაარჭვეს თავგაპობილი და შიგ ხავსჩატენილი პალო, რომელსაც წინასწარ რამდენიმე წვეთი ჯადოსნური წამალი მოაპკურეს. ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი ჩამოაცვეს გრძელ, წვრილსა და მოქნილ ჯოხს, შლამიან ფსკერში ჩაარჭვეს ღრმად და ბოლო ღრმა ადგილის საწინააღმდეგო მხარისაკენ გადახარეს. ეს ძველი და ნაცადი ხერხი იყო. თახვს სურს გაიგოს, საიდან მოდის სუნი და ხაფანგში ფეხით ვარდება. საშიშროებას რომ იგრძნობს, ინსტინქტურად ფსკერისკენ ყვინთავს, რგოლი ჯოხზე ფსკერამდე მიცურავს და აქ ისე მაგრად იჭედება ჯოხზე, რომ თახვი ზევით ვეღარ ამოდის და იხრჩობა. ერთი საათის განმავლობაში ექვსი ხაფანგი დაუგეს თახვებს. ახლა კაკბებზე სანადიროდ გასწიეს. შემდეგ სკუკუმი ძლივს გადაარჩინეს მაჩვზღარბთან ახალ ფათერაკს. მერე წყვილი როჭო მოკლეს, რამდენიმე ხაფანგი კიდევ დააგეს და ღამის გასათევად შეისვენეს.

განთიადზე თოვლი წამოვიდა და მიწა ერთიანად დაფარა. არსად დედამიწაზე ისე ლამაზი არ არის პირველი თოვლი, როგორც ედირონდეკ-ში. ჯერ კიდევ ადრე შემოდგომიდან ემზადება საზამთროდ ბუნება. ფოთ-ლები ცვივა, ცეცხლივით ღვივის ტყის ნაყოფის წითელ-წითელი კუნწულე-ბი. უკვე მზადაა ყველაფერი, თეთრი საბანიღა აკლია მხოლოდ. ბოლოს, როცა ისიც გამოჩნდება დედოფლის საქორწინო მანდილის ან საომარი ცხე-ნის ვერცხლის მორთულობის მსგავსი, მთელი ბუნება მოირთვება ხოლმე ბროლის ტანსაცმელში, ურომლისოდაც მთელი სურათი დაკარგავდა თავის მნიშვნელობასა და ლაზათს.

აქაურობის სილამაზემ დაატყვევა მონადირეები, როლფი თავის აღ-ტაცების გამოსახატავად მხოლოდ ამასღა იმეორებდა: «განა ეს ლამაზი არ არის!» — ინდიელი კი იდგა უძრავად და მდუმარედ გაჰყურებდა არემარეს.

რამდენი წარმტაცი მოთხრობის წაკითხვა შეუძლია მონადირეს თოვ-ლზე! ამ დღეს როლფმა და კუონებმა, მათდა გასაკვირველად, იგრძნეს, რომ ყოველი ნაკვალევიდან ძაღლივით შეუძლიათ ამოიკითხონ რამდენიმე საა-თის წინ აქ გავლილი ცხოველის ისტორია. მიუხედავად იმისა, რომ პირვე-ლი დღის თოვლი მონადირეს ნაკლებს უამბობს, ვიდრე მეორე დღისა, მეო-რისა — ნაკლებს, ვიდრე მესამე დღისა, თოვლზე ამბების ნაკლებობა მაინც არ იყო. აი, აქ ნაბიჯით გაუვლია წეღან ქორბუდა ირემს, მეორე კი სირბი-ლით გასცლია მეტოქეს. იქ ქურდულად მიიპარებოდა მელა, თან უნდოდ გაჰყურებდა, აი, იმ მახეს. აი, კვერნის ნაკვალევი, შეხედეთ, როგორ ძაღლი-ვით ურბენია ბუჩქნარში, აქ ადამიანის სუნი უგრძვნია. ხედავთ, შეჩერებუ-ლა და დაუსუნავს; აქედან პირდაპირ ხაფანგისაკენ წასულა.

— ვაშა! გაბმულა! — შესძახა როლფმა, როცა მორს ქვეშ მოქცეული სა-უცხოო კვერნა დაინახა, მუქი, თითქმის შავი, მკერდგანიერი, ოქროსფრად მოლივლივე.

ისევ თახვის ტბორისაკენ გამობრუნდნენ. მეორე ხაფანგი ადგილი-დან ამოვარდნილიყო, მაგრამ შიგ არაფერი იყო. მესამეში წითელი ციყვი ნა-ხეს, მათთვის არაფრად გამოსადეგი, სატყუარად თუ მოიხმარდნენ. სამაგი-ეროდ, შემდეგში კვერნა ნახეს, მომდევნოში — ყარყუმი. სხვები ხელუხლე-ბელი დახვდათ. მაგრამ მათ უკვე იშოვეს ორი კარგი ბეწვი, სანამ თახვების ტბორამდე მივიდოდნენ. წარმატებამ კარგ გუნებაზე დააყენა მონადირეები, მაგრამ ძვირფასმა ნადავლმა, რომელიც შემდეგ ხვდათ წილად, ყოველ მო-ლოდინს გადააჭარბა.

ექვსივე ხაფანგში თითო დიდი თახვი ნახეს დამხრჩვალი. თითო ბეწ-ვი ხუთი დოლარი მაინც ღირდა. მონადირეებმა თავი მდიდრებად იგრძნეს. ამ ტბორებს მათთვის სულ ცოტა ორმოცდაათი ტყავის მოცემა შეეძლო.

ისევ გამართეს ხაფანგები, გაიყვეს ერთმანეთში ბარგი და უფრო გან-მარტოებული ადგილის საძებნელად გაემართნენ დასასვენებლად, რადგან თახვების ტბორის სიახლოვეს ცეცხლის დანთება არ არის მიღებული. ას ორმოცდაათი გირვანქა თახვის ხორცის რამდენიმე მილზე თრევა არ არის ადვილი საქმე: გაიარეს ნახევარი მილი, იპოვეს დაბალი, მოფარებული ად-გილი, გააჩაღეს ცეცხლი და თახვებს ტყავი გახადეს, გამოშიგნეს და ხორცი ხეზე ჩამოკიდეს, ბეწვი და კუდები კი თან წაიღეს.

მრავალი მილი გაიარეს ამ დღეს, ყველა ხაფანგის ხორცით მომარაგება მოასწრეს და შინ მხოლოდ გვიან საღამოს დაბრუნდნენ.

XXXII
ირმები

ხალხი ნოემბერს წყვდიადის, სასოწარკვეთისა და ყოველგვარი უბედურების თვედ თვლის.

გარეული ცხოველებისათვის ნოემბერი სიგიჟის თვეა, მაგრამ არც ერთ ნადირს ისე არ შეეყრება ხოლმე ეს სიგიჟე, როგორც თეთრკუდა ირემს. ეს ირმების ერთგვარი ავადმყოფობაა, რომელსაც თან ახლავს კისრის გასივება და ციებ-ცხელებისმაგვარი ნერვული აღგზნება. ხარირმებს შორის ამ დროს ხანგრძლივი და დაუნდობელი ჭიდილია ხოლმე; უჭმელ-უსმელი დაექანებიან ისინი დღედაღამ მხოლოდ ერთი სურვილით ანთებულნი, დაეჯახონ და მოკლან ვინმე.

რქები, რომლებიც მათ ჩვეულებრივ გაზაფხულზე ამოსდით, ამ დროს თავის სრულ განვითარებას აღწევს, მჭრელი, მაგარი და მძიმე ხდება. რისთვის? ნუთუ ბუნება ამ არსებებს იმისათვის აიარაღებს, რომ იჩხუბონ, დაჭრან, გაანადგურონ? გასაკვირია, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ეს იარაღი უფრო ხშირად თავდაცვისათვის იხმარება. ირმების ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლები თითქმის არასდროს არ თავდება სიკვდილით. მოჩხუბარი ირმები ჭრილობისაგან არ იღუპებიან; რომელიმე მებრძოლის მოულოდნელი ნახტომის შემდეგ მათი რქები ისე მჭიდროდ ჩაიხლართებიან ხოლმე ერთმანეთში, რომ ირმები ერთმანეთს ვეღარ სცილდებიან და შიმშილით იხოცებიან. ერთი ირმისაგან მეორის რქით მოკვლის შემთხვევა იშვიათია, სამაგიეროდ, ძლიერ ხშირია რქების ჩახლართვისაგან სიკვდილის შემთხვევა.

იმ ადგილებში, სადაც როლფი და კუონები დაესახლნენ, ასობით ირემი ცხოვრობდა, ამათგან ნახევარი ხარირემი იყო, ისინი გამუდმებით ორთაბრძოლაში იყვნენ ჩაბმულნი. თამამად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ქოხიდან ათიოდე მილის მანძილზე ტყეში ერთი ათასი დუელი მაინც მოხდა ამ ერთი თვის განმავლობაში. რა გასაკვირია, რომ როლფს არათუ შორიდან მოესმა რამდენჯერმე ბრძოლის ხმაური, არამედ შემთხვევით ერთი ასეთი ორთაბრძოლის მოწმეც კი შეიქნა.

მონადირეები ახლა ქოხში ცხოვრობდნენ და წყნარ, ყინვიან ღამეებში როლფი ხშირად გამოდიოდა ხოლმე გარეთ, რომ ერთხელ კიდევ შეეხედა ვარსკვლავებისათვის და ღამის მდუმარებაში სხვადასხვა ხმებისათვის მიეპყრო ყური. დროდადრო ყურებიანი ბუს «უხუ! უხუ!» ხან მგლის გაბმული ყმუილი ესმოდა, მაგრამ უფრო ხშირად მის სმენას შორს, ტყის სიღრმიდან რქების ჯახუნი სწვდებოდა. ეს ირმები წყვეტდნენ მნიშვნელოვან საკითხს: რომელი სჯობდა მათში?

ერთ დილას როლფს ისევ მოესმა რქების ჯახუნი; ეს ხმა ჯერ კიდევ გასულ ღამეს ისმოდა ტყიდან. ადგა და ნასაუზმევს მარტო გაემართა იქითკენ. ტყის ტაფობზე ორი ირემი მიწოლოდა ერთმანეთს შუბლით და ჯაჯგურობდნენ. ენა გადმოეგდოთ. როგორც ჩანდა, მოქანცულიყვნენ, ირგვლივ

თოვლი გადათელილი იყო. ბრძოლა უთუოდ რამდენიმე საათს გრძელდებოდა. ირმები აქ მთელ ღამეს იბრძოდნენ. ძალით, ალბათ, თანაბარნი იყვნენ, მწვანედ ანთებული თვალები კი ნათლად მეტყველებდნენ ამ ერთი შეხედვით თვინიერი ცხოველების მთელ სიშმაგეზე.

როლფი დაუბრკოლებლად მიუახლოვდა ირმებს. მათ თითქოს შეამჩნიეს ადამიანი, მაგრამ მაინცდამაინც არ მიუქცევიათ ყურადღება. შეჩერდნენ მხოლოდ, რომ ამოესუნთქათ, შემდეგ გაშველდნენ, თავები ასწიეს, ჰაერი შეისუნთქეს და საჩქაროდ გასცილდნენ საშიშ მტერს. ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზე ისევ გამობრუნდნენ, რქები შეარხიეს და ერთ წუთს დაფიქრდნენ, ვერ გადაეწყვიტათ, რა ექნათ: ბრძოლა განეგრძოთ თუ ადამიანს დასხმოდნენ თავს. საბედნიეროდ, ისევ ერთმანეთთან ბრძოლა არჩიეს. როლფი შინ გაბრუნდა. კუონებმა მოუსმინა მეგობარს და ასე უთხრა:

— იმათ შენი მოკვლა შეეძლოთ. ხარები ახლა დაგიჟებულები არიან. ხშირად თავს ესხმიან ადამიანს. ირემმა მამაჩემის ძმა მოკლა «სიგიჟის თვეში». დასახიჩრებული გვამიღა ეპოვათ. ხეზე ასვლა მოენდომებინა, მაგრამ ირემს ძირს ჩამოეგდო. თოვლზე შავად ჩანდა ნავალევი და ამაზე მიხვდნენ, რომ კაცს რქებში ჰქონდა ჩავლებული ხელი ირმისათვის, ირემი კი მიათრევდა, სანამ ადამიანს ძალა არ გამოელია. თოფი არ ჰქონდა თან. ირემი სადღაც მიიმალა. სულ ეს არის, რაც ვიცი და ახლა მე დათვს უფრო ვენდობი, ვიდრე ირემს.

ინდიელს ბევრი არ ულაპარაკია, მაგრამ როლფს ცხადად წარმოუდგა თვალწინ მკვლელობის სურათი. ცოტა ხნის შემდეგ მან ისევ გაიგონა რქების ჯახუნი და შემობრუნდა, როცა წარმოიდგინა განწირული ბრძოლა თოვლზე; კუონების მონათხრობმა სულ შეუცვალა ირემზე წარმოდგენა.

ამის შემდეგ ერთი-ორი კვირა გავიდა. როლფი ხაფანგების დათვალიერების შემდეგ შინ ბრუნდებოდა. უცებ ტყის სიღრმიდან რაღაც უცნაური ხმები მოესმა; თითქმის ადამიანური ხმები. ამ უცნაურ, იდუმალ ხმებს, ჩვეულებრივ, ყორნები და ჩხიკვები გამოსცემენ; დაბალ ხმებს — ყორანი, მაღალს — ჩხიკვი.

«კოუკ, კოუკ! ხე! ხე! ხე! კრრრრრ!» — გაისმოდა შემზარავი, ჯოჯოხეთური ჩხავილი. მალე როლფმა ერთი ათამდე ყორანი დაინახა. ზოგი ხეებს შორის დაფრინავდა, ზოგი თოვლზე დახტოდა. ერთი დამპალ ჯირკზე დაჯდა, მაგრამ ჯირკი შეინძრა, და ყორანი სხვა ადგილას გადაფრინდა.

«უეხ! უეხ! კრრ! კრრრ!» — აყვნენ სხვა ყორნებიც. როლფს მშვილდისრის, ჯაყვისა და ნაჯახის გარდა თან სხვა იარაღი არა ჰქონდა. ქამრიდან ნაჯახი ამოიძრო და გზა განაგრძო. ისევ გაისმა ყორნების ყრუ ჩხავილი. ისინი ტოტებზე შემოსხდნენ და ისეთი საზარელი ხმაური ატეხეს, თითქოს ავმა სულებმა რაღაც ჯოჯოხეთური ხუმრობა მოიგონეს და უხაროდათ, რომ კარგად გამოუვიდათ.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა როლფმა და ისეთი სანახაობა გადაეშალა თვალწინ, რომ ბიჭი საცოდაობით შეძრწუნდა. დიდი, ვეება ხარირემი მუხლებზე იდგა და აქეთ-იქით ქანაობდა; ხანდახან წინა ფეხებზე წამოიწევდა, წამოდგებოდა და მიწაზე რაღაცას დიდსა და რუხს მოათრევდა... ეს კისერმოტეხილი მეორე ირმის გვამი იყო. ირემს დიდი და მაგარი რქები

ჰქონდა. მოკლულისა და ცოცხალი ირმის რქები ისე იყო ერთმანეთში ჩაჭედილი, თითქოს ისინი რქების სალტეებით შეეკრათ. მიუხედავად დიდი ძალდატანებისა, ცოცხალი ირემი ძლივს ამოძრავებდა თავს და მკვდარი მეტოქის გვამს გაჭირვებით მოათრევდა. ნაკვალევი მოწმობდა, რომ თავდაპირველად მას კიდევ შეეძლო, რამდენიმე ნაბიჯზე გაეთრია მოკლული და ტოტებსა და ნეკერსაც კი მისწვდომოდა, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო, როცა ჯერ ისევ ერჩოდა ღონე. რა ხანი გავიდა მას შემდეგ? რამდენიმე დღე, და ვინ იცის, შესაძლოა, მთელი კვირა ებრძოდა ირემი სიკვდილს. სიკვდილი კი არ მოდიოდა. ფერდები ჩაცვენოდა, გამშრალი ენა გადმოეგდო; შავ თვალებზე სიკვდილის მრუმე ლიბრი გადაკვროდა, მაგრამ როგორც კი ახალი მტრის მოახლოება შენიშნა, თვალები მყისვე ბრძოლის ჟინით აუკიაფდა.

ყორნებს მკვდარი ირმისათვის თვალები დაეთხარათ, ზურგი გაეხვრიტათ. მათ ცოცხლის დაჯაბნაც მოინდომეს, მაგრამ ნადირს ჯერ კიდევ ჰყოფნიდა ძალა, რომ წინა ფეხებით დაეცვა თავი, თუმცა ამით მისი მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. რა ხანი იყო როლფი ტყეში ცხოვრობდა, მაგრამ ასეთი გულისმომკვლელი სანახაობის მოწმე ჯერ არ ყოფილა, თუმცა ტყეში კი არა, მთელ თავის სიცოცხლეში არაფერი ენახა ამის მსგავსი. ჭაბუკის გული საბრალო ცხოველისადმი თანაგრძნობით აივსო. სულ დაავიწყდა, რომ მის წინ ის ირემი იყო, რომელზეც ადამიანები საზრდოს მოსაპოვებლად ნადირობენ.

ამ წუთში იგი თვინიერ, ლამაზ ცხოველს ხედავდა, საშინელ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილს და გადაწყვიტა, მიშველებოდა. ნაჯახით ხელში მიუახლოვდა, ფრთხილად ჩაავლო მკვდარ ირემს რქებში ხელი და ნაჯახი ძირში შემოჰკრა. ამ შემოკვრამ საოცრად იმოქმედა ცოცხალ ირემზე, რომელიც სიკვდილისაგან ჯერ შორს იყო. ის იმავე წუთს უკან გადახტა და თან მკვდარი ირემი და თავისი მხსნელიც დაითრია. როლფს გაახსენდა ინდიელის სიტყვები: კაცის ენას ყველა მხეცის დამშვიდება შეუძლიაო, და ტკბილად, ალერსიანად გამოელაპარაკა ირემს; მივიდა ახლოს და ისევ წაავლო იმ რქას ხელი, მოჭრა რომ სურდა; თან ალერსიან ლაპარაკს განაგრძობდა და თან რქას ნაჯახსა სცემდა სულ უფრო ძლიერად. რქები, როგორც ყოველთვის იმ დროს, ძლიერ სქელი და მაგარი იყო. რამდენჯერმე კიდევ შემოჰკრა ნაჯახი და რქაც მოტყდა; როლფმა იგი შემოატრიალა და ცოცხალი ირემიც განთავისუფლდა. მაგრამ როგორ გამოიყენა მან თავისუფლება?

რასაც ახლა გეტყვით, ნუ უამბობთ იმათ, ველური ირმის მეგობრად რომ თვლიან თავს. ნუ გაამხელთ იმათთან, ბრმად რომ სწამთ, კეთილ საქმეს მადლიერება მოსდევსო ყოველთვის! მოულოდნელი ენერგიით, შეუკავებელი გაშმაგებით, ყოვლად ბოროტი ზრახვებით ეკვეთა უმადური თავის მხსნელს, რომ სასიკვდილოდ გაეგმირა რქებით.

მოულოდნელი თავდასხმით გაოგნებულმა და გაოცებულმა როლფმა ვერ მოასწრო მკვლელისათვის რქებში ხელის წავლება და შეკავება. ირმის დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ ბიჭი წაიქცა. აშკარა სიკვდილისაგან რომ თავი ეხსნა, იგი ჩააფრინდა ამ საშინელ რქებსა და ისე დაიყვირა, როგორც არასოდეს თავის ცხოვრებაში არ უყვირია:

— კუონებ, მომეშველე! კუონებ, მიშველე!

იგი მილურსმულივით იწვა მიწაზე, გაშმაგებული ცხოველი კი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, აწვებოდა მკერდზე და ცდილობდა, რქები გაეთავისუფლებინა. საბედნიეროდ, რქები შორი-შორს იყო გატოტილი და ირემი თითქოს მხოლოდ გარს ჰხვევდა ტყვეს თავის რქებს, მაგრამ, ბოლოს, ისე დააწვა შუბლით მკერდზე, რომ როლფმა იგრძნო, ღონესთან ერთად ცნობასაც როგორ ჰკარგავდა, ფილტვებში ჰაერიც კი არ ეყო, რომ დაეყვირა. ყორნები კი ამ დროს ისხდნენ ხეზე და რაღაცაზე გატაცებით ლაყბობდნენ.

მძულვარებით ანთებული ირმის თვალები მომწვანო ცეცხლით კიაფობდნენ. ნადირი გიჟივით იქნევდა თავს ხან ერთ და ხან მეორე მხარეს. ასეთი ბრძოლა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. როლფს თითქმის სავსებით წაერთვა ძალა, ცხოველი კი ისევ აწვებოდა მკერდზე.

— კუონებ, მიშველე! — წაიჩურჩულა მან, როცა ირემმა ისევ აიღო თავი, რომ თავისი მომაკვდინებელი რქები გამოეხსნა. ცხოველმა თითქმის შეასრულა განზრახული, მაგრამ უცებ ყორნებმა საშინელი ჩხავილი ასტეხეს და ტყიდან გამოვარდნილმა რომელიღაც არსებამ ბრძოლის ველს მიაშურა — ვინ იყო იგი, სხვა უფრო პატარა ირემი? არა? მაშ ვინ? როლფი ვეღარაფერს ხედავდა, მხოლოდ ის იყო გაავებული ღრენა ჩაესმა და იმავე წუთში სკუკუმი უკანა ფეხში ეცა მკვლელს. რა თქმა უნდა, ღონე იმდენი არ ჰქონდა, რომ ირემი დაეთრია, მაგრამ, სამაგიეროდ, კბილები მჭრელი ჰქონდა და ძაღლი თავდავიწყებით გადაეშვა ბრძოლაში. როცა კბილები ირმის სხეულის უფრო ნაზ ნაწილებზე გადაიტანა, წინა ბრძოლებით მოქანცულმა ნადირმა უკან-უკან დაიხია, შემოტრიალდა და წაიქცა. წამოდგომა ვეღარ მოასწრო, რომ სკუკუმი ახლა დრუნჩში ჩააფრინდა და მარწუხივით მოუჭირა. ირემმა თავი გააქნია და თან ძაღლიც წაითრია, მაგრამ ვერაფრით ვეღარ მოიცილა. როლფმა ისარგებლა შემთხვევით, ფეხზე წამოხტა, ნაჯახს ხელი დაავლო და მთელი ძალით დასცხო ცხოველს, შემდეგ თოვლზე სანადირო დანა შენიშნა, რომელიც ბრძოლის დროს დავარდნოდა, მტერს მოუთავა და... გრძნობაც დაკარგა. გონს რომ მოვიდა, თავზე კუონები ადგა.

XXXIII
სადიდებელი სიმღერა

როლფი ცეცხლის პირას იწვა, კუონები თავზე ადგა და სერიოზული, დაფიქრებული თვალებით დასცქეროდა. ბიჭმა თვალი გაახილა, ინდიელმა გაიღიმა: ღიმილი კეთილი იყო, ალერსიანი, დიდი სიყვარული იმალებოდა ამ ღიმილში.

კუონებმა მაშინვე ცხელი ჩაი დაალევინა ბიჭს. სასმელმა იმდენად მოამაგრა როლფი, რომ იგი წამოჯდა და დაწვრილებით მოყვა დილანდელ თავგადასავალს.

— ეს ავი სულია, — თქვა ინდიელმა და იქით გაიხედა, სადაც მკვდარი ირემი იწვა, — მისი ჭამა არ იქნება. შენ, ალბათ, ჯადოთი მოუხმე სკუკუმს?

— ჯადოთი კი არა, ყვირილით, — იყო პასუხი. — მე შველას ვითხოვდი, გაიგონა და მოვიდა.

— აქედან ქოხი შორსაა, — არ ნებდებოდა კუონები. — მე არ შემეძლო შენი ხმა გამეგონა; არც სკუკუმს შეეძლო. კოს-კობი, მამაჩემი, მეუბნებოდა ხოლმე, როცა ვისმე ეძახი საშველად, მაშინ რაღაცნაირ ჯადოს აკეთებ, რომელიც ჰაერში შენს ხმაზე უფრო შორსა და უფრო სწრაფად მიჰქრისო. იქნებ ასეც არის, არ ვიცი: ბრძენი კაცი იყო მამაჩემი.

— კუონებ, შენ ხედავდი, სკუკუმი რომ გამოიქცა ჩემკენ?

— არა. შენ რომ წახვედი, ძაღლი ჩემთან დარჩა, მაგრამ ვერ ისვენებდა, ერთთავად სულ წკმუტუნებდა. მერე გაიქცა და კარგა ხანი გავიდა, სანამ მის ყეფას გავიგონებდი. ყეფა ნიშნავდა: საქმე ცუდად არისო; მეც ყეფის ხმას მოვყევ და ხმამ აქ მომიყვანა.

— სკუკუმი, ალბათ, ხაფანგების ხაზზე გამოყვა ჩემს კვალს.

ერთი საათის შემდეგ ისინი ქოხისკენ გაემართნენ. ყორნები გამაყრუებელი ყრანტალით აცილებდნენ მთელი გზა. აქვე, სადმე ახლოს მყოფი ავი სული რომ მოემადლიერებინა, კუონებმა აიღო საბედისწერო რქა, რომელიც როლფმა მოსჭრა, და ახალგაზრდა ხეზე ჩამოკიდა თამბაქოსთან და ქაღალდის წითელ ალამთან ერთად. რქა წლობით ეკიდა აქ, სანამ ნორჩი ხე დიდ ხედ არ იქცა.

გამოთხოვების წინ სკუკუმმა დაცემული მტერი დასუნა, გამოხატა გვამისადმი თავისი ძაღლური ზიზღი და პროცესიას თავში მოექცა.

არც იმ დღეს და არც შემდეგ, არამედ მაშინ, როცა წყნარი, მოწმენდილი, მზიანი ამინდი დაიჭირა, კუონები მთაზე სალოცავად ავიდა. ინდიელმა პატარა კოცონი დაანთო და, როდესაც კვამლი გრძელ, ტყვიისფერ ზოლად გაემართა მის ზემოთ მცურავ მოვარდისფრო ღრუბლებისაკენ, ერთი მწიკვი თამბაქო ჩაყარა ცეცხლში. აღაპყრო სახე და ხელები ცისკენ და ახალი სიმღერა წამოიწყო:

ავ სულს ჩემი შვილის დაღუპვა სურდა,
მაგრამ კეთილმა სულმა, რომელიც სკუკუმში ჩასახლდა,
დაიხსნა იგი.

XXXIV

არყის ხის ქერქის ჭურჭელი

მთელი კვირა ცუდად გრძნობდა თავს როლფი, დამტვრეულივით იყო. სკუკუმიც ვერ იყო კარგად, დროდადრო კუონებიც კუშტად იყურებოდა, უბრად იყო, დაფიქრებული. მაგრამ მალე ისევ მოეშვა გულზე.

სანამ ირმის ამბავი მოხდებოდა, ამინდი ცივი და ქარიანი იყო. სიცივე თანდათან მატულობდა და, როცა ყინვები დადგა და წყლის ზედაპირი შეიკრა, ერთ დღეს კუონებმა პურის საცხობ ჭურჭელში მოინდომა ხელის ამობანა. როლფს თავისი საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა სამზარეულო ჭურჭლის სისუფთავეზე და ამჯერად დაივიწყა უფროსისადმი აუცილებელი პატივისცემა. ეს იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ ამ დროს იგი მარტო გამოვიდა სახლიდან. როლფი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მათთვის აუცი-

ლებელი იყო ხელსაბანი რაიმე თასი. იმ დროს თუნუქი იშვიათი იყო და ძალიან ძვირიც ღირდა. თუ რამე დასჭირდებოდათ შინ მოსახმარად, ცდილობდნენ ტყეში ეპოვათ შესაფერი რამ და ჩვევის და გამოცდილების წყალობით იშვიათად მოეცარებოდათ ხოლმე ხელი. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე როლფი ხედავდა, როგორ აკეთებდნენ და თვითონაც აკეთებდა ღორებისათვის გეჯას, ბადიებს — ნეკერჩხლის წვენისათვის, ქათმების დასაპურებელ გობებს და გადაწყვიტა, როგორმე ნაჯახით გამოეთალა ცაცხვის მორისაგან ვარცლი, რომელიც ხელსაბანი თასის მაგივრობას გაუწევდათ. შესაფერი ხელსაწყოები რომ ჰქონოდა, მშვენიერ გობს გამოთლიდა, მაგრამ მარტო ნაჯახით და თანაც ირმისაგან დაშავებული ხელით, აბა, რას გააწყობდა! გობი მძიმე და უხეში გამოვიდა. წყლის შესანახად ვარგოდა, მაგრამ ამოსაღებად არ გამოდგებოდა და ამიტომ ცალკე ტოლჩაც იყო საჭირო.

კუონებმა როლფის ნახელავს შეხედა.

— მამაჩემის ვიგვამში ყველაფერი არყის ხის ქერქისაგან იყო გაკეთებული. მიყურე, როგორ გავაკეთებ ტოლჩას.

მან საკუჭნაოდან არყის ხის ქერქის გრაგნილი გამოიღო; თბილ ამინდში ჰქონდა დამზადებული ნავის შესაკეთებლად (სიცივეში ძნელი გასახდელია). გამოარჩია ყველაზე კარგი ნაჭერი, ჩამოჭრა ორფუტიანი კვადრატი და ქოთანში მდუღარე წყალში ჩადო. თან თეთრი ფიჭვის ბოჭკოვანი გრძელი ფესვების კონაც ჩაალბო ცხელ წყალში. ესეც ყინვების დაწყებამდე მოეგროვებინა ნავის შესაკეთებლად.

სანამ ესენი ცხელ წყალში ლბებოდა, ჩამოხლიჩა არყის ხის წყვილი ტკეჩი თითო ნახევარი დუიმის სიფართისა და მერვედი დუიმის სისქისა და ქერქთან ერთად ჩადო დასალბობად. შემდეგ სამი ჩხირი გამოთალა ტანსაცმლის ჩამოსაკიდი ხის ლურსმნების მსგავსად და რამდენიმე ნუჟრიან ჯოხს ცალი მხარე დაუპო.

ამოიღო წყლიდან დარბილებული და მოქნილი ფიჭვის ფესვები, აარჩია ერთი მერვედი დუიმის დიამეტრის რამდენიმე ცალი, კანი გააცალა, გაწმინდა და, ამგვარად, ათი ფუტის სიგრძის რბილი, სწორი და თეთრი თოკის კონა მიიღო.

არყის ხის ქერქი სწორ ადგილზე გააფინა და გამოჭრა ისე, როგორც ქვემოთ არის გამოსახული ნახატზე.

A და B მომრგვალებული იმიტომ გააკეთა, რომ კერვის დროს არ გახეულიყო, რაც აუცილებლად მოხდებოდა, თუ კიდეები სწორი იქნებოდა. ყოველი კუთხე ორად გაკეცა და მოღუნა (C), შემდეგ ხის სამაგრებით გაამაგრა (D). სალტე იმგვარად შემოაყოლა, რომ იქ, სადაც ქერქის ბოჭკოებს გადაჭრიდა, ბრტყლად დადებოდა და სადაც გასწვრივ გაყვებოდა — რკალისებურად. შემდეგ ირგვლივ არყის ხის მოქნილი წნელი შემოაყოლა, მსხვილი სადგისით დახვრიტა ქერქი და ჭურჭლის კიდეს ირგვლივ წნელი შემოაკერა. არყის ხის ქერქისაგან გაკეთებული გობი უკვე მზად იყო (E). უფრო სქელი ქერქიდან კალათის გაკეთებაც შეიძლება (E, ც) მაგრამ წყალი რომ არ გაედინოს, ისეთის გაკეთება ძნელია.

ახლა მათ უკვე ჰქონდათ ხელსაბანი თასი და დავის საბაბიც მოისპო. არყის ხის ქერქისაგან ნივთების კეთება სიამოვნებას ანიჭებდა როლფს და თან სასარგებლო საქმეც იყო; გადაწყვიტა, რაც შეიძლება მეტი დაემზადებინა ყოველგვარი ჭურჭელი.

ახლა, როცა იგი ირემთან ბრძოლის შემდეგ ისვენებდა და ჯანმრთელდებოდა, ეს სამუშაო განსაკუთრებით შესაფერი იყო მისთვის და დღითი დღე მეტი ოსტატობა ეტყობოდა ნახელავს.

ერთხელ როლფი სათევზაო ანკესებისა და სხვა ხელსაწყოებისათვის ყუთს აკეთებდა. კუონები აკვირდებოდა, რა მარჯვედ ასრულებდა ბიჭი სამუშაოს და ბოლოს ეს უთხრა:

— მამაჩემის ვიგვამში ასეთ ნივთებს ფერადი ჯაგრით მორთავდნენ ხოლმე.

— სწორია, — თქვა როლფმა და ინდიელების მიერ გასაყიდად გამოტანილი არყის ხის ქერქის სხვადასხვა საგნები გაიხსენა. — კარგი იქნებოდა, ერთი მაჩვზღარბი ჩამეგდო ხელში.

— იქნებ სკუკუმმა იპოვოს სადმე, — ღიმილით თქვა ინდიელმა.

— თუ წავაწყდით, მომცემ კეკის მოკვლის უფლებას?

— მოგცემ, თუ მის ნემსებს რამეში გამოიყენებ და ულვაშებს კი ცეცხლში დასწვავ.

— ულვაშები რისთვისღა დავწვა?

— მამაჩემი მეუბნებოდა, ასეა საჭიროო. კვამლი პირდაპირ იქ ადის, სხვადასხვა სულებთან. სულები შეიტყობენ, რომ ჩვენ მოვკალით კეკი, მაგრამ მათი სამადლობელი არ დაგვვიწყებია.

რამდენიმე დღე გავიდა, სანამ მაჩვზღარბს იპოვიდნენ, თუმცა იგი მათ არ მოუკლავთ. მაგრამ ამის შესახებ სხვა თავში გიამბობთ.

ნადირს ნემსებიანი ტყავი გახადეს და საკუჭნაოში ჩამოკიდეს. ნემსები ჩინებული სამკაული იქნებოდა ჭურჭლეულისათვის თუ როგორმე შეღებავდნენ. თეთრი ნემსებით ხომ არ მორთავდნენ ჭურჭელს.

— რა ფრად შეიძლება ამ ნემსების შეღებვა, კუონებ? — ზაფხულში ბევრი საღებავია, ზამთარში ძნელი საშოვნელია. თუმცა ზოგის მოპოვება ახლაც შეიძლება.

ინდიელი მივიდა ჭიაფერას ბუჩქთან, გახადა ქერქი, შიგნითა გარსი ჩამოფხიკა და ეს ნაფხეკი მაჩვზღარბის ნემსებთან ერთად მოხარშა. ნემსები ღია ვარდისფრად შეიღება; თხმელის ქერქისაგან ლამაზი ნარინჯისფერი მიიღეს; კაკლისაგან — მიხაკისფერი. მერე მუხის ნათალი რამდენიმე ნაჭერ რკინასთან აადუღეს და შავი საღებავიც გაუჩნდათ.

— წითელ და მწვანე საღებავს ზაფხულამდე უნდა მოვუცადოთ, — თქვა ინდიელმა. — წითელს მხოლოდ ნაყოფი იძლევა. ყვითელს კი ყვითელი ფესვიდან ვიღებთ.

შავი, თეთრი, ნარინჯისფერი, მიხაკისფერი, ვარდისფერი და წითელიც კი, ვარდისფერისა და ნარინჯისფერის შერევით მიღებული, ფერების მშვენიერ შეხამებას იძლეოდა. ნემსების გამოყენების ხერხი ძლიერ მარტივია. ქერქში სადგისით ნახვრეტებს აკეთებენ თითოეული ნემსისათვის; შემდეგ ეკლიან ბოლოებს ზემოდან ქერქის თხელ სარჩულს აფარებენ. როლფმა

ჯერ კიდევ ზამთრის დადგომამდე მოასწრო არყის ხის ქერქისაგან თავსახურიანი ყუთის გაკეთება, მაჩვზღარბის ნემსებით შეამკო და შიგ კვერნის ბეწვი შეინახა; იგი ამ ბეწვის გაყიდვას აპირებდა, რომ აღებული ფულით ანეტასთვის მისი საოცნებო ბამბაზიის კაბა ეყიდა.

მალე როლფი და კუონები ისევ წალაპარაკდნენ. როცა კუონებს ჭურჭლის მოწმენდა უნდოდა, დადგამდა ხოლმე მიწაზე და უბრალოდ სკუკუმს გაალოკინებდა. ჭურჭლის რეცხვის ეს ხერხი სავსებით აკმაყოფილებდა მას. სკუკუმი ხომ აღტაცებაში მოყავდა, მაგრამ როლფს არ მოსწონდა.

— სკუკუმი იგივე საკვებს ჭამს, რასაც ჩვენ, — უხსნიდა ინდიელი მეგობარს, — შენ არაფერი გესმის და ამიტომაც მეკამათები.

ესმოდა თუ არ ესმოდა, როლფი ხელახლა რეცხავდა სკუკუმის მიერ «გარეცხილ» ჭურჭელს; მაგრამ ხანდახან ვერ მოახერხებდა ხოლმე და კუონების უსუფთაობა აღიზიანებდა ბიჭს. გამოცდილებიდან იცოდა, რომ თავშეუკავებელი კაცი ყოველთვის წაგებულია ხოლმე; გადაწყვიტა, გვერდზე გადაედო თავისი შეხედულებები სისუფთავეზე და ისეთი დამამტკიცებელი საბუთები მოენახა, რომლებიც ინდიელის თვალსაზრისს მიუდგებოდა.

ერთ საღამოს, როცა ისინი ცეცხლთან ისხდნენ, როლფმა თავის დედაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ჰყვებოდა, რამდენი ჯადოსნური წამალი იცოდა საწყალმა და რამდენი ავი ჯადო იყო ისეთი, რომელიც მას ვნებდა.

— განსაკუთრებით ცუდად ჰქონდა დაცდილი, — ჰყვებოდა ბიჭი, — როცა ძაღლი ხელს გაულოკავდა ან მის საჭმელს შეეხებოდა. ერთმა ძაღლმა როგორღაც ხელი გაულოკა და სიკვდილის წინ სამი დღით ადრე მას ძაღლის აჩრდილი გამოეცხადა. — იგი ცოტა ხნით დადუმდა და შემდეგ დაუმატა: — რამდენიმე დღის შემდეგ მეც ის მომივა, რაც დედაჩემს დაემართა.

ამ ამბის შემდეგ ორი დღე გავიდა და შემთხვევით როლფმა დაინახა, რომ მისი მეგობარი ქოხის უკან დგას და სკუკუმს ალოკინებს ტაფას, რომელზეც წეღან ირმის ქონი შეწვეს. ინდიელმა არ იცოდა, რომ როლფი იქვე იდგა და არც არასდროს შეუტყვია ამის შესახებ.

იმ ღამეს როლფი ნაშუაღამევს ადგა, აანთო ფიჭვის კვარები, რომლებსაც ისინი ჩირაღდნებად ხმარობდნენ, და როცა კვარი დანახშირდა, თვალებზე ირგვლივ დიდი შავი წრეები შემოიხაზა, რომ სახისათვის, რაც შეიძლება უფრო საშინელი გამომეტყველება მიეცა. შემდეგ ხტუნვას მოყვა, თან კუონების ტამტამს ატყაპუნებდა და მღეროდა:

ავო სულო, განვედ ჩემგან!
ავო სულო, განვედ ჩემგან!

კუონები გაოცებული წამოდგა საწოლიდან. როლფი მას ყურადღებას არ აქცევდა და ოთახში ხტუნვას განაგრძობდა, დროდადრო წამოიყვირებდა ხოლმე და ტამტამსა სცემდა. რამდენიმე წუთის შემდეგ სკუკუმმა წკმუტუნი ატეხა და კარს ფხაჭუნი დაუწყო. როლფმა აიღო დანა, შეაჭრა ერთი ბღუჭა ბალანი კეფაზე სკუკუმს, დაწვა ჩირაღდნის ალზე და წეღანდელივით ერთის ამბით ისევ დაიწყო სიმღერა:

ავო სულო, განვედ ჩემგან!
ძაღლის აჩრდილო, ნუ მომაყენებ ვნებას!

შემდეგ უკან მოიხედა ყასიდად, ვითომ ახლაღა შეამჩნია კუონები და თქვა:

— ძაღლის აჩრდილი გამომეცხადა. მომეჩვენა, ვითომ ქოხის უკან იდგა და ტაფიდან ირმის ქონს სვლეპდა. იცინოდა — თითქოს იცოდა, რომ მის ხელთ ვიყავ. უნდა გავაგდო იგი აქედან, რომ ავი რამ არ დამმართოს. მე დედაჩემსა ვგავარ. დედაჩემი ნასწავლი ქალი იყო, მაგრამ ძაღლის აჩრდილის დანახვის შემდეგ მოკვდა.

კუონები ადგა, შეაჭრა ერთი ბღუჯა სკუკუმს, მიუმატა მწიკვით თამბაქო, დაწვა ყველაფერი ეს და თამბაქოსა და ბეწვის სქელ კვამლში გახვეულმა სიმღერა დაიწყო;

უსაშინელეს შესალოცს მღეროდა, ავი სულების საწინააღმდეგოს. როლფს კი ჩუმად ეცინებოდა, მერე დაწვა და საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებულმა ტკბილად დაიძინა. არასოდეს, არასოდეს აღარ დაუშვებს მისი მეგობარი, რომ სკუკუმმა დაიკავოს ჭურჭლის მრეცხავის მაღალი და წმინდა პოსტი.

XXXV
კურდღლის მახე

სულ უფრო სქლად ეფინებოდა ქოხის ირგვლივ თოვლი. თოვლს ყოველმხრივ მიმავალი კურდღლის უამრავი ნაკვალევი ცხრილავდა. მონადირეები ხანდახან წააწყდებოდნენ კურდღლებს, მაგრამ მაინცდამაინც არც აქცევდნენ ყურადღებას. კურდღელი რად უნდოდათ, როცა ტყე ირმებით იყო სავსე?

— კურდღლის დაჭერა გინდა? — ჰკითხა კუონებმა მეგობარს, რაკი შეატყო, რომ როლფს ნადირობის სურვილი არ ასვენებდა ისევ.

— მე ისრითაც შემიძლია მისი მოკვლა, — უპასუხა როლფმა, — მაგრამ ღირს განა, როცა ამდენი ირემი გვყავს?

— ჩემი ხალხი ყოველთვის ნადირობდა კურდღლებზე. როცა ირემს ვერ პოულობდნენ, კურდღლით იკვებებოდნენ ხოლმე. როცა ბანაკში მხოლოდ ქალები და ბავშვები დარჩებოდნენ და საჭმელი არაფერი იყო, მაშინაც კურდღლებს ჭამდნენ ხოლმე.

— აბა ერთი მიყურე, როგორ გავაგორო კურდღელი! — თქვა როლფმა.

აიღო მშვილდ-ისარი და წავიდა. ბევრი თეთრი კურდღელი შემოხვდა, მაგრამ მის ბედზე ყოველთვის ჟვერიანში. რამდენჯერმე ეცადა მოეკლა ერთი მაინც, მაგრამ ერთმანეთში გადახლართული ხის ტოტები საშუალებას არ აძლევდა მშვილდი რიგიანად გაემართა და ისრები განზე მიფრინავდა. რამდენიმე საათი გავიდა, სანამ როლფი ერთი ფაფუკი კურდღლით შინ დაბრუნდებოდა.

— ჩვენ ასე არ ვაკეთებთ, — უთხრა კუონებმა და როლფი ტევრში შეიყვანა. აქ მან აირჩია ნაკვალევით დაფარული ადგილი, მოჭრა წნელი და ღობე დაღობა; ღობეს ხუთ-ექვს ადგილას საძრომი დაუტოვა. ყოველ საძრომში მაგარი თოკის ყულფები მოათავსა, რომლებიც კაუჭზე ჩამოკიდებულ ჯოხზე იყო მიბმული და იმგვარად იყო მოწყობილი, რომ საკმარისი იყო ყულფი ჩამოეწია რასმე, ჯოხი მაშინვე კაუჭიდან ამოვარდებოდა ყულფთან და შიგ თავშეყოფილ ცხოველთან ერთად ზევით აიწეოდა.

მეორე დილით მონადირეებმა მახეებს ჩამოუარეს. ოთხ ადგილას ყულფში კურდღელი ეკიდა. კურდღლებს ყულფიდან რომ იღებდა, კუონებმა ერთ-ერთს რაღაც პატარა გუნდა უნახა უკანა ფეხზე. ფრთხილად გაჭრა ფეხი და იქიდან რკოსოდენა რაღაც საგანი ამოიღო. ეს ბრტყელი, ფორმით ლობიოს მარცვლის მსგავსი, თმით დაფარული ხორცი იყო. კუონებმა შეათვალიერა ნაპოვნი, მერე როლფს მოუბრუნდა და მრავალმნიშვნელოვანი ტონით უთხრა:

— ჰო! ჩვენ კარგ ადგილს მოვაგენით სანადიროდ. ეს პიტო-უობ-უსინსია, პატარა სამკურნალო კურდღელი. ახლა ჩვენს ქოხში ძლიერი წამალია. შენ თვითონ ნახავ. — კუონები ორ ხელუხლებ ყულფთან მივიდა, შიგ კურდღლის წამალი შეყო. ერთი საათის შემდეგ, შინ რომ ბრუნდებოდნენ, ერთ-ერთ ამ ყულფში უკვე გაბმულიყო კურდღელი.

— ასეა ყოველთვის, — წარმოთქვა ინდიელმა, — ახლა ჩვენ ყოველთვის დავიჭერთ კურდღლებს. მამაჩემმა ერთხელ პიტო-უობ-აი-ოში დაიჭირა, პატარა სამკურნალო ირემი. ამის შემდეგ ხელი აღარ მოსცარვია ნადირობაში, ორ-ორს კლავდა მუდამ. მერე გამოირკვა, რომ ეს დიდებული საშუალება მის შვილს, კუონებს მოუპარავს. ჭკუით მოიქცა ეს კუონები, მას შემდეგ დღე არ გავა, რომ მან რამე ნადირი არ მოკლას.

— ჩუ! ეს რა არის? — წამოიძახა როლფმა, რომელსაც ტყეში ფოთლების შრიალი და რაღაც ხმაური მოესმა. სკუკუმმაც ცქვიტა ყური.

«ღრრ! რრრ! რრრ!» — გაისმა სკუკუმის ბრაზიანი ღრენა. ვინ თქვა ცხოველებს თავიანთი ენა არ გააჩნიათო? «ჰაფ, ჰაფ, ჰაფ», — გნიასობდა სკუკუმი ხეზე მჯდარი კაკბის დანახვაზე; «ჰამ, ჰამ, ჰამ!» — მხიარულად ყეფდა ძაღლი, როცა, მიუხედავად აკრძალვისა, ირემს გაეკიდებოდა ხოლმე; «ღრრრ, რრრ, რრრ!» — იღრინებოდა, ხეზე ასული დათვის დანახვაზე. საძულველი მაჩვზღარბის დანახვაზე კი გააფთრდებოდა ხოლმე — «რრრ! ჰამ, ჰამ! «რრრ! ჰამ!» ამჯერად კი ასე ამბობდა: «ღრრრ! რრრ! რრრ!» ინდიელმა ძაღლის ღრენას დააყურა და თქვა:

— ხეზეა რაღაც ასული.

როცა როლფი ამ ხესთან მივიდა, ასე ეჩვენა, თითქოს იქ მთელი სამხეცე იყო. საკურდღლე ყულფზე ფოცხვერის ბოკვერი ეკიდა, პატარა კატის კნუტი გეგონებოდათ.

მეზობელ ხეზე, რომელსაც სკუკუმი ღრენით უვლიდა გარშემო, მძვინვარე ბებერი ფოცხვერი იჯდა, ცოტა ზევით — მეორე ბოკვერი, უფრო ზევით — მესამე. მხეცები ბრაზით უსმენდნენ ძაღლის ყეფას. ბებერი ფოცხვერი დროდადრო უკმაყოფილებას გაავებული ხავილით გამოხატავდა, მაგრამ ძირს ჩამოსვლა ვერ გაებედა.

ფოცხვერს ბეწვი კარგი აქვს და ადვილად მოსანადირებლადაც ითვლება. ინდიელმა ერთი სროლით ჩამოაგდო ძუ ხიდან, კიდევ ორი გასროლაცა და დანარჩენი ორიც მის ტომარაში აღმოჩნდა; მესამე ბოკვერიც ამოიღეს ყულფიდან და ქოხისაკენ გაბრუნდნენ. ინდიელს თვალები რაღაც განსაკუთრებულად უბრწყინავდა.

— კი! კი! მამაჩემი მეუბნებოდა: დიდი ჯადოსნური საშუალებაა კურდღლის ფეხის კოპიო. ხომ ხედავ, როგორ გაგვიმართლა.

XXXVI
თახვების ტბორზე ყველაფერი არ არის რიგზე

ყოველ კვირა ჩამოუვლიდნენ ხოლმე მონადირეები ხაფანგების რიგს და მათი ბეწვეულის მარაგიც თანდათან იზრდებოდა. ოცდახუთი მარტო თახვი დაიჭირეს. მაგრამ დეკემბერში ძალზე უსიამოვნო სიურპრიზი ელოდათ. ერთ დღეს ყველა ხაფანგი ცარიელი დაუხვდათ, ყველგან უდავო ნიშნები იყო იმისა, რომ აქ ვიღაც ყოფილიყო და მთელი ნადავლი მას წაეღო. მეგობრები თხილამურების კვალს გაყვნენ, მაგრამ თავდაპირველად ოდნავ წანათოვი კვალი იმავე ღამეს მოსულმა თოვლმა საბოლოოდ დაფარა. როგორც ჩანდა, ქურდს ხაფანგების მთელი რიგი არ დაევლო, რადგან მთიხვი და წაულა მათ კარგა ბლომად წამოიღეს.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

მონადირეების კანონი ნადირთა კანონს ჰგავს: სანადირო ადგილზე ვინც პირველი მივა, მხოლოდ ის სარგებლობს ყველა უფლებით. თუ შემთხვევით მეტოქე გამოჩნდება, პირველ მონადირეს უფლება აქვს, როგორც უნდა ისე გაუსწორდეს მოძალადეს. კანონი დამხვდურის ყოველგვარ საქციელს გაამართლებს თუ გამარჯვება მის მხარეზე დარჩება. კანონი მოსულის ყველა მოქმედებასაც ამართლებს, გარდა მკვლელობისა. ასე რომ, თავის დამცველს შეუძლია მოკლას, მისი უფლებების დამრღვევს კი ამის ნება არა აქვს.

რადგან კუონები ინდიელი იყო და როლფი კი ყველას ინდიელად მიაჩნდა, საზოგადოებრივი აზრი აუცილებლად ედირონდეკში მათი მფლობელობის წინააღმდეგ აღდგებოდა და მეტოქეს შეეძლო ინდიელები გამოეცხადებინა მისი უფლებების დამრღვევებად. მაგრამ ის ფაქტი, რომ მან ბეწვეული გაიტაცა, ხაფანგები კი არ დახსნა და, როგორც ჩანდა, მიმალვასაც ცდილობდა, იმას მოწმობდა, რომ ეს კაცი ქურდი იყო და საკუთარ დანაშაულსაც გრძნობდა.

ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ქურდი დასავლეთიდან იყო მისული, ალბათ, რეკეტ-რივერიდან. მისი ფართო ფეხი და დიდ-დიდი ნაბიჯები ამტკიცებდა, რომ ის მაღალი ტანის კაცი უნდა ყოფილიყო. ხაფანგის გამართვა შეეძლო, მაგრამ თავის შეწუხება არ სურდა ზარმაცს და მთავარ ხელობად, როგორც ჩანდა, ქურდობა გაეხადა.

ქურდმა კვერნის ხაფანგებსაც მიაგნო და ახლა მისმა ნადავლმა კიდევ უფრო იმატა. რაც უფრო უახლოვდება ცხოვრების პირობები პირველყოფილ მდგომარეობას, მით უფრო ხშირია ქიშპობა ადამიანთა შორის.

როლფი და კუონები გრძნობდნენ, რომ იძულებული გახდებოდნენ ომი გამოეცხადებინათ.

XXXVII
პეკანი

მათ უკვე რამდენჯერმე ჰქონდათ შენიშნული ფართო ნაკვალევი თოვლზე. კვალი კვერნისას ჩამოჰგავდა, მაგრამ უფრო დიდი იყო.

— ეს პეკანია, — თქვა ინდიელმა, — დიდი კვერნა, ღონიერი და უშიშარი. მამაჩემმა პატარაობისას ისარი სტყორცნა პეკანს, არ იცოდა რა მხეცი იყო, უბრალო, შავი კვერნა ეგონა. დაჭრილი ნადირი ხიდან პირდაპირ მკერდზე დაახტა და ძაღლი რომ არ ხლებოდა, დაახრჩობდა; ძაღლსაც დაახრჩობდა, იქვე პაპაჩემი რომ არ ყოფლიყო. პაპამ მამაჩემს პეკანის გული შეაჭამა, მისი გული გექნებაო. შენ თავად ჩხუბი არასოდეს არ უნდა ასტეხო, მაგრამ თუ მშვიდობა გსურს, მტერზე უშიშრად უნდა მიხვიდე და მედგრად შეებრძოლო. ასეთი გული ჰქონდა მამაჩემს, ასეთი მაქვს მეც.

კუონებმა დასავლეთისაკენ გაიხედა და მუქარის ტონით განაგრძო:

— ასე მოუვა იმ ხაფანგების ქურდსაც. ჩვენ ჩხუბი არ გვიძებნია, მაგრამ დადგება დღე და მე იმას მოვკლავ.

პეკანის მსხვილი ნაკვალევი მიხვეულ-მოხვეულად მიყვებოდა თოვლს და დაბალ, ხშირ ტყეში იკარგებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა. ახლა ჭიაფერათი შემოსილ ფერდობს მისდევდა და შემდეგ სხვა რაღაც კვალს უერთდებოდა. ერთი ამ კვალთაგანი გრძელ და ღრმა, თხუთმეტი დუიმის სიგანის თხრილს ჰგავდა, სხვები ისეთივე დიდი ფეხების ნაკვალევი იყო, როგორც პეკანისა.

— კეკი, — თქვა კუონებმა და სკუკუმმაც თქვა: «კეკი», მაგრამ სიტყვით კი არა, გულმოსული ღრენით და თან ზურგზე ბალანიც აებურძგლა. გაიღვიძეს უსიამოვნო მოგონებებმა. ძაღლის კეთილგონიერებაზე დანდობა არ შეიძლებოდა და როლფმა სკუკუმს თავისი შარფი შეაბა საყელურზე. ყველანი მაჩვზღარბის კვალს მიყვნენ, როლფს მისი ნემსები ჭურჭლეულის მოსართავად ესაჭიროებოდა.

ბევრი არ გაევლოთ, რომ შენიშნეს, კეკის კვალს მეორე ნაკვალევი შეუერთდა — პეკანის ნაკვალევი. ცოტაც რომ გაიარეს, ფხაჭუნი მოესმათ, თითქოს ხეზე რაღაც მიცოცავდა. მერე ერთი-ორჯერ ოდნავ გასაგონი, გულმოსული ღრენაც გაიგონეს.

მამაცი სკუკუმი საჩქაროდ ხეზე მიაბეს და ფეხაკრეფით წინ გაემართნენ.

მონადირეებმა დიდი, შავი კვერნის თუ მოკლეფეხება მელიის მსგავსი ცხოველი დაინახეს.

იგი მოშორებით იდგა ხის მორიდან, რომლის ქვეშ ვეებერთელა მაჩვზღარბი შემძვრალიყო. კეკს მხოლოდ უკანა ფეხები და კუდი მოუჩანდა. რამდენიმე წუთს უძრავად იდგნენ ორთავენი, მერე პეკანმა დაიღრინა და წინ ისკუპა. მაჩვზღარბმა გაიგონა ღრენა, იგრძნო მის მახლობლად ჩამოყრილი თოვლი და კუდი მოიქნია, მაგრამ განზე მდგარ პეკანს არ მოხვედრია.

იგივე ფანდი მეორე მხრიდან განმეორდა, იმავე შედეგით. გეგონებოდათ, პეკანი ამას იმიტომ აკეთებს, რომ მაჩვზღარბს კუდი დაეღალოს, ანდა ელის, როდის გამოცვივა იქიდან ყველა ნემსიო. დროდადრო პეკანი მორზე შეხტებოდა ხოლმე და მაჩვზღარბს კუდს ზევით ააქნევინებდა. ყოველ მოქნევაზე ხის ქერქს რამდენიმე თეთრი ხანჯალი ერჭობოდა. ცხადი იყო, რომ ეს ტაქტიკა კარგა ხანს გაგრძელდებოდა.

ყურადღებით რომ დაათვალიერეს იქაურობა, მაყურებლებმა ზოგიერთი ნიშნების დახმარებით დაადგინეს, რომ სწორედ ასეთივე ბრძოლა ყოფილა ცოტა ხნის წინ მეორე მორთანაც, საიდანაც მაჩვზღარბის სისხლიანი კვალი მოდიოდა. თუ როგორ მოახერხა პეკანმა მაჩვზღარბის იქიდან გამოგდება, მონადირეები თავდაპირველად ვერ მიხვდნენ.

როცა პეკანმა შენიშნა, ჩემი ეშმაკობა აღარ გადის და მაჩვზღარბს აღარ უნდა კუდის ქნევაო, ახალი ფანდი იხმარა. გადახტა მორის მეორე მხარეზე, სადაც მაჩვზღარბს ცხვირი შეემალა და აჩქარებულად დაუწყო თხრა თოვლსა და ფოთლებს. სანამ ამას მაჩვზღარბი შეატყობდა, პეკანმა თოვლი გათხარა და კეკს რბილ, ეკლით შეუმოსავ ცხვირში სტაცა პირი. მაჩვზღარბმა ხროტინითა და ჭყვიტინით დაიხია უკან და თავისი საშინელი კუდი მოიქნია, მაგრამ რას გახდა? მორს მიუმატა კიდევ რამდენიმე ნემსი, ეს იყო და ეს. მაჩვზღარბი მთელ ძალას იკრებდა, ფართხალებდა და უკან იწევდა, მაგრამ პეკანი სჯობნიდა ღონით. პეკანმა თავისი ბრჭყალებით გააფართოვა მორის ქვეშ ხვრელი და, როცა მისმა მოქანცულმა მსხვერპლმა ბოლოს და ბოლოს შეწყვიტა ფართხალი, ისკუპა წინ, შეუშვა კბილები ნაზ ცხვირსა და მაჩვზღარბის კიდევ უფრო ნაზ ყელს მიაფრინდა. თუმცა კბილები საკმარისად ღრმად ვერ ჩაასო, რომ სასულეში წაეჭირა, მაგრამ მაინც მაგრად ეჭირა თავისი მსხვერპლი.

ერთი თუ ორი წუთი ფართხალებდა კეკი, იქნევდა კუდს, რომელზეც აქა-იქღა შერჩენოდა ნემსები. ალისფერი სისხლი ღვარად სდიოდა ღია ჭრილობიდან, უკანასკნელი ძალა ერთმეოდა. მორს მოფარებულ პეკანს სხვა არაფერი დარჩენოდა, ეჭირა თავისი მსხვერპლი და ელოდა მის სიკვდილს.

შემდეგ ინდიელი მაჩვზღარბთან მივიდა გატყავება დაუწყო.

— ო, კეკ! — მიმართა მსხვერპლს, — ახლა ხომ ხედავ, როგორ მოტყუვდი, როცა ნანა-ბოჯა არ დასვი მორის მშრალ ბოლოზე.

XXXVIII
ვერცხლისფერი მელა

ერთხელ, როცა ისინი შინ ბრუნდებოდნენ, კუონები უცებ შეჩერდა და როლფი ტბის შორეული ნაპირისაკენ გაახედა. იქ, თოვლზე, რაღაც ჩრდილი მოძრაობდა.

— მელაა... თანაც, მგონი, ვერცხლისფერი. აქ უნდა იყოს ასეთები.

— რატომ გგონია?

— ბევრჯერ შევხვდი მელიის დიდ-დიდ ნაკვალევს. ასეთი ნაკვალევი მხოლოდ ვერცხლისფერ მელას აქვს.

— ამბობენ, მისი ბეწვი ათ კვერნად ღირსო, — თქვა როლფმა.

— ოხ, ორმოცდაათად კი არა?!

— არ შეიძლება მისი დაჭერა?

— ცდა შეიძლება. ზამთარში წყალში ვეღარ ჩადგამ ხაფანგს, სხვა რამე უნდა ვცადოთ.

კუონებისაგან მოგონილი ხერხი ასეთი იყო: ჯერ ღუმელიდან ნაცარი გამოიღო (მისი მშრალი სილით შეცვლაც შეიძლებოდა). ტყეში, ტბის სამხრეთით, ექვსი პატარა მინდორი აირჩია. ყოველ მათგანზე თახვის შხეფით მოსხურებული ნაცრის კვალი გააკეთა. ყოველი კვალიდან ოცდახუთ ნაბიჯზე, ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან, იმისდა მიხედვით, თუ საიდან ქროდა ქარი, ნორჩ ხეებზე კაკბის ბუმბული, ფრთა ან კუდი ჩამოკიდა და ზედ თითო-ოროლა წითელი ძაფი გამოაბა. ასე დატოვა და ორი კვირის განმავლობაში ერთხელაც არ გაკარებია იქაურობას. მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ გაემართა ამბის გასაგებად.

თავისი გამოცდილებისა და მელიების ზნის ცოდნის წყალობით, თანაც თოვლზე ზოგიერთი ნიშნების დახმარებით ინდიელმა შემდეგი დასკვნა გააკეთა:

მონადირეების წასვლის უმალ აქ მოსულა მელა, მათ კვალს გაჰყოლია. მისულა პირველ მინდორზე, უგრძვნია მომხიბვლელი ჯადოს სუნი, შემოუვლია ირგვლივ, შეუმჩნევია ფრთები, შეშინებია და წასულა. მეორე მინდორს კვერნა წვევია და რატომღაც ნაცარი გაუქექია. მესამეზე მგელი მოსულა და ფრთხილად შემოუვლია შორიახლო.

სხვა მინდვრებზე ყოფილა მელა ან მელიები: ისინი რამდენჯერმე დაბრუნებულან, ბოლოს, დაყოლიან ცდუნებას, ახლო მისულან საშიში სურნელების გამოსაკვლევად და, ბოლოს და ბოლოს, სულწასულებს, ნაცარში უგორავიათ აღტაცებისაგან. საქმე იჩარხებოდა.

კუონებმა გაამზადა მელიის ექვსი ხაფანგი, შებოლა კარგად კვამლზე და ხის ნამორს ჯაჭვით მიაბა. მერე ჩამოიცვა სისხლში ამოსვრილი ხელთათმანები, ფრთხილად მიიპარა მინდვრებთან და ყოველ ნაცრის გროვაში თითო ხაფანგი ჩადგა.

მისასვლელთან კურდღლის თეთრი ბეწვის შეკვრა ამოდო. ყველაფერი ეს ნაცარში ჩაფლა, აქა-იქ კურდღლის ხორცის ნაჭრები დაყარა, მოასხურა ზედ თახვის შხეფი, ნაცარს თოვლი გადააყარა და ხეებზე ისევ ჩამოკიდა ახალი ფრთები. სხვა ყველაფერი ამინდს მიანდო.

როლფს მეორე დღესვე უნდოდა მისვლა სანახავად, მაგრამ კუონებმა არ დაანება:

— არა, არ ივარგებს, არც ხაფანგი არ მოქმედებს პირველ ღამეს: ადამიანის სუნი ჯერ ისევ ძლიერია.

მეორე დღეს საღამომდე თოვდა, მესამე დღეს კი კუონებმა თქვა: ახლა სწორედ დროაო.

პირველი ხაფანგი ხელუხლებელი იყო, მაგრამ აქედან ათ ნაბიჯზე დიდი მელიის ნაკვალევი კარგად ემჩნეოდა.

მეორე სადღაც გამქრალიყო. კუონებმა გაოცებით წამოიძახა: «ირემი». ჰო, ეტყობა ამ ხაფანგს რეკორდი დაუმყარებია. ამ ადგილზე დიდმა ირემმა გაიარა გულდამშვიდებით: მისმა მგრძნობიარე ცხვირმა მაშინვე იყნოსა

ძლიერი და უცნაური სუნი. ის სრულიად დამშვიდებული მიუახლოვდა გროვას, დასუნა და წინა ფეხით თოვლს თხრა დაუწყო, რომ ყნოსვის გამაღიზიანებელი საგანი ეპოვა, და უცებ — «ჩხაკ!»

ირემი თორმეტ ფუტზე გადახტა, ფეხზე გამაღიზიანებელი სუნის ეშმაკეული მანქანა ეკიდა. «ჰოპ! ჰოპ! ჰოპ!» — გარბოდა შეშინებული ირემი. ეხეთქებოდა და ეხეთქებოდა ხაფანგი მორს. ბოლოს მაგარი და ბოლოში თანდათან მოწვრილებული ჩლიქების წყალობით ხაფანგი მოიცილა ირემმა და თვითონ კი შეუჩერებლად უფრო უშიშარი ადგილის საძებნელად მოკურცხლა.

შემდეგ ხაფანგში ლამაზი კვერნა იპოვეს, ფოლადის მარწუხებს წამსვე მოეკლა ცხოველი. უკანასკნელი ხაფანგიც არ ჩანდა, მაგრამ აქა-იქ დარჩენილი ნაკვალევი დაწვრილებით უამბობდა მონადირეებს მომხდარი ამბის შესახებ: ხაფანგში წითელი მელა ჩავარდნილიყო და გაქცეულიყო, თან ხაფანგი და მორიც წაეღო.

შორს წასვლა არ დასჭირვებიათ მონადირეებს. მელა იქვე ტევრში იპოვეს. სანამ როლფი სადილს ამზადებდა, კუონები მელას დასტრიალებდა, ჯერ ტყავი გახადა, შემდეგ კი ღრმად გადასერა და ბუშტი ამოჭრა.

— ეს სითხე კარგი საშუალებაა ხაფანგებისათვის, — თქვა მან.

როგორც ჩანდა, სკუკუმიც იზიარებდა კუონების აზრს. ამის შემდეგ კიდევ ბევრჯერ ნახეს ვერცხლისფერი მელიის ნაკვალევი, მაგრამ ნადირი ხაფანგს ახლოს არ ეკარებოდა. «სურნელოვანი ჯადო» არ იტაცებდა ჭკვიან ცხოველს. მონადირეებმა სამი წითელი მელა დაიჭირეს, მაგრამ ჯაფაც გვარიანი დაადგათ. ასეთი წარმატება ბევრს არ ხვდება წილად და ძვირიც ჯდება. ვერცხლისფერი მელაც მოდიოდა ხოლმე, მაგრამ ძალზე ძვირად აფასებდა თავის ლამაზ ქურქს. ოდნავადაც რომ შეემჩნია ადამიანის სიახლოვე, აორკეცებდა სიფხიზლეს.

მონადირეებმა იგი მხოლოდ ერთხელ ნახეს ახლოს და ისიც მკაცრი ზამთრის წყალობით.

XXXIX
სკუკუმის დამცირება

რომელიმე გაზეთის რეპორტიორს რომ სკუკუმის დაკითხვა განეზრახა, იგი უეჭველად ასე უპასუხებდა ჟურნალისტს:

— მე შესანიშნავი ძაღლი ვარ. ვაგნებ ხეზე კაკბებს, შემიძლია მაჩვზღარბების ხოცვა, შეუდარებელი ვარ ძაღლებთან ბრძოლაში — ჯერ არავის ვუცემივარ, მაგრამ ყველაზე საოცარი ნიჭი ჩემი სწრაფი სირბილია: მივქრივარ, როგორც გრიგალი.

დიახ, იგი ამაყობდა თავისი ფეხებით და ზამთრის ღამეებში ქოხთან მისულ მელიებს არაერთხელ მიუციათ მისთვის შემთხვევა, დაემტკიცებინა რა მორბენალიც იყო. რამდენჯერმე «კინაღამ არ დაიჭირა მელა». სკუკუმს აზრადაც არ მოსვლია, რომ ეშმაკი ცხოველები აწვალებდნენ მხოლოდ და ეს მათ უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა.

ამპარტავანი ძაღლი ვერაფერს ხვდებოდა და შემთხვევას არ უშვებდა, რომ მელა «თითქმის» დაეჭირა. ზამთრობით მელიები მეტწილად დღისით ნადირობენ და სკუკუმიც ხშირად გაკიდებია მათ.

ერთხელ, მზის ჩასვლის წინ, მონადირეებს მელიის სუსტი ყეფა შემოესმათ. ხმა თოვლით დაფარული გაყინული ტბის ზედაპირიდან ისმოდა.

«ახლა კი ჩაგიგდე ხელშიო,» — გაიფიქრა, ალბათ, სკუკუმმა, გულმოსულმა დაიღრინა, ფეხზე წამოიჭრა და ტბისკენ გავარდა. მონადირეებმა ფანჯარაში გაიხედეს. თოვლზე მათი მეგობარი, დიდი, შავ-ვერცხლისფერი მელა იჯდა.

კუონებმა თოფისკენ წაიწია, როლფს სკუკუმის მობრუნება უნდოდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. სკუკუმი მელიისაკენ მიქროდა. მონადირეებს სხვა რაღა დარჩენოდათ, უნდა ეცქირათ სეირისათვის. მელია იჯდა და თავისთვის იცინოდა, სანამ სკუკუმი ოც ნაბიჯზე არ მიუახლოვდა. მაშინ კი გრაციოზულად გადახტა გვერდზე და თავისი ვეებერთელა კუდი გამართა. წარმატებაში სავსებით დარწმუნებული სკუკუმი წინ გაექანა და ნადირს ექვს-შვიდ ნაბიჯზე მიუახლოვდა. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და, გამარჯვება აშკარად მას დარჩებოდა, მაგრამ მელამ ამჯერადაც არ მიუშვა ექვს-შვიდ ნაბიჯზე ახლოს. როგორ არ ცდილობდა, როგორ არ ხტებოდა, მაგრამ მელა მაინც იმავე მანძილზე იყო მისგან. ჯერ ნაპირისაკენ გარბოდნენ, მაგრამ შემდეგ მელამ ყინულისაკენ მოუხვია და წინ და უკან სირბილი დაიწყო. სკუკუმმა იფიქრა, ამას იმიტომ სჩადის, რომ გაქცევის იმედი დაკარგაო და სისწრაფე გაორკეცა, მაგრამ ამაო იყო ყოველივე, თანდათან ძალა ელეოდა და სუნთქვაც ეკვროდა უკვე. თოვლი აქ საკმაოდ ღრმა იყო და ძაღლს უფრო უჭირდა სირბილი, ვიდრე მელას, რომელიც ძაღლზე მსუბუქი იყო. მისდა უნებლიეთ ნაბიჯს უკლო სკუკუმმა. მელა თანდათან ადიდებდა მანძილს და უცებ, ყოვლად უტიფრად შემოტრიალდა უკან და თოვლზე დასკუპდა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. სულმოთქმული სკუკუმი გაავებული ყეფით გავარდა მტრისაკენ. ისევ დაიწყო დევნა.

მაგრამ მალე ძაღლი ისე დაიღალა, რომ იძულებული იყო დამჯდარიყო, მაშინ მელა დაბრუნდა უკან და ყეფას მოყვა.

ამან გააცოფა ძაღლი. სკუკუმის თავმოყვარეობა შელახული იყო. ან გამარჯვება, ან სიკვდილიო, გადაწყვიტა ძაღლმა, მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და კუდის თეთრ ბოლოდან ხუთ ფუტზე აღმოჩნდა, მაგრამ ამ დროს მელია რატომღაც მთელი სისწრაფით წინ გაექანა. მოუსვა და მალე ტყეში გაუჩინარდა. სკუკუმი კი შორს ჩამოიტოვა. რატომ? იმიტომ, რომ კუონებმა ამაოდ უცადა სროლისათვის ხელსაყრელ შემთხვევას ისე, რომ ძაღლი არ დაეჭრა, მერე ტბას ირგვლივ შემოუარა და ახლა ტევრში იყო ჩასაფრებული. მგრძნობიარე ცხვირმა მაშინვე ამცნო მელას საფრთხის შესახებ. ნადირი მიხვდა, რომ თავგადასავლის თავშესაქცევი ნაწილი დამთავრდა, ამიტომ, ტყეს მიაშურა და სწორედ მაშინ გაქრა, როცა ტყიამ მის უკან თოვლი ათხარა.

საბრალო სკუკუმს ენა თითქმის ერთ ფუტზე გადმოვარდნოდა, როცა იგი ნაპირისაკენ მოლასლასებდა. საცოდავი შესახედავი იყო — კუდი ამოეძუებინა, ყურები ჩამოეყარა. ახლა იგი ამის გარდა ვეღარაფერს ეტყოდა რე-

პორტიორს: «დღეს მე გუშინდელივით კარგად ვერა ვგრძნობ თავს» ან «არ უყურებდით, რა დღე წავკიდე მელიას?»

XL
იშვიათი ბეწვი

ვერცხლისფერი მელა მათ ზამთრის განმავლობაში სამჯერ თუ ოთხჯერ ნახეს: იგი იმდენად გაბედული იყო, რომ ერთხელ მაღალ ნამქერზე ავიდა, იქიდან საკუჭნაოზე, მერე ქოხის თავანზე და იქ სატყუარად შენახული რამდენიმე თეთრი კურდღელი შეჭამა.

მონადირეების ყველა ცდა ამაო იყო, ვერც ხაფანგში გამოიჭირეს და ვერც თოფით მოკლეს. მათი ნაცნობობა, ალბათ, როგორც დაიწყო, ისევე დამთავრდებოდა, რომ ერთი ამბავი არ მომხდარიყო.

ეს ზამთარი ზომაზე მეტად თოვლიანი იყო. ღრმა თოვლი ყველაზე დიდი უბედურებაა ყველა იმ უბედურებიდან რაც კი შეიძლება თავს დაატყდეს ტყის ბეწვიან მცხოვრებლებს. თოვლი მათ საკვების შოვნას უშლის, მოძრაობას უბორკავს. შორს საშოვარზე წასვლას ვინ დაეძებს, მტერსაც ვეღარ გაურბიან წინანდებურად მარდად. ღრმა თოვლი — ეს შიმშილი და სიკვდილია. ღრმა თოვლზე სასიარულოდ ბუნებამ ცხოველებს ოჩოფეხები და თხილამურები მისცა. თხილამურებს ოჩოფეხები ვერ შეედრება. კარიბუსა და ირემს ოჩოფეხები აქვთ, კურდღელს, ავაზასა და ფოცხვერს თხილამურები. როცა ფაფუკი თოვლის სიღრმე სამ ან ოთხ ფუტს მიაღწევს, მაშინ ფოცხვერი მეფობს ყველა პატარა ცხოველზე, და დიდისაც აღარ ეშინია გულმიცემულს. თხილამურებზე შემდგარი ადამიანი კი ოთხფეხ ნადირთა უმეტეს ნაწილს იმორჩილებს.

საშიში შეხვედრებისათვის რომ მოერიდებინათ, სკუკუმს, ჩვეულებრივ, ქოხში სტოვებდნენ ხოლმე მარტო, ამით ერთხელ ისარგებლა ვერცხლისფერმა მელამ, შეძვრა თავანზე და კურდღლები შეჭამა.

მთელი ზამთარი ქურდავდა ვიღაც როლფისა და კუონების ხაფანგებს, მაგრამ უცნობი ქურდი მოხერხებული ვინმე იყო და მონადირეებმა იგი ვერაფრით ვერ დაიჭირეს.

ერთხელ, როცა სამდღიანი მოგზაურობის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ, შორს, ტბის თოვლიან ზედაპირზე, ორი ცხოველი შენიშნეს, რომლებიც ხან ერთმანეთს გამოეკიდებოდნენ, ხან შეჩერდებოდნენ და ჩხუბს იწყებდნენ. «სკუკუმი და მელია», — გაიფიქრეს მონადირეებმა, მაგრამ ქოხის კარის გაღებაც ვერ მოასწრეს, რომ წინ სკუკუმი შეეგებათ. კუონები დიდხანს იყურებოდა შორს, სადაც ტბის ზედაპირზე ჯერ ისევ მოძრაობდა ორი ნადირი.

— ერთს კუდი არა აქვს. მე მგონი, ეს პიშუ* (* პიშუ — ინდიელების ენაზე ვეფხვს ნიშნავს.) და მელაა.

როლფი სადილს ამზადებდა. მხოლოდ დროდადრო გაიხედავდა ხოლმე შორს. ნასადილევს კუონებს ეუბნება:

— მოდი, შემოვუაროთ ტბას, ვნახოთ, იქნებ მოვკლათ.

მონადირეებმა თხილამურები მოირგეს და ფრთხილად, ისე რომ ცხოველებს არ შეენიშნათ, ირმის ბილიკით შევიდნენ ტყეში. სურათმა რომელიც იქ დაინახეს, სკუკუმის დამცირების დღე გაახსენათ, მათგან ასიოდე ნაბიჯზე, ტბის გაშლილ თოვლიან ზედაპირზე, პირისპირ იდგნენ ვეებერთელა ფოცხვერი და ვერცხლისფერი მელა. განწირულებამდე მისულ მელას ორი წყება ლამაზი, თეთრი კბილები დაეკრიჭა და ის-ის იყო უნდა ესკუპა წინ, რომ უცებ მუცლამდე ჩაეფლო თოვლში. ეტყობოდა, მძიმედ იყო დაჭრილი და უკვე ვეღარსად გაექცეოდა ფოცხვერს, რომელსაც ისეთი ჩინებული ბუნებრივი თხილამურები ჰქონდა, რომ თოვლზე სულ ადვილად დასრიალებდა, მიუხედავად იმისა, რომ მელაზე უფრო მძიმე იყო. მელას წვრილი ფეხები ღრმად უვარდებოდა თოვლში. ფოცხვერი ბებერი იყო და შიშით ერიდებოდა ბასრ კბილებს, რომლებიც ხაფანგივით აკაწკაწდებოდნენ ხოლმე, როგორც კი იგი მელიისაკენ წაიწევდა. აშკარად ეტყობოდა, მეტოქის მოკვლა სურდა, მაგრამ ისე კი, რომ თავად არაფერ ფათერაკს გადაჰყროდა.

რამდენჯერმე დაიწყეს ბრძოლა, მაგრამ არაქათგამოლეული მელა მუხანათ, შეუბრალებელ თოვლში ეფლობოდა ხოლმე ყოველთვის. საშუალება რომ ჰქონოდა უკან დაბრუნების და რაიმე საფარის მოძებნისა, რომელიც მას უკნიდან დაიფარავდა, მაშინ კიდევ იბრძოლებდა თავის დასაცავად, მაგრამ საითაც არ უნდა მიბრუნებულიყო, ყველგან გზას უჭრიდა უზარმაზარი კატა, შეიარაღებული კბილებითა და ბრჭყალებით და თოვლზე სასიარულო ისეთი საშუალებით, როგორიც არა აქვთ მელიებს.

ძნელი იყო გეცქირათ ამ ბრძოლისათვის და არ შეგბრალებოდათ მშვენიერი მელია. როლფი უკვე აპირებდა შველას, რომ ბრძოლაც გათავდა. მელამ კიდევ ერთი ნახტომი გააკეთა ტყისაკენ და უცებ გაქრა ფაფუკ თოვლში ჩავარდნილი. გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ ფოცხვერმა ძლიერი ყბები კეფაში ჩაუჭირა. ულმობელი ბრჭყალებით კი შიგნეული გამოაცალა.

ფოცხვერმა ბეწვი შეიბერტყა, მკერდი და თათები სრული თვითკმაყოფილებით მოილოკა, ერთხელ კიდევ გაჰკრა კბილი მოკლულ მელას და არხეინად გაჰყვა ნაპირ-ნაპირ.

კუონებმა პირზე ხელი მიიდო და ხმამაღლა დაიჭყავლა მახეში გაბმული კურდღელივით.

ფოცხვერი შეჩერდა, უკან დაბრუნდა და პირდაპირ იმ ადგილისაკენ გამოსწია, საიდანაც კურდღლის ჭყივილი მოესმა.

გულარხეინად შეჩერდა მონადირეებიდან ოც ნაბიჯზე. გაისმა სროლა და ფოცხვერი თოვლზე გაიწვართა.

ვერცხლისფერი მელიის ბეწვი თითქმის მთელი იყო. იგი აქამდე შეგროვილ ნადავლზე ორჯერ უფრო მეტად ფასობდა. ფოცხვერის ბეწვი კი იმდენივე ღირდა, რამდენიც კვერნისა.

ამის შემდეგ მონადირეები ნაკვალევის თვალიერებას შეუდგნენ. შეიტყვეს, რომ მელა კურდღლებზე ნადირობდა, როცა თავს ფოცხვერი დაეცა. შეშინებულს ბუჩქების ირგვლივ სირბილი დაუწყია; აქ თოვლი კურდღლებისაგან იყო დატკეპნილი. ასე ურბენია, სანამ არ დაიღალა. მერე გადაუწყვეტია, თავს ვუშველიო, და პირდაპირ ტბაზე გაქცეულა, მაგრამ მეტისმეტად ფაფუკ თოვლს ვერ გაუძლია მისი სიმძიმისათვის, მაშინ, როდესაც

ფოცხვერი მსუბუქად დასრიალებდა ზემოდან. მელიამ საბედისწერო შეცდომა დაუშვა, მაგრამ იგი ძლიერი და მამაცი იყო. კიდევ ერთ საათს იბრძოდა, სანამ საბოლოოდ ძლიერმა და დიდმა ფოცხვერმა არ მოკლა იგი.

XLI
მტრის ფორტი

ხაფანგების დასავლეთი ხაზის შემოწმებას, ჩვეულებრივ, ორ დღეს უნდებოდნენ. ამიტომ ქოხიდან შუა გზაზე მონადირეებმა შესაფერისი ადგილი აირჩიეს და პატარა კარავი დადგეს. ერთხელ ისინი კარავში შეჩერდნენ დასასვენებლად. მაშინვე თვალში ეცათ, რომ მათი უკანასკნელად ყოფნის შემდეგ აქ ვიღაც ყოფილიყო. უცნობს თამბაქოს ღეჭვა ჰქონია ჩვეულებად. არც როლფი და არც კუონები თამბაქოს არ ღეჭავდნენ. კუონებს სახე ეღრუბლებოდა ხოლმე, როგორც კი მტრის სიახლოვის მაუწყებელ რამე ახალ საბუთს წააწყდებოდნენ. ცხადი იყო, განკითხვის ჟამი ახლოვდებოდა. ზოგი მონადირე განსაკუთრებულ ნიშანს ასვამს თავის ხაფანგებს; ზოგი ამას არ აკეთებს. როლფმა ყველა ხაფანგი დანიშნა, ხერხით რკინაზე ხაზები გაავლო. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ბრძნული სიფრთხილე იყო.

იმ დღეს თახვების ტბორის დასავლეთის მხარის შემოვლისას ნახეს, რომ ექვსი ხაფანგი სადღაც გამქრალიყო. ზოგან არავითარი ნიშანი არ იყო ქურდის აქ ყოფნისა, ზოგან კი ნაკვალევი ჩანდა, ერთ მოჭრილ ტოტზე მატყლის მოკლე ცისფერი ძაფი იპოვეს.

— მე იმას ამ ძაფით ვიპოვი და მოვკლავ, — თქვა ინდიელმა. როლფი წინაღუდგა ასეთ გადაწყვეტილებას. მისდა გასაოცრად, ინდიელმა უკმაყოფილოდ შემოხედა მეგობარს:

— შენ იცი, რომ ქურდი მკრთალსახიანია. აბა ერთი ინდიელი ყოფილიყო, მოითმენდი, რომ ასე ეპარა ჩვენი ნანადირევი? არა, არასოდეს!

— ტბის სამხრეთით კიდევ ბევრი ადგილია; იქნებ ის პირველი მოვიდა აქ.

— შენ იცი, რომ ჩვენ მოვედით აქ პირველნი. შენ კიდევ რამდენიმე პეკანის გული უნდა შეჭამო. მე მშვიდობა მსურდა, ახლა ომი მწყურია.

ინდიელმა გადაიგდო ზურგზე თავისი ფუთა, თოფს ხელი წაავლო და მისი თხილამურები თოვლზე აჭრიალდა.

სკუკუმი როლფის გვერდით იჯდა. ძაღლი წამოდგა წასასვლელად და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა კუონებისკენ. როლფი არ იძროდა ადგილიდან. საქმის მოულოდნელმა უსიამოვნო შემობრუნებამ გააოგნა ბიჭი. სკუკუმმა მოიხედა უკან და გაჰყვა კუონებს. როლფი კი იჯდა და წინ იცქირებოდა. კუონები შორს მიიმალა, სკუკუმიც აღარ ჩანდა. როლფი ისევ უძრავად იჯდა. თავში უკანასკნელი წლის მთელი ამბები დაუტრიალდა. ინდიელთან თავის შეფარება. ხიფათი ირემთან და წითელკანიანის მზრუნველობა. ყოყმანი დაიწყო. უცებ სკუკუმი გამოჩნდა, ნაკვალევზე ბრუნდებოდა. ძაღლი როლფთან მივიდა და ხელთათმანი დააგდო... კუონების ხელთათმანი. ცხადი იყო, ინდიელს დაეკარგა; სკუკუმმა იპოვა და უნებლიეთ თავის პატრონთაგან იმას მიუტანა, ვინც უფრო ახლოს იყო. კუონებს ხომ ხელი

დააზრებოდა უხელთათმანოდ! როლფი წამოხტა და ინდიელის ნაკვალევს გაჰყვა. მალე მთის ციცაბო ფერდობზე ავიდა ხმამაღლა დაიძახა რამდენ-ჯერმე, სანამ პასუხი არ მიიღო. რამდენიმე წუთის შემდეგ როლფი მთის წვერზე იყო.

ინდიელი იჯდა მორზე და ელოდა. როლფმა უხმოდ გადასცა ხელ-თათმანი. ინდიელმა უკმაყოფილოდ გამოართვა. როლფმა იყუჩა ორი წუ-თი, შემდეგ მძარცველის ნაკვალევზე დადგა და თქვა:

— წავიდეთ!

ერთი-ორი საათი უბრად მიდიოდნენ. ნაკვალევმა ისინი კლდოვანი მთის ფერდობთან მიიყვანა. შიშველ, ქარისაგან გადახვეტილ ფერდობზე ნაკვალევი დაიკარგა. მაგრამ ინდიელი ზევით მიიწევდა. მალე მეორე მხა-რეზე გადავიდნენ. საკმაოდ ბევრი იარეს დაბურულ, უქარო ტყით და ისევ წააწყდნენ ნაკვალევს.

ნაკვალევი აშკარად იგივე იყო, რადგან თხილამურები ორი თითით უფრო ფართო და ერთი ხელის დადებით გრძელი იყო კუონების თხილამუ-რებზე, თანაც ჩარჩოს მარჯვენა მხარე გატეხილი ჰქონდა და მისი შემაერთე-ბელი თასმის კვალი თოვლს მკაფიოდ ემჩნეოდა. ამ კვალს ისინი სულ ხე-დავდნენ მთელი ზამთრის განმავლობაში და ახლაც, როგორც ყოველთვის, იგი დასავლეთისაკენ მიდიოდა.

საღამოს ერთ ხევს მიაგნეს და ღამის გასათევად მოეწყვნენ. თოვლზე ძილს მიჩვეულნი იყვნენ. დილით ისევ გაუდგნენ გზას, მაგრამ ქარსა და თოვლს ქურდის ნაკვალევი სულ მთლად წაეშალა.

«საით წავიდეთ?» — გაიფიქრა როლფმა, მაგრამ კუონებისათვის არა-ფერი უთქვამს. ინდიელი, ალბათ, თვითონაც გასაჭირში იყო. ბოლოს როლ-ფმა გაბედა:

— ის, ალბათ, სადმე მდინარესთან ცხოვრობს... ეს კვალი დაიკარგა, მოდი სხვა ვეძებოთ, უფრო ახალი.

ძველებური სიყვარულით შეხედა ინდიელმა მეგობარს.

— ნიბოვაკა ხარ.

ნახევარი საათიც არ უვლიათ, რომ ახალ და მათთვის დიდი ხნის ნაცნობ კვალს წააწყდნენ, სკუკუმმაც კი იცნო ნაკვალევი და ბრაზით დაიღ-რინა. რამდენიმე წუთში კვალმა ისინი ერთ ქოხთან მიიყვანა. მონადირეებ-მა თხილამურები მოიხსნეს და ხეზე ჩამოკიდეს. კუონებმა ყოველგვარი კა-კუნის გარეშე შეაღო კარი. შევიდნენ. პირისპირ უშნო, მჭლე მამაკაცი იდგა. სამთავემ იცნო ხოგი. შემოდგომაზე მათ სავაჭრო საწყობის პატრონთან რომ შეხვდათ.

ხოგმა სწრაფად წაიწია თოფისაკენ, მაგრამ კუონებმა არ დაანება და ყოველგვარი ურჩობის გამომრიცხავი ტონით უბრძანა:

— დაჯექ!

ხოგი დაჯდა და ბოღმიანად ჩაილაპარაკა:

— კარგი! ჩემი ამხანაგები ათი წუთის შემდეგ იქნებიან აქ.

როლფი შეკრთა, მაგრამ კუონებსა და სკუკუმს ყურადღებაც არ მიუქ-ცევიათ ნათქვამისათვის.

— შევხვდით შენს ამხანაგებს იქ, მთებზე, — თქვა ინდიელმა, რომელსაც ყოველგვარი ტყუილი ზოგჯერ სასარგებლო საქმედ მიაჩნდა.

სკუკუმმა დაიღრინა და მტერს ფეხებზე დაყნოსა. ტყვემ სწრაფად გაიქნია ფეხი.

— ერთხელ კიდევ ჩაარტყამ ძაღლს და ეს იქნება შენთვის უკანასკნელი პანღური, — გააფრთხილა ინდიელმა.

— ვინ გაარტყა შენს ძაღლს? რას აპირებ შენი ყაჩაღური მოქცევით? კანონი შენთვისაც მოიძებნება ამ ქვეყნად, — არ ნებდებოდა ხოგი.

— ამასაც ვნახავთ, ქურდბაცაცავ! ჩვენ, ჯერ ერთი, ჩვენი ხაფანგებისათვის მოვედით, მეორე — კი, უნდა გითხრათ: თუ შენ კიდევ ახლებ ხელს ჩვენს ნადირს, ახალ საყორნე ხორცს ვიშოვით. გგონია, მე იმათ არა ვცნობ? — და ინდიელმა თხილამურებზე აჩვენა, რომლებსაც მოგრძო ლაქები აჩნდა და ჩარჩოზე, გატეხილ მარჯვენა მხარეზე თასმა ეკეთა. — ხედავ ამ ცისფერ ძაფს, — ინდიელმა ძაფი ლურსმანზე ჩამოკიდებული ცისფერი შარფისკენ გაიქნია.

— ჰო, ეს ბილ ჰაუკინსის შარფია, ის ხუთ წუთში დაბრუნდება.

ინდიელმა დამცინავად აუქნია ხელი.

— ჩვენი ხაფანგები მოვძებნოთ, — უთხრა როლფს. როლფმა გაჩხრიკა ქოხი. რამდენიმე ხაფანგი იპოვა, მაგრამ არც ერთს ზედ როლფის ნიშანი არ ეტყობოდა.

— თქვენ კი არ უნდა ნადირობდეთ, დედაკაცებს და ბავშვებს უნდა უვლიდეთ, — ჩაიქირქილა ხოგმა, რომელსაც ძალზე გაუკვირდა, რომ როლფი თეთრკანიანი აღმოჩნდა.

როლფს ძებნამ ამაოდ ჩაუარა. ხოგს ან არ მოეპარა ხაფანგები, ან სადღაც სხვაგან ჰქონდა დამალული. ორი ხაფანგი იპოვეს, მაგრამ ისეთი დიდრონები, რომ მხოლოდ დათვისთვის გამოდგებოდა.

ინდიელმა ქურდის თოფი აიღო, კარებში დადგა და ჰაერში ისროლა. სულაც არ აწუხებდა, ხოგის ამხანაგები გაიგონებენო. იცოდა, რომ ეს ამხანაგები გამოგონილი ამბავი იყო. შემდეგ ქურდს მიუბრუნდა:

— შენს თოფს აქედან ნახევარ მილზე იპოვი. ამაზე შორს წამოსვლა არ გაბედო, შენი თხილამურების ნაკვალევი არ დავინახო. ყორნებს ძლიერ შიათ, იცოდე!

მერე ინდიელი სკუკუმს მიუბრუნდა და დიდად გაწბილებულ ძაღლს უბრძანა, გაჰყოლოდა. კუონებმა თან ხოგის თოფი წამოიღო, ქოხიდან მოშორებით ბუჩქებში დატოვა და როლფთან ერთად სახლისაკენ გაემართა.

XLII
სკუკუმის ავაზა

— ასე რად იკლო ირმის კვალმა?

— ირმები შემოღობილში არიან, — უპასუხა ინდიელმა. — ისინი არასოდეს დადიან ღრმა თოვლში.

— მალე ჩვენ ისევ დაგვჭირდება ირმები, — თქვა როლფმა.

მათ, რა თქმა უნდა, შეეძლოთ ზამთრის დასაწყისშივე დაეხოცათ ირმები, როცა მისი ხორცი უფრო გემრიელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ხორცის შესანახი ადგილი არ ჰქონდათ. ახლა თანდათან ძნელდებოდა ირმის მიკვლევა, თანაც ისინი კვირიდან კვირამდე სულ უფრო და უფრო მჭლევდებოდნენ.

ამ საუბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ისინი მთის მწვერვალზე იყვნენ და აქედან გადაშლილ ვრცელ ხედს გადაჰყურებდნენ. შორს ყორნები შენიშნეს, რომლებიც ხან ცაში ირაოს უვლიდნენ, და ხან ისევ ძირს, მიწაზე ეშვებოდნენ.

— შეიძლება მკვდარი ირემია... ან იქნებ ირმების ეზო, — თქვა ინდიელმა.

ეს ის დაბურული, კედრებით დაფარული ჭაობი იყო, სადაც მათ შარშან იმდენი ირემი ნახეს. ამიტომ სულაც არ გაკვირვებიათ, როცა კედრების ტევრში ისევ წააწყდნენ ირმის უამრავ ნაფეხურს.

ირმის ეზოს, ჩვეულებრივ, ისეთ ადგილს ეძახიან, სადაც ირმები მთელი ზამთრის განმავლობაში ერთ დიდ ჯოგად ცხოვრობენ და კარგა დიდ ფართობზე ტკეპნიან თოვლს. საამისოდ ირმები ისეთ ადგილს ირჩევენ, სადაც საკვებიც უხვად იშოვება და თავშესაფრადაც საიმედოა. აქ მათ არც ზვავი აწუხებს.

ირმები განუწყვეტლივ გადადიან ადგილიდან ადგილზე, თოვლი დაცხრილულია მათი ნაკვალევით, ყოველი მიმართულებით... ასე საზრდოს ძებნაში ისინი თანდათან აფართოებენ დაკავებულ ფართობს. შემდეგ გულითაც რომ მოინდომონ, ამ ეზოს ვეღარ დატოვებენ, რადგან ირგვლივ ყველგან ღრმა და ფიფქ თოვლს წააწყდებიან. თოვლში კი თავს ძალზე უმწეოდ გრძნობენ.

კარგად დატკეპნილ ნაკვალევამდე რომ მივიდნენ, მონადირეებმა თხილამურები მოიხსნეს და წყნარად გაუყვნენ ირმის ბილიკს. იქითკენ გაემართნენ, საიდანაც ყორნების ჩხავილი ისმოდა. გამოირკვა, რომ საზარელ ფრინველებს ერთ ირემზე კი არ გაემართათ ლხინი, არამედ სამზე და თანაც სულ ახალ მოკლულებზე.

კუონებმა ყურადღებით დაათვალიერა ნაკვალევი და თქვა:

— ავაზა!

მართლაც, ირმების ეზოს ავაზა შეჩვეოდა. ვირთხა რომ დუქანში დასახლდება, ისე იყო აქ ავაზა. როცა კი მოესურვებოდა, ერთი ნახტომით შეეძლო კარგი ლხინი გაემართა თავის თავისთვის.

გაიხარა ავაზამ, მაგრამ ირმები დაღონდნენ, ეს ნადირი ხან მხოლოდ იმისათვის კლავს, რომ მკვლელობით დატკბეს, ხანაც იმდენს ხოცავს, რომ მეოთხედსაც ვერ შეჭამს ხოლმე. დანარჩენი მსხვერპლი კი ყორნების, მელიების, კვერნებისა და ფოცხვერთა საზრდოს მთავარი წყარო ხდება.

კუონებმა გადაწყვიტა, სანამ ირემზე ნადირობას დაიწყებდნენ, ავაზა მოეძებნათ. სკუკუმს საბელი მოხსნეს და მთელი მისი ნიჭის გამოვლენის საშუალება მისცეს.

თავმომწონე სკუკუმი წინ გავარდა. მისმა გამოჩენამ შეაწრიალა ირმები. უცებ ძაღლმა რაღაც ახალი სუნი იგრძნო და შეშინდა. მისი ყეფა ახლა

დასავლეთიდან ისმოდა, ტყის კლდოვანი მხრიდან. როგორც ჩანდა რაღაც ნადირისთვის მიეკვლია, რადგან მისი ხმა სულ ერთი ადგილიდან ისმოდა.

მონადირეები იქითკენ გაეშურნენ: ძაღლი დაბურული კედრის ძირას იდგა და გააფთრებული უყეფდა რაღაცას.

ჯერ ეგონათ, მაჩვზღარბი თუ იპოვაო სკუკუმმა, მაგრამ კარგად რომ დაუკვირდნენ, ხის ქვეშ ვეებერთელა ავაზა შენიშნეს. მხეცი არც ისე აღელვებული ჩანდა. ალბათ ხეზე აცოცება საკუთარი ღირსების დამცირებად მიაჩნდა და ძაღლსაც ყურადღების ღირსად არ ხდიდა. მხოლოდ ცხვირს ჭმუხნიდა და ოდნავ ქსინავდა, როცა აბეზარი მიუახლოვდებოდა ხოლმე.

მონადირეების გამოჩენამ სულ სხვაგვარად შეცვალა ეს სანახაობა.

ავაზამ თავი აიღო, შეხტა დიდ ხეზე და გატოტილ შტოზე მოკალათდა. მამაცი სკუკუმი ხესთან მივარდა და ხმამაღალი ყეფით დაემუქრა ნადირს, თუ მანდ ამოვედი, სულ ნაკუწ-ნაკუწად დაგგლეჯო.

მონადირეები მიხვდნენ, რომ იშვიათი და ხელსაყრელი შემთხვევა ეძლეოდათ ირმის ჯოგის შესანარჩუნებლად. ამიტომ ხეს მოუარეს და სასროლად მისადგომ ადგილს დაუწყეს ძებნა. მაგრამ ყოველი მხრიდან რამე დაბრკოლებას აწყდებოდნენ. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ავაზას თვით ტოტები იცავენო, ისე ძნელი იყო დამიზნება, საიდანაც არ უნდა მიდგომოდნენ.

გარშემო ამაოდ ტრიალის შემდეგ კუონებმა უთხრა როლფს:

— მოარტყი რაიმე, რომ ადგილიდან დაიძრას.

როლფს ემარჯვებოდა ქვის მიზანში სროლა, მაგრამ ქვა ვერ იპოვა. იქვე მახლობლად გაუყინავი წყარო მოედინებოდა: წყალში ჩაყინული თოვლი მაგარ გუნდად ქცეულიყო, როლფმა გაუქნია გუნდა ავაზას და შიგ ცხვირში მოარტყა. მოულოდნელობისაგან მხეცი შეხტა და ხიდან თოვლში ჩამოვარდა.

სკუკუმი იმწუთშივე მივარდა, მაგრამ მიღებულმა სილამ ლეკვს ტაქტიკა შეაცვლევინა. ავაზა მოეფარა, მაგრამ მამაცი სკუკუმი კვალდაკვალ მისდევდა ნადირს და გაშმაგებული უყეფდა.

უფრო შეწუხებული, ვიდრე შეშინებული ავაზა დაბალ ხეზე ავიდა: სკუკუმი მივარდა გააფთრებული ყეფით და ხის ირგვლივ გზას ტკეპნა დაუწყო. ბუჩქებს მოფარებული მონადირეები ფრთხილად, უხმაუროდ უახლოვდებოდნენ ხეს.

მხეცის მთელი ყურადღება ძაღლის საოცარ თავხედობას მიეპყრო. კუონები უფრო ახლოს მივიდა, დაუმიზნა და ესროლა. კვამლი რომ გაიფანტა, ავაზა გვერდზე იწვა და ფეხებს ასავსავებდა, სკუკუმი კი მტერს უშიშრად ეწეოდა კუდზე.

«ჩემია ავაზა, — თითქოს ამბობდა ძაღლი, — განა თქვენ უჩემოდ შეძლებდით მის მოკვლას?»

ავაზა ირმის ეზოში იგივეა, რაც მგელი ცხვრის ფარაში. ზამთრის განმავლობაში მხეცი ყველა ირემს დაკლავდა, თუნდაც იმაზე ათჯერ მეტიც ყოფილიყო, ვიდრე მისთვის საკვებადაა საჭირო. ავაზას მოკვლა კარგი იღბალია მონადირეებისათვის და ირმებისათვისაც. მისმა მშვენიერმა ბეწვმა საპატიო ადგილი დაიკავა როლფისა და კუონების საწყობში.

XLIII
კვირა დღე ტყეში

კვირა დღე როლფისთვის დასვენების დღე იყო და კუონებიც ერთგვარ ანგარიშს უწევდა ამას. წითელკანიანი შეუდარებლად მეტ შემწყნარებლობას იჩენდა მკრთალსახიანი წითელკანიანის რწმენისადმი.

კუონების მზისა და სულისადმი მიმართული სიმღერები, მისი ჩვეულება თამბაქოსა და ცხოველთა ულვაშების დაწვისა, როლფს სისულელედ მიაჩნდა. სამაგიეროდ, არ უყვარდა, როცა კუონები კვირა დღეს ნაჯახს ან თოფს ხმარობდა. ინდიელი ფიქრობდა, ალბათ, ეს როლფისთვის «მავნე ჯადოაო» და კვირაობით თავს იკავებდა მუშაობისა და ნადირობისაგან. როლფი კი ვერაფრით ვერ მიეჩვია იმ წითელი ძაფების პატივისცემას, რომლებსაც ინდიელი ირმის თავის ქალაზე ჩამოკიდებდა ხოლმე, თუმცა ის კი ესმოდა, რომ ინდიელის საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო და არც უნდა შეკამათებოდა.

როლფი კვირაობით ისვენებდა. კუონებმა კი იგი სიმღერებისა და მოგონებების დღედ აქცია.

ერთხელ, კვირა საღამოს, ორთავენი ქოხში ისხდნენ და ცეცხლთან თბებოდნენ. ქარბუქი იყო, ქარი კარებსა და ფანჯრებს ეხეთქებოდა. როლფი უყურებდა, როგორ ცდილობდა ქოხში მცხოვრები თავთეთრა თაგვი ისე მისულიყო სკუკუმის ცხვირთან, რომ ძაღლს არ დაეჭირა იგი. კუონები ირმის ტყავების გროვაზე იწვა; პირში ჩიბუხი გაეჩარა, ხელები თავქვეშ ამოედო. თბილ ქოხში მყუდროება სუფევდა.

სიჩუმე როლფმა დაარღვია:

— ცოლი გყავდა როდისმე, კუონებ?

— კი, — უპასუხა ინდიელმა.

— სად?

— მიანოსში.

როლფს ერიდებოდა კიდევ რამე ეკითხა და ხელსაყრელ შემთხვევას დაუწყო ლოდინი. იცოდა, რომ ამგვარ საქმეებში კაცს სიფრთხილე და თავაზიანობა მართებს, რომ ზოგჯერ საკმარისია თუნდაც ერთხელ მოურიდებლად შეეხო მეგობრის გრძნობებს, რომ ამით სამუდამოდ დაკარგო იგი. ამიტომაც იწვა და თავს იტეხდა, როგორ გავიგო კუონების ქორწინების ამბავიო. სკუკუმს მაგრად ეძინა, კუონები და როლფი კი ქოხში მოცუნცულე თაგვს უყურებდნენ.

აი, თაგვი კედელზე მიყუდებულ არყის ხის ჯოხთან მივიდა, რომელზედაც ტამტამი ეკიდა. როლფს ძალიან უნდოდა კუონებს აეღო ტამტამი, რომ იმის ხმას გული გაეხსნა ინდიელისთვის, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ გაებედა: ვაითუ ასეთმა თხოვნამ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღოსო. ამასობაში თაგვი არყის ხის ჯოხს მოეფარა. როლფი ხედავდა, რომ ჯოხი თუ წაიქცეოდა, აუცილებლად წამოედებოდა თოკს, რომელსაც ერთი ბოლო იმ ლურსმანზე ჰქონდა მიბმული, რომელზედაც ტამტამი ეკიდა. როლფმა შეუყვირა თაგვს. ჯოხი ადგილიდან დაიძრა, წამოედო თოკს და ტამტამი ხმა-

ურით დაეცა იატაკზე. როლფი ადგა, რომ აეღო და ისევ ჩამოეკიდა თავის ადგილზე, მაგრამ კუონებმა რაღაც ჩაილაპარაკა და მისკენ მოტრიალებულ-მა როლფმა დაინახა, რომ ინდიელი ტამტამისაკენ იწვდიდა ხელს. როლფს რომ ეთხოვა, დაუკარიო, ალბათ, უარს იტყოდა; ახლა კი აიღო საკრავი, შე-ათვალიერა, მერე ცეცხლზე გაათბო და ვაბანაკის სიმღერა წამოიწყო. ნაზად და წყნარად მღეროდა. მის გვერდით მჯდარ როლფს პირველად ესმოდა ეს სიმღერა და სულ სხვა შთაბეჭდილება შეექმნა წითელკანიანთა მუსიკაზე. კუონები მღეროდა თავისებურად წარმტაც, ყელისმიერი ნოტებით მოღუ-ღუნე სიმღერას «კელუსკეპეს ომზე მაგებთან». ამ სიმღერაში მისი ხალხის სული იყო. ინდიელს თანდათან უნათდებოდა სახე, თვალები შთაგონებით უბრწყინავდა. შემდეგ დაიწყო შეყვარებულთა სიმღერა — «არყის ხის ნავ-ში».

ვარსკვლავები ციმციმებენ და ნამი ცვივა,
არყის ხის ნავით მივცურავ სატრფოსთან.

ამას ნანა მოაყოლა:

ავი დათვი შენ ხელს არ გახლებს.

ბოლოს დადუმდა. ჩაფიქრებული ჩასცქეროდა ცეცხლს. დიდი ხნის დუმილის შემდეგ როლფმა გაბედა ხმის ამოღება.

— დედაჩემს მოეწონებოდა შენი სიმღერები.

იქნებ არც გაუგონია ეს ინდიელს, მაგრამ უთუოდ გული მოულბა, რაკი ერთი საათის წინ მიცემულ შეკითხვაზე უპასუხა:

— გამოვინის ეძახდნენ, რადგან ჩიტი-გამოვინივით მღეროდა იგი.

მე იგი მამამისის სახლიდან წამოვიყვანე საუგატუკიდან. ჩვენ მია-ნოსში ვცხოვრობდით. მან ლამაზი კალათების და მოკასინების კეთება იცო-და. მე თევზს ვიჭერდი და ხაფანგებს ვდგამდი. ყველაფერი საკმარისი გვქონდა. შემდეგ ბავშვი დაიბადა. მას დიდი და მრგვალი თვალები ჰქონდა და უი-უისი — «ჩვენი პატარა ბუ» დავარქვით. ძალიან ბედნიერები ვიყავით სამივე. როცა გამოვინი ბავშვს უმღეროდა, მე მეჩვენებოდა, რომ მთელი ქვე-ყანა მზის სხივებით იმოსებოდა. უი-უისი წამოიზარდა, უკვე შეეძლო სია-რული; გამოვინმა ბავშვი დამიტოვა და თვითონ სტამფორდს რამდენიმე კა-ლათი წაიღო გასაყიდად. იმჯერად ნავსადგურში დიდი გემი მოსულიყო და ვიღაც კაცს გემიდან ეთქვა მისთვის, მეზღვაურები ყველა კალათას იყიდია-ნო. გამოვინს არაფრის არ ეშინოდა. გემზე იგი შეიპყრეს, როგორც გაქცეუ-ლი მონა და დამწყვდეული ჰყავდათ, სანამ გემი არ წავიდა. ვუცადე და რომ აღარ დაბრუნდა, ავდექი, შევისვი უი-უისი მხრებზე და სტამფორდს წავე-დი. იქ ყველაფერი მიამბეს, მაგრამ არავინ იცოდა, რა გემი იყო, საიდან მო-ვიდა, ან სად მიდიოდა... იმათთვის სულ ერთი იყო. გულზე ცეცხლი მომე-კიდა, ბოღმა მახრჩობდა, მინდოდა დავრეოდი და დამეხოცა ყველა, ვინც კი იმ სანაპიროზე იყო, მაგრამ ისინი ბევრნი იყვნენ. შემკრეს და ციხეში ჩამაგ-დეს სამი თვით. ციხიდან რომ გამოვედი, უი-უისი მოკვდა. იმათთვის ეს

სულ ერთი იყო. ამის შემდეგ გამოვინისა აღარაფერი გამიგია. ავდექ და კლდის ძირას დავსახლდი, რადგან ჩვენი წინანდელი სახლის ცქერა აღარ შემეძლო. არ ვიცი... იქნებ ცოცხალიცაა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბავშვთან დაშორება მოკლავდა.

ინდიელი დადუმდა. შემდეგ ზეწამოიჭრა. სახეზე ულმობლობა ეხატებოდა. ქოხიდან გარეთ გავარდა და ღამის წყვდიადში ჩაინთქა ქარბუქში. როლფი დარჩა მარტო სკუკუმთან.

ამდენი მწუხარება შეხვედრია ცხოვრებაში კუონებს. როლფი ფიქრმა წაიღო, მისი ასაკისათვის უჩვეულო სიბრძნით ეკითხებოდა იგი თავის თავს: «განა შეემთხვეოდათ ეს კუონებსა და გამოვინის, ისინი რომ თეთრები ყოფილიყვნენ? განა ასეთი სავალალო გულგრილობით შეხვდებოდა ხალხი მათ უბედურებას?» ვაი, რომ არა. ამაში როლფი დარწმუნებული იყო. მაშინ სულ სხვაგვარად იქნებოდა საქმე.

ინდიელი შინ ერთი-ორი საათის შემდეგ დაბრუნდა. მისი დაბრუნების შემდეგ სიტყვა აღარ თქმულა მათ შორის. გათოშილი არ ჩანდა, თუმცა კი ეტყობოდა, შორს წასულიყო.

როლფი დასაძინებლად მზადებას შეუდგა. ინდიელი დაიხარა, აიღო იატაკიდან წინა დღით დაკარგული ნემსი და უხმოდ გაუწოდა თავის ამხანაგს. როლფმა მადლობის ნიშნად «ჰმოო», ჩაიდუდუნა და ნემსი არყის ხის ქერქის ყუთში შეინახა.

XLIV
დაკარგული ბეწვეულის შეკვრა

მას შემდეგ, რაც მონადირეებმა მტრის ბანაკი მოინახულეს, ხაფანგების ქურდვა ერთ ხანს შეწყდა. მაგრამ დადგა მარტი, ერთმანეთს ენაცვლებოდა თბილი და ყინვიანი დღეები, თოვლს ყინულის ქერქი გადაეკრა. ისევ დაიწყო ქურდობა, რადგან ახლა უკვე ისე შეიძლებოდა თოვლზე სიარული, რომ არავითარი კვალი არ დარჩენილიყო.

მონადირეებმა ხაფანგებიდან სიასამურები და რამდენიმე კვერნა ამოიღეს და თახვების ტბორისკენ გასწიეს.

იქ ხაფანგები არ ჰქონდათ, მაგრამ აინტერესებდათ, კიდევ ბევრი იყო თუ არა თახვი და რას აკეთებდნენ ისინი.

ნაპირიდან მოჩუხჩუხე ნაკადულებს ტბორის ზემოდან გადაფარებული ყინული დაებურღათ და წყალი გამოჩენილიყო. ყინვა უკვე სუსტი იყო და წყალი აღარ იყინებოდა. ამ ამობურღულებიდან, როგორც ნაკვალევი მოწმობდა, ხშირად ამოდიოდნენ თახვები, ამიტომ მონადირეები ფრთხილად უახლოვდებოდნენ ტბორს.

სქელ მორს ამოფარებულნი ყურადღებით მისჩერებოდნენ ერთ-ერთ ასეთ ამობურღულ ნაჩვრეტს. კუონებს თოფი ჰქონდა მომარჯვებული, როლფს კი სკუკუმი ეკავა, როცა მათთვის ნაცნობი ბრტყელი თავი გამოჩნდა. ყინულშუა, წყალში მოზრდილი თახვი ცურაობდა, ჰაერს ისუტავდა და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს; ცოტა ხნის შემდეგ ნაპირზე ამოცოცდა. ალბათ, რომელიმე ვერხვისკენ მიემართებოდა, რომ დაწყებული ჭრა დაეს-

რულებინა. მონადირეებიდან სწორედ სათოფეზე იქნებოდა და კუონებმა უკვე დაუმიზნა კიდეც, მაგრამ როლფმა ინდიელს ხელი დაუჭირა და წინ გაახედა. ხეებს შუა ფეხაკრეფით მოიპარებოდა მოზრდილი ფოცხვერი. ნადირი ვერ ხედავდა მონადირეებს. მას მხოლოდ თახვის სუნი სცემდა, რომელიც უკვე არჩეული ხის ჭრას შესდგომოდა.

თახვის ბეწვი ფოცხვერისაზე მეტად ფასობს, მაგრამ მონადირეთა უმრავლესობა გულის სიღრმეში ნატურალისტია და უყვართ ცხოველთა ცხოვრებაზე დაკვირვება.

ფოცხვერი თითქოს მიწამ ჩაყლაპა, როგორც კი შენიშნა აქ ნადავლს წავაწყდიო, მყისვე თვალს მოეფარა და შეტევა დაიწყო. მონადირეები უყურებდნენ, როგორ ფრთხილად მოიპარებოდა ნადირი გაშლილ ვაკეზე, ამ წუთში იგი სიმაღლით ოთხ დუიმზე დაბალი ჩანდა. ირგვლივ ბლომად ეყარა მორები, ქვები, ხეები, ტოტები და ფოცხვერი მოხერხებულად ეფარებოდა მათ. ნელნელა ტევრამდე მივიდა და მისი ულვაში თახვიდან სულ რაღაც ორმოცდაათ ფუტზე გამოჩნდა.

ყველაფერი ეს სტანჯავდა და აღიზიანებდა სკუკუმს: ძაღლი არ ჩანდა, მაგრამ ხანდახან წაიღრინებდა და გასაქცევად გაიწევდა ხოლმე, მოთმინება არ ჰყოფნიდა, არ უნდოდა ამ ხელსაყრელი შემთხვევის ხელიდან გაშვება. თახვის მგრძნობიარე ყურს არ გამოჰპარვია ძაღლის წკმუტუნი. ცხოველმა მუშაობა შეწყვიტა, შემოტრიალდა და ამოტეხილისაკენ გაემართა.

მყისვე ფოცხვერმაც ისკუპა საფარიდან და თახვს კისერში ეცა; მაგრამ თახვი ფოცხვერზე ორჯერ უფრო მძიმეა, ნაპირი კი ციცაბო და სლიპი იყო. ცხოველები ქვევით დაგორდნენ და სულ უფრო უახლოვდებოდნენ ამოხვრეტილს. ზედ წყალთან თახვმა უცბად წინ წაიწია, ჩაყვინთა და ქედში ჩაფრენილი ფოცხვერიც ჩაითრია. ჩაყვინთვა ვერ მოასწრეს, რომ მონადირეებიც მივარდნენ წყალთან. იქნებ ზევით ამოცურდნენ და ადვილად ჩავიგდოთ ხელშიო, მაგრამ ისინი აღარ გამოჩენილან — აშკარა იყო, ყინულქვეშ მოხვდნენ, იქ კი თახვი უკვე შინ იყო.

გავიდა ხუთი წუთი და უკვე დანამდვილებით შეიძლებოდა თქმა, რომ ფოცხვერი ცოცხლებში აღარ ეწერა. კუონებმა ნორჩი ხე მოჭრა და ჭოკი გათალა. მერე რამდენჯერმე ჩაუშვა ყინულქვეშ ხან ერთ, ხან მეორე მხარეზე, სანამ რაღაც რბილს არ მიაგნო. ამოჭრა ნაჯახით ყინული და მკვდარი ფოცხვერი ამოათრია. თახვი კი, ალბათ, იოლად გადარჩა და თავს უშველა.

სანამ კუონები ნადირს ტყავს ხდიდა, როლფი ტბორის ირგვლივ დაეხეტებოდა, მაგრამ მალე დაბრუნდა და საინტერესო ამბავიც მოიტანა.

ყინულში კიდევ ერთი ამოხვრეტილი შენიშნა, იქიდან მეორე თახვი ამოსულიყო. ტბორიდან ოც ნაბიჯზე თახვს რამდენიმე ხე შეეთვალიერებინა და ერთი ვერხვი აერჩია. მაშინვე ღრღნას შესდგომოდა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, შეიძლება იმიტომაც, რომ მარტო იყო «— მიმართულება ვეღარ მოუზომავს. ხე ერთი ჭახანით წამოსულა, პირდაპირ ზურგზე დასცემია თახვს და მიწაზე გაუკრავს.

მონადირეებმა სულ ადვილად გაათრიეს ხე, თახვი გაატყავეს და თახვების ტბორიდან გაცილებით უფრო მდიდრები წავიდნენ, ვიდრე მოელოდნენ.

მეორე საღამოს, როცა შუა გზაზე კარავში შეჩერდნენ, მათ იმდენი ნადავლი ჰქონდათ, რამდენიც არ ჰქონიათ იმ დაუვიწყარი დღის შემდეგ, ექვსი თახვი რომ დაიჭირეს.

მეორე დილა მოწმენდილი და მზიანი გათენდა. საუზმისას უცებ შორს ჩრდილოეთისაკენ მეგობრებმა უამრავი ყორანი შენიშნეს. ოცი თუ ოცდაათი ფრინველი ირეოდა მაღლა ჰაერში და ერთი ადგილის ირგვლივ ვეებერთელა ირაოს უვლიდა. ყორნები დროდადრო ხმამაღლა ჩხაოდნენ. ხანდახან ერთი მათგანი დაეშვებოდა ხოლმე ძირს და თვალს ეფარებოდა.

— რა ამბავია ამდენი ყორანი?

— ალბათ უნდათ სხვა ყორნებს შეატყობინონ, აქ ნადავლია და მოდითო. ყორნებს ძალიან კარგად უჭრით თვალი. ათი მილის მანძილზე ამჩნევენ სიგნალს და ყველანი იქით მიფრინავენ. მამაჩემი მეუბნებოდა ხოლმე, ოცი მილის მანძილზე რაც ყორანია, ყველა შეგიძლია მოაგროვო, თუ ერთი ისეთ ადგილზე დადე მძორი, რომ ჩანდეს. ისინი თვითონ ატყობინებენ ერთმანეთსო.

— მე მგონი, ურიგო არ იქნებოდა, გვენახა, რაშია საქმე. იქნებ ისევ ავაზაა, — თქვა როლფმა.

ინდიელმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. დამალეს საიდუმლო ადგილას ბეწვეული და თხილამურები, რომლებიც ყოველი შემთხვევისათვის ჰქონდათ წამოღებული, და მაგარ, გაყინულ თოვლზე იქითკენ გაემართნენ. სულ რაღაც ორი-სამი მილი გაიარეს იმ ადგილამდე, სადაც ყორნებს კრება გაემართათ და ისევ იმ კედრების ტევრში მოხვდნენ, სადაც ირმების ეზო ეგულებოდათ.

სკუკუმი იცნობდა ამ ადგილს. მეომრული სახელის მოხვეჭის წყურვილით აღსავსე ძაღლი ტყეში შევიდა, მაგრამ თითქმის იმწუთშივე გამოვარდა უკან გულგახეთქილი. ყმუოდა და შველას ითხოვდა საცოდავი. ლეკვს უკან კვალდაკვალ ორი რუხი მგელი მოსდევდა. კუონებმა ორმოც ნაბიჯზე მოუშვა ისინი. მგლებმა ადამიანები დაინახეს, შეჩერდნენ და უკან გაბრუნდნენ. კუონებმა ისროლა. ერთმა მგელმა ძაღლივით დაიყმუვლა. შემდეგ ორივენი ბუჩქებში გადავარდნენ და თვალს მიეფარნენ. მონადირეებმა გულდასმით დაათვალიერეს თოვლი და სისხლის კვალს წააწყდნენ. ირმების ეზოში რამდენიმე ირემი ეგდო მგლებისაგან მოკლული, მაგრამ არც ცოცხალი ირმები ჩანდნენ სადმე და არც მგლები. თოვლის გამაგრებული ზედაპირი თავისუფალი მოძრაობის საშუალებას აძლევდა ყველა ცხოველს, ამიტომ ერთნიც და მეორენიც ადვილად გაექცნენ მონადირეებს.

მეგობრებმა დაათვალიერეს ტირიფით შემოსილი დაბლობი, იქნებ სადმე თახვებს წავაწყდეთო, და შებინდებისას კარავში დაბრუნდნენ. ყველაფერი თავის ადგილზე დახვდათ, გარდა ერთი შეკვრა ბეწვეულისა, რომელიც სადღაც უკვალოდ გამქრალიყო.

თოვლის გამაგრებულ ზედაპირს, რა თქმა უნდა, არავითარი ნაკვალევი არ ემჩნეოდა. ჯერ იფიქრეს, ამას ჩვენი ძველი მტერი იზამდაო, მაგრამ ცოტა ხნის თვალიერების შემდეგ ყარყუმის ბეწვი იპოვეს, მეოთხედი მილის მოშორებით კი მთიხვის ბეწვის ნაგლეჯები. ეს მონადირის მტრის — სამურავის ოინებს წააგავდა. ეს ნადირი, მართალია, იშვიათად, მაგრამ მა-

ინც იყო ამ მთებში. ჰო, აი, სამურავის ბრჭყალების კვალი; აი, კიდევ მთიხ-ვის ბეწვის ნაგლეჯი. ერთი სიტყვით, ცხადი იყო, რომ ბეწვეული სამურავს მოეტაცა.

— ჰო, მაგრამ, რაღა სულ იაფი ბეწვეული დაგლიჯა მთელი შეკვრი-დან? — შენიშნა როლფმა.

მონადირეებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს... «მხოლოდ ყველაზე იაფი დაგლიჯა». შეეძლო თუ არა სამურავს ბეწვეულის ფასი სცოდნოდა? ბეწვეული მხოლოდ თვალის ასახვევად იყო დაგლეჯი-ლი. ეს ადამიანის ნახელავი იყო და ამ ადამიანს ხოგი ერქვა.

ქურდმა, რა თქმა უნდა, მოასწრო დაწინაურება და ახლა უკვე შორს იყო.

— კარგი, მოვითმენ ერთ-ორ დღეს. იფიქროს, რომ საშიში აღარაფე-რია; მერე მივაკლევ და მოვათავებ საქმეს, — თქვა ინდიელმა, რომელსაც ნამდვილად გადაეწყვიტა ბოლო მოეღო ამ საქმისთვის.

XLIII
ჰოგის დასჯა

ამინდის შეცვლამ მონადირეების ყველა გეგმები არივ-დარია და მა-თი მტერი ცხელ გულზე რისხვას გადაარჩინა. ორ კვირას გრძელდებოდა სითბო, ახლა კი წვიმები დაიწყო. ყინული ტბაზე ექვსი დუიმის სიმაღლეზე დაიფარა წყლით. მდინარე გადაევლო ყინულს და მის უკანასკნელ ნიშანსაც სწრაფად ანადგურებდა. ტალახში და სველ თოვლში მოგზაურობა შეუძლე-ბელი იყო. გაზაფხული ახლოვდებოდა.

ღამღამობით ცოტას გაყინავდა ხოლმე, მაგრამ მზეს დღითი დღე სითბო ემატებოდა და გაშლილ მზიან ფერდობებზე აქა-იქ მიწაც გამოჩნდა უკვე.

მონადირეებმა ისარგებლეს პირველივე ყინვიანი დღით და ჩამოსავ-ლელად გაემართნენ. კარგად იცოდნენ, რომ დასრულდა სეზონი და ხაფან-გებსა და მახეებს ექვსთვიანი დასვენება დაუდგათ.

ჩვეულ გზას დაადგნენ, თან თხილამურები წაიღეს, თუმცა ახლა თხილამურებით იშვიათად სარგებლობდნენ. გზაზე ერთ დიდ კვალს წააწ-ყდნენ. კუონებმა როლფს დაანახვა ნაკვალევი და როცა როლფი შეეკითხა, დათვიაო? თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. დათვები უკვე დაეხეტებოდ-ნენ ტყეში, დასრულდა ზამთრის ძილი. ახლა ისინი მსუქნები იყვნენ, მათი ტყავიც კარგად ფასობდა. ერთი თვის შემდეგ დათვი ხორცს დაყრის და გა-ხუნებას დაიწყებს. სწორედ დრო იყო დათვზე ნადირობისა ხაფანგით, გინ-და ძაღლით.

სკუკუმს, აშკარა იყო, ნადირობის უკანასკნელი ხერხი მიაჩნდა მი-ზანშეწონილად, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დათვზე სანადიროდ ერთი ძაღ-ლი არ კმარა; სულ ცოტა სამი-ოთხი მაინც უნდა. ზოგმა უკანიდან არ უნდა მოასვენოს, ზოგმა წინიდან დაუაროს და შეუტიოს. ერთ ძაღლს შეუძლია მხოლოდ გააქციოს ნადირი. დათვის ხაფანგი მონადირეებს არ ჰქონდათ,

თანაც იცოდნენ, რომ გაზაფხულზე დათვები შორს მიდიან ხოლმე და აღარ გაყვნენ კვალს.

მახეებში ორი კვერნა ნახეს, მაგრამ ერთი გაფუჭებულიყო თბილ ამინდში. ამჯერად მათ შეიტყვეს, რომ ჰოგს თავისი ხაფანგების ხაზიც ჰქონია და ამისთვის ნაწილობრივ მათი მახეებიც გამოუყენებია. ჰოგს ახლახანს ჩამოუვლია და, ცოტა არ იყოს, მათი შრომითაც უსარგებლია. მიუხედავად იმისა, რომ ქურდი ორი დღის წინ იყო ნამყოფი, მისი ნაკვალევი კარგად ჩანდა თოვლსა და მიწაზე. კუონებმა თოფი შეათვალიერა, ქვედა ტუჩს კბილი დააჭირა და წინ გასწია. — რას აპირებ, კუონებ? ნუთუ თოფს იხმარ?

— ჰო.

წითელკანიანის თვალებში საშიშმა ცეცხლმა იელვა და როლფი აიძულა, უხმოდ გაყოლოდა უკან.

გვერდი აუარეს კვერნის სამ ხაფანგს და ბოლოს ერთ ხესთან სატყუარიანი მორების დიდი სამკუთხედი დაინახეს; აშკარა იყო, ამ ადგილას დათვის დიდი რკინის ხაფანგი უნდა ყოფილიყო დამალული.

ცნობისმოყვარე სკუკუმს ძლივს აკავებდნენ. გზა განაგრძეს. კიდევ ერთი-ორი მილი გაიარეს და დარწმუნდნენ, რომ მათი მტერი გამოცდილი მაწანწალა იყო და იქაურობას კარგად იცნობდა.

საღამოს მზის ჩასვლისას დაბრუნდნენ კარავში, რომელიც ქოხიდან შუა გზაზე ჰქონდათ დადგმული და ღამე იქ დარჩნენ. დაწოლის წინ როლფი გარეთ გამოვიდა, რომ ერთხელ კიდევ შეეხედა ცისათვის. უცებ ხის ჭრიალი შემოესმა. ძალიან გაუკვირდა. სკუკუმიც კი შეშფოთდა, მაგრამ ჭრიალი აღარ განმეორებულა. დილით ისევ გაუდგნენ გზას.

ტყეში განუწყვეტლივ გაისმის ათასნაირი ხმა — ფოთლების შრიალი, ჩხიკვების ძახილი, ყორნების ჩხავილი, კალიების ტკაცუნი და შიგადაშიგ ხოჭოების, კაკბებისა და ბუების შემთხვევითი წამოძახილიც ერევა. ოთხფეხები ჩუმად არიან, მხოლოდ წითური ციყვი რატრატებს და დაფუსფუსებს გაუთავებლად. ეს ხმაური შორს მიაქვს ექოს ტყეში. არც დღე და არც ღამე ხუთი წუთი არ გავიდოდა ისე, რომ ყურადღებიანი ძაღლის მახვილ ყურამდე რამე ხმას არ მოეღწია: ტყის უცნაურ ტიტინს, ან ფხაჭუნს, ან ტკაცუნს, ან ძახილს თუ სტვენას.

განუწყვეტლივ გადასცემდა ყური სკუკუმს ყველაფერს, რაც ტყეში ხდებოდა. საკუთარი ფეხის ხმა, რომელიც მონადირეებისათვის ბევრ ხმას აყრუებს, ძაღლს არ უშლის ტყის ყველა ხმის მოსმენაში. როცა ხმა ისევ განმეორდა და სკუკუმის ყურამდე მივიდა, ძაღლს ბეწვი ყალყზე დაუდგა, ყურები დაცქვიტა და დაიღრინა.

მონადირეები შეჩერდნენ. გამოცდილი მონადირე უჯერებს ძაღლს, როცა ის ეუბნება, შესდექიო. ერთი წუთით შეჩერდნენ. ჭრიალი გამეორდა. ტოტის ჭრიალსა ჰგავდა, ტოტი ტოტს რომ ეხახუნება ქარში. «ჰამ! ჰამ! ჰამ!» — შესძახა სკუკუმმა და წინ გავარდა.

— დაბრუნდი სულელო! — დაუყვირა როლფმა, სკუკუმი ერთ ხანს გარბოდა, მერე შეჩერდა, თავი მიწისკენ დახარა და თოვლზე რაღაცას დაუწყო სუნვა. ინდიელი დაიხარა და აიღო ჭახრაკი, ანუ ჯიბის სახრახნი, რომელსაც მუდამ თან ატარებენ მონადირეები ხაფანგის გასამართავად, რად-

გან უიმისოდ ვერც ზამბარის მოჭერას და ვერც მოშვებას ვერავინ შეძლებს. ინდიელმა აიღო ჭახრაკი და თქვა:

— ჰო! ჰოგი ახლა მაგარ გასაჭირში იქნება. — მიხვდა, რომ მეტოქე-მონადირეს საჭიროზე საჭირო ხელსაწყო დაეკარგა. სკუკუმმა გზა განაგრძო. ასე მივიდნენ ისინი პატარა ხევამდე. აქ ძაღლმა წინ გაუსწროთ. უცებ მისი გაავებული ყეფა და ღრენა მოესმათ.

მონადირეებმა მიირბინეს ადგილზე და ნახეს, რომ ერთ-ერთ იმ ჯოჯოხეთურ მანქანაში, დათვის ხაფანგს რომ ეძახიან, მათი მტერი _ ხოგი გაწვართულიყო. თავისავე გაწყობილ ხაფანგში ხელითა და ფეხით გაბმულიყო.

ბოროტმა ღიმილმა გადაურბინა ინდიელს სახეზე. როლფი კი, პირიქით, შეძრწუნდა. ასე რომ იდგნენ და გაწოლილ ჰოგს დასცქეროდნენ, უცებ სუსტი კვნესა მოესმათ.

— ცოცხალია, ჩქარა! — წამოიძახა როლფმა.

ინდიელი აუჩქარებლად მიუახლოვდა. მან აღთქმა დადო, შურს ვიძიებო, და, აბა, საშველად შეეძლო განა აჩქარება?

ულმობელ რკინის კბილებს ქურდი მარჯვენა ხელითა და მუხლით ეჭირა. უპირველეს ყოვლისა, მარწუხებიდან უნდა გაენთავისუფლებინათ, მაგრამ როგორ? ვის შეუძია შესაფერისი ხელსაწყოს გარეშე ზამბარის მოშვება?

— კუონებ, უშველე! — წამოიძახა როლფმა, რომელსაც მტრობა გადავიწყებოდა და წინ მხოლოდ გაწამებულ, მომაკვდავ ადამიანს ხედავდა.

ინდიელი ერთ წუთს უცქეროდა ხოგს, მერე მიუახლოვდა და ჭახრაკი ამოიღო. პირველი ზამბარა მალე დანებდა ღონიერ თითებს, მაგრამ მეორესთვის რაღა ექნა? მეორე ჭახრაკი მათ არ ჰქონდათ. აიღეს გრძელი ირმის ტყავის ღვედი, რომელსაც მუდამ თან ატარებდნენ და რამდენჯერმე შემოახვიეს მოშვებულ ზამბარას, რომ შეეკავებინათ. შემდეგ ჭახრაკი მოხსნეს და მეორე ზამბარას მიუყენეს; ზამბარა მოეშვა და ხაფანგიც გაიღო. ინდიელმა გადასწია მარწუხი და ფრთხილად ამოიღო ხელი და მუხლი. ჰოგი თავისუფალი იყო, მაგრამ უგრძნობლად იწვა. ნუთუ დაიგვიანეს?

როლფმა ხიფთანი შეუხსნა ხოგს. ინდიელმა ცეცხლი დაანთო. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ცხელი ჩაი მზად იყო. შეეცადნენ რამდენიმე წვეთი ჩაესხათ პირში დაზარალებულისათვის. ხოგს მკერდიდან სუსტი კვნესა აღმოხდა.

თბილი ამინდი იდგა. ჰოგი არ გაიყინებოდა; დაიტანჯა მხოლოდ და ცნობა დაკარგა. ცეცხლის სითბო, ცხელი ჩაი, მსუბუქი დაზელვა — და გონსაც მოეგო.

ჯერ ეგონათ, კვდებაო, მაგრამ ერთი საათის შემდეგ ისე მომჯობინდა, რომ ლაპარაკიც კი შეძლო. აი რას მოყვა სუსტი და ათრთოლებული ხმით ხოგი:

— ვ... მ... მ... მ... გუშინ... არა, ორი თუ სამი დღის წინ მ... მ... მ... არ ვიცი. მე ხაფანგების დასათვალიერებლად წავედი... დათვის. არ გამიმართლა... მ... მ... არაფერი არ იყო... არც ერთ ხაფანგში... მერე, როცა ამასთან მოვედი ო-ო... მ... მ... ვნახე, რომ საქნიერი ჩიტებს მოეტაცნათ, ფალია, ფალიაც

კი ცარიელი იყო... კი უკეთესად... ცარიელი. მინდოდა კედრის ტოტი დამეფარებინა, სხვა ვერაფერი ვიშოვე... მ... მ... . დავიხარე... მეორე მხარის გასწორება მინდოდა... ფეხი დამიცურდა... ყინული... ყველგან ყინული... და მ... მ... მ... წონასწორობა დავკარგე... მუხლი ფალიას მივარტყი... ო, ღმერთო! როგორ ვიტანჯები!.. მ... მ... მ... მომიჭირა მუხლში... ხელში. — ხმა ჩაუწყდა, ჩურჩულებდა, და უცებ გაჩუმდა: როგორც ჩანდა, გული წაუვიდა. კუონები წამოდგა, რომ ავადმყოფისთვის თავი დაეჭირა. ინდიელმა როლფს შეხედა და თავი გაიქნია, ყველაფერი გათავდაო, მაგრამ ბედშავს ჯანი მაგარი ჰქონდა, როგორც ტყეების მცხოვრებს შეჰფერის, და ისევ მოვიდა გრძნობაზე. კიდევ მისცეს ცხელი ჩაი და ხოგი ჩურჩულით ალაპარაკდა:

— ცალი ხელი თავისუფალი მქონდა და... და... შემეძლო მ... მ... მ... მაგრამ ჭახრაკი არ მქონდა... დავკარგე... ვინმე გაიგონებდა... თავს უკეთ ვგრძნობდი... როცა ვყვიროდი... მ... მ... მ... თუ შეიძლება... გააგდეთ ძაღლი, მომაშორეთ... გთხოვთ... არ ვიცი... მე მთელ კვირად მეჩვენა... შეიძლება, გულწასული ვიყავ... მე... მ... მ... ვყვიროდი... როცა შემეძლო.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა, ბოლოს როლფმა თქვა:

— მგონი, მე თქვენი ყვირილი მომესმა წუხელ, როცა ჩვენ იქ ვიყავით, ზევით. ძაღლმაც გაიგონა. თუ შეიძლება, ფეხს გაგისწორებ.

— მ... მ... მ... ხო... ხო... ასე ჯობს... შენ... თეთრი ხარ... ხომ მართალია. ნუ დამტოვებ მარტო... იმიტომ, რომ მე საზიზღრად მოვიქეცი... მ... მ... არ მიმატოვებ... არა?..

— არა. აღელვება გაწყენს... ჩვენ შენთან დავრჩებით.

ჰოგმა რაღაც ჩაილუღლუღა, მაგრამ მათ ვერ გაარჩიეს ნათქვამი. ისევ დახუჭა თვალები. საკმაოდ ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ უცებ დაფეთებით მოავლო თვალი ირგვლივ და ისევ ალაპარაკდა.

— ცუდად მოგექეცით, არა... მაგრამ ნუ მიმატოვებთ... ნუ მიმატოვებთ...

თვალებიდან ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები, საცოდავად დაიკვნესა: — მე... ყველაფერს... გამოვასწორებ... შენ თეთრი ხარ, ხომ მართალია?

კუონები წამოდგა და შეშისთვის წავიდა. მონადირე განაგრძობდა ჩურჩულს.

— მეშინია მაგის... ახლა ეგ... ყური დამიგდე, ახლა მე ერთი საცოდავი ბერიკაცი ვარ. თუ გადავრჩი... ამის შემდეგ... მ... მ... მ... სიარულს ვეღარ შევძლებ. ახლა მე საპყარი ვარ. — ჩაფიქრდა და შემდეგ ისევ წამოიწყო: — დღეს რა დღეა... პარასკევი. მე... ორი დღე ვიყავ... აქ... მ... მ... მ... მე მთელი კვირა მეგონა. ძაღლმა რომ... მოირბინა, მე მგელი მეგონა. ოხ... ოხ... ჩემთვის სულ ერთი იყო... მე... მ... მითხარი, ხომ არ მიმატოვებ... იმიტომ რომ ცუდად ვიქცეოდი? ჩემთვის ამას ბედნიერება არ მოუტანია.

იგი ისევ უმოძრაოდ იწვა, შემდეგ უცებ ხმამაღლა, გაგრძელებულად წამოიყვირა. ასეთი ყვირილი მოესმათ მათ იმ ღამეს. ძაღლმა დაიღრინა, მონადირეები შეკრთნენ, ბედშავს თვალები გადაუტრიალდა, ბოდვა დაეწყო.

კუონებმა აღმოსავლეთზე აჩვენა, გააკეთა ამომავალი მზის ნიშანი და თავი ხოგისკენ გაიქნია. როლფი მიხვდა, რომ ავადმყოფი მონადირე ვერასოდეს იხილავდა ამომავალ მზეს, მაგრამ შეცდნენ მეგობრები.

გრძელი ღამე სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში გავიდა. განთიადისას სიკვდილი დამარცხდა. მზე რომ ამოვიდა, ავადმყოფს უკეთესობა დაეტყო. ჯერჯერობით საბედისწერო განსაცდელი აუცილებელი იყო.

როლფმა უთხრა კუონებს:

— სად წავიღოთ? მოდი წინ წავალ ტობოგანისთვის: უფრო გაგვიადვილდება ქოხამდე ტარება.

— მითხარით, თქვენ ახლა თან არ წამიყვანთ? ოხ, სახლში წასვლა მინდა, ასე მგონია, სახლში მოვიკეთებ... ჩემი ამხანაგები მდინარე მუზზე წავიდნენ. მე არ მოვრჩები, თუ იქ წამიყვანთ, — აწუწუნდა ჰოგი და ვითომ სხვათა შორის შეხედა ინდიელის გაქვავებულ სახეს.

სიტყვა «იქ»-ში ინდიელის ტბას გულისხმობდა.

— ქოხში ტობოგანი გაქვს? — შეეკითხა როლფი.

— კი... საკმაოდ კარგი... სახურავზე... ყური დამიგდე, — და როლფს ჩუმად ჩასჩურჩულა: ეგ წავიდეს მოსატანად... შენ ნუ მომშორდები... ეგ მომკლავს, — და ჩუმად ატირდა, შეეცოდა თავისი თავი. კუონები კი ამასობაში მთიდან დაეშვა. სწრაფად მიაბიჯებდა მაღალი და კუნთმაგარი, სულ უფრო და უფრო პატარავდებოდა და ბოლოს შორს სივრცეში გაუჩინარდა.

XLVI
როლფი უვლის ჰოგს

ორიოდე საათის შემდეგ წითელკანიანი უკვე ჰოგის ქოხში იყო. ყოველგვარი ფიქრისა და მორიდების გარეშე ბინის დათვალიერებას შეუდგა. სახურავზე მართლაც იპოვა ტობოგანი, რომელიც საუცხოოდ იყო მოვლილი. მიუხედავად იმისა, რომ პატრონი ყოვლად უვარგისი ჰყავდა. სხვენზე რამდენიმე შეკვრა ბეწვეული იპოვა ნივნივაზე ჩამოკიდებული. არც ისე ბევრი, რადგან ბეწვეულის შეგროვება ძნელი საქმეა. კუონებმა ეჭვით გასინჯა ყველა ტყავი და სულაც არ გაკვირვებია, როცა თავისი ფოცხვერის ბეწვი აღმოაჩინა. გასაშრობად თავისებურად გადანაჭიმი იგი ადვილი გამოსაცნობი იყო. მეორე შეკვრაში თავისივე მოკლული თახვი იპოვა. ზურგზე გაყოლებულ შავ ზოლზე იცნო.

კვერნის ტყავებზე ვერაფერს იტყოდა, თუმცა დიდი ეჭვი ჰქონდა, რომ უმრავლესობა მისივე ხაფანგებიდან იყო წაღებული.

კუონებმა ჰოგის საბანი ტობოგანზე დაამაგრა და უკანვე გაბრუნდა იქ, სადაც როლფი და დაჭრილი დატოვა. სკუკუმი, რომელსაც ჰოგის სიახლოვე არ მოსწონდა, კუონების შესახვედრად გაეშურა. ჰოგი მანამდე თავისუფლად ელაპარაკებოდა როლფს, მაგრამ, როგორც კი დაბრუნებული ინდიელი დაინახა, უგუნებოდ შეიქნა.

მონადირეებმა დაჭრილი ტობოგანზე დადეს და გზას გაუდგნენ. ადგილ-ადგილ მიწა გაშიშვლებულიყო და ავადმყოფის თრევა ძალზე ჭირდა. მაგრამ, საბედნიეროდ, გზა თავქვე მიდიოდა მთის ფერდობებზე. ოთხიოდე საათის შემდეგ უკვე ქოხში იყვნენ. ავადმყოფი საწოლზე დააწვინეს. როლფი სადილის კეთებას შეუდგა, კუონები — შეშის ჩეხვას.

ჩაით, ლორითა და ნამცხვრით დანაყრების შემდეგ სამთავემ უკეთ იგრძნო თავი. ჰოგი თითქმის მხიარულად მასლაათობდა, მაგრამ კუონები, რომლის ფეხებთანაც სკუკუმს მოეკალათა, უხმოდ ეწეოდა და ცეცხლს თვალს არ აშორებდა. საკმაოდ ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ინდიელი უცებ მოტრიალდა მონადირისკენ და ჩიბუხი ბეწვეულისკენ გაიშვირა.

— რამდენია აქ ჩვენი?

ჰოგს, ეტყობა, შეეშინდა, მაგრამ მაინც კუშტად უპასუხა:

— მე შენი არ მესმის, მე ძლიერ ავად ვარ, ჩამიყვანეთ ლაიონს-ფოლსში და წაიღეთ ყველაფერი, რაც აქ არის. — და ატირდა.

როლფმა კუონებს გადახედა და თავი გადაიქნია. მერე ავადმყოფს მიუბრუნდა და უთხრა:

— ნუ ღელავ, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც საჭიროა. ნავი თუ გაქვს კარგი?

— ძლიერ კარგი. ცოტა შეკეთება უნდა მხოლოდ.

ღამემ საკმაოდ მშვიდად ჩაიარა, ავადმყოფმა მხოლოდ ორჯერ გაიღვიძა, წყალი ითხოვა. დილით ისე კარგად იგრძნო თავი, რომ მომავლის გეგმებიც კი წამოიწყო. დღისით ისარგებლა პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით და როლფს წასჩურჩულა.

— არ შეგიძლია, ეგ სადმე გააგზავნო აქედან? მე შენთან უკეთესად ვგრძნობ თავს.

როლფს ამაზე არაფერი უპასუხნია.

— მომისმინე, — განაგრძო ჰოგმა, — ყური დამიგდე, ჭაბუკო მონადირე, რა გქვია?

— როლფ კიტერინგი.

— მომისმინე, როლფ, მოიცადე ერთი კვირა ან ათი დღე, სანამ ყინული გადნებოდეს; მაშინ შემეძლება სიარული. აქედან ლაიონს-ფოლსამდე არ არის შორს.

კუონების მოსვლამ შეაწყვეტინა საუბარი. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ისევ წამოიწყო:

— მუზი სანაოსნო მდინარეა; თქვენ მე იქ ხუთ დღეში მიმიყვანთ. ლაიონს-ფოლსში ამხანაგები მყავს.

ის კი აღარ თქვა, რომ სიტყვა «ამხანაგებში» გულისხმობდა ცოლშვილს, რომლებიც სულ მთლად მიეტოვებინა, მაგრამ ახლა, რაკიღა მომვლელი სჭირდებოდა, ისევ აპირებდა დაბრუნებას.

როლფი გაოცებული უსმენდა.

— მომისმინე! მე შენ მთელ ბეწვეულს მოგცემ. თუ იქ მიმიყვან.

როლფმა ცნობისმოყვარეობით შეხედა ქურდს, გულით უნდოდა ეკითხა, შენ ჩვენს ბეწვეულზე ხომ არ ამბობო.

საუბარი ისევ კუონების გამოჩენამ შეწყვიტა. როლფი ქოხიდან გავიდა კუონები გაიხმო. მეგობრები რაღაცაზე დიდხანს ლაპარაკობდნენ ერთმანეთში. როლფი რომ შემობრუნდა, ავადმყოფმა უთხრა:

— დარჩი ჩემთან და წამიყვანე. მე შენ ჩემს თოფს მოგცემ, — შემდეგ დაუმატა: — ყველა ხაფანგს და ნავსაც.

— დავრჩები, — აღუთქვა როლფმა, — ორიოდე კვირის შემდეგ კი ლაიონს-ფოლსში წაგიყვანთ. შენ გზას გვიჩვენებ.

— შეგიძლიათ წაიღოთ ყველა ბეწვი, — და ჰოგმა ისევ აჩვენა ნაქურდალ ალაფზე, — ის თოფი კი შენი იქნება, თუ წამიყვან.

საქმე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ კუონები ქოხში უნდა ასულიყო აუცილებლად. ინდიელს ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა ბეწვეულისთვის. ქოხში წაეღო ახალი შეკვრა, თუ იქიდან მოეტანა ბეწვეული და მერე სუყველა ერთად ლაიონს-ფოლსში წაეღო. როლფიც დააფიქრა ამან. ცხოვრებაში ბევრი ცუდი ადამიანი შეხვედროდა ჭაბუკს. ბეწვეულის იქ წაღება, სადაც ჰოგს ამხანაგებთან ნადავლზე თავისი უფლებების წამოყენება შეეძლო, სარისკო საქმე იყო და ამიტომ თქვა:

— კუონებ, შენ ათიოდ დღეში უკან დაბრუნდები. ლაიონს-ფოლსში ბეწვეულს სულ ცოტას წავიღებთ. დანარჩენი კარგად დამალე, მერე უორენთან წავალთ, ვინ იცის, რა მოგველის იქ, ლაიონსში.

გადაარჩიეს ფოცხვერისა და თახვის ბეწვი და თორმეტიოდე კვერნა აქ დასატოვებლად, დანარჩენი კი შეკრეს. კუონებმა შეკვრა მხარზე გადაიგდო. სკუკუმის თანხლებით მთის ფერდობს შეუდგა და მალე ტყეში მიიმალა.

ათი დღე გულისგამაწვრილებლად გაჭიანურდა, ჰოგი განუწყვეტლივ წუწუნებდა ან ტიროდა, ჩიოდა, გულისამრევად ლაქუცობდა: ცდილობდა ბიჭის გული მოეგო, ხან ბეწვეულს სთავაზობდა, ხან თოფს, ხან ნავს.

როლფს, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, ქოხიდან მიდიოდა ხოლმე.

ერთხელ თან ჰოგის თოფი წაიღო. ერთი მილით მოშორებულ უახლოეს მდინარეზე წავიდა და იქ თახვების დიდი ტბორი ნახა. გარშემო რომ შემოუარა, წყალში ჩამხრჩვალი თახვი იპოვა, რომელსაც ხაფანგიც ზედ ჰქონდა. ხაფანგი მისი საკუთარი აღმოჩნდა. ზედ როლფის ხელით დასმული ნიშანი ჰქონდა.

კიდევ ერთი ხაფანგი იპოვა შიგ ჩარჩენილი თახვის ფეხით, მერე მესამესაც მიაგნო, ასე თანდათანობით ექვსივე დაკარგული ხაფანგი ნახა, წამოიღო ხაფანგები და ქოხისკენ გამობრუნდა.

ჰოგი ერთი წუწუნით შეხვდა.

— შენ მარტო არ უნდა დამტოვო ხოლმე. მე კარგ ფასს მოგცემ.

— შეხედე, რა ვიპოვე, — დაანახვა როლფმა ქურდს თახვი.

— აი, კიდევ, — ახლა ხაფანგებიც აჩვენა. — უცნაურია, არა? ჩვენ სწორედ ასეთი ექვსი ხაფანგი გვქონდა და მე მათ სწორედ ისეთი ნიშნები დავუსვი, როგორიც ამ ხაფანგებზეა; ექვსივე სადღაც გაქრა. შენ ხომ არ გეგულება აქ ვინმე თაღლითი მეზობელი?

ჰოგმა პირქუშად შეხედა ბიჭს. — სანაძლეოს ვდებ, რომ ეს ბილ ჰაუკინსის გაკეთებულია, — თქვა მან კუშტად და დადუმდა.

XLIII
ჰოგი შინ ბრუნდება

ტყეში გაზაფხულის გამოღვიძება სასიამოვნო და სასიხარულო ამბავია. დროდადრო წამოსული ძლიერი წვიმები ნიაღვრად ევლება პატარა მდინარეების ზედაპირს. ყინვა და თოვლი სწრაფად ლხვება, თუმცა ტყის მდინარეთა უმრავლესობა ნელ-ნელა იხსნება. ძალიან იშვიათად მოხდება ხოლმე აზვავებული ყინულთსვლა, ერთი ხმაურით რომ ამსხვრევს ყინულს და სულ რაღაც ორიოდ საათში ანთავისუფლებს მდინარეს. ჩვეულებრივ, ეს ხდება დიდ მდინარეებზე, სადაც წყლის ზედაპირი უფრო ვრცელია ტყეში თოვლი ნელა დნება და როცა წყალი გაყინულ მდინარეს დაფარავს, ყინული უხმაუროდ ქრება თანდათანობით. გაზაფხულის პირად ტყეში ხეებს კვირტები ებერებათ. ისმის გარეული ბატების ყიყინი, ყორნები ჩხავილით უხმობენ თავიანთ ნათესავებს, დიდ ყორნებს, რომ ზამთრის ნადირობიდან დარჩენილი ალაფი გაუზიარონ. სამხრეთიდან პატარა ჩიორები მოფრინავენ საგაზაფხულო სიმღერების გალობით. მოუსვენარი წიწკანები, მამაცურად რომ გადაიტანეს ზამთრის ყინვა, ახლა მხიარულად გალობენ და ჭიკჭიკებენ, სანამ სტვენიები და შავი შაშვები გამოჩნდებოდნენ, რომლებიც თავიანთი დახვეწილი სიმღერით წიწკანების უბრალო ჭიკჭიკს გადაგვავიწყებენ ხოლმე.

საკმარისია, თუნდაც ერთი ნაბიჯით დაიხიოს უკან ზამთარმა, რომ გაზაფხული ერთ პანიკას შექმნის ხოლმე უკანდახეულ მტრის რიგებში და მოწინააღმდეგეს აიძულებს გაიქცეს. ათ დღეს არ დაბრუნებულა კუონები. ეს ათი დღე ნამდვილი რევოლუციური გადატრიალების დღეები იყო. ზამთარმა საბოლოოდ დაუთმო ადგილი გაზაფხულს და თან წაიღო თოვლიც, რომელიც ახლა ტყის ყველაზე მეტად ჩრდილიან კუნჭულებშიღა შემორჩენილიყო.

და აი, დადგა ბოლოს მოწმენდილი მზიანი დილა და გახარებულმა როლფმა ინდიელის მესამე «ჰოც!» გაიგონა; ერთი წუთის შემდეგ მის გარშემო გახარებული სკუკუმი დახტოდა და წკმუტუნებდა. ჰოგზე სულ სხვანაირად იმოქმედა ინდიელის დაბრუნებამ. იგი ისე გამომჯობინდა, რომ უკვე ფეხზე დადგომაც შეეძლო და, თუმცა უჭირდა, სახლის გარშემოც დაჩოჩავდა ჯოხზე დაყრდნობილი, თანაც მადა გაეხსნა, დღეში სამჯერ ჭამდა და ერთთავად ბუზღუნებდა, ყველაფერი უგემურიაო. მაგრამ გამოჩნდა თუ არა ინდიელი, ჰოგი გაიბღუზა და მიყუჩდა. თუმცა დიდხანს ვერ გაძლო და ჯერ ერთი საათიც არ გასულიყო, რომ ისევ სთავაზობდა როლფს ბეწვეულს, თოფს, ნავსა და ხაფანგებს, ოღონდ სახლში წამიყვანეო.

სამივენი ძლიერ კმაყოფილები იყვნენ, როცა, საბოლოოდ, ლაიონს-ფოლსში გამგზავრების დღე დადგა.

გზა ჯერ მცირე ირმის მდინარეს, მცირე ირმის ტბასა და ირმის მდინარის სამხრეთ ტოტს მისდევდა, მერე დიდი ირმის მდინარეს გაჰყვა.

მდინარეები ადიდებული იყო და ყველგან ბევრი იყო წყალი, რაც საგრძნობლად ამცირებდა ჭორომების რაოდენობას. ჰოგს ჩქარი სიარული არ შეეძლო, მისი ადგილიდან ადგილზე გადაყვანა კი არც ისე ადვილი საქმე იყო. სამ დღეში ორმოცდაათი მილი გაიარეს მგზავრებმა და მესამე საღამოს უკვე პატარა დაბა ლაიონს-ფოლსში იყვნენ.

ჰოგის ქცევაში უცბად მკვეთრი და მეტისმეტად უსიამო ცვლილება მოხდა. წინათ თუ მისგან მხოლოდ ცრემლიანი წუწუნი ისმოდა, ახლა ბრძანება გაისმა.

— ფრთხილად მიადექით, ნუ გააფუჭეთ ჩემი ნავი! — ყვიროდა იგი. წისქვილთან რამდენიმე კაცს მოეყარა თავი. ჰოგი მოყვა ლაყბობას, მაგრამ არავითარი პასუხი არ მიუღია, გარდა სხვათა შორის მიგდებული სალმისა.

— გამარჯობა, ჯეკ! შინ დაბრუნებულხარ?

ერთი მათგანი ძლივს დაითანხმეს, ჰოგი მის ქოხამდე მიეყვანა. ოჯახი შინ დახვდა, მაგრამ მისი დაბრუნება არავის გახარებია. ჰოგმა რაღაც წასჩურჩულა თავის შვილს. ბიჭი კუშტად გაემართა მდინარისაკენ და დაბრუნდა თოფით, რომელსაც როლფი უკვე თავისად თვლიდა; ბეწვეულის წამოღებაც უნდოდა, მაგრამ სკუკუმი მივარდა უცხოს და ნავიდან გააგდო.

ჰოგმა თავისი ნამდვილი ბუნება გამოამჟღავნა:

— ეს ჩემი ბეწვეული და ჩემი ნავია, — უთხრა მან ერთ-ერთ მუშას წისქვილში და თავის მხსნელებს მიუბრუნდა: — თქვენ კი, გაფუჭებულო ყაჩაღებო, წითელკანიანო ქურდებო, მოუსვით აქედან, თუ არ გინდათ, რომ მსაჯულთან გიჩივლოთ.

და ჰოგმა მათ საშინელი ლანძღვა-გინება დაუწყო. ასე გამოვლინდა მისი მდაბალი ბუნების მთელი სიბოროტე.

— ნამდვილი მკრთალსახიანივით ლაპარაკობს, — შენიშნა ცივად კუონებმა.

როლფი ჩუმად იდგა. ასეთი უანგარო დახმარების შემდეგ მადლობის მაგივრად საზიზღარი, დამამცირებელი ლანძღვა მიიღეს! ბიჭმა უნებლიეთ გაიფიქრა, რომ ბიძამისი მიკიც კი არ გამოიჩენდა ასეთ სიმდაბლესა და უმადურობას.

ჰოგმა თავის ამხანაგ ბილ ჰაუკინსში საჩივრის ყურადღებიანი მსმენელი ჰპოვა და მოჰყვა გაუთავებელ ლაქლაქს. ბოლოს და ბოლოს ჰოგისათვის მიყენებული სიავით გაცეცხლებულმა ბილმა მსაჯული მოიყვანა «საქმის გამოსაძიებლად», «ბოროტმოქმედთა» დასაპატიმრებლად და, რაც მთავარია, «ჰოგის ბეწვეულის» ჩამოსართმევად.

მოხუცი საილას სილვანი, წისქვილის პატრონი და ამ ადგილების პიონერი, იმავე დროს მსაჯულიც იყო. ეს იყო მაღალი, გამხდარი და შავგვრემანი კაცი. გარეგნობით აბრამ ლინკოლნს მოგაგონებდათ. მას უამბეს გულის მომწყვლელი ამბავი, თუ როგორ საშინლად აწამა ამ ადამიანის სახით მოვლენილმა ორმა მტარვალმა ყოვლად უმანკო ჰოგი; მსაჯული გულდასმით უსმენდა, თავდაპირველად აღშფოთდა კიდეც, მაგრამ შემდეგ სულ უფრო და უფრო თავშესაქცევად ეჩვენა მონათხრობი.

— ახლა მეორე მხარეს მოვუსმენ, — თქვა მან და ბრძანა როლფისა და კუონებისათვის დაეძახათ. ყურადღებით ახედ-დახედა მათ და როლფს შეეკითხა:

— ინდიელი ხარ?

— არა, სერ!

— მეტისი?

— არა, სერ!

— კარგი, მიამბე როგორც იყო ყველაფერი, — და სასმენად გამზადებულმა სილვანიმ გამჭრიახი თვალი შეავლო ჭაბუკს.

როლფი მოყვა ჰოგთან ნაცნობობის მთელ ისტორიას, უორენის საწყობში შეხვედრიდან მოყოლებული ლაიონს-ფოლსში ჩამოსვლამდე. ჭაბუკის გულწრფელი ნაამბობი მოეწონა გამჭრიახ და გულკეთილ მოხუც მონადირეს, მეწისქვილეს და მსაჯულს.

— შვილო, — თქვა მან წყნარად და ალერსიანად, — ვხედავ, რომ სრული სიმართლე მიამბე. შენი ყოველი სიტყვისა მჯერა. ჩვენ ყველამ ვიცით, რა საძაგელი არამზადაც არის ჰოგი, მთელ ლაიონს-ფოლსში განთქმული მატყუარა, აქაურობის მუწუკი. სამწუხაროდ, იგი «მხოლოდ შეგპირდათ» თოფისა და ნავის მოცემას, მაგრამ გადაიფიქრა, და ჩვენ არ შეგვიძლია, ძალით შევასრულებინოთ დანაპირები, მაგრამ ბეწვეულსა და ხაფანგებს კი დაგიბრუნებთ. კარგად მოქცეულხართ, რომ დანარჩენი ბეწვეული შინ დაგიტოვებიათ, თორემ მათი გაყოფაც მოგიწევდათ. დარჩეს თქვენთან ბეწვეული და დაივიწყეთ, რაც მოხდა. ჩვენ სადმე გიშოვით ნავს და გაგისტუმრებთ ამ ქალაქიდან. ჰოგზე კი ნუღა იფიქრებთ, დასრულდა მისი მოგზაურობა.

კაცი, რომელიც პირველი კლასის ბეწვეულს ფლობს, მდიდრად ითვლება ყოველ სასაზღვრო ქალაქში. მსაჯული თან ვაჭარიც იყო, ამიტომ მეგობრებმა მას ბეწვეული მიჰყიდეს და ახლა შეეძლოთ შეეძინათ ყველაფერი, რაც ესაჭიროებოდათ.

დღე იწურებოდა, როცა ახალი ნავი გამართეს და სურსათ-სანოვაგით დატვირთეს. მოხუცი სილვანი კომერციული მოლაპარაკების დროს ყოველთვის თავდაჭერილი იყო, წყნარად და რბილად ლაპარაკობდა, ხანდახან კიდეც ოხუნჯობდა; ვინმეს ეგონებოდა დამყოლი კაცი იქნებაო, მაგრამ ბოლოს ირკვეოდა ხოლმე, რომ ამგვარი მოქცევით იგი არაფერს კარგავდა და კონკურენტებსაც ვეღარ გადაეწყვიტათ შებრძოლებოდნენ.

საქმე რომ მოათავა, სილვანიმ მონადირეებს უთხრა:

— ახლა მე მინდა რაღაც გაჩუქოთ, — და იმ ხანებში ახლად გამოჩენილი ორი საკეცი დანა გადასცა მათ. მონადირეებისათვის ეს საუცხოო რამ იყო, ნამდვილი განძი, უსაზღვრო სიხარულის წყარო. კიდეც რომ სცოდნოდათ, რომ ერთი კვერნის ტყავით ათი ასეთი დანის ყიდვა შეეძლოთ, მათი აღტაცება და ბავშვური სიხარული ამით ოდნავადაც არ შემცირდებოდა.

— ივახშმეთ ჩვენთან, მეგობრებო, ხვალ დილით კი წახვალთ, — შესთავაზა სილვანიმ სტუმრებს.

მონადირეები მეწისქვილის მრავალრიცხოვან ოჯახს შეუერთდნენ და მათი ვახშამი გაინაწილეს. ნავახშმევს სამიოდე საათს სახლის წინ ისხდნენ და მოხუცი სილვანი, რომელსაც როლფი ძლიერ მოეწონა, ჭაბუკს ათასნაირ ამბებით ართობდა. ამ ამბებში მრავლად იყო ღრმა აზრიცა და ჭეშმარიტი სიბრძნეც.

— ჯეკ ჰოგს, — ყვებოდა სილვანი, — ბედი არ სწყალობს არც იქ, სადაც არ იცნობენ და მხოლოდ გარეგნობის მიხედვით მსჯელობენ მასზე, და არც აქ, ჩვენთან, სადაც ოცი წლის მანძილზე მისი ავან-ჩავანიც კარგად გავიგეთ. გაქნილ და ეშმაკ გაიძვერას დიდი-დიდი ერთ-ორ წელიწადს შეუძლია

ცრუ ნიღბის ტარება, მაგრამ, როცა შესაძლებლობა გაქვს, კარგად გაიცნო იგი, და ოცი წლის განმავლობაში ზამთარ-ზაფხულ სულ ხვდები, ბოლოს და ბოლოს, მისი სულის ყოველი ბნელი კუნჭული ნაცნობი ხდება შენთვის. მე არავითარი სურვილი არა მაქვს მისი მკაცრად განსჯისა, რადგან არ ვიცი, რა ჭია ღრღნის მის გულს. ვფიქრობ, რომ რაღაც ჭია უნდა ჰყავდეს, თორემ ასე რა გააბოროტებდა? აი, რატომ ვეუბნები ყოველთვის ჩემს თავს: ნუ ჩქარობ განსჯას, სანამ კაცს რამე დაღს დაასვამდე, ყველაფერი კარგად გამოირკვიე. დედაჩემი მასწავლიდა: «სანამ არ დარწმუნებულხარ, რომ მართალი ხარ, ცუდს ნუ იტყვიო».

რაც უფრო ხანი მემატება, განსჯაში მით უფრო მეტ წინდახედულებას ვიჩენ. შენი ხნისა რკინის ხაფანგივით შეუვრდომელი ვიყავი, საკუთარ უცოდველობაში დარწმუნებული. გეუბნები: თექვსმეტი წლის ბიჭზე უფრო ჭკვიანი არავინაა, გარდა, შესაძლოა, თხუთმეტი წლის გოგოსი.

დამიჯერე, ჩემო ბიჭუნი, როცა ირგვლივ ყველაფერი პირქუშად გეჩვენება, სწორედ იმ დროს გელის რაღაც სიხარული; მხოლოდ სიმტკიცე, სიმშვიდე და სათნოება შეინარჩუნე და აუცილებლად «მოხდება რამე» და ყველაფერი ისევ მოწესრიგდება. გამოსავალი ყოველთვის არის და მამაცი გული მას ყოველთვის მიაგნებს.

გჯეროდეს, ბიჭუნი: ვერავინ დაგძლევს თუ თავად არ დაეძლევინე. ოღონდ არ შეშინდე და ვერაფერი გაგტეხს.

ეს ავადმყოფობას ჰგავს. მე ბევრი ადამიანი მინახავს ავადმყოფი, იმათ გარდა, ვინც თავს ავადმყოფად თვლის.

რაც უფრო ხანი მემატება, მით უფრო ვაკვირდები ადამიანის ბუნებას, გარეგნობას კი ჩემთვის ჩალის ფასიც არა აქვს.

როგორ მოხდა, როლფ, შენი ინდიელთან შეხვედრა?

— დაწვრილებით თუ მოკლედ გსურთ მთელი ამ ისტორიის მოსმენა? — შეეკითხა როლფი.

— მოყევი მოკლედ, — ჩაიცინა სილვანიმ.

როლფმა ჯერ თავისი ცხოვრების მოკლე ანგარიში ჩააბარა.

— ძალიან კარგი, — უთხრა მეწისქვილემ, — ახლა დაწვრილებით.

როლფმა რომ დაასრულა, მეწისქვილემ უთხრა:

— როლფ, შენს ყოველ საქციელში ვხედავ, რომ კაცი გინდა გახდე და დარწმუნებული ვარ, ამას შენ შეძლებ. ვიცი, ყოველთვის ტყეში არ იცხოვრებ. როცა ფრთები გაგეზრდება და მდგომარეობის შეცვლა მოგინდება, მაცნობე.

მეორე დღეს მონადირეები უკვე ნავში ისხდნენ და ირმის მდინარეზე მიცურავდნენ. მათ თან სურსათ-სანოვაგის კარგა ხნის მარაგი და ცოტაოდენი ფულიც მიჰქონდათ.

— ნახვამდის, ჩემო ბიჭუნი, ნახვამდის! გვესტუმრე, აქეთ, ჩვენ არ ვივიწყებთ მეგობრებს. გახსოვდეს, რომ მე ბეწვეულს ვყიდულობ, — ეუბნებოდა როლფს სილვანი გამომშვიდობებისას.

ნავმა კონცხს შემოუარა და ქოხისაკენ გაემართა. როლფმა კუონებს მიხედა:

— მკრთალსახიანებშიც მოიძებნებიან კარგი, სათნო ადამიანები.

ინდიელს თვალიც არ დაუხამხამებია, არ განძრეულა და არც სიტყვა დაუძრავს.

XLIII
როლფი კვალის მოძებნას სწავლობს

უკან მთელი გზა ძლიერი დინების აღმა მოცურავდნენ, მაგრამ ამჯერად მონადირეებს ფათერაკი არაფერი გადახდომიათ. ტყის მცხოვრებმა ერთხელ თუ გაიარა გზაზე, მერე ეს გზა სამუდამოდ ჩაებეჭდება ხოლმე მეხსიერებაში. არც ჩვენი მონადირეები აცდენიან გზას, და რადგან ტვირთი მსუბუქი ჰქონდათ, გადატანაზე ცოტა დრო დაკარგეს. ორი დღის შემდეგ უკვე ჰოგის ქოხთან იყვნენ. სახლი მყისვე მათ მფლობელობაში გადავიდა.

უპირველეს ყოვლისა, გამოსადეგი ნივთების გასინჯვას შეუდგნენ, თუმცა ბეწვეულისა და ლოგინის წაღების შემდეგ აქ ბევრი არაფერი დარჩენილიყო; რამდენიმე ხაფანგი და ცოტაოდენი ჭურჭლეულიღა იპოვეს. ყოველივე ეს ფუთებში დამალეს. ახლა მათ მთა-მთა მოუწევდათ სიარული, ამიტომ ნავი მდინარიდან მეოთხედი მილის მანძილზე დამალეს კედრის ხშირ ტევრში. სანამ ფუთებს ზურგზე შეიგდებდა, კუონებმა ჩიბუხი გააბოლა.

— ყური მიგდე, კუონებ! — თქვა როლფმა, — ის კაცი ფოლსში რომ ვნახეთ, თავს მგონი ჰოგის ამხანაგს უწოდებდა. მას შეუძლია აქ მოვიდეს და ერთი ხათაბალა აგვიტეხოს, რომ რამე ვიღონოთ. მოდი ცეცხლი წავუკიდოთ, — და ქოხისაკენ გაიქნია თავი.

— მართალი ხარ, — უპასუხა ინდიელმა.

მოაგროვეს ფიჩხი, არყის ხის ქერქი და ქოხის კედელს მიაყარეს. ზემოდან შეშა დააწყვეს. კუონებმა ამოიღო ტალ-კვესი, გააჩინა ცეცხლი და მალე არყის ხის ქერქმა ტკაცატკუცი დაიწყო, ალი მაშინვე მოედო მშრალ ფისიან მორებს და კარებიდან, ფანჯრებიდან და საკვამურიდან სქელი კვამლი გამოვარდა. სკუკუმი მოშორებით იდგა და ხმამაღლა ყეფდა.

მონადირეებმა ფუთები ზურგზე შეიგდეს და მთის ფერდობს შეუდგნენ. ერთი საათის შემდეგ უკვე კლდიანი ქედის წვეროზე იყვნენ და აქ დასასვენებლად შეჩერებულნი დიდხანს უყურებდნენ, ქვევით, შავი კვამლის სქელ სვეტს, რომელიც ბოლქვ-ბოლქვად მიიკლაკნებოდა მაღლა.

ღამე ტყეში გაათიეს, მეორე დღეს კი გამხიარულებულნი თავიანთ ქოხს, თავიანთ ტბას მიადგნენ. მონადირეებს გზაში ბევრჯერ შეხვდათ ირმის ნაკვალევი და რადგან ხორცი შემოლეოდათ, როლფმა ინდიელს შესთავაზა, სანადიროდ წავიდეთო. ზამთრობით დიდძალი ირემი იღუპება მუდამ; ზოგი ზამთრის სუსხს ვერ იტანს, ზოგი მტაცებელი მხეცის ან მონადირის მსხვერპლი ხდება. აპრილისათვის მათი რიცხვი თანდათან კლებულობს და ამ დროს ირმებთან ხშირი შეხვედრის იმედი არ უნდა გქონდეს. კარგი მონადირე პირველ რიგში, კარგი მეკვლე უნდა იყოს.

თოვლზე ყველა იპოვის ირმის კვალს. არც რბილ ნიადაგზეა ძნელი მისი დანახვა თუ მახლობლად სხვა ირმები არ არიან. გაცილებით უფრო ძნელია ირმის მიკვლევა ქვებზე ან ხმელ ფოთლებზე. აქ ადვილია კვალის

დაკარგვა ან სხვა ნაკვალევში არევა, განსაკუთრებით, როცა ყველგან ჩანს სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი ირმის ასობით ნაკვალევი.

თვალი როლფს უფრო უჭრიდა, მაგრამ კუონები გამოცდილებით ჯობნიდა და ამიტომ კვლავ ხელმძღვანელობდა ჭაბუკს. მონადირეებმა ხარირმის ახალ ნაკვალევს მიაგნეს... არც ერთი რიგიანი მონადირე არ ინადირებს წელიწადის ამ დროს ფურზე. ხარის ნაკვალევს ჩლიქების სიდიდით და სიგრძით არჩევენ.

როლფმა უთხრა კუონებს:

— იცი, კუონებ, მე მინდა კარგად შევისწავლო ეს საქმე. მე თვითონ გავყვები კვალს, თუ გადავუხვიე, შემაჩერე.

ასი ნაბიჯიც არ გაევლოთ, რომ კუონებმა რაღაც ჩაიბურდღუნა თავისთვის და თავი გაიქნია. როლფმა გაკვირვებით შეხედა ინდიელს; ჭაბუკი დარწმუნებული იყო, რომ ისევ იმ ახალ კვალს მიყვებოდა.

კუონებმა მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა: «ფურია!» მართლაც! უფრო მეტი ყურადღებით რომ დააკვირდა, როლფმა დაინახა, რომ ეს ნაკვალევი ცოტათი უფრო ვიწრო იყო, უფრო ახლო-ახლო იყო ერთმანეთთან და უფრო მახვილიც იყო, ვიდრე ის, რომელსაც ადრე მიჰყვებოდა. როლფი უკან დაბრუნდა და მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომელ მხარეს გაეხვია ხარირემს.

ერთ ხანს საქმე საკმაოდ კარგად მიდიოდა. კუონები და სკუკუმი როლფს მიჰყვებოდნენ. როლფი ახლა სულ მთლად ბლაგვ ჩლიქს დააკვირდა მარცხენა ფეხზე. ეს იმას მოწმობდა, რომ აქ ირემი დამშვიდებით მდგარა; ნეხვი ჯერ ისევ თბილი იყო — მაშ ირემს სულ რამდენიმე წუთით გაესწრო მათთვის. დგებოდა ნადირობის ყველაზე კრიტიკული მომენტი; უკიდურესი სიფრთხილე იყო საჭირო.

ერთ რამეში კი სავსებით დარწმუნებული იყვნენ, ირემი სადღაც სათოფე მანძილზე იყო და თუ მისი ხელში ჩაგდება უნდოდათ, მონადირეებს უნდა დაესწროთ, უფრო ადრე უნდა დაენახათ იგი, ვიდრე ნადირი შეამჩნევდა მათ.

სკუკუმს თოკი ჩააბეს. როლფი წინ მიდიოდა ფრთხილად. თავის მოკასინიან ფეხს სანამ გადაადგამდა, ჯერ წინასწარ აირჩევდა ადგილს და კარგად დაუკვირდებოდა. ერთი-ორჯერ, ქარის მიმართულება რომ შეეტყო, ჰაერში ხმელი ბალახი შეისროლა. ასე თანდათანობით როლფი ტყის პატარა მინდორზე გავიდა. ერთ წუთს დაკვირვებით მიაჩერდა მინდვრის მოპირდაპირე მხარეს, მაგრამ გადასვლა ვერ გაბედა. კუონებს ხელი დაუქნია და მინდორზე აჩვენა; ამით უნდოდა ეთქვა, ირემი იქით მხარეს გადავიდა და მინდორს გარშემო შემოვუაროთო, მაგრამ თვალი მახლობელი ტყისათვის მაინც ვერ მოეცილებინა. უცებ რაღაც რუხმა ბუნდოვნად გაიელვა ტოტებში და წიწკანას კუდივით შეინძრა. რაც უფრო ყურადღებით აკვირდებოდა როლფი, მით უფრო ნათლად იხატებოდა მის წინ ირმის თავის, რქებისა და კისრის მოხაზულობა. «შეჩერდი მიზნიდან ას ნაბიჯზე და ისარგებლე პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით», — ასე ამბობენ ნაცადი მონადირეები. როლფმა დაკვირვებით გაიხედა ირმისკენ, დაუმიზნა და ესროლა. ხის უკან მდგარი ირემი წაიქცა. სკუკუმმა შეჰყეფა და შეხტა: გული არ უთმენდა ენახა, რა მოხდა. როლფმა სწრაფად მოთოკა სულწასული ძაღლი და ისევ გატე-

ნა თოფი. სამივენი იქითკენ გაემართნენ, სადაც ირემი წაიქცა. უკვე ორმოცდაათ ნაბიჯზე იყვნენ მიახლოებულნი, რომ უცებ ირემი წამოხტა და დიდდიდი ნახტომებით გაიქცა მოპირდაპირე მხრისაკენ. სამოცდაათ ნაბიჯზე ნადირი შეჩერდა და მოიხედა. როლფმა მეორედ ესროლა. ირემი წაიქცა, მაგრამ ისევ წამოხტა და გაიქცა. მონადირეები მივიდნენ იმ ადგილას, სადაც პირველად დაეცა ირემი, მერე მეორე ადგილზეც, მაგრამ ვერსად სისხლის კვალი ვერ ნახეს. ამ ამბით გაკვირვებულებმა ნადირობა მეორე დღისათვის გადადეს და რადგან უკვე ბნელოდა, სახლისკენ გაემართნენ; თუმცა სკუკუმი ცდილობდა დაუყოვნებლივ მოენახა ირემი, მაგრამ ამას ყურადღება აღარ მიაქციეს.

— რას იტყვი, კუონებ, ამ ამბავზე?

ინდიელმა თავი გაიქნია.

— პირველი ტყვია, — თქვა მან, — თავს გაეკარა და დაარეტიანა ირემი. მეორე... არ ვიცი.

— მე კი ვიცი, — თქვა როლფმა, — დავჭერი და ხვალ ჩემი იქნება.

მეორე დღეს თავისი სიტყვის ერთგული როლფი ქოხიდან უთენია გამოვიდა. ტყუილად კი იხედებოდა ირგვლივ: სისხლის კვალი არსად ჩანდა. წითელი ფერი ძნელი შესამჩნევია ფოთლებსა, ბალახსა და მტვერში; სამაგიეროდ, ქვებსა და ხის მორებზე მონადირე მაშინვე წაიკითხავს, დაჭრილია თუ არა ირემი. როლფი ბუნდოვნად შესამჩნევ ირმის ნაკვალევს გაჰყვა და შიშველ ადგილზე გავიდა. ერთ ქვაზე სისხლის ლაქა დაინახა. აქედან კვალი ირმებისგან გათელილ ბილიკისაკენ მიდიოდა და სხვა მრავალ კვალს შორის იკარგებოდა. როლფმა სწრაფად ჩაუარა ბილიკის გარდიგარდმო გადებულ მორს და ზედ სისხლის წვეთები დაინახა. ამან უკვე მონადირეს ყველაფერი ამცნო. მთელი მეოთხედი მილი იარა როლფმა პირდაპირ. დროდადრო ჩლიქებით დათხრილ მიწას ხვდებოდა. ერთ-ერთ ასეთ აჩიჩქნილ ადგილას სისხლის წვეთი შენიშნა.

დაჭრილი ირემი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ცდილობს მთიდან ძირს, დაბლობში ჩავიდეს, ამიტომ მთის წვეროზე ავიდა, რომ იქიდან დაენახა, სად იყო ირემი დამალული.

კიდევ ნახევარი მილიც გაიარა და ირმის ბილიკი ორად გაიყო, ირმების კვალი ორივეს აჩნდა, მაგრამ როლფს ვეღარ გაერჩია, რომელი იყო მისი ირმისა. ცალ-ცალკე გაჰყვა თითოეულ ბილიკს, გულდასმით აკვირდებოდა ნაკვალევს, მაგრამ არ იქნა და ვერ გამოარჩია, რომელი იყო დაჭრილი ირმისა.

ბოლოს, სკუკუმმა საჭიროდ ჩათვალა პირადად მიეღო მონაწილეობა ძებნაში. ირმის დევნას მას არასდროს არ ანებებდნენ, მშვენივრად იცოდა, რომ ეს მისთვის აკრძალული ხილი იყო, ამიტომ საქმეში მხოლოდ თავისი ცხვირი ჩარია. ძაღლი გულდასმით შეუდგა მთის ფერდობიდან ქვევით მიმავალი კვალის სუნვას. გაიარა რამდენიმე ნაბიჯი და უცებ როლფს მოხედა, თითქოს ეუბნებოდა: «შე საწყალო, შენა! ნუთუ არ შეგიძლია დასუნო და გამოიცნო ირმის ნაკვალევი? აი კვალი, აქ გაუვლია ირემს».

როლფმა ძაღლს შეხედა: «ნუთუ გამოიცნო?» ქვევით მიმავალ ნაკვალევს გაჰყვა. მალე ისევ დაინახა ჩლიქებით ათხრილი მიწა და იქვე ნორჩი,

ჯერ გაუმაგრებელი ირმის რქა, გადახლეჩილი, დასისხლიანებული და შიგ ძირში გახეთქილი.

ამ ადგილიდან დაწყებული ძებნა უკვე ადვილი იყო, სხვა ირმების კვალი აღარსად ჩანდა. მთიდან ერთადერთი ნაკვალევი ეშვებოდა ქვევით.

მალე კუონებიც მოვიდა: მდინარესთან ქევრში ორი ჩხიკვი და ყორანი დაფრინავსო. მონადირეებმა ტყისკენ გაუხვიეს. იქ ისევ წააწყდნენ ნაკვალევსა და ჩლიქებით აჩიჩქნილ მიწას.

ყოველმა მონადირემ კარგად იცის: ტყეში მფრინავი ჩხიკვი იმის ნიშანია, რომ იქ რაღაც ნადირი იმალება, უფრო ხშირად, ირემი. ნელა, ფეხაკრეფით და უხმოდ შეიპარნენ მონადირეები ტევრში. რამდენიმე წუთის შემდეგ ტევრის ყველაზე ხშირ ადგილას შრიალი გაისმა და მალე ირემიც გამოვიდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო სკუკუმისათვის. ძაღლი გააფთრებული მგელივით გავარდა წინ და ნადირს ბარკალში ეცა. ირემი მთელი ძალით დაენარცხა მიწას. წამოდგომა ვეღარ მოასწრო, გასროლამ ბოლო მოუღო მის ტანჯვას. ნადირის სხეულის გულდასმით დათვალიერებამ ყველაფერი უამბო მონადირეებს. როლფის პირველი ტყვია შიგ ძირში მოხვდა რქას და მოტეხილი კანზე ეკიდა; ამ გასროლამ ირემი დაარეტიანა. მეორე ტყვიამ კი ნადირი უკანა ფეხში დაჭრა. ათხრილი ადგილები იმაზე მიუთითებდა, რომ ირემი სინჯავდა ხოლმე, ხომ არ მომირჩა დაჭრილი ფეხიო; ერთ ასეთ ადგილას ირემი წაიქცა და წაქცევისას ის ნარჩენი კანიც მოეგლიჯა, რომელზეც რქა ეკიდა.

როლფისათვის ეს კვალის შესწავლის პირველი ცდა იყო. ამ ცდამ დაანახვა მას, რომ სულ მალე ნადირობის ყველაზე ძნელ საქმეს კარგად შეისწავლიდა.

XLIX
როლფს ტყეში გზა დაებნა

ვინ არის, რომ ტყეში ეცხოვროს და ერთხელ მაინც გზა არ დაბნეოდეს. ბედნიერად დასრულდება თუ ტრაგიკულად ეს ფათერაკი მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, როგორ მიუდგება ამას თვით გზადაბნეული. ყოველი მონადირისა და მზვერავისათვის, მისი ცოდნის, კუნთებისა და, რაც მთავარია, ვაჟკაცობის სასინჯი ქვაა ამგვარი ფათერაკი, ისე როგორც სხვა დანარჩენი, გაუფრთხილებლად გვეწვევა ხოლმე.

იმ წელიწადს მოულოდნელად გარეული მტრედების ვეებერთელა გუნდები გამოჩნდა და მაისის თვის პირველ დღეებსაც არ გაევლო, რომ ტყეებს ათასობით მტრედი მოედო. ურიცხვ ურდოებად დაჰქროდნენ ისინი ჰაერში, დადიოდნენ მიწაზე, ეძებდნენ საკენკს და კენკავდნენ. მათ საკვებს უმთავრესად თელის თესლი შეადგენდა — ფართოფარფლებიანი ქუდის მსგავსი, პაწია, ფრთიანი მარცვალი, რომელიც უხვად ცვიოდა ძირს.

როცა რისგანმე დამფრთხალი გუნდი აფრინდებოდა ხოლმე, ფრთების ისეთი ხმაური დადგებოდა, გეგონებოდათ ზღვის ყურეში ქარიშხალი ამოვარდაო.

მტრედების უმრავლესობა დაბლობ ადგილებზე დასახლდა ტბიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, თელიანში. ერთ დღეს როლფმა წაიღო მშვილდ-ისარი და ნავი ტბაზე გადავიდა, იქნება ათიოდე მტრედი მოვინადირო სატაბაკედაო.

საინტერესო სანახავია, როგორ ცდილობს ხოლმე ნადირი ან ფრინველი არ მოგეკაროთ სასროლ მანძილზე, თითქოს იცის, რომ თქვენი იარაღი შორსმსროლელია. შეგიძლიათ ზედიზედ რამდენჯერმე სტყორცნოთ ისარი მტრედს და ვერც ერთი ვერ მოკლათ.

როლფი წინ მიიწევდა, თან თვალს არ აშორებდა მტრედების უთვალავ გუნდებს, რომლებიც ხან ჰაერში დაფრინავდნენ, ხან მიწაზე ეშვებოდნენ, მაგრამ სასროლ მანძილზე ვერაფრით ვერ მიახლოვებოდა. ორი საათის განმავლობაში ზედიზედ ისროდა ისრებს, მაგრამ უშედეგოდ. აი, როგორც იქნა, მოარტყა ერთ მტრედს. ფრინველი ქვასავით დაეცა ძირს, მაგრამ მაშინვე წამოხტა, გადაფრინდა რამდენიმე იარდზე და ისევ დაეცა. როლფი მისკენ გაეშურა, მაგრამ მტრედი ფრთის რამდენიმე მოქნევით ისევ შორს გადაფრინდა. ნახევარ საათს დასდევდა როლფი მტრედს წინ და უკან, სანამ დაჭრილი არ მოიქანცა. მაშინ კი, როგორც იყო, დაუმიზნა და მოკლა ისრით.

ანაზდად უცნაურმა ხმებმა მიიპყრო როლფის ყურადღება: შორს ტყეში რაღაც ყვიროდა თუ წკმუტუნებდა. ფრთხილად, ფეხაკრეფით, ზოგან ხოხვით გავიდა იქითკენ და დარწმუნდა, რომ არ შემცდარიყო. ამ ხმებს, მართლაც, ეშმაკი ცისფერი ჩხიკვი გამოსცემდა.

როლფმა გზა განაგრძო და ცოტა ხნის შემდეგ ერთ ხევში შევიდა. აქ წყარო იყო. მშვილდ-ისარი ხმელ მორზე დადო და წყლის დასალევად ქვევით ჩავიდა.

ფეხზე წამოდგომა ვერ მოასწრო, რომ ფურირემსა და კარგად ჩასუქებულ ერთწლიან ხარს შეეფეთა პირისპირ. ორთავენი მიაჩერდნენ მონადირეს. როგორც ჩანდა, მის გამოჩენას ისინი არ შეუშფოთებია. როლფმა გადაწყვიტა, თავისი მარაგისათვის ნორჩი ირემიც მიემატებინა და მშვილდ-ისრისათვის უკან გაბრუნდა.

ირმები სასროლ მანძილზე უფრო შორს იდგნენ და დიდი ინტერესით უთვალთვალებდნენ მონადირეს. ერთხელ, როცა იგი დიდხანს იდგა ერთ ადგილზე, ერთი-ორი ნაბიჯიც კი გადმოდგეს წინ. მაგრამ როგორც კი როლფმა მათკენ წაიწია, მაშინვე გაიქცნენ.

დიდად დახელოვნებული მსროლელი უნდა იყო, რომ ისრით ირემი მოკლა. როლფს ძალიან უნდოდა სიმარჯვე გამოეჩინა და ათასნაირ ხერხს მიმართავდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ სასურველი შედეგის მიღწევა ძნელი იქნებოდა.

ამასობაში ირმები თანდათან უფრო გაფრთხილდნენ და უცებ მიიმალნენ სწორედ იმ წუთში, როცა როლფი მტრედებით სავსე მეორე ხეობაში შედიოდა.

ძლიერ მოშივებოდა. მტრედი გაბრტყვნა, ცეცხლი დაანთო ტალ-კვესით, რომელსაც მუდამ თან ატარებდა. ფრინველი ჯოხის შამფურზე წამოაგო და შეწვა. შენაყრებული უფრო ხალისიანად გაუდგა გზას.

ღრუბლიანი დღე იყო და როლფი მზეს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ უკვე გვიან იყო და ამიტომ გადაწყვიტა შინ დაბრუნებულიყო.

ეს ადგილი მისთვის სავსებით უცნობი იყო, მზის მდებარეობა ვერაფრით ვერ გაერკვია. ისე კი, საერთოდ, მზის მიმართულება იცოდა და, ამიტომ დამშვიდებული მიდიოდა წინ იმ ადგილისაკენ, სადაც ნავი ეგულებოდა დატოვებული.

წარმოიდგინეთ მისი გაკვირვება, როცა ორი საათის სიარულის შემდეგ ვერავითარი ნიშანი ტბის სიახლოვისა ვერ დაინახა. ნაბიჯს მოუმატა.

გავიდა კიდევ ორი საათი — არავითარი ნიშანი წყლისა.

როლფმა იფიქრა, ალბათ, ძალიან მივუხვიე ჩრდილოეთისაკენო და ცოტათი შეცვალა მიმართულება. მაგრამ გავიდა კიდევ ერთი საათი და ტბა მაინც არსად ჩანდა.

ბოლოს, მიხვდა, რომ გზას ასცდა. ხეზე აცოცდა, გარშემო ადგილს გადავხედავო, ხელმარჯვნივ პატარა გორაკი იყო. როლფმა იქით გაუხვია და გზაში ორი ვეებერთელა ცაცხვი შეხვდა. ცოტათი დამშვიდდა. იქვე წყარო იყო, საოცრად ჰგავდა იმ წყაროს, რომელთანაც ამ რამდენიმე საათის წინ შეჩერდა წყლის დასალევად. მაშინვე ირმის ნაკვალევი და ადამიანის ნაფეხურები ეცა თვალში. ყურადღებით დაათვალიერა ნაფეხურები. უეჭველია, რომ ეს მისი საკუთარი ნაკვალევი იყო. რუხ ცას ახედა, იქნებ მზე დავლანდო როგორმეო, მაგრამ მზის კვალიც კი არსად ჩანდა. მაშინ გორაკისაკენ გაემართა, იქიდან მაინც დავინახავ რასმეო. ნაბიჯს უმატა ისევ.

ნახევარი საათის შემდეგ ტყე თანდათან შემეჩხერდა, მერე ისევ გახშირდა. როლფი ბორცვიდან დაეშვა და ისევ იმ წყაროსთან აღმოჩნდა. ახლა უკვე ჩრდილოეთის მხრიდან.

ყოველივე ამან საბოლოოდ დააბნია ბიჭი. ახლა კი მიხვდა, რომ მხარი ექცა ტყეში და ერთსა და იმავე ადგილს უვლიდა გარს.

თითქოს თვითონ წყარო ტრიალებდა მის გარშემო და ხან ჩრდილოეთიდან გამოჩნდებოდა, ხან სამხრეთიდან. ერთი ფიქრით ჩრდილო-დასავლეთისაკენ გადაწყვიტა გაქცევა და გულდასმით დაუწყო დაკვირვება ხეებს, რომლებსაც ჩრდილოეთის მხრიდან უფრო მეტად მოეკიდებათ ხოლმე ხავსი, უფრო სწორად, უნდა მოკიდებოდათ. მაგრამ ვაი, რომ ასე არ აღმოჩნდა, რადგან ყველა ხე სწორად არ გაზრდილიყო. ზოგიერთი ჯერ აქეთ იხრებოდა, მერე იქით იყო გადაბრეცილი და ხავსის განლაგების მიხედვით ძნელი გასარკვევი იყო ჩრდილოეთის მხარე. როლფმა მათუთის ზედა ტოტებს ახედა: მოაგონდა გადმოცემა, რომ მათუთა ყოველთვის აღმოსავლეთისაკენ იხრება. მაგრამ მათუთები სხვადასხვა მხარეს გადახრილიყვნენ და შეუძლებელი იყო იმის თქმა, თუ რომელი იყურებოდა აღმოსავლეთისაკენ.

როლფი სულ უფრო მეტად ღელავდა. მამაცი ჭაბუკი კი იყო, მაგრამ, როცა გაიფიქრა, რომ ბანაკიდან შორს ვარ და იქამდე ხმას ვერ მივაწვდენო, უნებლიეთ გულში შიში შეეპარა. მიწა ტყეში ხმელ ფოთლებს დაეფარა, ზედ ნაკვალევი ძნელი შესამჩნევი იყო, ამიტომ ვისმე დაუხმარებლად ვერაფრით გასცილდებოდა ამ საშინელ წყაროს. რეტდასხმულს უცებ კუონების რჩევა გაახსენდა: «თუ გზა დაგებნა, არ უნდა შეშინდე. გზააბნეულ მგზავრს ვერც შიმშილი და ვერც სიცივე ვერ მოკლავს, მხოლოდ შიშს შეუძ-

ლია კაცის მოკვლა. არ აჰყვე შიშს და უთუოდ დაიხსნი თავს უბედურებიდან».

აი, რატომ ჩამოჯდა და ჩაფიქრდა როლფი, იმის მაგივად, რომ თავქუდმოგლეჯილი გაქცეულიყო.

— მე, — უთხრა მან თავის თავს, — იმ ადგილიდან, სადაც ნავი დავტოვე, მთელი დღე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ვიარე.

მაგრამ მაშინვე გაჩუმდა, თითქოს თავში დაჰკრესო. უცებ გაახსენდა, რომ მზე არ დაუნახავს. ნუთუ მართლა სამხრეთ-აღმოსავლეთით იარა? შეცდომის შესაძლებლობა იმდენად საშინელი იყო, რომ კაცს გააოგნებდა, მაგრამ როლფმა თქვა:

— დაე, შეცდი, მაგრამ არ შეშინდე და ყველაფერი მოგვარდება. დილისთვის, ალბათ, ცა მოიწმინდება. — სანამ იგი იჯდა და ფიქრობდა, მახლობელ ხეზე უცებ ციყვმა დაიხავლა. პატარა, თამამი არსება სულ უფრო და უფრო ახლოს მოიწევდა, თან ხმამაღლა ქსინავდა.

როლფმა მოზიდა მშვილდი და, როცა საჩიტე ისარი მიწაზე დაეცა, მასთან ერთად ციყვიც ჩამოვარდა. როლფმა ნანადირევი ჯიბეში ჩაიდო, გადაწყვიტა ვახშმად მოემზადებინა.

ბინდი ჩამოწვა და როლფი ღამის გასათევ სამზადისს შეუდგა. სანამ სულ ჩამობნელდებოდა, საჩქაროდ შეაგროვა ბლომად მშრალი საწვავი და მშრალ ადგილას დააწყო, შემდეგ ფიჭვის ტოტებიდან საწოლი გაიმზადა. ტალ-კვესით ცეცხლი გააჩინა, მოუკიდა არყის ხის ქერქს და კოცონიც გაჩაღდა. ცეცხლი მხიარულად აგიზგიზდა. არაფერი ისე არ ანუგეშებს გზადაბნეულს, როგორც აალებული კოცონი.

საკუთარ ტყავში შემწვარი ციყვი გემრიელი ვახშამი იყო, რომლის შემდეგ როლფი მოკუნტული მიწვა და დაიძინა. ღამე სასიამოვნოდ და ყოველგვარი თავგადასავლის გარეშე ჩაივლიდა, რომ ამინდი არ შეცვლილიყო. როლფი სიცივემ გააღვიძა. ფიჩხი თითქმის დამწვარიყო და ცეცხლი ქრებოდა. ამის შემდეგ უკვე ხშირად იღვიძებდა და შეშას უკეთებდა.

მეორე დღეს, განთიადზე, ხმაური მოესმა, თითქოს ძლიერი ქარი ამოვარდაო. რამდენიმე წუთის შემდეგ მთელი ტყე მტრედებით გაივსო.

როლფს ახლა თავად უხდებოდა საზრდოს მოპოვება, ამიტომ მაშინვე მშვილდ-ისარი აიღო და სანადიროდ გაემართა. ამჯერად ბედი წყალობდა: პირველივე სროლით დიდი, მსუქანი მტრედი მოკლა. მეორე მტრედს ისარი ფრთაში მოხვდა, მტრედი ბუჩქებში აფრთხიალდა, გაფრენას ლამობდა. როლფი გაეკიდა, მაგრამ მტრედი ხან ზევით აფრინდებოდა, ხან ბუჩქებში დახტოდა და ისეთ მანძილზე ეჭირა თავი, რომ დაჭერა შეუძლებელი იყო. ამ დევნაში როლფს ფეხი დაუცდა და წაფორხილებული მთელი ძალით ქვას წამოედო. ცალი ფეხი ქვეშ მოექცა და ისე ეტკინა, რომ იფიქრა, მოვიტეხეო. მიწიდან წამოდგა. ძვალი მთელი იყო, მაგრამ კოჭი მაგრად დაეშავებინა. როლფის მდგომარეობა სერიოზული ხდებოდა: ჭაბუკი ხეიბრად იქცა, თავისუფლად სიარული აღარ შეეძლო.

მოკლა მეორე მტრედიც და ნელ-ნელა, თითქმის ხოხვით დაბრუნდა კოცონთან. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ეუფლებოდა უიმედობა, როგორც კი გაიფიქრებდა, რა უბედურება ეწია.

«კაცს მხოლოდ ერთი რამისა უნდა რცხვენოდეს — შიშის!» და კიდევ: «გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება». აი, რა აზრებმა გაუელვეს უცებ თავში და ააღელვეს ჭაბუკის გული. პირველი ნათქვამი კუონებისაგან ჰქონდა გაგონილი, მეორე — მოხუცი სილვანისაგან. დიახ, გამოსავალი ყოველთვის არის და ვაჟკაცის გული მიაგნებს მას.

როლფმა გაბრტყვნა მტრედები და შეწვა. ერთი მაშინვე შეჭამა, მეორე საუზმედ მოიტოვა, თუმცა არ ეგონა, თუ ისევ ამ ადგილზე მოუწევდა საუზმობა. სანამ იგი ჩაფიქრებული იჯდა, თავზე რამდენჯერმე გარეული იხვების პატარ-პატარა გუნდებმა გადაუფრინა. იხვები ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდნენ, მაგრამ აი, ამჯერად უკვე მოწმენდილ ცაზე ამომავალი მზის შუქი აენთო და როლფმა დაინახა, რომ მზე იმ მხრიდან ამოვიდა, რომელსაც «გუშინ დასავლეთად თვლიდა» ბიჭი.

ახლაღა მოისაზრა საით მიფრინავდნენ იხვები — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, სადაც მათი საკვები მინდვრები იყო. სიარული რომ შეძლებოდა, მათ კვალს დაადგებოდა, მაგრამ ფეხმა ტკივილი დაუწყო, გაუსივდა და როლფი უკვე ფიქრობდა, რომ რამდენიმე დღისა და იქნებ კვირის განმავლობაში სიარულს ვეღარ შეძლებდა. მთელი ნებისყოფის მოკრება მოუხდა ბიჭს, რომ არ დამხობილიყო მიწაზე და არ ატირებულიყო.

თვალწინ ისევ პირქუში, მაგრამ გულკეთილი მოხუცი პიონერის ფიგურა დაუდგა ჭაბუკს და ისევ მოესმა მისი ხმა: «მაშინ, როცა ირგვლივ ყველაფერი წყვდიადით მოცული გეჩვენება, ნუ შედრკები, იყავ მშვიდი და კეთილი და აუცილებლად მოხდება რაღაც ისეთი, რაც ყველაფერს ისევ მოაწესრიგებს. გამოსავალი ყოველთვის არის და ვაჟკაცის გული მუდამ მიაგნებს მას».

მაგრამ სადღა იყო გამოსავალი? მოკვდება შიმშილისა და სიცივისაგან, სანამ კუონები იპოვიდეს; ისევ დაეუფლა შიში. რამე ხერხს მაინც მიაგნებდეს, რომ ამხანაგს შეატყობინოს თავისი ამბავი! ერთი-ორჯერ დაიყვირა, მაგრამ რა იმედი იყო, რომ წყნარი, უშფოთველი ჰაერი მის ძახილს კუონებს მიაწვდენდა? როგორც კი გაჩუმდა, ტყე მყისვე ჩაინთქა ადრინდელ მდუმარებაში. უცებ მოაგონდა საუბარი კუონებთან, რომელმაც უამბო, თუ როგორ დაებნა გზა პატარაობისას. მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ათი წლისა ძლივს იქნებოდა, კუონებმა კოცონი დაანთო, კოცონიდან კვამლის დიდი სვეტი ავარდა და მალე საშველადაც მოვიდნენ. ჰო, ასეთი ხერხი აქვთ ინდიელებს. კვამლის ორი სვეტი ნიშნავს: «გზა დავკარგე», «მიჭირს».

როლფის გულში ახალმა იმედმა გაიღვიძა. თითქმის ხოხვით მოსცილდა თავის პატარა ბანაკს, გააჩაღა კარგი კოცონი და ზედ მწვანე ფოთოლი და დამპალი კუნძები დააყარა. სქელი, თეთრი კვამლი ბოლქვებად ავარდა მაღლა და ხეებს ასცილდა.

ხან ხოხვითა და ხან ასკინკილით მეორე ადგილას მივიდა, პირველი კოცონიდან ას ნაბიჯზე, და აქაც ასეთი კვამლიანი კოცონი დაანთო. მან ყველაფერი გააკეთა, რაც კი შეეძლო, და ახლა ლოდინის მეტი არაფერი დარჩენოდა.

იქვე, ბანაკთან ახლოს, ხის ტოტზე მსუქანი მტრედი შემომჯდარიყო, როგორღაც თავის გუნდს ჩამორჩენილი. ესროლა როლფმა ისარი და ერთი წუთის შემდეგ მტრედი მის ხელთ იყო.

მტრედის ჩიჩახვი ვერცხლისფერი თვლის ფრთიანი თესლით იყო გატენილი; როლფმა მტრედი კარგად გაასუფთავა და მერე გატენა ამ თესლით, რომელიც, როგორც სმენოდა, საუცხოო გემოთი გამოირჩეოდა და ამგვარად, ერთგვარ ნაირფეროვნებას შემატებდა მის სუფრას.

ამის შემდეგ მთელი საათი გავიდა. როლფი ისევ დაბრუნდა პირველ კოცონთან, რომელიც უკვე ქრებოდა. გზადაგზა მაგარი ჯოხი გამონახა დასაყრდნობად. უცებ მოაგონდა, როგორ დადიოდა ჰოგი ცალ ფეხზე და ორ ყავარჯენზე.

— ო! — წამოიძახა მან. — აი, გამოსავალიც მოვნახე!

მთელი ყურადღება ახლა იქითკენ მიმართა, რომ როგორმე ყავარჯნები გამოენახა. ხეებზე ბევრი შესაფერი ტოტი დაინახა, ყველა მისთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე იყო. კარგა ხანი გავიდა, სანამ რაც ესაჭიროებოდა, იმას იპოვიდა. სულ ცოტა ერთი საათი მაინც ეწვალა, ცდილობდა ტოტები ყავარჯნებად მოემარჯვებინა და უცებ მის სმენას მისწვდა ხმა, რომლისგანაც გულმა მკერდში ხტუნვა დაუწყო.

სადღაც, შორს, ჩრდილოეთისაკენ ოდნავ გასაგონად გაისმა «ჰეი... ჰო... ჰო!»

როლფს დანა ხელიდან გაუვარდა, სმენად იქცა. პირიც კი დააღო, რაც დაფის აპკზე ჰაერის წნევის შემცირებას უწყობდა ხელს და ყურს ბგერებისადმი უფრო მგრძნობიარეს ხდიდა. ისევ გაისმა: «ჰეი... ჰო... ჰო!» როლფს უკვე ეჭვები გაეფანტა და გახარებულმა მთელი ხმით დაიყვირა:

— ჰეი... ჰო! ჰეი... ჰო... ჰო!

ათი წუთიც და ხმამაღალი ყეფა გაისმა. ტყიდან სკუკუმი გამოვარდა როლფის გარშემო ხტუნვას მოჰყვა. თითქოს უნდოდა ეთქვა მეგობრისათვის, ყველაფერი ვიციო. მალე კუონებიც გამოჩნდა.

— ჰეი, ბიჭო! — ღიმილით თქვა მან და როლფს ხელი გაუწოდა. — შენ სწორად მოიქეცი, — კუონებმა თავი აკვამლებული კოცონისაკენ გაიქნია. — მივხვდი, რომ რაღაც გიჭირდა.

— ჰო, — უპასუხა როლფმა და გასივებული კოჭი აჩვენა.

ინდიელმა აიტაცა როლფი და პატარა ბანაკში წაიყვანა. მერე ამოიღო თან მოტანილი შეკვრიდან პური და ჩაი და ორი კაცისათვის სადილი მოამზადა.

სადილზე მათ ყველაფერი უამბეს ერთმანეთს.

— მე ძალიან შევწუხდი, წუხელ რომ აღარ დაბრუნდი, რადგან არც საჭმელი გქონდა თან და არც საბანი. არ მიძინია. განთიადისას მთაზე ავედი და დიდხანს ვიცქირებოდი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, საითკენაც შენ ნავით წახვედი. ვერაფერი დავინახე. მაშინ მეორე უფრო მაღალ მთაზე ავედი, საიდანაც ჩრდილო-აღმოსავლეთის დანახვა შემეძლო. დავინახე ორი კვამლი და მივხვდი, რომ ჩემი შვილი ცოცხალი იყო.

— შენ გინდა თქვა, რომ ბანაკიდან ჩრდილო-აღმოსავლეთითა ვარ?

— ოთხ მილზე ბანაკიდან. მე იმიტომ ვერ მოვედი სწრაფად, რომ ნავისთვის ვიყავი, აქ იმით მოვედი.

— როგორ თუ ნავით! — შესძახა გაოცებულმა როლფმა.

— შენ სულ რაღაც ნახევარი მილის მანძილზე ხარ მდინარე ჯესუპადან, — იყო პასუხი. — მალე მიგიყვან სახლში.

როლფს ჯერ არა სჯეროდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ეს ასე იყო. გამოთალეს ნაჯახით წყვილი კარგი ყავარჯენი და გზას გაუდგნენ.

ოციოდე წუთის შემდეგ უკვე ნავში ისხდნენ, ერთი საათის შემდეგ კი სრულიად უშიშრად საკუთარ სახლში იყვნენ.

როლფი დიდხანს ფიქრობდა მომხდარ ამბავზე. სრული სასოწარკვეთის წუთებში გამოჩნდა გამოსავალი და ყველაფერი ისე უბრალოდ მოხდა, ისე ბუნებრივად. სამარის კარამდე არ დაავიწყდება ეს როლფს. «გამოსავალი ყოველთვის არის და ვაჟკაცის გული იპოვის მას».

L
ბეწვეულის გაყიდვა

როლფი შინ რომ ყოფილიყო, დედამისი ბატის ქონით დაუზელდა გასივებულ და ჩაშავებულ ფეხს. სტამფორდელი ექიმი მალამოს იხმარდა. მისმა მეგობარმა ინდიელმა კი ავადმყოფს დაბალ ხმაზე ღიღინით ფეხი ირმის ქონით დაუზილა. სხვადასხვა საშუალებაა, მაგრამ ყველა ეს ხერხი ამშვიდებს პაციენტს, არწმუნებს, რომ მის მოსარჩენად სერიოზული ზომებია მიღებული და ყოველი მათგანი თავისებურად ეხმარება.

დღეში სამჯერ უზელდა კუონები გაშავებულ ადგილს. ქონი გაღიზიანებისაგან იცავდა კანს. ერთი კვირის შემდეგ როლფმა ყავარჯნები გადაყარა.

მაისი ილეოდა; ახლოვდებოდა ივნისი. იწურებოდა გაზაფხული.

ოდითგანვე ადამიანს გაზაფხულობით ადგილის გამოცვლის სურვილი უჩნდება. ადამიანიც დაჰყვება ხოლმე ამ სურვილს, ან საცხოვრებელ ადგილს იცვლის, ან ახალ ცხოვრებას იწყებს. ედირონდეკელი მამაკაცების უმრავლესობა ზამთარში ნადირობს, გაზაფხულზე კი ხე-ტყის დაცურებაზე ეძებს სამუშაოს; ხოლო ვისაც ოჯახი აწუხებს, შინ ბრუნდება და კარტოფილის თესვასა და თევზის ჭერას იწყებს. როლფსა და კუონებს არავითარი გეგმები არ ჰქონდათ, მაგრამ ადგილის გამოცვლის ლტოლვას დამორჩილებულნი უორენისკენ გაემართნენ. თან ბეწვეულიც წაიღეს.

კუონებს თამბაქო და... რამე ცვლილება უნდოდა. როლფს — თოფის შოვნა, ვან-ტროპერების ნახვა და... რამე ცვლილება.

ამიტომ პირველმა ივნისმა მათ ნავში მოუსწრო. კუონები კიჩოზე იჯდა და მართავდა, სკუკუმი კი ცხვირზე დასკუპულიყო და ყეფდა. მეგობრები უორენის დაბის ცენტრისაკენ მიემართებოდნენ. ეს იყო დუქანი სამი ერთმანეთს მოშორებული სახლით.

მდინარეში წყალი უხვად იყო და ჯუსეპა შეუჩერებლივ გაიარეს. ღამის სათევად ჰუძონის ნაპირზე დაბანაკდნენ, სახლიდან ოცდახუთი მილის მანძილზე.

მტრედები დიდ-დიდ მწკრივებად მიემართებოდნენ ჩრდილოეთისაკენ. ნაპირზე მაჩვზღარბმა და წყალში კი დათვმა სკუკუმს დაუოკებელი აღტაცება და პატივმოყვარული ზრახვები აღუძრეს, რომლებიც მას ძალაუნებურად უნდა დაეოკებინა.

მესამე დღეს, საღამოთი, უორენის დუქნის მახლობლად, ნაპირს მიადგნენ. აქ მათ გულთბილი მიღება ელოდათ. მედუქნემ მიატოვა მუშტრები და მოსულებს შეეგება.

— გამარჯობათ, ბიჭებო! ღმერთო, როგორ გაზრდილხარ, როლფ!

ეს მართალი იყო. არც როლფსა და არც კუონებს არ შეუმჩნევიათ, რომ ახლა ისინი ერთი სიმაღლისანი იყვნენ.

— ეგ კარგი, მაგრამ თქვენი სანადირო საქმეები როგორღა არის?.. ა, საუცხოოა! — წამოიძახა უორენმა, როცა თითოეულმა მათგანმა დახლზე თითო შეკვრა ბეწვეული დააგდო, — საუცხოოა! დავლიოთ ამ შემთხვევის გამო, — მედუქნე, ცოტა არ იყოს, დაიბნა, როცა ორივე მონადირემ უარი თქვა პურ-მარილზე. მათმა უარმა შეაწუხა მოხუცი, რადგან ეს იმას მოასწავებდა, რომ ბეწვეულს ჩალის ფასად ვეღარ ჩაიგდებდა ხელში. მაგრამ წყენა არ შეიმჩნია და განაგრძო.

— ამჯერად მე თქვენ ისეთ შაშხანას მოგყიდით, რომ მთელ ამ მხარეში ბადალს ვერ უპოვი. — მედუქნემ როლფის სახეზე ამოიკითხა, რომ მისი მოხიბვლა თოფით უფრო შეიძლებოდა, ვიდრე სასმელით.

დაიწყო ბეწვეულის სინჯვა; მედუქნეს, რა თქმა უნდა, თეთრი ევაჭრებოდა. ინდიელი მოკრძალებით იდგა განზე და მეგობარს შორიდან მრავალმნიშვნელოვანი მინიშნებებითა და თვალებით ეხმარებოდა.

— აი რა, — თქვა უორენმა, როცა მათ რიგებად ჩაამწკრივეს ოცდაათი კვერნა, — რაღაც ღია ფერისაა. მოგცემთ სამ დოლარსა და ორმოცდაათ ცენტს თითოეულში, ანდა, ჯანი გავარდეს, ოთხ-ოთხ დოლარს.

როლფმა კუონებს შეხედა, ინდიელმა მედუქნისაგან შეუმჩნევლად თავი გააქნია, მარჯვენა ხელისგული წინ წამოსწია და მეორე სწრაფად ასწია ზევით ორიოდ დუიმზე. როლფი მაშინვე მიუხვდა და თქვა:

— არა, მე არ გეთანხმებით, რომ ღია ფერისაა. ჩემის აზრით, ბეწვეული პირველი ხარისხისაა ფერის მიხედვით.

კუონებმა ხუთივე თითი გაჩაჩხა და როლფმა განაგრძო:

— თითოეული ხუთი დოლარი ღირს.

— ფუ, — მიუგო ვაჭარმა, — შენ არ იცი, რა სარისკო საქმეა ბეწვეული; ჩრჩილი, თაგვები, ობი, დაბალი ფასები — ამაზე რაღას იტყვი? დიდ რისკს ვწევთ. მაგრამ მე მინდა გასიამოვნოთ, იყოს თქვენ სიტყვაზე — ხუთი თითოში. აქ ერთი კარგი შავი მელა გაქვთ, ღირს ორმოცი დოლარი.

— მეტი, — თქვა როლფმა, როცა კუონებმა ხელით ისეთი მოძრაობა გააკეთა მარჯვნივ, თითქოს პეშვით სილა გადაყარაო. ეს უარის ნიშანი იყო.

მელიის ბეწვის შეფასებას შეუდგნენ. როლფმა თქვა:

— მე გავიგე, რომ ერთი შავი მელა ორას დოლარად გაუყიდიათ.

— სად?

— სტამფორდში.

— ეს ნიუ-იორკთან ახლოსაა.

— რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენც ხომ აგზავნით ნიუ-იორკში ბეწვეულს.

— ვაგზავნი, მაგრამ ხომ იცით, რა ძვირი მიჯდება მიტანა. თუმცა, თუ ფასის ნახევარს საყიდლებით აიღებთ, მაშინ მოგიმატებთ და ას დოლარს მოგცემთ.

— მომეცი ბეწვში ას ოცდახუთი დოლარი და წავიღებ შაშხანას.

— ფიუ! — დაუსტვინა ვაჭარმა. — უცნაურად მსჯელობ.

— აქ უცნაური არაფერია: მოხუცი სილვანი ამდენსავეს მომცემდა, მისთვის რომ მიმეტანა საქონელი.

ამ სიტყვებმა საჭირო ზემოქმედება მოახდინეს, მედუქნემ იფიქრა, ამათ სხვა მუშტრებიც ჰყოლიათო, და ხელად მორიგდნენ.

მელიის ბეწვს გარდა, მათ სამასამდე დოლარის ბეწვეული აღმოაჩნდათ. მელიის ბეწვის საფასურად კი სხვადასხვა აუცილებელი სურსათ-სანოვაგე და ფართლეული გამოართვეს. მაგრამ როლფს კიდევ რაღაც ჰქონდა უზურში.

ჭაბუკმა რამდენიმე ტოპრაკი ტკბილეული, ფერადი ჩითი და ნაირ-ნაირი ბაფთები იყიდა. ვაჭარი მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე:

— გასაგებია: სტუმრად აპირებთ წასვლას. ვისთან? ალბათ, ვან-ტროპერებთან. — როლფმა მიუგო, სწორიაო, და მაშინ მედუქნისაგან რამდენიმე გონივრული რჩევაც მიიღო.

ანეტასათვის რომ მგზავრობისა და არჩევის სიამოვნება არ მოეკლო, გადაწყვიტა კაბა ჯერ არ ეყიდა; სამაგიეროდ, რამდენიმე დიდებული გულსაკინძი და მძივი წაიღო თითო ათ-ათ ცენტად და ფერად-ფერადი ბაფთებიც გამოართვა.

როლფმა ამაყად მიიკრა მკერდზე ახალი თოფი, საფულეში სამასი დოლარი ხელწერილი ჩადო და თავი გავლენიან კაცად იგრძნო. დუქნიდან რომ გამოდიოდა, მედუქნემ ჰკითხა:

— ჯეკ ჰოგი არსად შეგხვედრიათ?

— შეგვხვდაო? ჰმ! — და როლფმა მოკლედ უამბო, თუ რას გადაჰკიდა ისინი ამ ვიგინდარამ.

— კი იზამდა, კი. ასე მოუხდება მაგ თაღლითს!..

— ყური მიგდეთ, ნუ წაიღებთ ბეწვეულს ლაიონს-ფოლსში. იქ იშვიათად მიაქვთ ბეწვეული. მე თქვენ მეტს მოგცემთ; მე ასი მილით უფრო ახლო ვარ ნიუ-იორკთან.

LI
ისევ ვან-ტროპერებთან

— ნიბოვაკა! — კუონები ყოველთვის «ნიბოვაკას» ამბობდა, თუ როლფი მოსაზრებულობით გააკვირვებდა. — რა ვუყოთ ნავსა და საყიდლებს?

— მგონი, აჯობებს აქ დავტოვოთ. ნავს კალანი გვათხოვებს.

მეგობრებმა თოფები მხრებზე გადაიკიდეს (როლფმა მაგრად ჩაბღუჯა თავისი) და წყალგამყოფს გაყვნენ. ორ საათსაც არ გაევლო, რომ უკვე კალანის სახლთან იყვნენ.

— რა თქმა უნდა, მოგცემთ ნავს, მაგრამ ჯერ შინ შემოდით და ისადილეთ, — უდაბურ ტყეების მცხოვრებთა ჩვეულების თანახმად, გულღიად მიეგება კალანი მგზავრებს. მაგრამ როლფს ადგილზე მისვლა ეჩქარებოდა. სწრაფად ჩაუშვეს ნავი წყალში და მარჯვედ მოიქნიეს ნიჩბები.

ჰოლანდიელის სახლი ძველ ნაცნობად ეჩვენათ. მოსავალს მინდორზე კარგი პირი უჩანდა. ეზოშიც წიწილების კარგი მოსავალი იყო; მაგრამ ყველაზე მეტად სახლის წინ მოთამაშე ბავშვების მოსავალმა მოხიბლა ჩვენი მოგზაურები.

— ძლიერ გამახარეთ! ძლიერ გამახარეთ! — წამოიძახა ჩასუქებულმა მოხუცმა ჰენდრიკმა, როცა ბოსელთან სტუმრები დაინახა. ერთი წუთის შემდეგ იგი უკვე მაგრად ართმევდა მონადირეებს ხელს და ყურებამდე იღიმებოდა.

— შემო, შემო, ბიჭუნი! ეი, მართა, აი როლფი და კუონები. რა ბედნიერი ვარ! საბრალო ანეტას აციებს, ავად არის, — და მან ისინი კუთხეში მიიყვანა, სადაც დაბალ საწოლზე ანიტა იწვა უძრავად, გამხდარი, ფერდაკარგული.

გოგონამ ნელა გაიღიმა. როლფი დაიხარა და აკოცა.

— რა მოხდა, ანეტა? მე შენს სანახავად მოვედი. მე მინდა, შენ უორენის დუქანში წაგიყვანო და იქ კაბა აგარჩევინო. ხედავ, აი, შენ ჩემი პირველი კვერნა, აი, ყუთი — მე თვითონ გავაკეთე; ამ ნემსებისათვის კი, სამკაულად რომ აქვს, სკუკუმს უთხარი მადლობა.

— საბრალო გოგონა მთელი გაზაფხული შეუძლოდ იყო, — მართამ ტოტით მოიგერია მოსკიტები და ბუზები, რომლებიც ავადმყოფს თავს დაბზუოდნენ.

— რითაა ავად? — შეშფოთებით იკითხა როლფმა.

— ეს ჩვენ არ ვიცით.

— აი, კაცი, რომელიც უშველის ანეტას, — და როლფმა კუონებს შეხედა.

კუონებმა ავადმყოფის საწოლთან ჩაიმუხლა; აიღო მისი ცხელი და მშრალი ხელი, დააყურა მის ხშირ და მოკლე-მოკლე სუნთქვას, დაინახა მისი მბრწყინავი თვალები და ხელუხლებელი მაისის ფაფიანი ჯამი.

— ჭაობის ციებ-ცხელებაა, — თქვა მან, — მე კარგ წამალს მოვიტან.

ინდიელი ჩუმად გამოვიდა და ტყისკენ გაემართა, უკან გველფესვას შეკვრით დაბრუნდა და მდუღარე წამალი დააყენა.

ანეტა უარზე იყო, მაგრამ დედამ, როგორც იქნა, დაიყოლია და დაალევინა რამდენიმე ყლუპი ფინჯნიდან, რომელიც როლფს ეჭირა მის წინ.

— ბუზები არ ასვენებენ, — და კუონებმა დახუთულ, ბუზებით სავსე ოთახს მოავლო თვალი. — მე კარავს გავუკეთებ, — მან საწოლზე საბანი გადასწია: რამდენიმე წითური, ბრტყელი, მსხვილი მწერი ნელა გაცოცდა დღის სინათლით შეწუხებული. — ჰო, მე გავაკეთებ კარავს.

დაღამდა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ; სტუმრები ფარდულისაკენ გაემართნენ. შიგ შესვლაც კი ვერ მოასწრეს, რომ ქათმებში ერთი ვაი-ალიაქოთი ატყდა, მივარდნენ და იქ წაულას და ენოტის ნაცვლად სკუკუმი აღმოჩნდა. პატრონების დანახვაზე ძაღლი დამნაშავის გამომეტყველებით გა-

მოვიდა ფარდულიდან და თვითონვე მიცოცდა ბოძთან, რომ დაესაჯათ და დაებათ.

დილით კუონები კარვის კეთებას შეუდგა, როლფმა კი თქვა, მე უორენთან წავალ შაქრისთვისაო.

შაქარი მხოლოდ საბაბი იყო. როგორც კი როლფმა გაიგონა სიტყვა: «ჭაობის ციებ-ცხელება», მაშინვე გაახსენდა, რომ რედინგში ამის საწინააღმდეგო ძლიერ საშუალებად იეზუიტის ხის ქერქი ითვლებოდა (შემდეგ მას ქინაქინის ხის ქერქი უწოდეს). დედამისს ბევრჯერ მიუცია იგი ავადმყოფებისათვის და ავადმყოფები ყოველთვის რჩებოდნენ. ყოველ მოსახლეს, ყოველ მედუქნეს აქვს წამლის მარაგი, ორი საათის შემდეგ როლფი უორენის დუქნიდან ოცდახუთი გირვანქა ნეკერჩხლის შაქრითა და ერთი ბოთლი ქინაქინის ექსტრაქტით დაბრუნდა.

— ბუზები აწუხებენო — ამბობ. მოდი ეს ახალი ქსოვილი წაიღე ფარდებად, — და ვაჭარმა სიფრიფანა მარმაში გადაუშალა წინ მოსკიტებისაგან დასაცავად.

როლფს ჯერ არ ენახა მარმაში. ათი არშინი იყიდა. ორი საათის შემდეგ ვან-ტროპერთან დაბრუნდა.

კუონებმა კარავი ჩრდილში დადგა. სახურავი ზეწრისაგან გააკეთა. ფიჭვის ტოტების დაბალ საწოლზე ავადმყოფი გოგონა იწვა. შესასვლელთან კედრის ტოტების კოცონი ენთო და სურნელოვანი კვამლი კარავშიც შედიოდა.

ინდიელი ავადმყოფის საწოლთან იჯდა და ქათმის ფრთით მოსკიტებს უგერიებდა. გოგონას თვალები დაეხუჭა, მაგრამ ეძინა. როლფი ფრთხილად მივიდა მასთან და ხელზე ხელი დაადო: ხელს თითქოს სიცოცხლე მომატებოდა, ოფლს დაენამა. როლფმა საყიდლები სახლში შეიტანა. დედა გაბრწყინებული თვალებით შეხვდა: ჰო, ანეტა უკეთ გრძნობს თავს, მაგრად სძინავს მას შემდეგ, რაც ოთახიდან გამოიყვანეს. დედა გაოცებული იყო: რად უნდა ინდიელს ეს ფიჭვის ტოტები? ან კედრის ტოტების კვამლი? რა საჭიროა ეს უცნაური სიმღერა?

კუონები ისევ მღეროდა. როლფი გამოვიდა მოსასმენად. ინდიელი ჩვრებში შეხვეულ ჯოხს რბილად ურტყამდა კალის ტაფას და მღეროდა. აი, სიტყვები, რომლებიც შემდეგ როლფმაც ისწავლა:

მოდი, კალუსკაპ, განდევნე ავი სულები,
ნუ აწუხებ ჩემს პაწაწას.

ანეტა არ ინძრეოდა, თანაბრად სუნთქავდა. გოგონას მრავალი უძილო ღამის შემდეგ პირველად ეძინა მშვიდი, ტკბილი ძილით.

— იქნებ სახლში შეყვანა ჯობდეს? — წასჩურჩულა შეწუხებულმა დედამ.

— არა, აცალეთ, როგორც უნდა კუონებს, ისე ქნას.

და როლფმა უნებლიეთ გაიფიქრა: «განა მკრთალსახიანთაგან ვინმე დაუჯდებოდა პატარა უი-უისს და მოუგერიებდა ბუზებს სიკვდილის სარეცელთან?»

LII
ანეტას ახალი კაბა

— კუონებ, მე წავალ ანეტასათვის კაკაბს ვიშოვი.

— ჰო, კარგი.

როლფი წავიდა. ერთ წუთს ყოყმანობდა, ხომ არ დავყვე სკუკუმის ვედრებას და თან ხომ არ წავიყვანოო, მაგრამ მერე შეიცვალა განზრახვა, — და კარგადაც მოიქცა.

სკუკუმი მას დედალ კაკაბს მოუძებნიდა, რომელსაც არც ერთი მონადირე არ მოკლავს ივნისში, მამალის მონახვა კი თავადაც შეეძლო ადვილად, თუ ყურს გაამახვილებდა. საღამო ძალიან წყნარი იყო. როლფს ნახევარი მილიც არ გაევლო, რომ შორს გაისმა: «ცზომ, ცზომ, ცზომ, ცზომ... რრრრრრ», — გადაიჭიკჭიკა კაკაბმა. სწრაფად და ფრთხილად მიუახლოვდა როლფი იმ ადგილს და ძახილის გამეორებას დაელოდა. კარგა ხანი გავიდა, სიწყნარე იყო; მაშინ როლფმა ჩაიმუხლა და დახავსებულ, ძველ ჯირკს ხელი ჩამოჰკრა. ხმაური კაკბის ჭახჭახს ჰგავდა. ამ გამოწვევას პასუხი მოჰყვა: «ცზომ, ცზომ, ცზომ... რრრრრ», — გაისმა ვაჟკაცური საომარი შეძახილი. როლფი ახლოს მიცოცდა. მედიდური მამალი ამაყად ყელმოღერებული ხან ხის მორზე შეხტებოდა, ხან ისევ ძირს ჩამოხტებოდა მონადირიდან ორმოც ნაბიჯზე. როლფმა თავში არ დაუმიზნა — ორმოცი ნაბიჯიდან უცნობი თოფიდან თავში სროლა სარისკო საქმეა — მკერდში დაუმიზნა. გაისმა თოფის ხმა და მკვდარი ფრინველი ძირს დაეცა. როლფს უსაზღვრო სიხარულით აუტოკდა გული.

უკვე ღამდებოდა. შინ რომ დაბრუნდა, ჰოლანდიელები დიდად შეშფოთებულნი დახვდნენ.

ინდიელი ამბობს, ანეტას ნუ შეიყვანთ ღამე სახლშიო. როგორ დაიძინებს გარეთ, თითქოს ერთი ძაღლი იყოს, ან ზანგი, ან მაწანწალა? არ არის კარგი, ხომ მართალია? — საბრალო ჰენდრიკი აშკარად შეწუხებული იყო.

— ჰენდრიკ, ნუთუ გგონია, რომ ღამის ჰაერი დღისაზე ცუდია?

— ოჰ, არ ვიცი.

— ხომ ხედავ, კუონებმა იცის თავისი საქმე.

— ჰო.

— ჰოდა, ნუ შეუშლი ხელს. ღამე ავადმყოფთან ან ის იქნება, ან მე. გოგონა მოისვენებს, — და როლფს მოაგონდა საზიზღარი მიხაკისფერი მწერები იქ, ოთახში.

როლფი სავსებით ენდობოდა კუონების სააქიმო გამოცდილებას, მაგრამ კიდევ უფრო მეტად თავისი დედის ცოდნისა სჯეროდა. ამიტომ გადაწყვიტა, ანეტასათვის ქინაქინა მიეცა, მაგრამ ისე, რომ კუონებს მკურნალობაში არ ჩარეოდა. ბოლოს თქვა:

— აგრილდა, მე ამ თხელ ფარდას შემოვაყოლებ საწოლს.

— ეგ კარგი, — მაგრამ სანამ როლფი ფარდას კიდებდა წითელკანიანი საწოლს არ მოსცილებია.

— გეყოფა აქ ჯდომა, კუონებ, მე მივხედავ.

— მალე წამალი უნდა მივცე, — მიუგო კუონებმა, მაგრამ როლფმა ახლა სხვა რამე მოიგონა.
— მე მინდა, რომ შენ გაასუფთაო კაკაბი და წვნიანი მოხარშო. მე შხამიანი სუროთი გავისვარე ხელი და საჭმელს ვეღარ გავეკარები.
— მე თვითონ გავასუფთავებ ფრინველს, — ჩაერია ჩასუქებული დიასახლისი, ჩვილი აკვანში ჩააწვინა და კაკბის გამზადებას შეუდგა.
«ისევ ვერ მოვახერხე», — გაიფიქრა როლფმა, მაგრამ გამომგონებლობამ არ უღალატა ჭაბუკს. გველფესვას ნახარშს მიადო ხელი. სასმელი ნელთბილი იყო.
— შენ წამალს, კუონებ, ცხელს აძლევ თუ ცივს?
— ცხელს.
— მე გავაცხელებ.
და როლფმა წაიღო სასმელი. «კუონები ნებას არ მაძლევს გოგონას ქინაქინას ექსტრაქტი მივცე, — ფიქრობდა იგი. — კეთილი, მაშინ თვითონვე მისცეს». ბნელ სამზარეულოში ძნელი არ იყო ნახარშში მცირეოდენი ექსტრაქტის ჩასხმა. სასმელი რომ გაცხელდა, როლფმა იგი ინდიელს წაუღო და კუონებმა თვითონ დაალევინა ავადმყოფს.
ძილის დრომ მოაწია. გოგონამ გაიგო, რომ მასთან წითელკანიანი უნდა დარჩენილიყო და ოდნავ გასაგონად თქვა:
— დედა, დედა, — და მერე ყურში ჩასჩურჩულა: — მე მინდა, რომ როლფი დარჩეს.
როლფი ავადმყოფის საწოლთან მიწვა საბანზე. ფხიზლად ეძინა. ერთი-ორჯერ ადგა და დახედა ანეტას.
გოგონა წრიალებდა ძილში, მაგრამ არ იღვიძებდა. როლფმა გაასწორა ფარდები და დილამდე აღარ გაღვიძებია.
გოგონა გამოკეთდა, დილით მადიანად შეექცა კაკაბს. გველფესვა და ქინაქინა სწრაფად აკეთებდნენ თავიანთ კეთილშობილურ საქმეს. იმ დღიდან დაწყებული წარმატებით მიდიოდა გამოჯანმრთელება. მაგრამ დედა ვერ ისვენებდა, გოგონას სახლში შეყვანა უნდოდა.
მშობლებს მისი ჭერქვეშ დაბრუნება აუცილებლად მიაჩნდათ. წითურ მწერებს კი, მათი აზრით, ვერსად გაექცეოდნენ.
მაგრამ როლფი სხვა აზრს ადგა. მან იცოდა, რას მოიფიქრებდა ასეთ შემთხვევაში და რას იზამდა დედამისი. ადგა და ისევ მიაკითხა უორენს; მძაფრი სუნის სითხეს, რომელი მან იყიდა დუქანში, მაშინ «მთის ზეთს» ეძახდნენ — ეს ნავთი იყო. წაუსვეს ეს სითხე საწოლებისა და კედლების ნახვრეტებს და მწერებიც გაქრნენ.
გულითადი მიღებით მადლიერი კუონები ფერმაში მუშაობდა. მაგრამ გავიდა ერთი კვირა და ინდიელმა ისევ დაიწყო წუხილი:
— ჩვენ ფული სამყოფად გვაქვს, ნიბოვაკა, რაღას ვუდგავართ აქ?

როლფს სათლი ამოჰქონდა ჭიდან.

დადგა სათლი კიდეზე, ჩაიხედა ჭაში და ჩუმად თქვა:

— არ ვიცი.

გულში რაც ჰქონდა, ის რომ ეთქვა, დაუმატებდა, აქ მე ოჯახური გარემოცვა, ჩემთვის ერთადერთი მახლობელი ოჯახის სითბო მხიბლავსო.

მასში ძლიერი იყო ოჯახური კერისადმი სიყვარული. კუონები კი სწორედ ამას გაურბოდა.

— მე გავიგე, რომ თურმე კანადაში, რაუსის კონცხს იქით კიდევ ცხოვრობს ჩემი ტომი. მინდა მოვინახულო. მე წითელ თვეში (აგვისტო) დავბრუნდები.

დაიქირავეს პატარა ნავი; ერთ მშვენიერ დილას კუონებმა სკუკუმი კიჩოზე დაისვა და ჯორჯისა და შამპლეინის მშვიდ ტბებზე შორეულ, ასოცმილიან მოგზაურობას შეუდგა.

მალე ნავი პატარა შავ ლაქად იქცა, შემდეგ ლაქაც გაქრა. კიდევ გამოკრთნენ ერთ ხანს ნიჩბები, მაგრამ ბოლოს ისინიც გაუჩინარდნენ მოსახვევში.

როლფმა გადაწყვიტა, ანეტა დუქანში წაეყვანა, რომ გოგონას თვითონ აერჩია კაბა. ახლა ის უკვე სავსებით გამოჯანსაღებული იყო. ორთავენი ნავში ჩასხდნენ. არც დედასა და არც მამას არ შეეძლო სახლის მიტოვება. უხალისოდ უშვებდნენ ორივეს ერთად, მაგრამ რა ექნათ? გოგონა ისეთი მხიარული იყო, ისეთი კმაყოფილი.

მის სახეზე მარტო წმინდა ბავშვური სიხარული არ იყო აღბეჭდილი. ნაცადი თვალი მაშინვე შეამჩნევდა იმას, რასაც როლფი ვერ მიმხვდარიყო: გოგოს ალმური ასდიოდა, როცა იცინოდა. გამუდმებით ცდილობდა გაებრაზებინა თავისი «უფროსი ძმა» და ტირანულად მბრძანებლობდა.

— ახლა მიამბე «რობინზონ კრუზოზე», მხოლოდ ბევრი, — დაიწყო მან, როცა ის-ის იყო ნავში ჩასხდნენ; როლფმა გაიმეორა ძველი წარმტაცი ამბავი; ანეტა ხარბად უსმენდა, მაგრამ დროდადრო ეკითხებოდა: — «მისი ცოლი სადღა იყო? ეგ რანაირი ფერმა ექნებოდა უქათმებოდ? გამხმარი ყურძენი, ალბათ, გემრიელია, მაგრამ მე ღორის ხორცი უფრო მიყვარს, ვიდრე თხისა».

როლფს, რა თქმა უნდა, რობინზონის მხარე ეჭირა და არ ესიამოვნა, როცა კუონებს მისი მსახური, პარასკევა, უწოდეს.

დასავლეთ ნაპირზე მათ მისის კალანი უნდა მიეწვიათ საყიდლებზე თან წასაყვანად და ცხენი და საზიდარი ეთხოვათ მისგან. არც მისის კალანი და არც საზიდარი შინ არ აღმოჩნდა, მაგრამ მათ ცხენი შესთავაზეს. ანეტა ცხენზე დაფენილ მოკეცილ საბნებზე მოეწყო და მთელი გზა შეუსვენებლად ტიტინებდა. როლფი კი გვერდით მისდევდა, სერიოზული და ყურადღებიანი, როგორც უფროს ძმას შეჰფერის. გაიარეს ხუთი მილი და უორენის დუქანს მიადგნენ. აღელვებულმა და თვალებგაბრწყინებულმა ანეტამ ამოიღო თავისი კვერნა, მიიღო ხუთი დოლარი და ნამდვილზე ნამდვილი მოხატული ჩითის პირველი კაბის ამორჩევის ჟრუანტელის მომგვრელ საქმეს შეუდგა; როლფმა აღიარა, რომ ახალი თოფის ყიდვით მონიჭებული სიხარული არაფერია იმ გამოუთქმელ ნეტარებასთან შედარებით, რომელსაც პატარა გოგონა გრძნობს, როდესაც იგი სრულიად თავისუფალია თავისთვის ფერადი ჩითის საკაბის არჩევაში. «ლამაზია?» აბა, რა ენამ უნდა თქვას მწვანე და წითელ ყაყაჩოებთან ერთად მტრედისფერ ფონზე გაბნეული ყვითელი თავთავების მშვენიერება! არა, თუ არ გინახავთ ანეტას კაბა, თქვენ არ იცით, რა არის მშვენიერება.

როცა გამოირკვა, რომ დარჩენილი ფულით საუცხოო შენაძენისათვის შეიძლებოდა წითელი ქაღალდის ქოლგაც მიემატებინათ, ირგვლივ ყველას სიხარულის შუქი მოეფინა, გოგონას ბედნიერებით გატაცებულმა ვაჭარმა კი თავის მხრივ კიდევ რამდენიმე ბრჭყვიალა სპილენძის ღილიც დაუმატა.

უორენს სასაუზმეც ჰქონდა ამით ეშმაკი ვაჭარი სტუმართმოყვარეობის შემაწუხებელ მოვალეობას თავიდან იცილებდა. როლფს ეტიკეტის დაცვა სურდა და ანეტა სასადილოდ წაიყვანა. გოგონა სულ მთლად დააბნია ქათქათა სუფრების და თეთრი თეფშების ბრწყინვალებამ. მაგრამ ყველა ისე ალერსიანად ექცეოდა, რომ მაშინვე გამოფხიზლდა და მხიარულად და აგზნებულად აჩურჩულდა:

— შეიძლება ეს ჩემთვის? ეს? — ათითებდა სხვადასხვა არაჩვეულებრივი საჭმლებისკენ და ყველაფრის გასინჯვის ნებართვას თხოულობდა, რაც კი მაგიდაზე იყო მოტანილი.

ნაშუადღევს სახლისაკენ გასწიეს. ანეტას მაგრად მოეხვია ხელი თავისი განძისთვის და შეუჩერებლად ტიტინებდა.

ორი საათი იქნებოდა, კალანთან რომ მივიდნენ. ერთი საათის შემდეგ ტბაზეც გადავიდნენ და სიხარულისაგან თავბრუდახვეულმა ანეტამ მოხიბლულ შინაურებს თავისი განძი გადაუშალა.

იმ დროს კაბის შეკერვა უბრალო საქმე იყო და მართა შეჰპირდა, გამოვნახავ როგორმე თავისუფალ საათს და შეგიკერავო.

ანეტა კი ყვითელი, წითელი, მწვანე და ცისფერი საკვირველების ცქერით ტკბებოდა. იგი ამ კაბით როდისმე საზოგადოებაში გამოსვლას აპირებდა.

დაწოლის დრო მოვიდა. ასე საკაბით ხელში და ზემოდან ქოლგადაფარებულმა დაიძინა საშინლად მოქანცულმა, მაგრამ გამოუთქმელად ბედნიერმა გოგონამ.

LIII
კუონები შინ ბრუნდება

გავიდა ოცი წელი. როლფი დაცოლშვილდა და მდიდარი კაცი შეიქნა. მას საკუთარი საწყობები და ხე-ტყის სახერხი ქარხნები ჰქონდა. თანდათან ფართოვდებოდა მისი მოღვაწეობის არე. ჯერ ოლბანში დაესახლა, მერე ნიუ-იორკში გადავიდა საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეთა სამყაროში. მიუხედავად ამისა, ყოველწლიურად სანადირო სეზონის განმავლობაში რამდენიმე კვირას ატარებდა ხოლმე კუონებთან. მთელი დღეები დახეტიალობდნენ ისინი ნაცნობ სანადირო ადგილებში. მალე მათ უმცროსი როლფიც შემოუერთდა, მასაც ისევე შეუყვარდა ეს ადგილები.

მაგრამ ახლა უკვე ძველებურად აღარ იტაცებდა კიტერინგს ტყეში ცხოვრება: იშვიათადღა გაუწევდა იქით გული და მოხუცი კუონები თანდათან ხვდებოდა, რომ მათი საერთო ცხოვრება წარსულს ჩაბარდა.

მას შემდეგ, რაც როლფმა მდინარის ნაპირზე დიდი სახლი წამოჭიმა, ინდიელმა იგრძნო, რომ მათი გზები საბოლოოდ გაიყარა. ნაბოვაკასადმი წინათ თუ პატივისცემას გრძნობდა, ახლა უკვე აღმერთებდა, მაგრამ მიუხე-

დავად ამისა, ისინი წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო უცხონი ხდებოდნენ ერთმანეთისთვის. როლფმა გაუსწრო მეგობარს და კუონები ახლა ისევე მარტო იყო, როგორც იმ დღეს, პირველად რომ შეხვდნენ ერთმანეთს. წლებმა თავისი დაღი დაასვა მათ შეხედულებებს და კუონები მიხვდა ამას... მიხვდა, რომ დროება შეიცვალა და რომ თვითონაც გარდასულ საუკუნეებს ჩაბარდა.

— ჩემი ცხოვრება სიბრძნეა ტყეების, — ამბობდა იგი, — ტყეები კი სწრაფად ქრებიან. გაივლის რამდენიმე წელი, აქ უკვე აღარ იქნება ხეები და ჩემი სიბრძნე სიგიჟედ იქცევა. ამ ქვეყანაში ახლა დიდი ძალა გაჩნდა — ვაჭრობაა მისი სახელი. იგი ყველაფერს მოინელებს, ადამიანებსაც კი. შენ საკმარისად ბრძენი ხარ, ნიბოვაკა, და არ დაიკარგები. ეს ახალი ცხოვრება ჩემთვის არ არის. მე თუ საჭმელი მაქვს და კარგი საწოლი დასაძინებლად, უკვე კმაყოფილი ვარ... მე კმაყოფილი ვარ, რომ სინათლეს ვუმზერ.

იგი დიდი საწყობიდან მოშორებით ცხოვრობდა, ხეობის ბოლოში და თავისი ვიგვამიდან შეეძლო მზის ამოსვლისთვის ემზირა. ოცდახუთი წელი მიემატა იმ ორმოცდაათ წელს, რომლებიც მან მენმეიანოს ქვეყანაში გაატარა; თვალები ჩაუქრა, ფეხებს მოქნილობა დაეკარგა, თავი შეევერცხლა, მაგრამ სული არ შეცვლია და ძველებურადვე უყვარდა ფიჭვის ტყეები და მზის ამოსვლა. ახლა წინანდელზე უფრო ხშირად აიღებდა ხოლმე თავის ტამტამს და მიდიოდა სამლოცველო კლდეზე, თავის აიდეჰოზე... როგორც დასავლეთელი წითელკანიანები იტყვიან ხოლმე. აქ მაღალი ადგილი იყო და ცივი ქარი ქროდა, ამიტომ მან აქ პატარა კარავი გამართა, აღმოსავლეთისკენ მიმართული შესასვლელით.

სიბერემორეულს სანადიროდ სიარული აღარ შეეძლო, მაგრამ მკლავის ღონე მაინც მაგარი ჰქონდა… ხელი ჰქონდა იმ თხუთმეტი წლის ჭაბუკისა, რომელიც მან ოდესღაც შეიკედლა. არც საკვები აკლდა და არც საბნები თავისი ვიგვამისათვის, არც თავისუფლება აღმომავალი მზის კლდის ქვეშ მდებარე ტყეებისა. მაგრამ მას ისეთი მოუკლავი წყურვილი სტანჯავდა, რომელსაც ვერავითარი ნიბოვაკა ვერ მოუკლავდა, ვერც ილაპარაკებდა ამაზე მეგობართან. და კუონებმა მეორე კარავიც ააშენა მთაზე. იჯდა პატარა კოცონთან და ნელა უკრავდა თავის ტამტამს, გასცქეროდა ალმოდებულ ზეცას.

დაისი დაგვიდგა უკვე, მეც და ჩემს სახლსა.

— მღეროდა იგი, —

ღამე ეშვება ზემოდან.

და აი, ერთხელ მოვიდა მთებში უცნობი; მკრთალსახიანს ჰგავდა ჩაცმულობით, მაგრამ მისი თავი, ფეხები და თვალები, მისი სისხლი, სიარული და სული — დასავლეთიდან მოსული წითელკანიანი ინდიელისა იყო. უცნობი მოციქულად მოვიდა და მოუტანა ამბავი იმას, ვინც მას არ იცნობდა:

— მესია მოდის, მხსნელი, ჰაიავატამ რომ გვიბრძანა, დაელოდეთო. დიდებით მოსილი მოვა იგი, რომ იხსნას წითელი ტომი. მისმა ხალხმა კი უნდა იმღეროს სიმღერა აჩრდილთა ცეკვისა, სანამ არ მოვა სული, არ იქადაგებს სიბრძნეს.

მკრთალსახიანთან არ მოსულა, ეულ ინდიელთან მოვიდა იგი ხეობაში და სიმღერა მან რომ ასწავლა მოხუცს, იყო სიმღერა მწუხარე ხალხისა, რომელიც ეძებდა მამას თვისას:

მამავ, შეგვიბრალე,
ჩვენს სულს სწყურია შენი ხილვა.
აქ აღარაფერი გვახარებს ჩვენ.
მამავ, ჩვენ ქედს ვიხრით შენი ნების წინაშე!

იმ ღამეს უცნობი მღეროდა და ლოცულობდა კოცონთან ისე, როგორც ლოცულობს ყოველი ინდიელი:

მამავ, შეგვიბრალე და გვიწინამძღვრე ჩვენ!

სიმღერას კუონები მღეროდა; მან იცოდა, რომ ეს მოციქული მისთვის იყო წარმოგზავნილი.

უცნობი წავიდა; იგი მხოლოდ მოციქული იყო. კუონები კი მღეროდა და მღეროდა და, ბოლოს, იხილა ჩვენება, რომელსაც ელოდა, და მიიღო ცოდნა, რომელსაც ეძებდა.

არავის უნახავს მისი წასვლა. ათ მილზე, სამხრეთით, მონადირეს შეხვდა და ეს დააბარა:

— უთხარ ნიბოვაკას, რომ მე ახალი სიმღერა გავიგონე. უთხარი, რომ მე ჩვენება ვიხილე. ჩვენ დაისს ვუახლოვდებით, მაგრამ დადგება ახალი დღე. მე უნდა ვიხილო მენ-მეიანოს ქვეყანა, ცისკრის ქვეყანა, სადაც მზე ზღვიდან ამოდის.

ამის შემდეგ აღარავის უნახავს იგი. მეორე დღეს როლფს შეატყობინეს კუონების წასვლა. მეორე დილასვე გაეშურა ოლბანს. ნაპირს რომ სცილდებოდა, ნავში სკუკუმ მეოთხე ჩაუხტა. როლფს მისი გაგდება უნდოდა, მაგრამ ძაღლი კუდით და თვალებით შეევედრა, დამტოვე, მოხუცის საძებნელად უნდა წამოვიდეო. ოლბანში ზოგი რამ გაიგო როლფმა: «კი, აქ გემით მოვიდა ინდიელი... რამდენიმე დღის წინ». ნიუ-იორკში მას არ უძებნია თავისი მეგობრის კვალი. პირდაპირ ჩაჯდა გემში, რომელიც სტამფორდს მიდიოდა, და იქიდან ძველ ნაცნობ ტყეებს მიაშურა, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა და იტანჯებოდა, როცა ჯერ ისევ ყმაწვილი იყო.

იმ კლდის გვერდით, რომელსაც შემდეგ კუონების კლდე უწოდეს, ახლა სახლი იდგა. მცხოვრებლებმა უამბეს, გასულ ღამეს სრულ სიჩუმეში გვესმოდა ინდიური ტამტამის ხმა და სიმღერა, რომელსაც მკრთალსახიანი ვერ იმღერებდაო.

განთიადისას როლფი კლდისკენ გაემართა, იქნებ ინდიელის კარავი ვიპოვო იქ, სადაც ოდესღაც მისი ვიგვამი იდგაო. მაგრამ კარავი არსად იყო.

კიდევ უფრო ზევით აცოცდა და უცებ სკუკუმი აიბურძგლა. მათ წინ უძრავად იწვა ვიღაც. მისი გრძელი, სწორი თმები თოვლივით თეთრი იყო, გვერდით კი სამუდამოდ დადუმებული მშობლიური ტამტამი ედო.

და მათ, წინა ღამეს რომ სიმღერის მწუხარე ხმები ესმოდათ, შეიტყვეს როლფისაგან, რომ ეს კუონები მოსულიყო განსვენების ადგილას. ხოლო სიმღერა, რომელსაც იგი მღეროდა, აჩრდილთა ცეკვის სიმღერა იყო:

შემიბრალე, ვაკონდა!
მწყურვალეა სული ჩემი.
აქ არაფერი მახარებს მე,
წყვდიადში დავეხეტები.
შემიბრალე, ვაკონდა!

ბინგო
ჩემი ძაღლის ამბავი

I

ეს ამბავი 1882 წლის ნოემბრის დამდეგს მოხდა. მანიტობში უკვე ზამთარი იდგა. ნებივრად ვიჯექი სკამზე და ზარმაცად გავიყურებოდი ჩვენი ქოხის ერთადერთი ფანჯრიდან. გადაღმა მოჩანდა პრერიის ნაგლეჯი და ბოსლის კუთხე.

მაგრამ ამ ოცნების ბურანიდან მაშინვე გამოვფხიზლდი, როგორც კი თვალი მოვკარი, როგორ ტყვიასავით შევარდა ბოსელში დიდი რუხი ნადირი, მას კი ფეხდაფეხ მიჰყვა მეორე, უფრო მომცრო, შავი და თეთრი ხალებით მოხატული ცხოველი.

_ მგელი! _ წამოვიყვირე მე. თოფს ხელი დავტაცე და ძაღლის მისაშველებლად გავვარდი.

მაგრამ სანამ მე მივირბენდი, ძაღლი და მგელი ბოსლიდან გამოხტნენ. მგელმა ცოტა გაირბინა თოვლზე და მოტრიალდა, თავდასაცავად მოემზადა. ძაღლი, ჩვენი მეზობლის შოტლანდიური ნაგაზი, გარშემო ურბენდა და შესაფერ წუთს უცდიდა, რომ სცემოდა.

შორიდან ორჯერ ვესროლე მგელს, მაგრამ ავაცდინე და დევნა განახლდა. წამოეწეოდა გულადი ძაღლი მგელს და სწვდებოდა კანჭში. მაგრამ მაშინვე გვერდზე გახტებოდა, რომ აეცდინა მისი მრისხანე ყბები. მგელი ჯერ თავდაცვით პოზას მიიღებდა, მერე კი ამაოდ ცდილობდა, გავარდნილიყო აღმოსავლეთისაკენ, სადაც შორს ტყის შავი ზოლი მოჩანდა. აშკარა იყო, ძაღლი მას ადამიანთა ბინებისაკენ აგდებდა. ბოლოს, როცა მათ ასეთი ყოფით მთელი მილი გაირბინეს, მეც წამოვეწიე. ძაღლს გული მიეცა და გადამწყვეტ ბძოლაში გადაეშვა.

ცხოველები ერთმანეთს ეცნენ და ერთ გორგლად შეიკვრნენ. ძნელი იყო ამ გორგალში რამის გარჩევა. გავიდა რამდენიმე წამი. გორგალი გაიშალა და

დავინახე ზურგზე გაშხლართული მგელი და მის ყელში ჩაფრენილი გასისხლიანებული ძაღლი. ახლა უკვე იოლი იყო ბრძოლის დამთავრება და მგელს თავში ტყვია დავახალე.

როდესაც ამ საოცარმა, უჩვეულო გამძლეობის ძაღლმა დაინახა, რომ მტერი მკვდარი იყო, ზედაც აღარ დახედა და ძუნძულით გაუდგა თოვლში გზას თავისი პატრონის ფერმისაკენ, რომელიც აქედან ოთხ მილზე იყო.

მართლაც შესანიშნავი ძაღლი იყო. რომ არ მივშველებოდი, მარტოკაც მშვენივრად გაუსწორდებოდა მგელს. როგორც შემდეგ შევიტყვე, ეს მისთვის ჩვეული ამბავი ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ აქაური, შედარებით მომცრო, სტეპის ჯიშის მგლები ტანად მასზე გაცილებით ზორბები იყვნენ.

აღფრთოვანებული ვიყავი ძაღლის გამბედაობით და გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, მეყიდა. მაგრამ ძაღლის პატრონმა ფრენკის გაყიდვა შორს დაიჭირა და მითხრა, თუ გინდა, ლეკვს მოგყიდიო.

რაღაი ფრენკი არ მომყიდეს, ნებით თუ უნებლიეთ, ლეკვზე უნდა დავყაბულებოდი. ესოდენ სახელგანთქმული მამის შვილი შავი ბალნის ერთი ბღუჯა ბრძანდებოდა და დათვის გრძელკუდა ბელს უფრო ჰგავდა, ვიდრე ლეკვს. მასაც სწორედ ისეთი მოწითალო ნიშნები ჰქონდა თავზე, როგორც ფრენკს. ეს ნიშნები და ცხვირის ირგვლივ შემოვლებული თეთრი რკალი ჩემთვის ლეკვის მომავალი დიდების საწინდარი იყო.

ლეკვი შევიძინე. ახლა სახელის მოგონებაღა მჭირდებოდა და სახელიც მოვუძებნე. ბინგო დავარქვი.

II

ზამთრის მიწურული ბინგომ ჩვენს ქოხში გაატარა. ცხოვრობდა ზარმაცი, ბუთხუზა, კეთილი და ანცი ლეკვის ცხოვრებით. მეტისმეტად ღორმუცელა იყო და დღითიდღე ზონზრეხა და მოუქნელი ხდებოდა. მწარე გამოცდილების მიუხედავად, მაინც ვერ დაიმახსოვრა, ცხვირი შორს დაეჭირა სათაგურისაგან. მისი ცდა, დამეგობრებოდა კატას, სათანადოდ ვერ შეაფასეს, რის შედეგადაც დამყარდა შეიარაღებული ნეიტრალიტეტი, რომელიც დროდადრო ომში გადაიზრდებოდა ხოლმე.

ბინგომ ადრე დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება. ერთხელაც გადაწყვიტა, ჯობია, სულაც გადავსახლდე ქოხიდან და ფარდულში ვიცხოვროო.

გაზაფხულზე სერიოზულად მოვკიდე ხელი ლეკვის აღზრდას. ეს საქმე მე დიდი შრომის ფასად, ბინგოს კი დიდი ტანჯვის ფასად უჯდებოდა. ბოლოს მაინც ისწავლა ჩემს ბრძანებაზე პრერიებში საბალახოდ გაშვებული ჩვენი ბებერი წითური ძროხის მოძებნა.

როცა ბოლოს და ბოლოს, ბინგო მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან, ეს საქმე შეიყვარა და არაფერი ისე არ მოსწონდა, როგორც ძროხის შინ მოგდება. ბრძანების გაგონებისთანავე მხიარული ყეფით გავარდებოდა ხოლმე პრერიებში. თან მაღლა-მაღლა ხტოდა, რომ დაენახა, სად ბალახობდა მისი მსხვერპლი. მოჰკრავდა თუ არა თვალს, მაშინვე წინ გამოიგდებდა ჭენებით

და მხოლოდ მაშინ მიანებებდა თავს, როცა დაფეთებული ძროხა ფრუტუნით მიიყუჟებოდა ბოსლის ყველაზე შორეულ კუთხეში.

რასაკვირველია, ჩვენ არაფერი გვექნებოდა საწინააღმდეგო, თუ ბინგო ამ საქმეზე ნაკლებ ენერგიას დახარჯავდა. მაგრამ მას ისე შეუყვარდა ეს ყოველდღიური ნადირობა, რომ ახლა ჩვენს ბებრუცუნა დანის ყოველგვარი ბრძანების გარეშეც მოარბენინებდა შინისაკენ. ბოლოს და ბოლოს ჩვენი ბეჯითი მწყემსი დღეში თორმეტჯერ მაინც შეაგდებდა ხოლმე საცოდავ ძროხას ბოსელში. საქმე იქამდე მივიდა, რომ, როცა ლეკვს გაქცევ-გამოქცევის სურვილი დაებადებოდა ან ორიოდე თავისუფალ წუთს იპოვიდა, ანდა უბრალოდ ფანტაზია მოუვლიდა, მაშინვე თავქუდმოგლეჯილი პრერიებში გავარდებოდა და ჭენებით მოარბენინებდა ჩვენს საცოდავ წითურ ძროხას.

თავდაპირველად ამ ამბავს ცუდი თვალით არ ვუყურებდით, ძროხა სახლიდან შორს ვეღარსად წაეხეტებოდა. მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ პირუტყვი შიმშილობდა. გახდა და ცოტასაც იწველიდა. ეტყობა, ეს ნადირობა სულიერადაც მოქმედებდა მასზე, ვინაიდან შეშფოთებული სულ აქეთ-იქით იყურებოდა და ძაღლის გამოჩენას ელოდა. დილაობით კი ბოსელს არ შორდებოდა, თითქოს ეშინოდა საძოვარზე წასვლა, რომ ხელახლა არ დასხმოდა თავს ძაღლი.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. რა არ ვიღონეთ, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეთ, ვერ გავუნელეთ ბინგოს ძროხის დევნის სურვილი. ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდით, სულაც აგვეკრძალა მისთვის ეს გართობა. ბინგო ვეღარ ბედავდა ძროხის მოგდებას. თუმცა მისადმი ძველებურად დიდ ინტერესს იჩენდა და სანამ პირუტყვს წველიდნენ, ბოსლის კართან იწვა მორკალული.

დადგა ზაფხული და ქინქლებმა გაგვიმწარეს სიცოცხლე. განსაკუთრებით აუტანელი ის იყო, რომ ქინქლებისაგან გაბეზრებული ძროხა წველის დროს გამუდმებით იქნევდა კუდს.

ძროხებს, ჩვეულებრივ, ჩემი ძმა ფრედი წველიდა. ფრედი ფიცხი, თანაც ჩხირკედელა კაცი იყო, რაღაც-რაღაცეების გამოგონება უყვარდა. ახლაც ძროხას კუდზე აგური გამოაბა და არხეინად დაუწყო წველა, აქაოდა, კუდს ვეღარ გაიქნევსო. ჩვენ, მართალია, დაგვაეჭვა მისმა დაყენებულმა ცდამ, მაგრამ აღარ დავუშალეთ.

უეცრად რაღაცამ ყრუდ გაიტყლაშუნა და კოღოების ღრუბელი გააფრთხო საშინელმა წყევლა-კრულვამ და გინებამ. ძროხა ძველებურად არხეინად იცოხნებოდა, გაცეცხლებული ფრედი კი წამოხტა, დასტაცა ხელი ჯორკო სკამს და ძროხას მოუქნია. გაცეცხლდებოდა, მაშ რა იქნებოდა, ბებერმა სულელმა ძროხამ გამოუქანა და შიგ ყურში სთხლიშა აგური. სეირის მაყურებლებმა კი ოხუნჯობა ავტეხეთ და სიცილი დავაყარეთ, სულ გავაგიჟეთ კაცი.

შემოესმა თუ არა ბინგოს აურზაურის ხმა, იფიქრა, ახლა კი აუცილებელია ჩემი ჩარევაო, შემოვარდა ბოსელში და მეორე მხრიდან ეტაკა ძროხას. ვიდრე გონს მოვეგებოდით და რამეს ვიღონებდით, რძე უკვე მიწაზე იყო მონთხეული. ვედრო და სკამი მილეწილი, ხოლო ძროხა და ძაღლი _ მაგრად მიბეგვილი.

საცოდავი ბინგო ვერაფრით მიმხვდარიყო, რა დააშავა. კარგა ხანია, რაც ეს ძროხა ეზიზღებოდა და ახლა, საბოლოოდ აღშოთებულმა, გადაწყვიტა, გახედვითაც კი აღარ გაეხედა ბოსლის კარისაკენ და თავლაში გადასახლდა ცხენებთან.

ძროხა ჩემი იყო, ცხენები კი ჩემი ძმისა. თავისი არჩევანით ბინგომ თითქოს უარი თქვა ჩემზე. შეწყდა ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობა. მაგრამ როგორც კი სერიოზული რამ შეემთხვეოდა, ბინგო ყოველთვის მე მომაშურებდა ხოლმე და არა ჩემს ძმას. თითქოს ორივენი ვგრძნობდით, რომ ძაღლი და პატრონი მხოლოდ სიკვდილმა შეიძლება დააშოროს ერთმანეთს.

მწყემსის როლში გამოსვლა ბინგოს ერთხელღა მოუწია, იმავე წლის შემოდგომაზე. კარბერის ბაზრობაზე ძაღლების შეჯიბრება მოაწყვეს. რომელი ქოფაკიც ყველაზე უკეთ მიაგდებდა ძროხას იმ ადგილას, სადაც უბრძანებდნენ, ჯილდოდ ორ დოლარს მიიღებდა.

ერთმა გაიძვერა ძმაკაცმა მაცდუნა და მეც ჩავწერე ბინგო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. დანიშნულ დღეს, დილაადრიან, ძროხა სოფლის გადაღმა მინდორში გავაგდე. შეჯიბრი რომ დაიწყო, ბინგოს ძროხაზე მივანიშნე და ვუბრძანე:

_ გაიქეცი ძროხა მოაგდე!

თავისთავად ცხადია, მე მინდოდა, ძროხა მოეგდო ჩემთან, იქ, სადაც მსაჯები ისხდნენ.

მაგრამ ცხოველებმა ჩვენზე უკეთ იცოდნენ, რაც უნდა ექნათ. ტყუილად ხომ არ ვარჯიშობდნენ მთელი ზაფხული. დაინახა თუ არა დანიმ მისკენ გაქანებული ბინგო, მაშინვე გაახსენდა გადარჩენის ერთადერთი იმედი _ ბოსელი. ბინგო კი დარწმუნებული იყო, რომ მისი ცხოვრების ერთადერთ მიზანს შეადგენდა, რაც შეიძლება მალე მიეგდო ძროხა იქ. მათ ისე გადაიქროლეს ის მინდორი ერთიმეორის მიყოლებით, გეგონება მგელი შველს გამოჰკიდებიაო და პირდაპირ გაქანდნენ ბოსლისაკენ, რომელიც ორ მილზე მაინც იქნებოდა. მალე ძროხაც და ძაღლიც თვალს მიეფარნენ. მსაჯებს აღარ უნახავთ არც ერთი და არც მეორე. ჯილდო მეორე ქოფაკს, ბინგოს ერთადერთ მეტოქეს ერგო.

III

ბინგოს აღზრდას მე ადრიან გაზაფხულზე მოვკიდე ხელი, მაგრამ ძალიან მალე თვითონ დამიწყო ჭკუის სწავლება.

ჩვენს ქოხსა და კარბერის დასახლებას შორის, შუა გზაზე, ჩვენგან ორი მილის მოშორებით, ფერმის საზღვარზე, ბოძი იდგა. დიდი მსხვილი ბოძი ბორცვზე იყო ჩაგდებული და შორიდან კარგად მოჩანდა.

მალე შევამჩნიე, ბინგო ისე არ ჩაუვლიდა ბოძს, რომ გულმოდგინედ არ გამოეკვლია. ცოტა ხანში დავრწმუნდი, რომ ამ ბოძის სტუმრები იყვნენ კოიოტები და მთელი იმ უბნის ძაღლები.

ჭოგრიტით ვაკვირდებოდი და საშუალება მომეცა, გამეგო საქმის ვითარება, უფრო საფუძვლიანად გავცნობოდი ბინგოს პირად ცხოვრებას.

პირუტყვთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ეს ბოძი თავისებური სამისამართო მაგიდა გახლდათ ძაღლების მოდგმისათვის. თავისი გასაოცარი ყნოსვის წყალობით, ყოველ ძაღლს შეეძლო ნაკვალევითა და სუნით იმწუთას გამოეცნო, რომელი ძაღლი იყო აქ ცოტა ხნის წინ. თოვლი რომ ჩამოყარა, სხვაც ბევრი რამ შევიტყვე. როგორც დავრწმუნდი, ეს ბოძი მხოლოდ ნაწილი იყო სამისამართო მაგიდების მთელი სისტემისა, რომლითაც დაქსელილი იყო ახლომახლო ადგილები.

მოკლედ, მთელ ამ მხარეში სათანადო მანძილზე განლაგებული იყო სასიგნალო სადგურები. ისინი მონიშნული იყო რაიმე თვალში საცემი საგნით. შეიძლება ასეთ საგნად გამომდგარიყო სვეტი, ბიზონის თავის ქალა ანდა სხვა რამ, ოღონდ კი ადგილი ყოფილიყო შესაფერისი. გულმოდგინე დაკვირვებამ მალე დამარწმუნა, რომ ცხოველებს სიგნალიზაციის მთელი სისტემა ჰქონდათ. ყოველი ძაღლი ანდა კოიოტი აუცილებლად მოინახულებს იმ სადგურებს, რომლებიც გზაზე შეხვდება, რომ შეიტყოს, ცოტა ხნის წინ ვინ გაიარა აქ. ეს იმას ჰგავს, ქალაქში დაბრუნებული კაცი რომ თავისი კლუბის წიგნს ჩაათვალიერებს, აბა, ჩემს აქ არყოფნაში კლუბში ვინ დადიოდაო.

ვხედავდი, როგორ მიდიოდა ბინგო ბოძთან, ყნოსავდა, აკვირდებოდა მის ირგვლივ მიწას. ბალანი აეშლებოდა, თვალები სიბრაზით აენთებოდა, ღრინავდა და თან ბრაზითა და ზიზღით ფხოჭნიდა უკანა ფეხებით მიწას. მერე ნელ-ნელა განაგრძობდა გზას, თან შიგადაშიგ უკან იხედებოდა. ადამიანურ ენაზე ეს ნიშნავდა:

...ღრრრ! აუფ! ისევ ის ბინძური ქოფაკი, მაკ-კარტის ძაღლი ყოფილა! აუფ! ამაღამ ვუჩვენებ მე იმას სეირს! აუფ! აუფ!»

მეორეჯერ, სვეტს რომ ყნოსავდა, ბინგო უეცრად აღელდა და დაიწყო კოიოტის ნაკვალევის შესწავლა, თან თავისთვის ბურდღუნებდა. როგორც შემდეგ მივხვდი, აი, რას ამბობდა:

«კოიოტის ნაკვალევია, ჩრდილოეთის მხრიდან მოდის და ძროხის მძორის სუნი უდის... ჰოო! ბებრუცანა ბრინდლის, პოლუართის ძროხას, ბოლოს და ბოლოს გაუჭიმავს ფეხი! ამ ამბის გამოძიება ნამდვილად ღირს.»

ხანდახან ბინგო მოჰყვებოდა კუდის ქიცინს, ურბენდა, ურბენდა გარშემო და მერე ისევ მივარდებოდა ბოძთან, რომ თავისი იქ ყოფნა კიდევ უფრო აშკარა გაეხადა, _ იქნებ ამგვარად ამბავს უტოვებდა ბრენდონიდან ახალმობრუნებულ ძმას ბილის. ერთ მშვენიერ საღამოს ბილი შემთხვევით როდი ეწვია ბინგოს და მასთან ერთად გაეშურა ბორცვებისაკენ, სადაც ძმებმა ცხენის ახალი ლეშით სათანადოდ აღნიშნეს თავიანთი შეხვედრა.

ხანდახან ბინგო ბოძთან ისეთ რამეს გაიგებდა, რაც სულის სიღრმემდე შეძრავდა ხოლმე. მაშინ ის სირბილით მიჰყვებოდა ნაკვალევს შემდეგ სადგურამდე, რომ იქ უფრო ახალი ცნობები შეეტყო.

შემიმჩნევია, ზოგჯერ როგორი ყურადღებით, გულისყურით აკვირდებოდა და ათვალიერებდა ბოძს, თითქოს საკუთარ თავს ეკითხებაო: .»რაო, ეს ვიღა უნდა იყოს?..»

ანდა აკვირდებოდა ბოძს და თითქოს თავის გუნებაში ფიქრობდა: «მგონი, შარშან ზაფხულს შეხვდით ერთმანეთს გასასვლელთან».

ერთ დილითაც ბინგო ბოძთან მივიდა თუ არა, მთელი ბალანი აეშალა. კუდი ამოიძუა, აუცახცახდა, ხოლო გულისრევის უეცარი ნიშნები აშკარად იმის დამადასტურებელი იყო, რომ ძაღლს თავზარი დაეცა. არავითარი სურვილი არ გასჩენია, მიჰყოლოდა ნაკვალევს, მაშინვე მობრუნდა და შინისაკენ წავიდა; გავიდა ნახევარი საათი და მაინც ვერ დამშვიდდა _ ქეჩოზე ბალანი ისევ ყალყზე ედგა, თვალებში კი შიში და სიძულვილი ჩასდგომოდა.

მაშინ მე ჩემი მხრით შევისწავლე ეს საშინელი ნაკვალევი და გავიგე, რომ ხორხისმიერი ბგერები _ «ღრრ! აუფ!» _ ბინგოს ენაზე ტყის მგელს ნიშნავდა.

აი, რეები მასწავლა ბინგომ. ამის მერე, რომ დავინახავდი, როგორ წამოდგებოდა თავისი ცივი საწოლიდან საჯინიბოს კართან მოკალათებული ბინგო, გაიზმორებდა, ჩამოიბერტყავდა ბანჯგვლიანი ზურგიდან ზედ მიმხმარ თოვლს და სიბნელეში გაუჩინარდებოდა, თან შორიდან მესმოდა მისი მწყობრი ნაბიჯების პაკიპუკი თოვლზე, ყოველთვის გავიფიქრებდი ხოლმე:

«ოჰო! ბებერო ქოფაკო, ვიცი საითაც მიგეჩქარება და რატომაც არა გნებავს ღამის გათევა ჭერქვეშ, სითბოში! ახლა ჩემთვის გასაგებია, რატომ არის ხოლმე შენი ღამეული გასეირნებები ახლომახლო მიდამოებში ყოველთვის დროული და საიდან იცი ასე ზუსტად, საით წახვიდე საშოვარზე, სად და როგორ ეძებო ის!

IV

1884 წლის შემოდგომაზე დე უინტონის ფერმაში ქოხი ავჭედეთ და ბინგომაც შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი. ჩემი მეზობლის _ გორდონ რაიტის, ჩემი მეგობარი კაცის თავლაში გადასახლდა.

ბინგოს პატარაობიდანვე არ უყვარდა შინ მისვლა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჭექა-ქუხილი ატყდებოდა ხოლმე. ქუხილი და თოფი შიშის ზარს სცემდა. ეჭვგარეშეა, ქუხილისა მას შემდეგ ეშინოდა, რაც თოფს გაეცნო. გაეცნო კი არცთუ მაინცდამაინც ხელსაყრელ გარემოებაში, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ყველაზე ცივ ამინდშიც კი ბინგო მუდამ ეზოში, თავლის წინ იძინებდა. ამგვარად, იგი მთელი ღამე სრულიად თავისუფალი იყო და თავის ჭკუაზე იყენებდა ამ თავისუფლებას.

ღამღამობით ბინგო რამდენიმე მილზე გაისეირნებდა ხოლმე. ამის დამადასტურებელი იყო არა ერთი და ორი ფაქტი. ფერმერები, რომლებიც რაიტებისაგან კარგა მოშორებით ცხოვრობდნენ, წარამარა აფრთხილებდნენ მოხუც გორდონს, ნუ უშვებ ძაღლს ღამღამობით საწანწალოდ, თორემ იცოდე, მაგ დაუპატიჟებელ სტუმარს საფანტით გავუმასპინძლდებითო. ეტყობა, ფერმერები მარტო სიტყვით არ იქადნებოდნენ _ ტყუილად არა სცემდა თავზარს ბინგოს თოფის დანახვა.

შორს, პეტრელში მცხოვრები ერთი კაცი ჰყვებოდა, ჩემი თვალით ვნახე, ერთხელ, საღამო ხანს, დიდმა შავმა მგელმა კოიოტი როგორ დაგლიჯაო.

მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალა და ამბობდა, მე რომ შავი მგელი მეგონა, როგორც ჩანს, მგელი კი არა, რაიტის ძაღლი იყოო.

სადაც უნდა გდებულიყო ზამთარში მკვდარი ხარის ან ცხენის მძორი, ბინგო ყოველ ღამე მოინახულებდა, კოიოტებს გააფრთხობდა და ლაზათიანად გამოძღებოდა.

ხანდახან ბინგო მარტო იმიტომ მიდიოდა შინიდან, რომ რომელიმე შორეული მეზობლის ძაღლს წაჩხუბებოდა, მაგრამ მიუხედავად ათასგვარი მუქარისა, ჩვენ ფიქრადაც არ გაგვივლია, რომ ბინგოს ჯილაგი ამოწყდებოდა. ერთი კაცი იმაშიც კი გვარწმუნებდა, ძუ კოიოტი ვნახე, სამი ლეკვი ჰყავდა, ლეკვები შავები და დედაზე მოზრდილები იყვნენ, ცხვირის ირგვლივ კი თეთრი რგოლები უბრწყინავდათო.

არ ვიცი, ის კაცი მართალს ამბობდა თუ არა, მაგრამ ერთხელ ასეთი ამბავი კი შეგვემთხვა: მარტის ბოლოს მარხილით მივდიოდით სადღაც, ბინგო უკან მოგვდევდა ძუნძულით. უცებ ხევიდან კოიოტი გამოხტა. მხეცმა მოკურცხლა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ბინგო უკან გამოენთო, მაგრამ მალე აშკარა გახდა, რომ კოიოტი სულაც არ ცდილობდა ბინგოსაგან თავის დახსნას. ბინგო წამოეწია მხეცს, თუმცა, ჩვენდა გასაოცრად, ისინი ერთმანეთს არ დატაკებიან. ბინგო არხეინად მიხტოდა კოიოტის გვერდით და ბოლოს დრუნჩიც კი აულოკა.

ჩვენ გაოცებულები დავრჩით და ყვირილი მოვრთეთ, გვინდოდა, ბინგო კოიოტისათვის წაგვესისიანებინა. ჩვენმა ღრიალმა კოიოტი დააფრთხო და მხეცმა კიდევ უფრო ფიცხლად მოკურცხლა. ბინგოც უკან გაჰყვა. ასე განმეორდა რამდენჯერმე.

_ ეგ ხომ ძუკნაა! ამიტომ არ ერჩის ძაღლი! _ მივხვდი ბოლოს და ბოლოს მე.

ბინგოს დავუძახეთ. რის ვაი-ვაგლახით მოვაბრუნეთ და გზა განვაგრძეთ. ძაღლი უხალისოდ აგვედევნა უკან.

ამ ამბის შემდეგ რამდენიმე კვირა მოსვენება არა გვქონდა კოიოტისაგან. წიწილებს გვიხრჩობდა, საკუჭნაოდან ღორის ხორცს იპარავდა. რამდენჯერმე, როცა უფროსები შინ არ ვიყავით, ფანჯრებშიც შეიხედა და ბავშვებს გული გაუხეთქა.

ბინგო კი არხეინად იყო და არ ერჩოდა ამ ყაჩაღს. ბოლოს კოიოტი მოკლეს. ძუკნა გამოდგა. ბინგო საშინლად გაბრაზდა და მის მკვლელს _ ოლივერს _ შეურიგებელი ომი გამოუცხადა.

V

საოცარი და გულის შემძვრელი რამაა ადამიანისა და ძაღლის მეგობრობა! დღესაც ჰყვებიან შორეულ ჩრდილოეთში მცხოვრები ერთი ინდიელი ტომის ამბავს. თურმე ეს ტომი ამოწყვეტის კარზე მიუყვანია შინაურ შუღლს. ყველაფრის თავი და თავი კი ის ყოფილა, რომ ერთ-ერთი ინდიელისთვის ძაღლი მოუკლავს მეზობელს. თუმცა რა, განა ჩვენში ცოტაა ისეთი შემთხვევა, როცა შუღლი, დავა და სამკვდროსასიცოცხლო მტრობა ატე-

ხილა იმის გამო, რომ ვიღაცას დაურღვევია ძველთაძველი კანონი: «მე გიყვარვარ? ჩემი ძაღლიც უნდა გიყვარდეს».

ერთ ჩვენს მეზობელს მშვენიერი მეძებარი ძაღლი ჰყავდა, სახელად ტენი. პატრონს უყვარდა ტენი და ქვეყნად თუ იმაზე კარგი და ლამაზი ძაღლი კიდევ დადიოდა, არ ეგონა. მე მიყვარდა ეს კაცი და ამიტომ მისი ძაღლიც მიყვარდა. ერთხელაც საცოდავი ტენი საშინლად დასახიჩრებული და დასისხლიანებული მილასლასდა შინ და სახლის ზღურბლზე განუტევა სული. ამ ამბავმა მეც ისე აღმაშფოთა, როგორც ძაღლის პატრონი. მე თვითონ მოვკიდე ხელი დამნაშავის ძებნას და ჯილდოც კი აღვუთქვი, ვინც ტენის მკვლელს მაპოვნინებდა. ბოლოს და ბოლოს აშკარა გახდა, რომ ძაღლი ერთმა ფერმერმა მოკლა. ეს კაცი ჩვენ სამხრეთით ცხოვრობდა. მის დანაშაულზე იმდენი მამხილებელი ფაქტი ღაღადებდა, რომ ჩვენ უკვე ეჭვი აღარაფერში გვეპარებოდა. იმაზეღა ვფიქრობდით, როგორ დაგვესაჯა ეს არამზადა საცოდავი ბებერი ტენის საზიზღარი მკვლელობისათვის.

მაგრამ უეცრად ისეთი რამ მოხდა, რამაც ძირფესვიანად შემაცვლევინა აზრი ამ ამბავზე და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ ბებერი ტენის მოკვლა არც ისეთი საშინელი და მიუტევებელი დანაშაული იყო.

გორდონ რაიტის ფერმა ჩვენიდან სამხრეთით იყო. ერთხელ რაიტებთან შევიარე. უმცროსმა გორდონმა იცოდა, ძაღლის მკველს რომ დავეძებდი. გვერდზე გამიხმო, თან შეშინებულმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ტრაგიკული ხმით ჩამჩურჩულა:

_ ტენი ბინგომ მოკლა...

ეს იყო და ეს. უნდა გამოგიტყდეთ, თუკი ადრე თავს არ ვზოგავდი, ოღონდ მკვლელი მეპოვნა, ამ წუთიდან ყველაფერი ვიღონე, რაც კი შემეძლო, რომ მართლმსაჯულებისათვის როგორმე გზა ამებნია. ბინგო კარგა ხანს გაჩუქებული მყავდა, მაგრამ ჩვენი მეგობრობა ამით არ დამთავრებულა. პირიქით, ერთი შემთხვევის შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა.

გორდონი და ოლივერი ძველი ძმაკაცები იყვნენ. მორიგდნენ, ერთად მოეჭრათ შეშა და, მართლაც, შუა ზამთრამდე შეხმატკბილებულად მუშაობდნენ, მაგრამ მალე ოლივერის ბებერმა ჯაგლაგმა ფეხები გაჭიმა. ოლივერმა იფიქრა, მძორს მგლების დასახოცად მაინც გამოვიყენებო, მკვდარი ცხენი პრერიაში გაათრია და საწამლავით გაჟღინთა.

საცოდავი ბინგო! ის არამც და არამც არ იშლიდა მგლურ ცხოვრებას და ერთთავად იგივე საფრთხე ემუქრებოდა, რაც მგლებს. მასაც ისევე უყვარდა პირის ჩაგემრიელება მძორით, როგორც მის ველურ თვისტომთ. იმავე ღამეს ბინგო გორდონ რაიტის ძაღლთან კერლისთან ერთად წაძუნძულდა ცხენის მძორის გასასინჯად. როგორც ჩანს, ბინგომ კოიოტების გაფრთხობას მეტი დრო მოანდომა, ვიდრე ჭამას. სამაგიეროდ, კერლი კარგად გამოძღა.

თოვლზე აღბეჭდილმა ნაკვალევმა მოგვითხრო ამ ნადირის ამბავი. შხამი რომ მოერიათ, ძაღლებმა თავი მიანებეს მძორს და შინისაკენ წალასლასდნენ. ღონეგამოცლილი კერლი გორდონის ფეხებთან გაიშხლართა და საშინელი ტანჯვით განუტევა სული.

«მე გიყვარვარ? _ ჩემი ძაღლიც უნდა გიყვარდეს!»

არავითარმა თავის მართლებამ არ გაჭრა. ამაო გამოდგა ყოველგვარი მტკიცება, რომ ძაღლი უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ბინგოს ძველისძველი მტრობა ოლივერისადმი ისევ ამოტივტივდა, როგორც უტყუარი დამამტკიცებელი საბუთი. გარიგება შეშის ჭრაზე ჩაიშალა და ორი ძმაკაცის მეგობრობასაც ბოლო მოეღო. საქმე არც ამით დამთავრდა და ამ ადგილებში დღემდე არის ორი მტრული პარტია, რომლებიც კერლის სიკვდილის გამო შეიქმნა.

თვეები გავიდა, ვიდრე ბინგო საბოლოოდ გამოჯანმრთელდებოდა. ვშიშობდი კიდეც, რომ ძველებური ღონიერი და მამაცი ბინგო აღარასოდეს გვეყოლებოდა. მაგრამ გაზაფხულის დადგომასთან ერთად ძაღლმა გამოჯანსაღება დაიწყო და რამდენიმე კვირაში მოკეთეების გულის გასახარად და მტრების თვალის დასავსებად ისევ დაუბრუნდა ჯანი და ენერგია.

VI

ჩემი ცხოვრება ისე წავიდა, რომ იძულებული გავხდი, მანიტობი დამეტოვებინა და შორს გავმგზავრებულიყავი. როცა 1886 წელს მანიტობში მოვბრუნდი, ბინგო ისევ გორდონ რაიტთან ცხოვრობდა. მე მეგონა, იმ ორ წელიწადში, რაც ერთმანეთი არ გვენახა, ძაღლს დავავიწყდებოდი. მაგრამ თურმე ვცდებოდი.

ერთხელ, ზამთრის პირას, ბინგო თითქმის ორი დღე-ღამე დაკარგული იყო. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით მოხოხდა შინ და თან მგლის ხაფანგი და მძიმე მორი მოათრია. ხაფანგში მოყოლილი თათი მოყინული და ქვასავით გამაგრებული ჰქონდა. ძაღლი ისე იყო გამწარებული, რომ ვერავინ ბედავდა ახლოს მისვლას და ფეხის აშვებას. მაშინ ისევ მე, მისთვის უკვე სრულიად უცხო კაცი, მივედი და ცალი ხელი ხაფანგს ჩავავლე, მეორეთი კი ფეხს მივწვდი. ძაღლი მაშინვე მაჯაში მეცა.

_ ბინგო, ვეღარ მცნობ განა? _ ვუთხარი დაყვავებით.

არ მიკბინა, მაშინვე მოეშვა ჩემს ხელს, აღარ გამძალიანებია, თუმცა, სანამ ხაფანგს მოვხსნიდით, ხმამაღლა წკავწკავებდა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ხალხთან ცხოვრობდა და დიდი ხანია არ ვენახე, ბინგო მაინც თავის ბატონად მცნობდა. ასევე მეც, მართალია, იმაზე უფლებები აღარ მქონდა, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ ბინგო ჩემი ძაღლი იყო.

პროტესტის მიუხედავად ბინგო შევიყვანეთ სახლში და გაყინული თათი გაულღვა. მთელი ზამთარი კოჭლობდა, ორი თითი მიახმა და მოსძვრა. მაგრამ სანამ გამოთბებოდა, სრულიად გამოჯანსაღდა.

VII

იმ ზამთარს ბევრი კოიოტი და მელა დავიჭირე ხაფანგით. ხაფანგები არც გაზაფხულზე ამიკრეფია, ვინაიდან ყოველ მოკლულ მხეცზე პრემიას იძლეოდნენ.

კენედის ვაკე ძალიან მარჯვე ადგილია ხაფანგებით სანადიროდ, რადგან ხალხი კანტიკუნტად დადის აქეთ. იგი მოქცეულია ხშირ გაუვალ ტყესა და ფერმებს შუა. ამ ადგილებში ბევრი ლამაზბეწვიანი მხეცი მოვინადირე.

დროდადრო ჩამოვუვლიდი ხოლმე ჩემს ხაფანგებს. ერთხელაც, აპრილის ბოლოს, ხაფანგების სანახავად წავედი ცხენით.

ხაფანგებს მტკიცე ფოლადისას აკეთებენ. ისინი აღჭურვილია ორ-ორი ზამბარით. თითოეული ზამბარის ძალა ას გირვანქას მაინც უდრის. მისატყუებლის ირგვლივ ოთხ ხაფანგს აგებენ კარგად დამალულ მორებზე. ამის მერე ხაფანგებს გულდაგულ აფარებენ ბამბას და ზემოდან წმინდა სილას აყრიან.

ერთ-ერთ ხაფანგში კოიოტი გაბმულიყო. მხეცი კეტით მოვკალი. გვერდზე მივაგდე და ხაფანგი ხელახლა დავაგე. ასე მექნებოდა დაგებული ალბათ ასობით ხაფანგი.

საქმეს მალე მოვრჩი. საშალი, რომლითაც ხაფანგი გავხსენი, იქით მოვისროლე, სადაც ცხენი იდგა. იქვე კარგი, წმინდა სილა მომხვდა თვალში და ვიფიქრე, მოდი, ახალდაგებულ ხაფანგს ერთ მუჭს კიდევ წავაყრი-მეთქი.

რა საბედისწერო გამოდგა ეს აზრი! რა უგუნური გაუფრთხილებლობა! ეს წვრილი სილა ხომ მეზობელ ხაფანგს ეყარა ზემოდან და როგორც კი ხელი ჩავყავი სილაში, მაშინვე მახეში გავები.

არ დავჭრილვარ, ვინაიდან ამ ხაფანგებს კბილები არ ჰქონდა, ხოლო მონადირის სქელი ხელთათმანები კარგად მიცავდა მარწუხებისაგან, მაგრამ ფოლადის ყბებს მაინც მაგრად ეჭირა ჩემი ხელის ნახევარი მტევანი.

თავდაპირველად ძალიან არ შემშინებია და შევეცადე, საშალი მარჯვენა ფეხით მიმეთრია. პირქვე დავემხე მიწაზე. რაც შემეძლო დავქაჩე ხაფანგში გაბმული ხელი და დავიწყე ფეხის ფათური. მე არ შემეძლო ერთდროულად უკან ყურებაც და ფეხის ფათურიც, მაგრამ ცერა თითის იმედი მქონდა. თუ რკინის საშალს მოვახვედრებდი, ცხადია, მივხვდებოდი.

ჩემი პირველი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. რამდენი არ ვქაჩე ხაფანგის ჯაჭვი, მაინც ვერაფერს გავხდი. ნელა მივტრიალდი, მაგრამ ისევ მარცხი განვიცადე. თვალები დავბრიცე და, როგორც იყო, გაჭირვებით გავიხედე იქითკენ, სადაც საშალი მეგულებოდა. თურმე მეტისმეტად განზე გავჩოჩებულავრ. ისევ ბრმად ავფათურდი. შევეცადე ძველ ადგილზე დავბრუნებულიყავი. მთელი ყურადღება მაინც მარჯვენა ფეხზე მქონდა გადატანილი და მარცხენა სულ დამავიწყდა, რომ უცებ მჭახე ტკაცანი გაისმა და ჩემი მარცხენა ფეხი მესამე ხაფანგის ფოლადის ყბებში მოექცა.

უცბად ვერც კი მივხვდი, რა საშინელ დღეში ჩავვარდი. მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ამ ხაფანგებს თავს ვეღარ დავაღწევდი. ძვრაც ვერ ვუყავი ადგილიდან. ვიწექი ასე გაჭიმული, მიწაზე გაკრული და ვფიქრობდი. რა მეშველება? გაყინვისა არ მეშინოდა, ყინვა კარგა ხანია გატყდა. გამოთბა. მაგრამ ვიცოდი, რომ კენედის ვაკეს მხოლოდ ტყისმჭრელები ესტუმრებოდნენ ხოლმე ზამთრობით. არავინ იცოდა, სად წავედი. თუ თავს არ გავითავისუფლებდი, ან მგლები დამგლეჯდნენ, ან შიმშილით მოვკვდებოდი.

სანამ იქ ვიწექი, მზე წითლად ჩაესვენა დასავლეთით. ფიჭვებს გადაღმა, ჭაობთან, ჩემგან ორიოდე ნაბიჯზე ტოროლა დასკუპდა ბექზე და სწორედ ისე ჩაარაკრაკა თავისი მწუხრის სიმღერა, როგორც გუშინ საღამოს ჩემი ქოხის კართან. თუმცა ხელის ყრუ ტკივილი მაწუხებდა და ცივი ჟრუანტელიც მივლიდა, მაინც შევამჩნიე, რამსიგრძე ქოჩორი ჰქონდა.

შემდეგ ოცნებით რაიტების მყუდრო სამზარეულო წარმოვიდგინე. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამწუთას ღორის ხორცს წვავენ ვახშმისათვის. ანდა შეიძლება, სულაც სუფრასთან სხდებიან. ცხენი ისევ იმ ადგილას იდგა, სადაც დავტოვე. სადავე მიწაზე დასთრევდა. იდგა და მოთმინებით მელოდა, რომ შინ წავეყვანე. ვერ გაეგო, ამდენ ხანს რატომ ვაგვიანებდი. ჩემს დაძახებაზე ბალახის წიწკნას თავი მიანება და უტყვი, უმწეო გაოცებით შემომხედა.

ნეტა შინ დაბრუნებულიყო! ცხენის დანახვაზე მიხვდებოდნენ, რომ რაღაც ხიფათი შემემთხვა. დამიწყებდნენ ძებნას და გადამარჩენდნენ. მაგრამ საათი საათს მისდევდა და ერთგული ცხენი ფეხს არ იცვლიდა. მე კი ამასობაში შიმშილისა და სიცივისაგან სული მხდებოდა.

უცებ გამახსენდა, როგორ დაიკარგა ძველი მონადირე ჟირუ. მხოლოდ მეორე გაზაფხულზე იპოვეს მისი ჩონჩხი: დათვის ხაფანგში გაბმულიყო ფეხით. ახლა იმაზე დავიწყე ფიქრი, ტანსაცმლის რა ნაწილი დაეხმარებოდა ჩემს მეგობრებს ჩემი ჩონჩხის ამოცნობაში...

_ აი, თურმე რას განიცდის ხაფანგში გაბმული მგელი! _ ვფიქრობდი მე. _ რამდენი ტანჯვა მიმიყენებია მათთვის! ახლა ჩემი განკითხვის დღე დადგა. ყველაფერზე პასუხი უნდა ვაგო.

ნელ-ნელა ჩამოღამდა. სადღაც კოიოტი აკივლდა. ცხენმა ყურები ცქვიტა. თან ჩემკენ მოიწია. დადგა და თავი ჩაქინდრა. ახლა მეორე კოიოტი აყმუვლდა. მერე მესამე... მივხვდი, სადღაც ჩემ გვერდით იყრიდნენ თავს. მე კი უსუსური, მიწაზე გართხმული ვიწექი და ვფიქრობდი, სადაც სამართალია, ახი იქნება ჩემზე, რომ მოვიდნენ და ნაკუწ-ნაკუწ დამფლითონ-მეთქი.

დიდხანს მესმოდა, როგორ მოუხმობდნენ მხეცები ერთმანეთს. შემდეგ კი რაღაც გაურკვეველი ჩრდილები დავინახე. პირველად ცხენმა შეამჩნია კოიოტები და შეშინებულმა დაიფრუტუნა. მის ფრუტუნზე მხეცებმა ჯერ უკან დაიხიეს, მაგრამ შემდეგ მომიახლოვდნენ და გარშემო ჩამომიცუცქდნენ. ცოტაც და ერთი, სხვებზე უფრო გაბედული კოიოტი მიცოცდა თავისი თვისტომის მძორთან და ძიძგნა დაუწყო, მე დავუყვირე და მხეცმა ღრენით დაიხია უკან. თავზარდაცემული ცხენი გვერდზე გახტა. მალე კოიოტი ისევ მობრუნდა. ცოტა ყოყმანის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს მძორი დაითრია და ამხანაგებთან ერთად იქვე შესანსლა.

ამის მერე კოიოტები კიდევ უფრო ახლოს მოვიდნენ, ირგვლივ წამომისკუპდნენ და დამიწყეს თვალიერება. ერთმა ყველაზე გულადმა ჩემს თოფსაც კი დაყნოსა და ფეხებით მიწა მიაყარა. მე დავუყვირე და თავისუფალი ფეხი მოვუქნიე. კოიოტი განზე გახტა, მაგრამ რაც უფრო მელეოდა ძალა, მხეცს უფრო და უფრო ემატებოდა სითამამე და შიგ სახეში მიღრენდა. ამის დანახვაზე სხვა კოიოტებიც ღრენით წამოვიდნენ ჩემკენ. მივხვდი, იმ მხეცების ლუკმა უნდა გავმხდარიყავი, რომლებსაც გუშინ აბუჩად ვიგდებდი, რომ უეცრად გარს მოჯარული წყვდიადიდან ისკუპა შავმა მგელმა.

კოიოტები მაშინვე აქეთ-იქით გაცვივდნენ, გარდა იმ ერთი გულადისა. იმას ახალმოსულმა სტაცა პირი და იქვე მიახრჩო. მაგრამ _ ჰოი, საშინელებავ! ის საზარელი მხეცი ახლა ჩემკენ გამოქანდა და... ბინგო, ჩემი კეთილშობილი ბინგო არ შემრჩა ხელში! ბინგო თავისი ბანჯგვლიანი გვერდებით მეხახუნებოდა და გაციებულ სახეს მილოკავდა!

_ ბინგო! ბინგო! მეგობარო, საშალი მომიტანე!

ძაღლი ცქვიტად გაიქცა და მაშინვე მობრუნდა, თან თოფს მოათრევდა.

_ არა, ბინგო! საშალი მომიტანე!

ის ისევ გაიქცა და ახლა სარტყელი მომირბენინა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბინგომ მაინც მომიტანა საშალი. თან გახარებული აქიცინებდა კუდს, რომ გამოიცნო ჩემი სურვილი.

თავისუფალი ხელით დიდი გაჭირვებით ამოვხრახნე ქანჩი. ხაფანგი გაიხსნა და ხელი გამითავისუფლა. რამდენიმე წუთში კი მეც თავისუფალი ვიყავი. ბინგომ ცხენი მომიგდო. ნელა გავიარ-გამოვიარე. სისხლის მიმოქცევა აღვიდგინე და, როგორც იყო, შევძელი ცხენზე შეჯდომა.

შინისაკენ წავედით. ჯერ ნელი ნაბიჯით, მერე ჭენებით. ბინგო წინ გარბოდა, როგორც მაცნე და ხმამაღალი, საზეიმო ხმით ატყობინებდა ყველას ჩვენს დაბრუნებას. შინ შევიტყვე, რომ იმ საღამოს ეს საოცარი ძაღლი ძალიან უცნაურად იქცეოდა. თუმცა არასოდეს მიმყავდა ხოლმე თან, როცა ხაფანგების სანახავად მივდიოდი, ბინგო წკმუტუნებდა და თვალს არ აშორებდა ტყიდან მომავალ გზას. ბოლოს, დაღამდა თუ არა, მიუხედავად იმისა, რომ გამოშვება არ უნდოდათ, მაინც გამოიქცა და სულზე მომისწრო. ანგარიში გაუსწორა თავხედ კოიოტს და გამათავისუფლა.

ჩემი ერთგული ბინგო! რა უცნაური ძაღლი იყო! უეჭველია, მისი გული მე მეკუთვნოდა. თუმცა მეორე დღეს ზედაც აღარ შემომხედა და მხიარულად გაჰყვა ახალგაზრდა გორდონს ზაზუნებზე სანადიროდ. ასეთი დარჩა ის ბოლომდე.

ასე ცხოვრობდა ის სიკვდილამდე მგლის ყაიდაზე და თავისი მგლური ჩვეულებით მუდამ მიაგნებდა ხოლმე ზამთრობით დახოცილი ცხენების მძორს. ერთხელაც ისევ გადააწყდა მოწამლული ცხენის მძორს და მგლური სიხარბით მიაძღა. შემდეგ, სასიკვდილოდ განწირული, გორდონ რაიტთან კი არა, ჩემთან, ჩემი ქოხის კართან მოლასლასდა. მაგრამ, საუბედუროდ, იმ ღამით შინ არ მივსულვარ.

მეორე დღეს, შინ რომ დავბრუნდი, ყინულზე ვიპოვე მკვდარი, ცხვირით ზღურბლზე მიბჯენილი. უკანასკნელ წუთამდე ბინგო ჩემი ძაღლი იყო და სიკვდილის ნაღვლიან წუთებში ჩემგან ელოდა შველას _ ვაი, რომ ამაოდ ელოდა!

ვ უ ლ ი

პატარა ყვითელ ქოფაკს ვულის ეძახდნენ. რასაკვირველია, აუცილებელი არ არის, ყვითელ ქოფაკს სრულიად ყვითელი ბალანი ჰქონდეს. ქოფაკები არ შეადგენენ ძაღლების ერთ გარკვეულ ჯიშს. არც ბუნებას გაუმეტებია

მათთვის მაინცდამაინც გულუხვად ყვითელი საღებავი. ყოველი ქოფაკი აერთიანებს ძაღლების ყველა ჯიშს. ასე რომ, ქოფაკი წარმოადგენს ყველა ძაღლის კავშირს. თუმცა არც ერთ ჯიშს კი არ მიეკუთვნება. ამავე დროს თითოეული ქოფაკი უფრო ძველი და უკეთესი ჯიშისაა, ვიდრე მისი რომელიმე არისტოკრატიული თანამოძმე. ვინაიდან ის ბუნების ცდაა, აღადგინოს პირველყოფილი ტურა, ძაღლების მთელი მოდგმის წინაპარი.

მართლაც, ტურის მეცნიერული სახელწოდება «ჩანის აურეუს» «ყვითელ ძაღლს» ნიშნავს და სხვას არაფერს. ბევრი საერთო დამახასიათებელი თვისება აქვს ამ ცხოველსა და ქოფაკს. ეს მდაბიო ძაღლი მეტად გონიერი, აქტიური და გამბედავია. გაცილებით უკეთ არის შეგუებული სიცოცხლისათვის ბრძოლას, ვიდრე მისი სხვა რომელიმე «სუფთა სისხლის» თანამოძმე.

სცადეთ და უკაცრიელ კუნძულზე დატოვეთ მწევარი, ბულდოგი და ქოფაკი. რომელი მათგანი დაგხვდებათ ნახევარი წლის შემდეგ ცოცხალი და საღსალამათი? ეჭვი არ არის, თქვენგან ათვალისწუნებული ქოფაკი. ის არ არის მწევარივით ფეხმარდი, მაგრამ არც ფილტვებისა და კანის ავადმყოფობა დაჰყვება დაბადებით. ძალითა და თავზეხელაღებული გამბედაობით, რასაკვირველია, ბულდოგს ვერ შეედრება. მაგრამ მას ისეთი რამ აქვს, რაც ათასჯერ უფრო ძვირფასია _ გონიერება. ჯანმრთელობა და გონიერება ის თვისებებია, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სიცოცხლისათვის ბრძოლაში. ამიტომ, როცა ძაღლებს ადამიანის მფარველობა მოაკლდებათ ხოლმე, ქოფაკების გარდა, ყველანი იხოცებიან.

ზოგიერთი ქოფაკი ძალიანა ჰგავს ტურას _ მასავით წვეტიანი, პარტყუნა ყურები აქვს. უფრთხილდით ასეთ ძაღლს! ასეთი ძაღლი ეშმაკი და გამბედავია და მგელივით იკბინება. მას თან დაჰყვება უცნაური სიველურე, რამაც მკაცრი მოპყრობის, ანდა დიდი ხნის შიმშილის ზეგავლენით შეიძლება უსაშინლესი გამცემლობა ჩაადენინოს. მიუხედავად იმ მშვენიერი თვისებებისა, რაც დამახასიათებელია ძაღლების მოდგმისათვის და რაც ძაღლისადმი ადამიანის სიყვარულის საფუძველს შეადგენს.

I

შორს, შოტლანდიის მთებში, _ ჩივიოტში დაიბადა პატარა ვული. ლეკვებიდან ორი ამოარჩიეს: მისი ძმა იმიტომ, რომ იმ უბნის საუკეთესო ძაღლსა ჰგავდა. და ვული იმიტომ, რომ ყვითელი, ფუმფულა და ყველაზე ლამაზი იყო.

ადრინდელი პატარაობა ვულიმ გამოცდილი შოტლანდიური ქოფაკისა და მოხუცი მწყემსის საზოგადოებაში გაატარა. ქოფაკმა შეასწავლა თავისი ხელობა. მოხუციც ჭკუით თითქმის არ ჩამოუვარდებოდა მათ. ორი წელი რომ შეუსრულდა, ვული უკვე სავსებით მოზრდილი ძაღლი იყო და კარგად შეისწავლა ცხვრები. თავისი ფარის თითოეულ ბატკანს იცნობდა და პატრონი, მოხუცი მწყემსი რობინი, ისე ენდობოდა მის მოსაზრებულობასა და გონიერებას, ხშირად მთელ ღამეებს დუქანში ათენებდა. გაბურძგნილ სულელ ცხვრებს კი ვულის ანაბარა ტოვებდა მთებში. ვულიმ გონივრული აღზრდა მიიღო, თვითონაც ძალიან ნიჭიერი ლეკვი იყო და ბრწყინვალე მომავალი ელოდა.

ვულის ოდნავაც არ სძულდა თავცარიელი რობინი. მიუხედავად თავისი უარყოფითი მხარეებისა და ლოთობისა, ვულის იშვიათად ექცეოდა სასტიკად. ძაღლსაც ძალიან უყვარდა თავისი პატრონი. ქვეყნის ყველაზე დიდებულ და ბრძენ კაცშიც კი არ გაცვლიდა.

ვულის ვერ წარმოედგინა, თუ რობინზე დიდებული კაცი შეიძლებოდა ვინმე ყოფილიყო, მაშინ, როცა რობინის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობას კვირაში ხუთ შილინგად განაგებდა ერთი არცთუ მაინცა და მაინც შეძლებული მეწარმე-მესაქონლე, იმ ფარის ნამდვილი პატრონი, რომელსაც ვული დარაჯობდა.

თავისთავად ეს მეწარმე არარაობა იყო იქაურ მემამულეებთან შედარებითაც კი. და როცა ამ კაცის ბრძანებით რობინმა იორკშირში ბაზრობაზე წაასხა სამას სამოცდათოთხმეტი ცხვარი, მთელ ამ სამას სამოცდათხუთმეტ ცოცხალ არსებაში ყველაზე საინტერესო და გონიერი ვული იყო.

ნორთუმბერლანდში მოგზაურობამ მშვიდობიანად ჩაიარა. მდინარე ტაინზე ცხვარი ბორანით გადაიყვანეს და მშვიდობიანად გადასხეს ახრჩოლებულ ქალაქ საუთ-შილდზში. ის-ის იყო ქალაქში შევიდნენ, რომ ვეებერთელა ფაბრიკის მილებმა შავი ბოლის ბოლქვები ამოანთხიეს. ჩამობნელდა. ბოლი საავდრო ღრუბელივით დაეკიდა ქუჩების თავზე. ცხვრებმა იფიქრეს, ქარიშხალი მოახლოვდაო. შეეშინდათ, დაფრთხნენ და, მიუხედავად დარაჯების ყოველგვარი ცდისა. სამას სამოცდათოთხმეტი მიმართულებით გაიფანტნენ ქალაქში.

რობინი აღშფოთდა. რასაკვირველია, იმ ზომამდე, რა ზომამდეც შეეძლო აღშფოთება მის პატარა სულს. გამოყეყეჩებული მისჩერებოდა გაქცეულ ცხვრებს. მერე კი უბრძანა:

_ ვული, ერთი თავი მოუყარე მაგათ!

ამ გონებრივი გარჯის შემდეგ რობინს აღარაფერზე შეუწუხებია თავი. ჩიბუხი გააბოლა, ჩამოჯდა და დაწყებული წინდის ქსოვა გააგრძელა.

ვული ისე ეთაყვანებოდა რობინს, როგორც ღმერთს. მაშინვე გავარდა სამას სამოცდათოთხმეტი მიმართულებით და რობინს თავისი წინდა ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა, რომ დაეწია და ბორანთან წამოსკუპულ ჯიხურთან მოუყარა თავი სამას სამოცდათოთხმეტ ლტოლვილს. ბოლოს და ბოლოს ისევ ვულიმ მისცა ნიშანი, რომ ყველა ადგილზე იყო. მოხუცმა მწყემსმა დაიწყო თვლა: 370, 371, 372, 373...

_ ვული, _ საყვედურით მიუბრუნდა ის ძაღლს, _ აქ ყველა არ არის! ერთი აკლია. კიდევ მოძებნე!

ვული სირცხვილისაგან კინაღამ დაიწვა და გაიქცა ქალაქში დაკარგული ცხვრის საძებნელად.

მალე ვიღაც პატარა ბიჭმა მიუთითა რობინს თავის შეცდომაზე: სამას სამოცდათოთხმეტივე ცხვარი ადგილზე იყო. მოხუცი სახტად დარჩა. როგორ მოქცეულიყო? ნაბრძანები ჰქონდა, დროით ჩასულიყო იორკშირში, მეორე მხრივ, იცოდა, რომ სიამაყე ნებას არ მისცემდა ვულის უცხვროდ დაბრუნებულიყო. უმალ სხვის ცხვარს მოიპარავდა, ვიდრე ხელცარიელი მოვიდოდა.

ამდაგვარი ამბავი ადრეც მოხდა რამდენჯერმე და უსიამოვნებას ვერ ასცდნენ.

რობინი ძალიან შეფიქრიანდა. რა ექნა? შეეშინდა, ღმერთი არ გამიწყრეს და კვირაში ხუთი შილინგი არ დავკარგოო. მართალია, ვული შესანიშნავი ძაღლი იყო და მისი დაკარგვა ძალიან ენანებოდა. მაგრამ პატრონის ბრძანების შეუსრულებლობა არ იქნებოდა. გარდა ამისა, ვულის რომ სხვისი ცხვარი მოეპარა ფარის შესავსებად, რა უნდა ექნა რობინს აქ, უცხო მხარეში?

ამისთანა ფიქრებმა რობინი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ გადაწყვიტა ვულის დატოვება და გზის გაგრძელება. მშვიდობიანად დაამთავრა თუ არა მან ეს მოგზაურობა, არავინ იცის. კაცმა რომ თქვას, არც არავის აინტერესებს.

ამასობაში ვულიმ შემოირბინა მთელი ქუჩები. ამაოდ ეძებდა დაკარგულ ცხვარს. მთელი დღე ძებნაში გაატარა, საღამოხანს კი მშიერი და დაღლილი დამნაშავესავით მიიძურწა ბორანთან და დაინახა, რომ არც პატრონი და არც ცხვარი იქ აღარ იყო.

ვული ისე შეწუხდა, შეგეცოდებოდათ. საწყალობელი წკმუტუნით დარბოდა წინ და უკან. მერე ბორნით მეორე ნაპირზე გადავიდა და ყველა კუნჭული შემოირბინა, რობინს ეძებდა. ვერსად რომ ვერ ნახა, ისევ საუთ-შილდზში დაბრუნდა და ახლა იქ ეძება მთელი ღამე. მომდევნო დღეც რობინის ძებნაში გაატარა და რამდენჯერმე გადავიდ-გადმოვიდა ბორნით გაღმა-გამოღმა მხარეს. ათვალიერებდა და ყნოსავდა ყველას, ვინც კი ბორანთან მივიდოდა. ჩამოირბინა ახლომახლო დუქნები და ერთი თვალის გადავლებით ჩამოათვალიერა, ჩემი პატრონი სადმე აქ ხომ არ არისო. ასე მოიქცა შემდეგ დღესაც. ყნოსავდა ყველას, ვინც კი ბორანთან მივიდოდა.

ბორანი დღეში ორმოცდაათ რეისს აკეთებდა და თითო გადაყვანაზე საშუალოდ ასი კაცი გადაჰყავდა. მაგრამ ვული ყოველ მოსვლაზე ჩამოსასვლელთან იდგა და მიწაზე გადმოდგმულ ყოველ წყვილ ფეხს ყნოსავდა. იმ დღეს მან ხუთი ათასზე მეტი წყვილი ფეხი, ანუ ათი ათას ფეხზე მეტი გამოიკვლია. ასე გაგრძელდა მეორე დღესაც, მესამე დღესაც და მთელ კვირას. ძაღლი ერთი წუთითაც არ ტოვებდა თავის პოსტს. ჭამაც აღარ ახსოვდა. მაგრამ შიმშილმა და დაღლილობამ თავისი ქნა, ძალიან გახდა და გაავდა. ასე რომ, ოდნავი ცდაც კი _ ხელი შეეშალათ ყოველდღიურ საქმიანობაში _ ფეხების ყნოსვაში _ სიბრაზისაგან გონებას აკარგვინებდა.

დღე დღეს მისდევდა, კვირა კვრას. ვული კი უცდიდა თავის პატრონს. თვალები გზისკენ აწყდებოდა. მაგრამ რობინი არა და არ ბრუნდებოდა. მებორნეები პატივისცემით გაიმსჭვალნენ მისი ერთგულებისადმი. თავდაპირველად ძაღლი ზიზღით უარყოფდა შეთავაზებულ საჭმელსა და თავშესაფარს. არავინ იცოდა, რით ირჩენდა თავს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, შიმშილმა აიძულა, მიეღო მოწყალება. მთელ ქვეყანაზე გამძვინვარებული ვული ერთგული დარჩა თავისი პატრონისა.

ვული მე თოთხმეტი თვის შემდეგ გავიცანი. ისევ ერთგულად დარაჯობდა ბორანთან, მაგრამ უკვე მოეხედა და მოსუქებულიყო. მისი ჭკვიანი დრუნჩი, მოელვარე თვალები და წაწვეტებული ყურები ძალაუნებურად იქცევდნენ ყურადღებას. როგორც კი დარწმუნდა, რომ ჩემი ფეხები ის ფეხები

არ იყო, რომელიც მას სჭირდებოდა, მაშინვე დაკარგა ჩემდამი ყოველგვარი ინტერესი. რამდენს არ ვეცადე მომდევნო ცხრა თვის მანძილზე გამება მასთან მეგობრობა, არაფერი გამოვიდა. მისთვის მეც ისეთივე გამვლელი ვიყავი, როგორც სხვები, არც მეტი, არც ნაკლები. ასე გაატარა ამ ერთგულმა ძაღლმა ბორანთან მთელი ორი წელი. განა ვული იმიტომ არ ბრუნდებოდა მშობლიურ მთებში, რომ დაკარგვისა ეშინოდა ანდა მანძილი ეშორებოდა. _ არა, ის იმიტომ არ შორდებოდა ბორანს, რომ დარწმუნებული იყო, მის პატრონს, ღვთიურ რობინს, ასე სურდა. უნდოდა იქ დარჩენილიყო. ჰოდა, ისიც დარჩა.

მაგრამ ვული ყოველთვის გადადიოდა ბორნით მეორე ნაპირზე, როცა ასეთი რამ საქმისათვის საჭიროდ მიაჩნდა. ძაღლის გადაყვანა, ჩვეულებრივ, ერთი პენი ღირდა. და, როცა ვულიმ ბოლოს და ბოლოს თავი მიანება გადასვლა-გადმოსვლას, მებორნეებმა იანგარიშეს, რომ მას რამდენიმე ასეული გირვანქა ემართა კომპანიისა.

ვულის არ გაუშვია არც ერთი მგზავრი, რომ არ დაეყნოსა. მთლიანად თუ ავიღებთ, ექვს მილიონამდე ფეხი მაინც გამოიკვლია ამ საკვირველმა ექსპერტმა. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ვული მაინც ერთგული დარჩა. თუმცა, ცხადია, ამდენმა მოლოდინმა ხასიათი გაუფუჭა.

რობინის ამბისა ვერაფერი გავიგეთ. მაგრამ ერთხელ ბორანთან ერთი მეჯოგე ჩავიდა. ვული ჩვეულებისამებრ ყნოსავდა გამვლელებს და უეცრად შეხტა, ბალანი ყალყზე დაუდგა და აცახცახდა. მერე ჩუმად დაიღრინა და მეჯოგეს მიაჩერდა.

მებორნეები ვერ მიხვდნენ, რა მოხდა. და ერთ-ერთმა მეჯოგეს დაუძახა:

_ შენ, ეი, ჩვენს ძაღლს არაფერი დაუშავო!

_ ვინ რა უნდა დაუშავოს, სულელო. თვითონ არაფერი დამიშავოს!

შემდგომი ახსნა-განმარტება საჭირო აღარ გამხდარა, ყველაფერი მალე გაირკვა. ვულის სრულიად შეეცვალა საქციელი, ფოლორცულად მიელაქუცა უცნობს და მოჰყვა კუდის ქიცინს, რაც ერთხელაც არ გაუკეთებია მთელი ამ წლების მანძილზე.

თურმე მეჯოგე დორლი იცნობდა რობინს. მას მოხუცის მოქსოვილი და ნახმარი შარფი და სამკლაურები ეკეთა. ვულიმ იცნო პატრონის სუნი და რადგან იმედი გადაუწყდა, რომ როდისმე კიდევ ნახავდა მას, დატოვა თავისი ბოსელი და გადაწყვიტა სამკლაურების პატრონს გაჰყოლოდა.

დორლი ძალიან კმაყოფილი დარჩა და სიამოვნებით წაიყვანა ვული დერბიშირის მთებში, სადაც ვული დაუბრუნდა თავის ადრინდელ მოვალეობას _ ფარის დარაჯობას.

II

მონსალდელი დერბიშირის ერთი ყველაზე ცნობილი ვაკეა. ამ მხარის ერთადერთ სამიკიტნოს «ღორი და სასტვენი» ერქვა. ხოლო მისი პატრონი ჩასუქებული საზრიანი იორკშირელი ჯო გრეტორექსი იყო. ბუნებამ იგი დაუსურლებელი მიწების პიონერად გააჩინა. ცხოვრებამ კი მიკიტნად აქცია, მაგრამ თანდაყოლილმა მისწრაფებამ აიძულა... თუმცა ამას არა აქვს

დიდი მნიშვნელობა! საკმარისია ითქვას, რომ ამ მხარეში ხშირი იყო უკანონო ნადირობა.

ვაკის აღმოსავლეთ ფერდობზე, სწორედ ჯოს დუქნის თავზე ცხოვრობდა ახლა ვული. ამ გარემოებამაც ითამაშა თავისი როლი, როცა მონსალდელში ჩასვლა გადაწყვიტე. დორლის, ვულის ახალ პატრონს, ვაკეზე პატარა მიწა ჰქონდა, ცხვარი კი ბლომად ჰყავდა იალაღზე. ვული მათაც ისე ფხიზლად დარაჯობდა, როგორც თავის ძველ ფარას. გარშემო უვლიდა, თვალს არ აშორებდა, საღამოს კი ფარეხში ერეკებოდა. უკარება, პირქუში ძაღლი იყო და წარამარა იღრინებოდა უცხოების დანახვაზე. მაგრამ ფარას ისე ყურადღებით იცავდა, რომ დორლის მთელი წლის მანძილზე, ერთი ბატკანი რა არის, ისიც არ დაუკარგავს. თუმცა მეზობელ ფერმერებს, ჩვეულებისამებრ, ძლიერ დიდ ზარალს აყენებდნენ არწივები და მელიები.

ამ ადგილებში მეძებრებით მელიებზე ნადირობა ჭირდა. ფრიალო კლდეები, ქვის მაღალი ხერგილები და უფსკრულები მონადირეებს ხელს უშლიდნენ ცხენდაცხენ მიჰყოლოდნენ ძაღლების ხროვას. ხოლო კლდეებში მელიებს იმდენი საიმედო სამალავი ჰქონდათ, რომ კაცი გაკვირდებოდა, რატომ კიდევ უფრო არ გამრავლდნენ ისინი მონსალდელში.

ეს კია, 1881 წლამდე მელიებზე არავის დაუჩივლია. მაგრამ ბოლო დროს ნოყიერი საძოვრების მახლობლად ისე ჩასახლდა ერთი ბებერი ცბიერი მელა, როგორც თაგვი ყველის შუაგულში. ის მასხარად იგდებდა მონადირეების მეძებრებსაც და ფერმერების ძაღლებსაც.

ვინ მოთვლის, ნადირობის დროს რამდენჯერ ასდევნებიან მეძებრები ამ მელას. მაგრამ ის ყოველთვის ეშმაკის ნახვრეტს შეაფარებდა ხოლმე თავს. ამ ხეობაში, სადაც კლდეები მთელ მილზე ნაპრალებითაა დასერილი, მელა სრულიად უვნებელი იყო. იქაური ფერმერები მალე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მელას ტყუილად არ შეყვარებია ეშმაკის ნახვრეტი. ხოლო როცა ერთ-ერთი მწევარი, რომელმაც ხეობის შესასვლელში კინაღამ სტაცა პირი მელას, ერთი კვირის თავზე გაცოფდა, უკვე აღარავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მელა თვით ეშმაკის ღვიძლი და იყო.

ამასობაში მელა მეტისმეტად გაბედულად ესხმოდა თავს ფარეხებს და იტაცებდა ბატკნებს. ხშირად მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა თავის დაღწევას, როგორც ბევრ მელას სჩვევია ხოლმე. სიბერეში, ბოლოს და ბოლოს, მაინც საქონლის ხოცვა დაიწყო «ხოცვის ხელოვნების სიყვარულით».

ფერმერმა დიგბიმ ერთ ღამეში ათი ბატკანი დაკარგა. მეორე ღამეს კეროლმა დაკარგა შვიდი. შემდეგ მღვდლის საიხვე გამოაცარიელეს. ერთი სიტყვით, იშვიათი იყო ისეთი ღამე, რომ ვინმეს არ დაეჩივლა, ფრინველი, ცხვარი ანდა სულაც ხბო დავკარგეო.

ყველა ეს მკვლელობა ბრალდებოდა ეშმაკის ნახვრეტის ბინადარ მელას: ამ მელასი მარტო ის იცოდნენ, რომ ძალზე დიდი იყო, ვინაიდან ზორბა ნაფეხურებს ტოვებდა. ვერც ერთმა მონადირემ ვერ მოახერხა კარგად შეეთვალიერებინა მხეცი. მეძებართა ხროვის საუკეთესო ძალები _ ტენდერი და ბული მის ნაკვალევს რომ წააწყდებოდნენ, ხმას არ იღებდნენ და არაფრით არ უნდოდათ, კვალს გაჰყოლოდნენ.

როცა ხმა დაირხა, მელა ცოფიანიაო, ადგილობრივი ნადირობის უფროსმა მონსალდელში ფეხი ამოიკვეთა, ხოლო ფერმერებმა ჯოს მეთაურობით, თავი მოიყარეს და გადაწყვიტეს, როგორც კი თოვლს ჩამოყრიდა, არავითარი წესისათვის ყური არ ეთხოვებინათ და წყეულ მელას საერთო ძალით გასწორებოდნენ.

თოვლი არ მოდიოდა და წითური ავაზაკი ძველებურად დაპარპაშებდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოფიანი იყო, ფრთხილად და ეშმაკურად მუშაობდა. ორი ღამე ზედიზედ არასოდეს ეწვეოდა ერთსა და იმავე ფერმას. არასოდეს შეჭამდა იმ ადგილას არაფერს, სადაც მკვლელობას ჩაიდენდა და წასვლისას არასოდეს ტოვებდა კვალს. ჩვეულებრივ, მისი ნაკვალევი გზასავალთან, გამხმარ ბალახზე შეწყდებოდა ხოლმე, რომ არავინ მიჰყოლოდა.

მე კი ვნახე ერთხელ ის ვერანა. გვიან ღამით ბეკუელიდან მონსალდელში ვბრუნდებოდი. ქარიშხალი მძვინვარებდა, სტედის ფარეხს რომ ჩავუარე. უეცრად იელვა და წუთით კაშკაშა სინათლეზე ისეთი სურათი დავინახე, სამუდამოდ დამამახსოვრდა. გზის პირას, ჩემგან ოც ნაბიჯზე, ვეებერთელა მელა იჯდა უკანა თათებზე და ბოროტად მომჩერებოდა. თან საეჭვოდ ილოკავდა დრუნჩს. მეტი არაფერი დამინახავს და ალბათ ეს შემთხვევაც დამავიწყდებოდა, ანდა ვიფიქრებდი, მომელანდა-მეთქი, მეორე დილას ამ ფარეხში ოცდასამი მოკლული ბატკანი და ცხვარი რომ არ ენახათ.

მარტო ერთ კაცს ვერაფერი დააკლო მტაცებელმა. ეს კაცი დორლი გახლდათ. მართალია, ის სულ რაღაც ერთ მილზე ცხოვრობდა ეშმაკის ნახვრეტიდან, მაგრამ მელია მაინც პირს არ აკარებდა მის ცხვრებს. ერთგულმა ვულიმ დაამტკიცა, რომ მთელი იმ უბნის ძაღლებად ღირდა. ყოველ საღამოს უკლებლივ მოერეკებოდა შინ ფარას. ერთი ცხვარიც არ დაკლებია. ჯანი გავარდნოდა, რამდენიც უნდოდა ეწანწალა ცოფიან მელას დორლის ფერმის გარშემო. _ მამაცი, ჭკვიანი, მკვირცხლი ვული ღირსეული მეტოქე იყო და თავისი პატრონის ფარას ხომ ცივ ნიავს არ აკარებდა. თვითონაც მთელი და უვნებელი დადიოდა.

ვულის ყველა პატივს სცემდა და ყველას საყვარელი ძაღლი იქნებოდა, მისი ჭირვეული ხასიათი რომ არა. მხიარული ზნისა არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახლა თანდათან უფრო პირქუში გახდა. ძაღლს თითქოს შეუყვარდა დორლი და მისი უფროსი ქალიშვილი, ლამაზი, მხიარული გოგონა გულდა. გულდა დიასახლისობდა ოჯახში და ძაღლსაც ის აჭმევდა. ოჯახის სხვა წევრებს კიდევ როგორღაც იტანდა, მთელი დანარჩენი სამყარო კი _ ხალხიც და ძაღლებიც _ სძულდა.

ერთხელ დორლის სახლის უკან უდაბურ ადგილას ბილიკს მივყვებოდი. ვული შესასვლელთან იწვა. რომ მივუახლოვდი, წამოდგა, თითქოს არც დავუნახივარ. ბილიკზე გამოვიდა და ჩემგან ათიოდე ნაბიჯზე გარდიგარდმო დადგა. გაუნძრევლად იდგა და დაჟინებით გაიყურებოდა სადღაც შორს. მარტო მისი ოდნავ აყალყული კეფა მიუთითებდა, რომ ცოცხალი ძაღლი იყო და არა ქანდაკება. არც მაშინ განძრეულა, როცა გავუსწორდი. ხათაბალის თავი არ მქონდა. გვერდი ავუარე და გზა განვაგრძე. ვული გამოცოცხლდა, მაგრამ ძველებურად ავის მომასწავებლად დუმდა. ოციოდე ნაბიჯი გაირბინა და ისევ გადამიდგა გზაზე. ერთხელ კიდევ გავუსწორდი.

ისევ გადავედი ბილიკიდან და ცხვირწინ ჩავუარე. კრინტი არ დაუძრავს, ისე მეცა მარცხენა ფეხის ქუსლში. მინდოდა მეორე ფეხი ჩამეცხო, მაგრამ აიცილა. რადგან ჯოხი არა მქონდა, დავწვდი დიდ ქვას და ვესროლე.

ქვა ბარძაყში მოხვდა და არხში ჩააგდო. ვულიმ ბრაზიანად დაიღრინა, მაგრამ არხიდან რომ ამოფოფხდა, აღარ შემოუტევია, კოჭლობით გამცილდა.

ხომ ასეთი მძვინვარე და პირქუში იყო ვული მთელი ქვეყნის მიმართ, ის ძალიან ალერსიანად ექცეოდა დორლის ცხვრებს, უფრთხილდებოდა. ათას რამეს ჰყვებოდნენ ვულის გმირობაზე: როგორ გადაარჩინა მან უეჭველ სიკვდილს ორმოში თუ ჭაობში ჩაცვენილი ბატკნები, როგორ ფხიზლად დარაჯობდა არწივებს და ვაჟკაცურად იგერიებდა მათ.

III

მონსალდელის ფერმები ისევ ძველებურად უხდიდნენ ხარკს ცოფიან მელას ყოველღამე, როცა ბოლოს და ბოლოს თოვლიც დადო. საცოდავ ქვრივ ჯელტს ხელიდან გამოაცალა მთელი ფარა _ ოცი ცხვარი და მეორე დღეს, ინათა თუ არა, მთელი სოფელი დასაზვერად გაეფინა. თოვლზე იპოვეს მოზრდილი ნაფეხურები, ეჭვი არ იყო, მრისხანე მკვლელისა. და თოფმომარჯვებული მხარბეჭიანი ფერმერები დაადგნენ მელიის კვალს.

თავდაპირველად კვალი გარკვევით ჩანდა თოვლზე, მაგრამ მდინარესთან მელას ჩვეული ეშმაკობა ეხმარა _ წყალთან ჩასულიყო, დაჰყოლოდა დინებას და გაუყინავ სწრაფ ნაკადში ჩამხტარიყო. მეორე ნაპირზე არავითარი კვალი არ ჩანდა, მხოლოდ დიდი ხნის ძებნის შემდეგ მიაგნეს მონადირეებმა იმ ადგილს, სადაც მელა წყლიდან გამოსულიყო. აქედან კვალმა ისინი ქვის მაღალ კედელთან მიიყვანა. იქ თოვლი არ იდო. მაგრამ ჯიუტ მონადირეებს ძებნაზე ხელის აღება არ უნდოდათ. როცა კვალმა გადაჭრა ქვის კედელსა და დიდ გზას შორის გაწოლილი ზოლი, მონადირეთა აზრი გაიყო: ერთნი ამტკიცებდნენ, კვალი ზემოთ მიუყვებაო გზას, მეორენი კი, პირიქით, ქვემოთ ჩადისო. მაგრამ ჯომ შეარიგა მოკამათეები და კარგა ხნის ძებნის შემდეგ მონადირეები წააწყდნენ იმავე კვალს, თუმცა ზოგის აზრით, ეს უფრო დიდი ზომისა იყო. ამ კვალმა ისინი მიიყვანა ბაკთან, რომლის მდგმურებიც უვნებელნი და საღ-სალამათნი იყვნენ. იქიდან ეშმაკი მხეცი ვიღაც გამვლელის ნაფეხურებს გაჰყოლოდა, შარაგზაზე გასულიყო და პირდაპირ დორლის ფერმაში მისულიყო.

იმ დღეს თოვლის გამო ცხვარი გარეთ არ გაერეკათ. ვული თავისუფალი იყო, ფიცრებზე იწვა და მზეზე თბებოდა. მონადირეები რომ სახლს მიუახლოვდნენ, ბრაზიანად დაიღრინა და ცხვრებს მიაშურა.

ჯო გრეტორექსი უკან გაჰყვა. მის ნაფეხურებს რომ დახედა, გაქვავდა, მერე გაქცეულ ძაღლზე მიაშვირა თითი და შესძახა:

_ ხალხო, ჩვენ გვეგონა, რომ მელიის კვალს მივყვებოდით, ქვრივის ცხვრები კი ამას არ გამოუფატრავს?

ზოგმა კვერი დაუკრა ჯოს. სხვებმა გაიხსენეს, გზაზე კვალი რომ აერიათ და წინადადება წამოაყენეს, დავბრუნდეთ უკან და ყველაფერი რიგიანად გავარკვიოთო.

ამ დროს სახლიდან გამოვიდა თავად დორლი.

_ ტომ, _ უთხრა ჯო გრეტორექსმა, _ შენმა ძაღლმა წუხელ ოცი ცხვარი გამოუფატრა ქვრივ ჯელტს. მე მგონია, ეგ ამისთანა რამეს პირველად არ უნდა აკეთებდეს.

_ რას ამბობ, კაცო, _ შეეპასუხა ტომ დორლი, _ ხომ არ გადარეულხარ! ვულიზე კარგი დარაჯი ჩემს ცხვრებს ჯერ არა ჰყოლიათ. ისე უყვარს ცხვრები, როგორც ღვიძლი შვილები.

_ მოდი და დაიჯერე! ჩვენი თვალით მაინც არ გვენახა, რაც მაგან თავის «შვილებს» უყო ქვრივ ჯელტთან, _ თქვა ჯომ.

ტყუილად უყვებოდნენ დორლის იმდილანდელ ამბებს. ამაოდ ცდილობდნენ მის დარწმუნებას. დორლის არაფრის გაგონება არ უნდოდა და ირწმუნებოდა, ყველაფერი იმიტომ მოიგონეთ, რომ ვული წამართვათ, შური გალაპარაკებთო.

_ ვული ყოველღამე სამზარეულოში იძინებს, _ ამბობდა ის, _ და იქიდან მხოლოდ ცხვრების საყარაულოდ ვუშვებთ. ძაღლი მთელი წელი ცხვრებთან ცხოვრობს და ამ ხნის მანძილზე ერთი სულიც არ დაგვკარგვია. გესმის, ადამიანო?

ტომ დორლი ძალიან აღელდა, რადგან მთელი ეს ამბავი მხოლოდ ვულის სიცოცხლისა და პატიოსანი სახელის ხელყოფის სურვილით ახსნა. ჯო და მისი მომხრეებიც გაცხარდნენ და, ვინ იცის, საქმე რით დამთავრდებოდა, ლაპარაკში გულდა რომ არ ჩარეულიყო.

_ მამა, _ უთხრა გოგონამ დორლის, _ მოდი, ამაღამ სამზარეულოში დავწვები. თუ ვული გაიპარება, ხომ დავინახავ. თუ ღამე შინ დარჩება, ხოლო მეზობლებს ცხვრებს ისევ დაუხოცავს რამე, მაშასადამე, ვული არაფერ შუაში არ იქნება.

მართლაც ასე მოიქცა გულდა. სამზარეულოში გრძელ სკამზე დაწვა, ვულიმ კი, ჩვეულებისამებრ, სამზარეულო მაგიდის ქვეშ მოიკალათა. რამდენიმე ხნის შემდეგ ვული აწრიალდა, შეტრიალ-შემოტრიალდა თავის ჩულზე. ერთი-ორჯერ წამოდგა, გაიზმორა. გულდას გადახედა და ისევ დაწვა.

ღამის ორი საათისთვის ვულის, ეტყობა, უკვე აღარ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია რომელიღაც აუხსნელი შინაგანი სურვილისათვის. ნელა წამოდგა, ჯერ დაბალ ფანჯარას შეხედა, მერე უძრავად მწოლიარე ახალგაზრდა ქალს. გულდა ღრმად და მშვიდად სუნთქავდა, ვითომ ეძინა. ვული მიუახლოვდა, დაყნოსა და სახეში შეუბერა. მაგრამ გოგონა არ განძრეულა. მაშინ ძაღლმა ნელა წაკრა ცხვირი, ყურები დაცქვიტა, თავი გვერდზე მიიღო და ყურადღებით დააცქერდა მშვიდ სახეზე.

გულდა არ განძრეულა. მაშინ ვული ჩუმად მიიპარა ფანჯარასთან, მსუბუქი ჩარჩოს ტიხარს ცხვირი მიაჭირა და ფანჯარა იმხელაზე შეაღო, რომ ქვეშ თითი შეეცურებინა. მერე ჩარჩო ცხვირით ასწია და გარეთ გაძვრა. ჩარჩოს რომ ძირს უშვებდა, ზურგითა და კუდით ისე მარჯვედ ეკავა, რომ მაშინვე მიხვდებოდით, ამ საქმეს ის პირველად არ აკეთებდა. ფანჯრის გადაღმა ვული მაშინვე სიბნელეში გაუჩინარდა.

უსაზღვროდ გაოცებული გულდა შეუმჩნევლად უთვალთვალებდა ძაღლს. ცოტაც მოიცადა და რომ დარწმუნდა, ნამდვილად გაიქცაო, წამოდ-

გა. უნდოდა, მაშინვე დაეძახა მამისათვის, მაგრამ იფიქრა, მოვიცდი, ვნახავ, რას იზამსო. ის ჩააშტერდა ღამის სიბნელეს, მაგრამ ვული არსად ჩანდა.

გულდამ ღუმელს შეშა შეუკეთა და ისევ დაწვა სკამზე. ასე იწვა ის ერთ საათზე მეტხანს თვალმოუხუჭავად და ყურს უგდებდა საათის წიკწიკს. ოდნავ გაფაჩუნებაზეც კი შიშით კრთოდა.

გოგონა გაოგნებული ფიქრობდა ძაღლზე: ნუთუ მართლა ვულიმ დაგლიჯა ქვრივის ცხვრები?

კიდევ უფრო სახტად დარჩა, როცა გაიხსენა, რა მზრუნველობითა და ალერსით ექცეოდა ვული მათ საკუთარ ცხვრებს.

ერთი საათიც გავიდა.

გულდამ ფანჯრის გადაღმიდან შრიალი გაიგონა და გულმა ბაგაბუგი დაუწყო.

ისევ აიწია ფანჯარა, მერე დაიხურა და ერთ წუთში ვული უკვე სამზარეულოში იყო.

ცეცხლის მოციმციმე შუქზე გულდამ შეამჩნია, რომ ძაღლს თვალები რაღაც უცნაურად, ველურად უელავდა, დრუნჩი და ქათქათა მკერდიც კი სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. ქოშინებდა, მაგრამ ცდილობდა სუნთქვა შეეკავებინა. გოგონას დააცქერდა. გულდა არ განძრეულა. მაშინ დამშვიდებული თავის ადგილას დაწვა და დაიწყო დრუნჩისა და თათების ლოკვა, თან ჩუმად იღრინებოდა, თითქოს ცხელ გულზე რაღაც ამბავს იხსენებსო.

გულდას უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ჯო გრეტორექსი მართალი იყო. უეცრად ახალი აზრი მოუვიდა თავში. ის ახლაღა მიხვდა, რომ მონსალდელის უცნაური, მოჯადოებული მელა აქ, მის თვალწინ იყო!

გოგონა ფეხზე წამოხტა, ვულის თვალებში ჩახედა და წამოიძახა:

_ ვული! ვული! მაშ, ყველაფერი მართალია?!. ოჰ, ვული, რა მრისხანე მხეცი ყოფილხარ!..

მეხის გავარდნასავით გაისმა გოგონას ხმა სამზარეულოში. ვული თოფნაკრავივით გაქანდა უკან. მან განწირული მზერა ესროლა დახურულ ფანჯარას, თვალები დააკვესა და ბალანი ყალყზე დაუდგა, მაგრამ მაშინვე იატაკზე გაერთხა და გოგონასაკენ გახოხდა, თითქოს შებრალებასა სთხოვსო.

ის ნელ-ნელა მიხოხავდა ქალიშვილისაკენ, გეგონება ფეხების ალოკვა უნდაო, მაგრამ ფეხებთან რომ მიუახლოვდა, კრინტი არ დაუძრავს, გამძვინვარებულმა ისე ისკუპა და შეეცადა ყელში სცემოდა გულდას.

გულდამ ყელზე ხელის აფარებაღა მოასწრო, ვულის გრძელი ღოჯები მაჯაში ჩაესო და ძვლამდე გააღწია.

_ მიშველეთ! მიშველეთ!.. მამა! მამა!.. - დაიყვირა მან.

ვული მსუბუქი იყო და გოგონამ წუთით მოახერხა მისი უკუგდება. მაგრამ ძაღლის გადაწყვეტილებაში ეჭვის შეტანა ზედმეტი იყო. ის მიხვდა, რომ წააგო და ამ წაგებისათვის სიცოცხლე უნდა გაეღო ან მას, ან გოგონას.

_ მამა! მამა! _ ეძახდა გულდა მამას. ყვითელი გამძვინვარებული მხეცი კი ცდილობდა, ყელი გამოეღადრა გოგონასათვის, კბენდა და კბილებით გლეჯდა მის შიშველ ხელებს, რომლებსაც, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გამოუკვებიათ ის...

ამაოდ ცდილობდა გოგონა, მოეშორებინა ძაღლი თავიდან. თქმა არ უნდა, გამძვინვარებული მხეცი მალე ჩააფრინდებოდა ყელში კბილებით, რომ იმ წუთას სამზარეულოში მამა არ შემოვარდნილიყო.

ვული, ისე, რომ არ დაურღვევია ავისმომასწავებელი დუმილი, ახლა პირდაპირ მამას ეცა.

ის გაშმაგებით გლეჯდა და ღრღიდა დორლის ხელებს, ვიდრე ნაჯახის მომაკვდინებელმა დარტყმამ ფილაქანზე არ დაანარცხა. სასიკვდილოდ განწირული ძაღლი ხროტინებდა, იკლაკნებოდა და მაინც ცდილობდა წამომდგარიყო, რომ გაეგრძელებინა უიმედო ბრძოლა.

ნაჯახის ახალმა ელვისებურმა დარტყმამ თავის ქალა გაუხეთქა და კერის ქვებზე მიასხმევინა ტვინი. იმ კერისა, რომელსაც ის ასე დიდხანს და ერთგულად ემსახურებოდა. ვული _ ჭკვიანი, მრისხანე, ერთგული, ვერაგი _ აკანკალდა, გაიზმორა და სამუდამოდ მიწყნარდა...

<u>ს ნ ა პ ი</u>
<u>ბულტერიერის[1] ამბავი</u>

პირველად ის ბინდბუნდში დავინახე. დილაადრიან სკოლის ამხანაგის ჯეკის დეპეშა მივიღე.

«გიგზავნი შესანიშნავ ლეკვს. თავაზიანად მოექეცი. ასე გირჩევნია».

ჯეკს ისეთი ხასიათი ჰქონდა, შეეძლო ლეკვის მაგივრად ჯოჯოხეთის მანქანა ანდა ცოფიანი ქრცვინი გამოეგზავნა. ამიტომ ამანათს, ცოტა არ იყოს, ცნობისმოყვარეობით ველოდი. ამანათი მოვიდა. ვხედავ, ზედ აწერია _ «საშიშია». ოდნავ გაქანებაზეც კი შიგნიდან ბრაზიანი ღრენა ისმის. შევიჭვრიტე რკინის ბადით აჭედილ ხვრელში და, ჩემდა გასაოცრად, ვეფხვის ბოკვერის ნაცვლად ერთი ციცქნა თეთრი ბულტერიერი დავინახე. ლეკვი ცდილობდა, როგორმე პირი ეტაცა ჩემთვის და ერთთავად გაავებით იღრინებოდა. ძაღლები ორგვარად იღრინებიან: დაბალი, მკერდისმიერი ხმით _ ეს თავაზიანი გაფრთხილება ანდა ღირსებით აღსავსე პასუხია _ და ხმამაღლა, თითქმის წკავილით _ ეს ბოლო სიტყვაა თავდასხმის წინ. თეთრი ლეკვიც სწორედ ამ ხმაზე ღრინავდა. ძაღლების მოყვარული ვიყავი და იმათი ავანჩავანიც ვიცოდი. ვიფიქრე, რა ჯურის ძაღლი უნდა იყოს, რომ ვერ მოვუარო-მეთქი. ამიტომ, გავუშვი თუ არა მომყვანი, ამოვიღე ჩემი საკეცი დანა, რომელიც წარმატებით მიწევდა ჩაქუჩის, ნაჯახის, იარაღით სავსე ყუთისა და ცეცხლის საჩხრეკის (ჩვენი ფირმის სპეციალობაა) მაგივრობას და ყუთს ბადე ავაგლიჯე. ყუთზე დანის ყოველ შემოკვრაზე ეშმაკის ფეხი მრისხანედ იღრინებოდა და როგორც კი ყუთი გვერდზე გადმოვაბრუნე, პირდაპირ ჩემი ფეხებისაკენ გამოქანდა. თქმა არ უნდა, თათი რომ მავთულის ბადეში არ გახლართვოდა, შავი დღე დამადგებოდა _ ლეკვი აშკარად არ იყო ხუმრობის გუნებაზე. მაგიდაზე შევხტი, რომ არ შემომწვდომოდა,

[1] ბულტერიერი _ ძაღლის ჯიშია.

და შევეცადე დამეყოლიებინა. მე მუდამ ცხოველებთან საუბრის მომხრე ვიყავი. ჩემი ღრმა რწმენით, ისინი იჭერენ ჩვენი საუბრისა და განზრახვის საერთო აზრს, თუნდაც ცალკეული სიტყვები არ ესმოდეთ. მაგრამ ეს ლეკვი, ეტყობა, პირმოთნე კაცად მთვლიდა და ზიზღით უარყო ყველა ჩემი მიფოლორცება. თავდაპირველად მაგიდის ქვეშ დასკუპდა და ფხიზლად ეჭირა თვალი ყოველ მხარეს, რომელიმე ფეხი დაბლა ჩამოცოცებას ხომ არ აპირებსო. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, მის დამორჩილებას შევძლებდი თვალებში რომ შემეხედა. მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე ეს და ამიტომაც მაგიდაზე დავრჩი. დინჯი კაცი გახლავართ, მე ხომ კავეულით მოვაჭრე ფირმის წარმომადგენელი ვარ. ჩემი ხალხი კი ცნობილია მოთმინებითა და მხნეობით. აი, მარტო იმ ვაჟბატონებს თუ ჩამოუვარდებით, მზა ტანსაცმლით რომ ვაჭრობენ.

ასე და ამგვარად, სიგარა ამოვიღე და გავაბოლე მაგიდაზე თათრულად მორთხმულმა. პატარა დესპოტი კი ქვემოთ იჯდა და ჩემს ფეხებს ელოდა. შემდეგ ჯიბიდან დეპეშა ამოვიღე და ერთხელ კიდევ გადავიკითხე. «შესანიშნავი ლეკვია. თავაზიანად მოექეცი, ასე გირჩევნია». ვფიქრობ, ჩემმა გულგრილობამ ამჯერად მშვენივრად შეცვალა თავაზიანობა, რამეთუ ნახევარი საათის შემდეგ ღრენა შეწყდა. ერთი საათის შემდეგ კი ის უკვე აღარ მივარდებოდა ხოლმე მისი გრძნობების გამოსაცდელად მაგიდიდან ფრთხილად ჩაშვებულ გაზეთს. შესაძლოა, გალიით გამოწვეულმა გაღიზიანებამ ცოტათი გაუარა. ხოლო როცა მესამე სიგარა გავაბოლე, ლეკვი ნება-ნება წაბრძანდა ბუხრისაკენ და იქ წამოწვა. თუმცა მე არ დავვიწყებივარ _ ამას ვერ ვუსაყვედურებ, ცალი თვალი სულ ჩემკენ ჰქონდა, არ მაცილებდა. მე კი ორივე თვალით მივჩერებოდი ლეკვს კი არა, მის მოკლე კუდს. ეს კუდი რომ თუნდაც ერთხელ გაქანებულიყო გვერდზე, თავს გამარჯვებულად ვიგრძნობდი. მაგრამ მოკლე კუდი ერთხელად არ შერხეულა. წიგნი გადმოვიღე და მანამდე ვიჯექი მაგიდაზე, სანამ ფეხები არ დამიბუჟდა და ბუხარში ცეცხლი არ ჩაიფერფლა. ათი საათისათვის აგრილდა. ხოლო თერთმეტის ნახევარზე ცეცხლი საბოლოოდ ჩაქრა. მეგობრის საჩუქარი ადგა, დაამთქნარა, გაიზმორა და გაემართა ჩემი საწოლის ქვეშ, ბეწვის პატარა საფენისაკენ. იოლად გადავაბიჯე მაგიდიდან ბუფეტზე, ბუფეტიდან ბუხარზე. მეც მივაღწიე საწოლს. ჩუმად გავიხადე ტანსაცმელი და ისე მოვახერხე დაწოლა, რომ ჩემი მბრძანებელი არ შემიწუხებია. ჩაძინება ვერ მოვასწარი, მსუბუქი ფხაჭუნი შემომესმა და ვიგრძენი, რომ ჯერ საწოლზე, მერე ჩემს ფეხებზე ვიღაც დააბიჯებდა. როგორც ჩანს, სნაპმა[2] იფიქრა, ქვემოთ ძალიან ცივაო და გადაწყვიტა ესარგებლა ყოველგვარი კომფორტით.

ლეკვი მოკალათდა ჩემს ფეხებში. მე ძალიან უხერხულად ვიწექი, მაგრამ უფრო მოხერხებულად ფეხის გაშლაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, ვინაიდან ოდნავ გატოკებაზეც კი ლეკვი ისეთი გააფთრებით ჩააფრინდებოდა ხოლმე ჩემს ფეხს, რომ მხოლოდ სქელი საბანი მიცავდა მძიმე დასახიჩრებისაგან. მთელი საათი გავიდა, ვიდრე ნელ-ნელა ცოცებ-ცოცებით ფეხებს ისე დავაწყობდი, რომ დაძინება შემძლებოდა. ღამით რამდენჯერმე გამაღვიძა

[2] სნაპი (სნაპ) ნიშნავს «ტკაცანს».

ლეკვის მრისხანე ღრენამ _ იქნებ იმიტომ, რომ გავბედე და მისი ნებართვის გარეშე ფეხი გავატოკე. მაგრამ მე მგონია, იმიტომაც, რომ ჩემს თავს ნება მივეცი ხანდახან წამომეხვრინა.

დილით სნაპზე ადრე ადგომა მინდოდა. იცით, მე მას სნაპი დავარქვი. მისი სრული სახელი იყო ჯინჯერსნაპი.[3] ზოგიერთ ძაღლს ძნელად მოუძებნი სახელს. ზოგზე კი დაფიქრებაც არა გჭირდება. თავისთავად მოგდის თავში.

ამგვარად, მე შვიდ საათზე მინდოდა ადგომა. სნაპმა ამჯობინა, ადგომა რვა საათისათვის გადაედო. ამიტომ რვაზე ავდექით. მან ნება დამრთო, ბუხარი გამეჩაღებინა და უფლება მომცა ტანთ ჩამეცვა ისე, რომ ერთხელაც არ შევუხტუნებივარ მაგიდაზე. საუზმის მოსამზადებლად ოთახიდან რომ გავდიოდი, სნაპს ვუთხარი:

სნაპ, ჩემო მეგობარო, ზოგიერთი შენს აღზრდას მათრახით შეეცდებოდა. მაგრამ მე მგონია, რომ ჩემი გეგმა უკეთესია. ახლანდელი ექიმები მკურნალობის ისეთ სისტემას გვთავაზობენ, რომელსაც «უსაუზმოდ დატოვება» ჰქვია. მე ამ სისტემას შენზე გამოვცდი.

მთელი დღე არ ვაჭამე საჭმელი. მართალია, გამიჭირდა ასეთი სისასტიკის გამოჩენა, მაგრამ ხასიათის სიმტკიცე გამოვიჩინე. სნაპმა ისე ჩამოფხოჭნა მთელი კარი, ხელმეორედ შესაღები გამიხდა. სამაგიეროდ, საღამოს სიამოვნებით მიირთვა ჩემი ხელიდან ცოტაოდენი საჭმელი.

კვირაც არ გასულა და უკვე დიდი მეგობრები ვიყავით. ძველებურად ჩემს საწოლზე ეძინა, მაგრამ ახლა აღარ ცდილობდა ყოველ გატოკებაზე ჩემს დასახიჩრებას. მკურნალობის სისტემამ, რომელსაც «უსაუზმოდ დატოვება» ეწოდებოდა, სასწაული მოახდინა და სამი თვის შემდეგ წყალი რომ გადაგესხათ, ერთმანეთს ვერ გაგვაშორებდით. ისიც ცხადი გახდა, რომ დეპეშაში სნაპი ტყუილად არ იყო მოხსენიებული, როგორც შესანიშნავი ლეკვი.

შიში რა იყო, არ იცოდა. პატარა ძაღლს რომ დაინახავდა, ზედაც არ შეხედავდა. მაგრამ საკმარისი იყო რომელიმე ზორბა ძაღლი გამოჩენილიყო, მაშინვე ისარივით გაჭიმავდა წაჭრილ კუდს და მოჰყვებოდა უცნობის ირგვლივ სეირნობას. თან უყურებდა ცას, მიწას, გაიყურებოდა სადღაც შორეთში _ საითაც გნებავთ. მარტო მეტოქეს არ შეხედავდა, და მის იქ ყოფნას მხოლოდ ნოტებზე ხშირი ღრენით აღნიშნავდა. თუ უცნობი სასწრაფოდ არ გაეცლებოდა, იწყებოდა ბრძოლა. უმეტეს შემთხვევაში, ბრძოლის შემდეგ უცნობი განსაკუთრებული მონდომებით ტოვებდა იქაურობას. ხანდახან სნაპიც წააგებდა ხოლმე ბრძოლას, მაგრამ ვერავითარმა მწარე გამოცდილებამ ვერ ჩაუნერგა იოტისოდენა სიფრთხილეც კი.

ერთხელ, ძაღლების გამოფენის დროს, ნაქირავები კარეტით დავსეირნობდით. სნაპმა დაინახა სასეირნოდ გამოყვანილი სპილოსოდენა სენბერნარი. ამ ძაღლის სიდიდემ ისე გადარია და აღაფრთოვანა ლეკვი, რომ კისრისტეხით გადაეშვა კარეტის ფანჯრიდან და ფეხი მოიტეხა.

---

[3] ჯინჯერსნაპი (გინგერსნაპ) _ ხრამუნა თავფლაკვერი.

მან არ იცოდა, რა იყო შიში. სნაპი არ ჰგავდა ჩემთვის ცნობილ არც ერთ ძაღლს. ვთქვათ, მოხდა და ვინმე ბიჭმა ქვა ესროლა. სნაპი მაშინვე მოუსვამდა, _ როგორ გგონიათ, საით? პირდაპირ ბიჭისაკენ. თუ ბიჭი ისევ ესროდა ქვას, სნაპი იმწამსვე საკადრისად გაუსწორდებოდა. ამგვარი ხასიათით მან საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. მარტო მე და ჩვენი კანტორის შიკრიკი ვხედავდით მის კარგ მხარეებს. მარტო ჩვენა გვთვლიდა ის თავისი მეგობრობის ღირსად. შუა ზაფხულისათვის კარნეგი, ვანდერბილდი და ასტორი,[4] ერთად აღებულნი, ვერ შეაგროვებდნენ საკმაო თანხას, რომ ჩემგან პატარა სნაპი ეყიდათ.

II

თუმცა კომივოიაჟერი არ ვიყავი, მაგრამ ფირმამ, რომელშიც ვმუშაობდი, შემოდგომაზე სამოგზაუროდ გამგზავნა. სნაპი დარჩა სახლის დიასახლისთან. ისინი ხასიათით ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. სნაპს ის ეზიზღებოდა. მას სნაპისა ეშინოდა. ასე რომ, ორივეს ჭირივით სძულდა ერთმანეთი.

მე ჩრდილოეთ შტატებში ეკლიანი მავთულის გასაღების საქმით ვიყავი დაკავებული. წერილები კვირაში ერთხელ მოდიოდა. ჩემი დიასახლისი თავის წერილებში ერთთავად სნაპს უჩიოდა.

ჩრდილოეთ დაკოტაში, მენდოზაში, სარფიანად გავასაღე ჩემი საქონელი. რასაკვირველია, ხელშეკრულებები უმთავრესად მსხვილ მოვაჭრეებთან დავდე, მაგრამ ფერმერებსაც გამოვესაუბრე, რათა გამეგო მათი გასაჭირი და მოთხოვნილება. ასე გავეცანი ძმები პენრუფების ფერმას.

არ შეიძლება ისეთ ადგილას მოხვდე, სადაც მესაქონლეობას მისდევენ და არ მოისმინო რომელიმე გაიძვერა და სისხლისმსმელი მგლის ბოროტმოქმედების ამბავი. ის დრო წავიდა, როცა მგლებს საწამლავით წამლავდნენ. ძმებმა პენრუფებმა, სხვა გონიერი მესაქონლეების მსგავსად, უარი თქვეს საწამლავსა და ხაფანგებზე და ხელი მიჰყვეს სხვადასხვა ჯურის ძაღლების გაწვრთნას მგლებზე სანადიროდ. მათ იმედი ჰქონდათ, იქაურობასაც დაიცავდნენ მტრისაგან და გაერთობოდნენ კიდეც.

მეძებრებს ძალა არ ჰყოფნიდათ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. დანიური დოგები მეტისმეტად მოუხეშავები გამოდგნენ, ხოლო მწევრები მხეცს ვერ მისდევდნენ, თუ არა ხედავდნენ. ყოველ ჯიშს თავისი საბედისწერო ნაკლი ჰქონდა. კოვბოებს ძაღლების შერეული ხროვის იმედი ჰქონდათ. და როცა მეც მიმიწვიეს სანადიროდ, მართალი გითხრათ, ძალიან გამართო ამ ნაირნაირი ძაღლების დანახვამ. ხროვაში ბევრი იყო ნაბიჭვარი. მაგრამ იყვნენ წმინდა სისხლის ძაღლებიც _ სხვათა შორის, რამდენიმე მგელზე დაგეშილი რუსული ქოფაკიც, ალბათ მამასისხლად ღირებული.

ძმებში უფროსი და ადგილობრივი ნადირობის «მეთაური» ჰილტონ პენრუფი უჩვეულოდ ამაყობდა ამ ძაღლებით და მათგან უდიდეს გმირობას მოელოდა.

[4] სამი ამერიკელი მილიონერი.

_ მწევრები მეტისმეტად ნაზები არიან მგელზე სანადიროდ. დოგები ნელა გარბიან, მაგრამ ნახავთ, რა კორიანტელი დადგება, როცა საქმეში მგელზე გაწვრთნილი ქოფაკები ჩაერევიან.

ამგვარად, მწევრების დანიშნულება იყო, მგელს გამოდევნებოდნენ. დოგები რეზერვისათვის ეყოლებოდათ, ქოფაკები _ გენერალური ბრძოლისათვის. გარდა ამისა, ხროვაში ორი-სამი მეძებარიც გაურიეს, რომლებიც თავიანთი მახვილი ყნოსვით კვალს აიღებდნენ, თუკი დანარჩენები მხედველობიდან დაკარგავდნენ მხეცს.

დიდებული სანახავი იყო, როცა ოქტომბრის ერთ მოწმენდილ დღეს გორაკებს შორის გავუდექით გზას. ჰაერი გამჭვირვალე და სუფთა იყო. და, მიუხედავად იმისა, რომ გვიანი შემოდგომა იდგა, არც თოვლი იდო, არც ყინავდა. ცხენები თავის წართმევას ლამობდნენ და ერთი-ორჯერ კიდევაც სცადეს ეჩვენებინათ ჩემთვის, როგორ იშორებენ ხოლმე თავიდან მხედრებს.

ველზე ორი-სამი ნაცრისფერი ლაქა შევნიშნეთ. ჰილტონის სიტყვით, მგლები ან კოიოტები უნდა ყოფილიყვნენ. ხროვა ყეფა-გნიასით გავარდა მათ კვალზე, მაგრამ დაჭერით ვერაფერი დაიჭირეს, თუმცა საღამომდე აწყდებოდნენ აქეთ-იქით. მხოლოდ ერთი მწევარი წაეწია მგელს და მხარში დაჭრილი ისიც უკან ჩამორჩა.

_ ჰილტ, მე მგონია, შენი ნაქები ქოფაკები ღმერთს არ უქნია. _ თქვა ჰარვინმა, უმცროსმა ძმამ. _ პატარა შავი დოგი სჯობია მაგათ, თუმცა მათსავით წმინდა სისხლისა არ არის.

_ ვერაფერი გამიგია, _ ჩაიბუზღუნა ჰილტონმა. _ ამ მწევრებს ჯერ კოიოტიც არ გაქცევიათ, მგელზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მეძებრებიც სანაქებონი არიან _ სამი დღის კვალიც რომ იყოს, მიჰყვებიან. დოგები ხომ დათვსაც გაუმკლავდებიან.

_ არ შეგედავები, _ უთხრა მამამ, _ შენს ძაღლებს შეუძლიათ ნადირის დევნა, შეუძლიათ კვალში ჩადგომა, მათ შეუძლიათ დათვსაც კი გაუსწორდნენ. მაგრამ საქმე ისაა, რომ არავითარი სურვილი არა აქვთ მგელთან შეხვედრისა. მთელი ეს წყეული ხროვა მხდალების ხროვაა და მეტი არაფერი. აფსუსი არ არის მაგათში გადაყრილი ფული!

ამ ლაპარაკში და ბუზღუნში იყვნენ პენრუფები, როცა მე დავემშვიდობე და ჩემი გზა გავაგრძელე. როგორც ჩანს, მარცხის მიზეზი ის იყო, რომ თუმცა ძაღლები ღონივრებიც იყვნენ და ფეხმარდებიც, მაგრამ მგლის დანახვაზე წახდებოდნენ ხოლმე. გამბედაობა არა ჰყოფნიდათ, ძალაში გასჯიბრებოდნენ ტყიურს. ჩემს წარმოდგენაში ძალაუნებურად ამოტივტივდა ერთი ციცქნა უშიშარი ლეკვი, ბოლო წელს ჩემი საწოლიდან რომ არ გადადიოდა და ფეხებში მეწვა. როგორ მინდოდა, აქა მყოლოდა! ამ დონდლო გიგანტებს ისეთი ბელადი გაუჩნდებოდათ, რომელსაც სიმამაცე არასოდეს ღალატობდა.

შემდეგ გაჩერებაზე, ბაროკაში, წერილები მივიღე. ბოლო ორი წერილი ჩემი დიასახლისისაგან იყო: პირველში მიცხადებდა, რომ «ეს საზიზღარი ძაღლი ათასგვარ უმსგავსობას ჩადიოდა ჩემს ოთახში». მეორე, უფრო ცხარე წერილი მოითხოვდა, დაუყოვნებლივ მომეშორებინა იქაურობისათვის სნაპი.

«რა უშავს, რომ მენდოზაში გამოვიწერო სნაპი? _ გავიფიქრე ჩემთვის. _ სულ რაღაც ოცი საათის სავალია. პენრუფებს ძალიან გაუხარდებათ. უკან მობრუნებისას კი გამოვუვლი და წავიყვან».

III

ჩემი შემდგომი შეხვედრა ჯინჯერსნაპთან ისეთი არ გამოდგა, როგორსაც მოველოდი და დიდად არ განსხვავდებოდა პირველისაგან. ლეკვი ღრენა-ღრენით დამეტაკა, ვითომდა საკბენად. მაგრამ ახლა მკერდისმიერი ბოხი ხმით ღრინავდა და თან მოჭრილ კუდს გამალებით აქიცინებდა.

ჩემი წასვლის შემდეგ პენრუფებმა რამდენჯერაც წამოიწყეს მგელზე ნადირობა, იმდენი ხელი მოეცარათ და განცვიფრებულები იყვნენ. ძაღლები თითქმის ყოველთვის წამოაგდებდნენ ხოლმე მგელს, მაგრამ ვერაფერს უხერხებდნენ. მონადირეები ერთხელაც ვერ მივიდნენ ისე ახლოს, რომ შეეტყოთ, რატომ ეშინოდათ ძაღლებს.

მოხუცი პენრუფი ახლა სრულიად დარწმუნებული იყო, რომ «მთელ ამ უმაქნის ხროვაში ერთი ძაღლიც არ იყო კურდღელზე გულადი».

მეორე დღეს სისხამ დილით გავედით. იგივე საუკეთესო ცხენები, ჩინებული მხედრები, დიდრონი მტრედისფერი, წითური და ჭრელი ძაღლები. მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენ გვახლდა პატარა თეთრი ძაღლი, რომელიც სულ მე მეკვროდა და თავის თეთრ კბილებს აცნობდა არა მარტო ძაღლებს, ცხენებსაც, თუკი გაბედავდნენ ჩემთან მოახლოებას. მგონი სნაპი წაეჩხუბა ახლომახლო ყველა კაცს, ძაღლსა და ცხენს. ჩვენ ერთი მაღალი გორის ბრტყელ მწვერვალზე შევჩერდით. ჰილტონმა დურბინდით მოათვალიერა მიდამო და უცებ წამოიძახა:

_ ვხედავ, ვხედავ! აი, ნაკადულისაკენ გარბის. მგონი, კოიოტი უნდა იყოს.

ახლა როგორმე მწევრებისათვისაც უნდა დაგვენახვებინა ნადირი. ეს კი იოლი საქმე არ იყო, ვინაიდან მათ დურბინდში ყურება არ შეეძლოთ, ველი კი ძაღლზე მაღალი აბზინდით იყო დაფარული.

მაშინ ჰილტონმა ძაღლს დაუძახა: «აქეთ, დანდერ!» _ და ფეხი წინ გაიშვირა. დანდერი ერთი მარჯვე ნახტომით შეფრინდა უნაგირზე და ტორტმანით ცდილობდა წონასწორობის შენარჩუნებას. ჰილტონი კი დაჟინებით უჩვენებდა სივრცეში მოძრავ წერტილს.

_ აი, დანდერ, უყურე! ეცი, ეცი, აგერა!.. აგერა!

დანდერი ჩაშტერებით გაიყურებოდა პატრონის მინიშნებული წერტილისაკენ. შემდეგ, ეტყობა, რაღაც დაინახა, მსუბუქი წკავწკავით მიწაზე ჩახტა და ველზე გავარდა. დანარჩენი ძაღლებიც მას მიჰყვნენ. ჩვენც ძაღლებს გამოვუდექით, მაგრამ საკმაო მანძილზე ჩამოვრჩით, ვინაიდან გზას გვიღობავდნენ ხევხუვები, მაჩვის სოროები, ქვები და მაღალი აბზინდა. მეტისმეტად სწრაფი ჭენება შეიძლება სამწუხაროდ დასრულებულიყო.

ამგვარად, ჩვენ ყველანი ჩამოვრჩით ძაღლებს. მე კი, უნაგირს მიუჩვეველი კაცი, განსაკუთრებით. ხანგამოშვებით წინ გაიელვებდნენ ხოლმე ძაღლები. ისინი ხან ველზე მიჰქროდნენ, ხან ხევში გადაფრინდებოდნენ, რომ

უცებ ახლა მეორე ფერდობზე გამოჩენილიყვნენ. აღიარებული წინამძღოლი გახლდათ მწევარი დანდერი. შემდეგ, თხემს რომ მოვექეცით თავში, ნადირობის მთელი სურათი გადამეშალა თვალწინ: წინ, ნახტომებით მიფრინავდა კოიოტი, უკან მეოთხედ მილზე კი ძაღლები მისდევდნენ. მაგრამ ეტყობა, ძაღლები უკვე ეწეოდნენ ნადირს. მესამედ როცა დავინახეთ ისინი, კოიოტი უსულოდ ეგდო მიწაზე. ძაღლები კი, ორი მეძებრისა და ჯინჯერსნაპის გარდა, გარშემო შემოსხდომოდნენ.

_ ჩხუბს ვეღარ მოვუსწარით! _ თქვა ჰილტონმა და დაგვიანებულ მეძებრებს გადახედა. მერე სიამაყით გადაუსვა დანდერს ხელი: _ როგორც ხედავთ, თქვენი ლეკვის გარეშეც იოლად გავედით.

_ ერთი ამას დამიხედეთ. თურმე რა მომხდარა: ათი ზორბა ძაღლი ერთ საცოდავ კოიოტს დასხმია თავს! _ დამცინავად ჩაილაპარაკა მამამ. _ მოიცა, ჯერ მგელს შევხვდეთ და მერე ილაპარაკე!

მეორე დღეს ისევ წავედით სანადიროდ.

გორაკზე რომ ავიმაღლეთ, მოძრავი ნაცრისფერი წერტილი დავინახეთ. მოძრავი თეთრი წერტილი ანტილოპაა, წითელი _ მელა, ხოლო ნაცრისფერი _ მგელი ან კოიოტი. მგელია თუ კოიოტი, ამას კუდზე ატყობენ ხოლმე. კუდდაშვებული კოიოტია, კუდაპრეხილი კი _ საძულველი მეგლი.

დანდერს გუშინდელივით დაანახვეს ნადირი. მანაც გუშინდელივით გაიყოლა უკან მწევრების, ნაგაზების, მეძებრების, დოგების, ბულტერიერისა და მხედრების ჭრელი გუნდი. წუთით თვალი მოვკარით ასეთ სურათს: ეჭვი არ იყო, ძაღლების წინ დიდ-დიდი ნახტომებით მირბოდა მგელი. რატომღაც მომეჩვენა, რომ წინა ძაღლები ისეთი მონდომებით არ გარბოდნენ, როგორც გუშინ, კოიოტს რომ მისდევდნენ. რა მოხდა შემდეგ, არავის დაუნახავს. ძაღლები ერთმანეთის მიყოლებით დაბრუნდნენ უკან. მგელი კი გაქრა.

ახლა ძაღლებს დაუწყეს დაცინვა და საყვედური.

_ ეჰ! შეეშინდათ და მეტი არაფერი! _ ზიზღით ჩაილაპარაკა მოხუცმა პენრუფმა. _ თავისუფლად შეეძლოთ დასწეოდნენ, მაგრამ, როგორც კი მოუბრუნდათ, მაშინვე მოცოცხეს. ფუჰ!

_ შეუდარებელი, უშიშარი და მამაცი ტერიერი სადღაა? _ მკითხა ჰილტონმა დამცინავად.

_ არ ვიცი, _ ვუპასუხე მე. _ ალბათ თვალითაც არ უნახავს მგელი. მაგრამ თუკი ოდესმე დაინახა, სანაძლეოს დავდებ, ან გამარჯვებას არჩევს, ან სიკვდილს.

იმ ღამით ფერმის მახლობლად მგლებმა რამდენიმე ძროხა კიდევ დაგლიჯეს და ჩვენ ისევ წავედით სანადიროდ.

ნადირობა დაახლოებით ისე დაიწყო, როგორც წინა დღეს. უკვე საღამო ხანი იყო, ასე ნახევარ მილზე რუხი ვაჟკაცი რომ დავინახეთ კუდაპრეხილი. ჰილტონმა დანდერი დაისვა უნაგირზე. მეც მივბაძე და სნაპს დავუძახე. მას ისეთი მოკლე თათები ჰქონდა, რომ ცხენის ზურგზე შემოხტომა არ შეეძლო. ბოლოს ამომახოხდა და ისე ამოვიდა. მე დავანახვე მგელი და მანამდე ვუმეორებდი, ეცი, ეცი-მეთქი, სანამ სნაპმა ბოლოს და ბოლოს არ დაინახა მხეცი და კისრისტეხით არ გაედევნა წინ გავარდნილ მწევრებს.

ამჯერად ძაღლებს ნადირის დევნა ბუჩქნარით დაფარულ მდინარის ხეობაში კი არა, ღია ადგილას მოუხდათ. ყველანი ერთად ავუყევით ფერდობს და სწორედ იმ დროს გავედით ზეგანზე, როცა დანდერი მგელს წამოეწია და შეეცადა, უკანა ფეხში ეტაცა პირი. რუხი მიუტრიალდა საბრძოლველად და ჩვენ მშვენივრად დავინახეთ, რაც შემდეგ მოხდა. ძაღლები მორბოდნენ ორ-ორნი, სამ-სამნი. გარშემო ურბენდნენ მგელს და უყეფდნენ, სანამ ყველაზე ბოლოს არ მოვარდა პატარა თეთრი ფინია. მას ყეფაზე დრო არ დაუხარჯავს, პირდაპირ გაქანდა მგლის ყანყრატოსაკენ, მაგრამ ყანყრატოს ვერ უწია და ცხვირში ჩაფრენაღა მოასწრო. მაშინვე ათივე ვეება ძაღლი დააცხრა მგელს და ორ წუთში მოუღო ბოლო. ჩვენ ჭენებით მივქროდით, რომ ნადირობის დასასრული არ გამოგვპარვოდა და, მართალია, შორიდან, მაგრამ ცხადად დავინახეთ, რომ სნაპმა გაამართლა ჩემი რეკომენდაციაც და ქების დეპეშაც.

ახლა კი ჩემი ჯერი დადგა ზეიმისა. სნაპმა უჩვენა მათ, როგორ უნდა დაეჭირათ მგელი. ბოლოს და ბოლოს მენდოზის ხროვამ ადამიანის დაუხმარებლად მოუღო ბოლო მგელს.

თუმცა ორი გარემოება ჩრდილავდა გამარჯვების სიხარულს. ჯერ ერთი, მგელი ახალგაზრდა იყო, თითქმის ლეკვი. აი, რატომ გაიქცა ის სულელურად ველზე. მეორეც, სნაპი დაჭრილი იყო. მგელმა ძლიერ დაუზიანა მხარი.

როცა ჩვენ ამაყად გამოვწიეთ შინისაკენ, შევამჩნიე, რომ სნაპი კოჭლობდა.

_ აქეთ, _ დავუძახე მე, _ აქეთ, სნაპ!

მან ერთი-ორჯერ სცადა უნაგირზე შემოხტომა, მაგრამ ვერ შეძლო.

_ ჰილტონ, მომაწოდეთ, _ ვთხოვე მე ჰილტონს.

_ დიდ მადლობას მოგახსენებთ. თქვენ თვითონ მიხედეთ თქვენს ჩხრიალა გველს. _ მიპასუხა ჰილტონმა, ვინაიდან ახლა ყველასთვის ცხადი გახდა, რომ სნაპთან საქმის დაჭერა საფრთხილო იყო.

_ აქეთ, სნაპ, აქეთ, დაიჭი! _ დავუძახე სნაპს და მათრახი გავუწოდე.

ძაღლი კბილებით ჩააფრინდა მათრახს. ასე ავწიე, შემოვისვი უნაგირზე და შინ მივიყვანე. ისე ვუვლიდი, როგორც ბავშვს. სნაპმა დაანახვა ფერმერებს, ვინ აკლდათ ხროვაში. მეძებრებს შესანიშნავი ყნოსვა ჰქონდათ, მწევრებს მარდი ფეხები. ნაგაზები და დოგები ღონივრები იყვნენ, მაგრამ მათი ფასი გროში იყო, ვინაიდან თავგანწირული სიმამაცე მხოლოდ ბულტერიერს გააჩნდა. იმ დღეს მესაქონლეებმა გადაწყვიტეს მგლების საკითხი. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ მენდოზაში ჩახვალთ. ახლა ყოველ ადგილობრივ ხროვაში თავისი ბულტერიერი ჰყავთ, უმეტესად სნაპ-მენდოზური სისხლისა.

IV

მეორე დღეს ერთი წელი სრულდებოდა, რაც სნაპი ჩემთან იყო. მოწმენდილი, მზიანი დღე იდგა. თოვლი ჯერ არ დაედო. ისევ შევიკრიბენით მგელზე სანადიროდ. ყველას გული დაგვწყვიტა იმ ამბავმა, რომ სნაპი ვერ იყო კარგად. ღამე, ჩვეულებრივ, ჩემს ფეხებში ეძინა და საბანზე სისხლის

კვალი დატოვა. რასაკვირველია, ნადირობაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. გადავწყვიტეთ, უიმისოდ წავსულიყავით, ბეღელში შევიტყუეთ და ჩავკეტეთ. გავუდექით გზას, მაგრამ რაღაც ცუდი წინათგრძნობა მაწუხებდა. ვიცოდი, ჩემი ძაღლის გარეშე აუცილებლად მოგვეცარებოდა ხელი, მაგრამ წარმოდგენა არა მქონდა, რა მძიმე იქნებოდა ეს დამარცხება.

უკვე შორს ვიყავით წასული. გორაკებს შორის დავეხეტებოდით, როცა უეცრად აბზინდებში რაღაცამ გაიელვა და ჩვენს კვალზე გამოქანებული თეთრი ბურთი წამოგვეწია. ერთი წუთის შემდეგ ღრენითა და წაჭრილი კუდის ქიცინით სნაპმა მოირბინა ჩემს ცხენთან. შინ გაგზავნა არ შემეძლო, ვინაიდან არაფრის დიდებით არ დამიჯერებდა. მისი ჭრილობა საძაგელი შესახედავი იყო. დავუძახე, მათრახი გავუწოდე და უნაგირზე ამოვიყვანე. _ «აქ იჯდები შინ დაბრუნებამდე» _ გავიფიქრე მე. მაგრამ გაგიგონიათ! ჰილტონის დატატანებამ გვამცნო, რომ მან მგელი დაინახა, დანდერი და რაილი, მისი მეტოქე, წინ გაცვივდნენ, ერთმანეთს შეეჯახნენ და ერთად გაგორდნენ მიწაზე. ამასობაში თვალებად ქცეულმა სნაპმა მგელი დაინახა და მიხედვა ვერ მოვასწარი, რომ უნაგირიდან გადმოხტა და ზიგზაგებით გავარდა წინ _ ზემოთ, ქვემოთ, _ აბზინდიანში პირდაპირ მტრისაკენ. რამდენიმე წუთის მანძილზე ხროვას ის მიუძღოდა. რასაკვირველია, მცირე ხანს. ზორბა მწევრებმა დაინახეს მოძრავი წერტილი და მინდორზე გაიჭიმა ძაღლების გრძელი ჯაჭვი. ნადირობას საინტერესო პირი უჩანდა, რადგან მგელი იქვე ახლოს იყო და ყველა ძაღლი თავდაუზოგავად მიქროდა.

_ დათვის ხევში შეუხვიეს! _ დაგვიძახა ჰარვინმა, _ მომყევით! შეგვიძლია გზა გადავუჭრათ!

Dშემოვბრუნდით და სასწრაფოდ გავქუსლეთ გორაკის ჩრდილო ფერდობზე, მაშინ, როცა ნადირი და მწევარ-მეძებრები, როგორც ჩანს, სამხრეთ ფერდობის გასწვრივ მიქროდნენ.

თხემზე ავედით და უკვე დაშვებას ვაპირებდით, ჰილტონმა რომ დაგვიძახა:

_ აქ არის! პირდაპირ გადავაწყდით!

ჰილტონი ცხენიდან ჩამოხტა, სადავე მიაგდო და წინ გაიქცა. მეც იგივე გავაკეთე. ჩვენ პირისპირ გაშლილ მინდორზე მოქროდა ვეებერთელა მგელი, თავი დაეღუნა, კუდი ისარივით სწორად გაეჭიმა. ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე კი უკან მოსდევდა დანდერი. მწევარი მგელზე ორჯერ უფრო სწრაფად მოქროდა, წუთის შემდეგ წამოეწია კიდეც და უკვე დაკრიჭა კბილები. მაგრამ როგორც კი მხეცი მისკენ მიბრუნდა, მაშინვე უკან დაიხია. ორივე იქვე ორმოცდაათიოდე ფუტზე იყვ, სწორედ ჩვენ ქვემოთ. გარვინმა რევოლვერი იძრო, მაგრამ, საუბედუროდ, ჰილტონმა შეაჩერა:

_ არა! დაიცა! ვნახოთ, რა მოხდება.

წამის შემდეგ მეორე მწევარი მოვარდა. მერე ერთიმეორის მიყოლებით დანარჩენი ძაღლებიც მოცვივდნენ. თითოეული მათგანი მოქროდა მრისხანებით და სისხლის წყურვილით ანთებული. მზად იყო, იქვე ნაფლეთ-ნაფლეთად ექცია ტყიური. მაგრამ, როგორც კი მოცვივდებოდნენ, რიგრიგობით იხევდნენ უკან უშიშარ მანძილზე და მოჰყვებოდნენ ყეფას. ორიოდე წუთში ნაგაზებიც იქ გაჩნდნენ _ შესანიშნავი, ლამაზი ძაღლები. აქეთ რომ მორ-

ბოდნენ, ეჭვი არ არის, ერთადერთი სურვილი ჰქონდათ, _ პირდაპირ სცემოდნენ ბებერ მგელს. მაგრამ მისმა შეუპოვარმა შესახედაობამ, დაკუნთულმა მკერდმა, ფოლადის ყბებმა ისე შეაშინა ისინი, მგელთან შეხვედრის სურვილი გაუნელდათ და დანარჩენ ძაღლებს შეუერთდნენ. რუხი ყაჩაღი ხან ერთ მხარეს მიტრიალდებოდა, ხან მეორე მხარეს. მზად იყო, შებმოდა თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე და ყველას ერთად.

აი, დოგებიც გამოჩნდნენ, ძორძოხა არსებანი. თითოეული მათგანი მგელს არ ჩამოუვარდებოდა წონაში. რაც უფრო ახლოვდებოდნენ, მათი მძიმე სუნთქვა თანდათან ავის მომასწავებელ ხრიალში გადადიოდა. ისინი მზად იყვნენ, ნაკუწებად ექციათ მგელი. მაგრამ როგორც კი მიუახლოვდნენ, დაინახეს პირქუში, უშიშარი, მძლავრყბებიანი და თათებმოუღლელი მხეცი, რომელიც მოკვდებოდა, თუკი საჭირო იყო, მაგრამ ჯერ სხვებს წაიმძღვარებდა წინ _ ამ ვეება დოგებს. სამივეს, დანარჩენების მსგავსად უეცრად სიმორცხვე მოეძალა: დიახ, დიახ, ისინი ეცემიან მგელს, მაგრამ ამ წუთს კი არა, ცოტათი რომ მოითქვამენ სულს. შემდეგ, მგლისა, მათ, რასაკვირველია, არ ეშინიათ. მათი ხმა ვაჟკაცურად ჟღერდა. მშვენივრად იცოდნენ, რომ ვინც პირველი გადაეშვებოდა, კარგი დღე არ დაადგებოდა. მაგრამ ეს სულ ერთი იყო, ოღონდ ახლა არა. ისინი ცოტას კიდევ იყეფებენ გულის გასამაგრებლად.

მაშინ, როცა ათი ვეებერთელა ძაღლი აწყდებოდა აქეთ-იქით მდუმარე მხეცის ირგვლივ, მათ უკან აბზინდებში შრიალი გაისმა. შემდეგ ხტუნვა-ხტუნვით გამოჩნდა ქათქათა რეზინის ბურთი, რომელიც მალე პატარა ბულტერიერად იქცა. მოიჭრა სნაპი, მთელ ხროვაში ყველაზე ნელი და ყველაზე პატარა. მძიმედ სუნთქავდა. ისე მძიმედ, გეგონებოდათ, სული ეხუთებაო. მოიჭრა და პირდაპირ მრისხანე მხეცის ირგვლივ შეკრულ წრესთან მივარდა. როგორ გგონიათ, შეყოყმანდა? ერთი წუთითაც არა. გაარღვია აღავღავებული ძაღლების წრე, პირდაპირ გავარდა მთა-გორების ბებერი დესპოტისაკენ და შეეცადა ყელში სცემოდა. მგელმა დასცხო მას თავისი ოცივე ხანჯალი. მაგრამ პატარა არ შეუშინდა და მეორედ ეცა. რა მოხდა ამ დროს, ძნელი სათქმელია. ძაღლები ერთმანეთში აირივნენ. მომეჩვენა, თითქოს პატარა თეთრი ფინია მგელს ცხვირში ჩააფრინდა და მაშინვე ძაღლების მთელი ხროვა ეძგერა მხეცს. ვერაფრით მივეხმარებოდით ძაღლებს. თუმცა ახლა ჩვენი მიხმარება არც სჭირდებოდათ. მათ ჰყავდათ შეუდრეკელი სიმამაცის წინამძღოლი. ბოლოს და ბოლოს, ბრძოლა რომ დამთავრდა, ჩვენ წინ მიწაზე გართხმული დავინახეთ მძლავრი გიგანტი _ მგელი და მის ცხვირში ჩაფრენილი პატარა თეთრი ძაღლი.

სნაპს დავუძახე. მაგრამ ის არ განძრეულა. მე დავიხარე:

_ სნაპ, სნაპ, ყველაფერი დასრულდა. შენ მოკალი მგელი! _ მაგრამ ძაღლი არ ინძრეოდა. ახლაღა შევამჩნიე ორი ღრმა ჭრილობა მის სხეულზე. შევეცადე, ხელში ამეყვანა: _ გაუშვი, მეგობარო, ყველაფერი დამთავრებულია!

მან წაიღრინა და მგელს პირი უშვა.

უხეში მესაქონლეები მუხლებზე დაჩოქილები იდგნენ მის ირგვლივ და მოხუცმა პენრუფმა გაჟეჟილი ხმით ჩაიდუდუნა:

_ ამას მერჩივნა, ოცი ხარი დამკარგვოდა!

სნაპი ხელში ავიყვანე, სახელი დავუძახე და თავზე ხელი გადავუსვი. მან ოდნავ გასაგონად დაიღრინა, ეტყობა, გამოსამშვიდობებლად, ხელი ამილოკა და დადუმდა.

დამწუხრებულები ვბრუნდებოდით შინ. თან მოგვქონდა შემზარავი მგლის ტყავი. მაგრამ ამაში ვერავითარ ნუგეშს ვერ ვპოვებდით: მამაცი სნაპი ფერმის გადაღმა ბორცვზე დავასაფლავეთ. სნაპს რომ ვმარხავდით, გავიგონე, როგორ ჩაილაპარაკა ჩემ გვერდით პენრუფმა:

_ აი, ვინ იყო ნამდვილი გულადი! სიმამაცის გარეშე ჩვენს საქმეში შორს ვერ წახვალ.

ჩინკი

ჩინკი უკვე იმხელა ლეკვი იყო, რომ თავი დიდ ძაღლად მოჰქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰგავდა დიდ ძაღლს, ის არ იყო ანჩხლი, შესახედაობაც კი არა ჰქონდა ხეირიანი, არც ღონით გამოირჩეოდა, არც სისწრაფით, ერთი ყველაზე ცელქი, ხმაურიანი, გულკეთილი და სულელი ლეკვი იყო იმ ლეკვთა შორის, რომელთაც ოდესმე თავისი პატრონის წუღები უღრღნიათ. მისი პატრონი ბილ ობრი, მოხუცი მთიელი, იმხანად გარნეტის მთის ძირში, იელოუსტონის პარკში ცხოვრობდა. ეს ზედმიწევნით მყუდრო კუთხე კარგა მანძილზე იყო ჩამოშორებული მოგზაურთა საყვარელი გზებიდან. ის ადგილიც, სადაც ბილმა თავისი კარავი დასცა, შეიძლებოდა ერთ-ერთ ყველაზე მივარდნილ ადამიანურ სამყოფად მიგეჩნიათ, თუ არა ეს ბანჯგვლიანი, დაუდეგარი ლეკვი.

ჩინკს ვერასოდეს ნახავდით მშვიდად თუნდაც ხუთ წუთს. ის ხალისით ასრულებდა ყველაფერს, რასაც უბრძანებდნენ. ერთთავად იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება სულელური და გაუგონარი ოინები ჩაედინა, ხოლო, როცა ჩვეულებრივი და იოლი საქმის გაკეთებას უბრძანებდნენ, აუცილებლად გაიფუჭებდა ყველაფერს რაიმე გამოხდომით. ერთხელ, მაგალითად, მთელი დილა იმაზე დახარჯა, რომ ამაოდ ცდილობდა შემხტარიყო მაღალ სწორ ფიჭვზე, რომლის ტოტებშიც ციყვი დაინახა.

რამდენიმე კვირის მანძილზე ჩინკის სანუკვარი ოცნება იყო, დაეჭირა ჩანთოსანი ვირთაგვა.

ჩანთოსანი ვირთაგვები ბლომად ცხოვრობდნენ ბილის კარვის ირგვლივ. ამ პატარა ცხოველებს სჩვევიათ უკანა თათებზე დაჯდომა, წელში გასწორება და წინა თათების გულზე მჭიდროდ დაკრეფა, რის გამოც შორიდან შეიძლება მიწიდან ამოშვერილ პალოებად მიიჩნიოთ. მოგზაურებს ღამით ხშირად ეშლებათ ხოლმე, ვირთაგვა პალო ჰგონიათ და ზედ ცხენის გამობმას ლამობენ. შეცდომა მაშინ გამჟღავნდება ხოლმე, როცა ვირთაგვა სასაცილო წრიპინით გაქრება მიწაში.

ჩინკმა ხეობაში მისვლის დღიდანვე გადაწყვიტა უსიკვდილოდ დაეჭირა ასეთი ვირთაგვა. როგორც სჩვეოდა, მაშინვე ათასი სისულელე ჩაიდინა. ვირთაგვამდე ჯერ კიდევ მეოთხედი მილი იყო, მშვენიერი ნაბული რომ გააკეთა, შემდეგ ასიოდე ნაბიჯი კოლბოხებზე მუცლით იხოხა, მაგრამ მალე

იმ ზომამდე აღეგზნო, რომ ვეღარ მოითმინა, წამოხტა და პირდაპირ გაეშურა თავის სოროზე ჩვეულებრივ პოზაში წამომჯდარი ვირთაგვასაკენ. წუთის შემდეგ ჩინკი გაიქცა, ბოლოს ერთხელაც გააკეთა თავისი შეუდარებელი ნაბული, მიივიწყა ყოველგვარი სიფრთხილე და ყეფითა და ხტუნვა-ხტუნვით გაექანა მტრისაკენ. ვირთაგვა უკანასკნელ მომენტამდე გაუნძრევლად იჯდა, შემდეგ უეცრად დაიწრიპინა და სოროში ჩაყვინთა, თან უკანა თათებით მთელი მუჭა სილა პირდაპირ დაღებულ ხახაში შეაყარა ჩინკს.

დღე დღეს მისდევდა ამგვარ უნაყოფო ცდაში, მაგრამ ჩინკი გულს არ იტეხდა, დარწმუნებული იყო, რომ ამდენი მცდელობით, ბოლოს თავისას მიაღწევდა.

ერთ მშვენიერ დღეს, მას შემდეგ, რაც ჩინკმა ერთი ჩვეულებრივი ვირთაგვას წინ ისევ გააკეთა თავისი არაჩვეულებრივად ოსტატური ნაბული, მერე მიყოლებით ჩაატარა ყველა სულელური ფინტი და ყველაფერი ეს დაა-ბოლოვა მძვინვარე შეტევით, მან მართლაც იგდო ხელთ თავისი მსხვერ-პლი. მაგრამ ამჯერად ისე მოხდა, რომ მის კბილებში ვირთაგვას ნაცვლად ხის უბრალო პალო აღმოჩნდა.

ძაღლი მშვენივრად ხვდება, როდის გაასულელებენ ხოლმე. ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, უნდა ენახა ჩინკი, ლეკვი მთელი დღე კრავივით დარცხვენილი იყო და კარვის უკან იმალებოდა, რომ პატრონს არ მოხვედროდა თვალში.

ჩინკი ბუნებით არა მარტო ფიცხი, საკმაოდ ჟინიანიც იყო და ამ მარცხს დიდხანს არ გაუნელებია მისთვის გული. ვერაფერი დააკარგვინებდა სიმხნევეს. უნდოდა სულ ემოძრავა, სულ რაღაცა ეკეთებინა. ყოველი გავლილი ფურგონი, ყოველი მხედარი, ყოველი საბალახოდ გამოსული ძროხა მისი დევნის ობიექტი იყო; კატა, კატას ხომ ნუღარ იტყვით, როგორც კი უახლოესი სადარაჯოდან შემოხეტებულ კატას მოჰკრავდა თვალს, მისი პატრონების _ დარაჯების _ წინაშე თავის წმიდათაწმიდა მოვალეობად თვლიდა, რაც შეიძლება მალე გაედენა ის შინ. მზად იყო, თუნდაც დღეში ოცჯერ გაქცეულიყო გახვრეტილი შლიაპის მოსატანად, რომელსაც ბილი, ჩვეულებრივ, კელების ბუდეში მოისროდა ხოლმე და უბრძანებდა: «მოიტანეო!»

კარგა დრო დასჭირდა ლეკვს, ვიდრე ამდენი უსიამოვნება ჭკუას ასწავლიდა და სიფიცხეს გაუნელებდა. ჩინკს უცბად არ შეუთვისებია, რომ ფურგონებს გრძელი შოლტები და დიდი ავი ძაღლებიც ახლავს, რომ ცხენებს ფეხებზე რაღაც კბილებისმაგვარი აქვთ, რომ ძროხებს თავი აღჭურვილი აქვთ მაგარი კეტებით, რომ კატა არც ისე უწყინარია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, და, ბოლოს, კელები და პეპლები ერთი და იგივე სულაც არ არის. დიახ, ამის გასაგებად დრო იყო საჭირო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩინკმა ყველაფერი ისწავლა, რაც ყველა ძაღლს უნდა სცოდნოდა, და მის არსებაში თანდათან იწყო გაღივება ძაღლური ჯანსაღი აზრის, მართალია, ჯერ სრულიად პატარა, მაგრამ ცოცხალმა მარცვალმა.

II

ყველა სისულელე, რასაც ჩინკი სჩადიოდა, ბოლოს ერთი საკვირველი სისულელით დამთავრდა. ეს იყო კოიოტის ამბავი. ამ კოიოტს იქვე, ჩვენი

ბანაკის ახლოს, ჰქონდა ბინა, და, ეტყობა, მშვენივრად ესმოდა, ისე როგორც სხვათა შორის იელოუსტონის პარკის სხვა ველურ ბინადართაც, რომ კანონი იცავდა და აქ თოფის სროლა და ნადირობა აკრძალული იყო. ის პარკის სწორედ იმ ნაწილში ცხოვრობდა, სადაც საყარაულო პოსტი იდგა და ჯარისკაცები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს კანონის დაცვას.

თავის ხელშეუხებლობაში დარწმუნებული კოიოტი ყოველღამე დაეხეტებოდა ბანაკის ირგვლივ და დაეძებდა გადაყრილ ნარჩენებს. ნაკვალევს რომ დავხედე, მივხვდი, რომ რამდენჯერმე შემოევლო ბანაკისთვის, მაგრამ ახლოს მოსვლა ვერ გაებედა. შემდეგ ხშირად გვესმოდა, როგორ გაკიოდა მხეცი, ჩავიდოდა თუ არა მზე, ანდა დილაადრიან, ირიჟრაჟებდა თუ არა. ყოველ დილას, გამოვიდოდი თუ არა, რომ მენახა, რა ცხოველები მოვიდნენ იმ ღამით ჩვენს ნაგვის ვედროსთან, აშკარად ვხედავდი მის ნაკვალევს. მერე და მერე ისე გათამამდა, რომ შიგადაშიგ დღისითაც მოდიოდა ბანაკთან, თავიდან შიშით, გაუბედავად, შემდეგ კი უფრო თამამად. ბოლოს არამცთუ ყოველღამე გვესტუმრებოდა ხოლმე, დღისითაც ერთთავად ბანაკის ახლომახლო დაწანწალებდა და რაიმე კბილქვეშ შესაგდებს ეძებდა. ხანდახან დღისით, მზისით, ყველას თვალწინ სადმე მოშორებით კოლბოხის გვერდით ჩაყუნცდებოდა.

ერთ დილას, როცა კოიოტი ამგვარად იჯდა ბანაკიდან ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე, ერთ-ერთმა ჩვენგანმა ხუმრობით უთხრა ჩინკს: «ჩინკ, ხედავ იმ კოიოტს? წადი და გააგდე!»

ჩინკი მუდამ ასრულებდა ყველაფერს, რასაც კი ეუბნებოდნენ. ახლაც თავის გამოჩენა მოუნდა და კისრისტეხით გამოუდგა კოიოტს, რომელმაც იქიდან მოცოცხა.

მართლაც დიდებული შეჯიბრი იყო სირბილში მეოთხედი მილის მანძილზე; მაგრამ უეცრად კოიოტი მოტრიალდა და დაუწყო ლოდინი თავის მდევარს. ჩინკმა მაშინვე მოისაზრა, რომ მისი საქმე ცუდად იყო და ბანაკისაკენ მოუსვა. მაგრამ კოიოტი უფრო სწრაფად გარბოდა. მალე წაეწია ლეკვს, ჯერ ერთ გვერდში წაკბინა, მერე _ მეორეში, მთელი მისი იერი სრულ კმაყოფილებას გამოხატავდა.

ჩინკი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოქროდა წკავწკავითა და ღრიალით, ასე სდია მისმა მტანჯველმა შეუსვენებლივ, ზედ ბანაკამდე. მრცხვენია, რომ ვამბობ, მაგრამ ჩვენც კოიოტთან ერთად დავცინოდით საცოდავ ძაღლს. ასე რომ, ჩინკი ვერ ეღირსა ჩვენს თანაგრძნობას. ერთხელ კიდევ განმეორდა ამგვარი ცდა, ოღონდ უფრო მცირე მასშტაბით, და ჩინკმა გადაწყვიტა დაენებებინა თავი კოიოტისათვის.

ჩინკმა კი გადაწყვიტა დაენებებინა თავი კოიოტისათვის, მაგრამ კოიოტი აღარ ეშვებოდა ასეთ სასიამოვნო გართობას. ახლა ის ცისმარე დღე სრულიად თავისუფლად დაყიალებდა ბანაკის მახლობლად, რადგან მშვენივრად იცოდა, რომ ვერავინ გაბედავდა თოფის სროლას. მართლაც, ჩვენი თოფების საკეტები დაბეჭდილი ჰქონდა სახელმწიფო აგენტს, ირგვლივ კი ყველგან დაცვა იდგა.

თითქოს კოიოტს სხვა საქმე არა ჰქონდა, სულ ჩინკის მოლოდინში იყო, შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ არ ეწამებინა. ლეკვმა იცოდა, ასიოდე ნაბი-

ჯითაც რომ დასცილებოდა ბანაკს მარტოკა, კოიოტი მაშინე იქ გაჩნდებოდა, დაუწყებდა კბენას და მანამ არ მოეშვენოდა, სანამ უკანვე არ შეაგდებდა პატრონის კარავში.

დღე დღეს მისდევდა ამგვარ ტანჯვაში, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, ჩინკის ცხოვრება სრულ წამებად არ იქცა. ის ვეღარ ბედავდა ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე მოშორებოდა კარავს. მაშინაც კი, როცა ჩვენთან ერთად წამოვიდოდა ხოლმე შემოგარენის შემოსავლელად, ეს თავხედი და ბოროტი კოიოტი ფეხდაფეხ დასდევდა და შემთხვევას არ უშვებდა, რომ მასხარად არ აეგდო საბრალო ჩინკი და არ ჩაეშხამებინა გასეირნების მთელი სიამოვნება.

ბილ ობრიმ თავისი კარავი ჩვენგან ორ მილზე, მდინარის სათავისკენ გადასწია. კოიოტიც ამავე მანძილზე გადასახლდა მდინარის აღმა. როგორც ყველა მტაცებელს სჩვევია, რაკი წინააღმდეგობას არ წააწყდა, ისიც თანდათან გათავხედდა და ჩინკი მუდმივი ძრწოლის ქვეშ ჰყავდა, რაც მის პატრონს სიცილად არ ჰყოფნიდა. ჩვენგან თავისი გამოცალკევება ობრიმ იმით ახსნა, ვითომ კარგ საბალახო ადგილს ეძებდა ცხენისთვის, მაგრამ მალე გამოირკვა, თურმე მარტო დარჩენა იმიტომ უნდოდა, სადღაც ნაშოვნი არყის გადაყლურწვაში არავინ ჩაზიარებოდა. რაკი ბილს ერთმა ბოთლმა ვერაფერი უყო, მეორე დღეს შეკაზმა ცხენი. «ჩინკ, კარავს უყარაულეო!» _ დაუბარა და ჭენებით გაუდგა გზას მთების გადაღმა უახლოესი სამიკიტნოსაკენ. ჩინკი მორჩილად დარჩა სადარაჯოდ. მოიკუნტა და კარვის შესასვლელში ჩაწვა.

III

მიუხედავად იმისა, რომ ჩინკს ჯერ კიდევ ლეკვის ახირებული ხასიათი ჰქონდა, ის მაინც ეზოს ძაღლი იყო და პატრონმა იცოდა, თავს არ დაზოგავდა და რიგიანად შეასრულებდა თავის მოვალეობას.

ნაშუადღევს ვიღაც მთიელმა ჩაიარა ცხენით, ჩვეულებისამებრ, კარვის შორიახლოს გაჩერდა და დაიძახა:

_ ჰეი, ბილ! გესმის, ბილ!

მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, კარვისკენ გაემართა. ჩინკი საკადრისად შეხვდა მოსულს: ბალანი ყალყზე დაუდგა და დიდი ძაღლივით დაიღრინა. მთიელი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თავისი გზით წავიდა.

მოსაღამოვდა. პატრონი ისევ არ ჩანდა, ჩინკს კი ძალიან მოშივდა. კარავში ტომარა იდო, ხოლო ტომარაში ცოტაოდენი ლორი. მაგრამ პატრონმა უბრძანა ჩინკს, ედარაჯა მისი ქონებისათვის და ჩინკი უმალ შიმშილით მოკვდებოდა, ვიდრე ტომარას მიეკარებოდა.

ბოლოს შიმშილით გაწამებულმა ჩინკმა გაბედა მიეტოვებინა თავისი საგუშაგო და იმ იმედით, იქნებ თაგვი დავიჭირო ან რამე საჭმელი ვიპოვოო, დაიწყო სუნსული კარვის შორიახლოს. მაგრამ მოულოდნელად იმ საზიზღარმა კოიოტმა ისევ შეუტია და აიძულა უკან, კარვისკენ გაქცეულიყო.

უცებ ჩინკი მთლიანად გარდაიქმნა. ეტყობა, თავისი მოვალეობა გაახსენდა და ამან შემატა ძალა. ასე გადააქცევს ხოლმე კნუტის დაჩხავლება დედა კატას მძვინვარე ძუ ვეფხვად. ჩინკი ჯერ კიდევ ლეკვი იყო, მოსულელო და ქოთქოთა, მაგრამ მასში ცოცხლობდა მემკვიდრეობით მიღებული მტკი-

ცე ხასიათი, რომელიც წლების მანძილზე თანდათან უნდა განვითარებულიყო. როცა კოიოტი შეეცადა, კარავში შეჰყოლოდა, _ მისი პატრონის კარავში _ ჩინკი პატარა დემონივით გამეხებული დაუდგა მტერს პირისპირ.

კოიოტმა უკან დაიხია. ის ბოროტად იღრინებოდა და ლეკვს ნაკუწ-ნაკუწ დაფლეთით ემუქრებოდა, მაგრამ კარავში შესვლა მაინც ვერ გაბედა.

და დაიწყო ნამდვილი ალყა. კოიოტი ყოველ წუთს მოდიოდა, გადი-გამოდიოდა კარვის ირგვლივ, უკანა თათებით ფხოჭნიდა მიწას, თითქოს ამით უნდა თავისი ზიზღი და სიძულვილი გამოხატოსო და მერე უცებ ისევ კარვის შესასვლელისაკენ დაიძვრებოდა, ხოლო საბრალო ჩინკი, შიშისაგან ცოცხალ-მკვდარი ჩინკი, მამაცად იცავდა ჩაბარებულ ქონებას.

მთელი ამ ხნის მანძილზე არაფერი უჭამია. დღის განმავლობაში ორჯერ მოახერხა იქვე, გვერდით, ნაკადულთან მირბენა და წყურვილის მოკვლა, მაგრამ საჭმელსაც ასე უცებ ხომ ვერ იშოვიდა. მას შეეძლო, გაეღრღნა კარავში დატოვებული ტომარა და შეეჭამა შებოლილი ხორცი, მაგრამ ვერ ბედავდა ანაბარის პირის ხლებას. ბოლოს ჩინკს შეეძლო დრო მოეხელთებინა, დაეტოვებინა თავისი საგუშაგო და გადმოერბინა ჩვენს ბანაკში, სადაც მას, რასაკვირველია, კარგად დაანაყრებდნენ.

მაგრამ არა, მას უნდა გაემართლებინა პატრონის ნდობა, რადაც უნდა დასჯდომოდა!

მტრის შემოტევებმა გამოაწრთო ჩინკი, ის ნამდვილი ერთგული მოდარაჯე ძაღლი დადგა, მზად იყო, თუკი საჭირო იქნებოდა, თავის სადარაჯოზე მომკვდარიყო, მაშინ, როცა მისი პატრონი სადღაც ცხრა მთას იქით ლოთობდა.

ოთხი შავბნელი დღე და ოთხი ღამე გაატარა ამ პატარა გმირმა ძაღლმა ისე, რომ თითქმის ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან და შეუპოვრად იცავდა კარავსა და პატრონის ქონებას კოიოტისაგან, რომელიც გამუდმებით შიშის ზარს ჰგვრიდა.

მეხუთე დღეს ბებერი ობრი გამოფხიზლდა და გაახსენდა, რომ სხვაგან იყო, რომ მთებში თავისი ბანაკი ლეკვის ანაბარა მიატოვა. ის უკვე დაღალა გაუთავებელმა ლოთობამ, ამიტომ მაშინვე შეკაზმა ცხენი და დაადგა შინისაკენ მიმავალ გზას. შუა გზაზე დაბინდულ გონებაში გაუელვა აზრმა, რომ ჩინკი სრულიად მშიერ-მწყურვალი დააგდო.

«ნუთუ იმ პატარა არამზადამ მთელი ჩემი ლორი შესანსლა?» _ გაიფიქრა შეშფოთებულმა და შინისაკენ გაუჩქარა. მთის თხემამდე რომ მივიდა, საიდანაც მისი კარავი მოჩანდა, თავდაპირველად მოეჩვენა, რომ ყველაფერი ძველებურად რიგზე იყო, თავის ადგილას, მაგრამ ანაზდად დაინახა: იქ, კარვის შესასვლელში დრუნჩიდრუნჩმიშვერილი პირისპირ იდგნენ დიდი ანჩხლი კოიოტი და საცოდავი პატარა ჩინკი, იდგნენ ბალანაშლილნი და ერთმანეთს უღრენდნენ.

_ ოჰ, ეშმაკმა ნუ იცის ჩემი თავი! _ წამოიძახა ობრიმ დარცხვენით. _ ეს წყეული კოიოტი სულ დამავიწყდა! საბრალო ჩინკი, რა ვაი-ვაგლახში ჩავარდებოდა! საკვირველია, ან კი ნაფლეთებად როგორ არ აქცია კოიოტმა ამდენ ხანს და კარავიც ზედ არ მიაყოლა.

დიახ, მამაცი ჩინკი შესაძლოა უკანასკნელად უმკლავდებოდა მტრის შემოტევას. შიშისა და შიმშილისაგან ფეხები უკანკალებდა, მაგრამ ჯერ კიდევ საომრად აქოჩრილი იდგა და მზად იყო უყოყმანოდ მომკვდარიყო, თავისი პოსტი კი დაეცვა.

ბილ ობრისთვის ერთი შეხედვითაც კი ყველაფერი ნათელი გახდა. კარავთან რომ მიაჭენა ცხენი და ლორის ნაჭერი ხელუხლებელი ნახა, მიხვდა, ჩინკს მისი გამგზავრების დღიდან არაფერი ეჭამა. შიშისა და დაღლილობისაგან აცახცახებული ლეკვი მიცოცდა პატრონთან, სახეში შეხედა და დაუწყო ხელების ლოკვა, თითქოს უნდოდა ეთქვა: «ყველაფერი ისე გავაკეთე, პატრონო, როგორც მიბრძანეო». ეს უკვე მეტისმეტი იყო, ბებერ ობრის თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, როცა ფაციფუცით ულაგებდა საჭმელს პატარა გმირს.

მერე მიუბრუნდა ლეკვს და უთხრა:

_ ჩინკ, მეგობარო, მე შენ ცუდად მოგექეცი, შენ კი სიკეთით გადამიხადე. პირობას გაძლევ, რომ თუ კიდევ მომინდა გასეირნება, აღარასოდეს დაგტოვებ შინ მარტოს. არაყს შენ არა სვამ, ძმაო, და არ ვიცი პირდაპირ, რით გაგახარო. მოდი ერთი შენი ყველაზე დიდი მტრისაგან გიხსნი!

მან ჩამოხსნა კარვის შუა ბოძზე დაკიდებული სავაზნე კოლოფიანი ძვირფასი კარაბინი, თავისი სიამაყე. არც დაფიქრებულა, რა შედეგი მოჰყვებოდა მის საქციელს, ისე მოაძრო თოფს სახელმწიფო ბეჭედი და ეზოში გავიდა.

კოიოტი ჩვეულებისამებრ, იქვე, შორიახლოს იჯდა და დამცინავი დემონური ღიმილით კრეჭდა კბილებს. მაგრამ იგრიალა თოფმა და ჩინკის ტანჯვაც დასრულდა.

მოცვივდნენ ყარაულები და ნახეს, რომ პარკის დაცვის კანონი დაერღვიათ, რომ ბებერ ობრის მოეკლა ნაკრძალის ერთ-ერთი ველური ბინადარი. მოხუცს კარაბინი წაართვეს და მოსპეს, თვითონ კი ოთხფეხა მეგობართან ერთად სამარცხვინოდ გააძევეს პარკიდან და ციხეში ჩასმით დაემუქრნენ თუ უკან მობრუნებას განიზრახავდა.

მაგრამ ბილ ობრი არაფერს ნანობდა.

_ ძალიან კარგი, _ ჩაილაპარა მან, _ თქვენ რაც გინდათ, ისა თქვით, მე კი მადლი მივაგე ჩემს მეგობარს ერთგულებისათვის.